ვახტანგ ერქომაიშვილი

საზოგადოებათმცოდნეობის საკითხები

ფილოსოფია

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1988

ნაშრომში მოკლედ არის გაშუქებული საზოგადოებათმცოდნეობის ფილოსოფიური საკითხები.

იგი, როგორც დამხმარე მასალა, გამოადგება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის X კლასისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებელი კურსის მსმენელებსა და ფილოსოფიის საკითხებით დაინტერესებულ სხვა მკითხველსაც.

რედაქტორი ჯ. კორძაია

რეცენზენტები: ე. კოდუა
ზ. ანჯაფარიძე

© თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988.

0200000000
Е ——————
М 608 (06) 88

ISBN 5—511—00023—X

წინასიტყვაობა

საზოგადოებათმცოდნეობის არსი და მნიშვნელობა

საზოგადოებათმცოდნეობა არ არის მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი. იგი სასწავლო დისციპლინაა, რომელსაც ასწავლიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის X კლასის და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს.

საზოგადოებათმცოდნეობა გადმოსცემს მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებებს და დასკვნებს საზოგადოების ცვალებადობის, სტრუქტურის, მამოძრავებელი ძალების, ძირითადი ტენდენციების და მომავლის შესახებ. საზოგადოება რთული და მრავალმხრივი სტრუქტურის მქონე სოციალური ორგანიზმია. მის სხვადასხვა ასპექტს იკვლევს სოციოლოგია, ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, იურიდიული მეცნიერება, ეთიკა, ესთეტიკა და ა. შ. მაგრამ საზოგადოების განვითარების ზოგად კანონზომიერებას და მის სტრუქტურას ადგენს მარქსიზმ-ლენინიზმი. იგი ერთადერთი მწყობრი, ბოლომდე თანმიმდევრული მეცნიერული მსოფლმხედველობაა, რომელიც საშუალებას იძლევა, სწორად გავერკვეთ მის რთულ მექანიზმში.

საზოგადოებათმცოდნეობის ამოცანაა, ცხადად და ნათლად, ლგაზრდა თაობისათვის გასაგები და მისაწვდომი ენით გადიკეს მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი დებულებები და დასკვნები გადოების შესახებ.

ა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებათმცოდნეობის შესწავლას? ალგაზრდა თაობა შეგნებულად და რწმენით აღსავსე აქტიუ- უნდა მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი ოპ- ტურად უნდა უყურებდეს თავის მომავალს. ამისთვის კი

აუცილებელია საზოგადოების განვითარების რთულ და წინააღმდეგობებით სავსე პროცესებში გარკვევა. ახალგაზრდა თაობამ უნდა იცოდეს სტრუქტურა და განვითარების ძირითადი ტენდენციები, წარსული და მომავალი იმ საზოგადოებისა, რომელშიც ცხოვრობს. იგი უნდა ეზიაროს იმ ღირებულებებსა და იდეალებს, რომლებიც სწორად განსაზღვრავენ მის მრწამსს და ცხოვრებისეულ გზას. ამის საშუალებას კი მას მისცემს მეცნიერული მსოფლმხედველობის დაუფლება და მისი შემოქმედებითად გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში.

საზოგადოებათმცოდნეობის მიზანია — მეცნიერული მსოფლმხედველობა, კომუნისტური შეგნება და აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია გამოუმუშაოს და ჩამოუყალიბოს ახალგაზრდა თაობას. სწორედ ესაა მისი შესწავლის მნიშვნელობა.

შესავალი

მარქსიზმ-ლენინიზმი — ერთიანი რევოლუციური მოძღვრება, მეცნიერული მსოფლმხედველობის საფუძველი

რა არის მარქსიზმ-ლენინიზმი. მარქსიზმ-ლენინიზმი არის ფილოსოფიურ, ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა მწყობრი მეცნიერული სისტემა. იგი პროლეტარიატის მსოფლმხედველობაა, რადგან მისი მთავარი მიზანია გაარკვიოს ამ კლასის მსოფლიო-ისტორიული მისია, ის, რომ მუშათა კლასი თავისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოწოდებულია დაამხოს კაპიტალიზმი და ააშენოს კომუნისტური საზოგადოება. მან უნდა მოსპოს კლასები, კლასობრივი და სოციალური ჩაგვრა და უნდა ააშენოს უკლასო, ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოება.

მარქსიზმი წარმოიშვა XIX საუკუნის 40-იან წლებში. მისი ფუძემდებლებია კ. მარქსი (1818—1883) და ფ. ენგელსი (1820—1895). მათ ახალი მოძღვრების შექმნა დაიწყეს დაახლოებით 1842—1843 წლებში და დაამთავრეს 1848 წელს, როდესაც გამოქვეყნდა მათი ერთობლივი ნაწარმოები — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". ამ ნაშრომში გადმოცემულია მეცნიერული მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპები. იგი განვითარდა, დაკონკრეტდა და დაზუსტდა შემდგომ. მოგვიანებით ამ მოძღვრებას ეწოდა მარქსიზმი მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის კ. მარქსის პატივსაცემად.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა საზოგადოების განვითარების თვისებრივად ახალი ისტორიული პირობები. კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების უმაღლეს ფაზაში — იმპერიალიზმში. დადგა სოციალისტურ რევოლუციათა

ეპოქა. განვითარდა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებანი. ეს გარემოება მოითხოვდა მარქსიზმის შემდგომ განვითარებას. მუშათა რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა, ამიტომ რუსეთის რევოლუციონერებს დაეკისრათ მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების ამოცანა. იგი გადაჭრა ვ. ი. ლენინმა (1870—1924). მან შექმნა მუშათა მოძრაობის მთლიანი მოძღვრება, რომელსაც შემდგომ ლენინიზმი უწოდეს. ლენინიზმი თვისებრივად ახალი ეტაპია მარქსიზმის განვითარებაში. იგი მარქსიზმის ფუნდამენტური პრინციპების შემოქმედებითი განვითარებაა ახალ ისტორიულ პირობებში. ორივე ეტაპი ქმნის ერთიან, მთლიან მოძღვრებას, რის გამოც მას ეწოდება მარქსიზმ-ლენინიზმი.

მარქსიზმ-ლენინიზმი არის მოძღვრება სინამდვილის (ბუნების, საზოგადოების და ცხოველების) განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ, კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის კანონზომიერებისა და გზების შესახებ. იგი მუშათა კლასის სულიერი იარაღია, რადგან მხოლოდ მისი შემწეობით შეუძლია მას, შეასრულოს თავისი მსოფლიო-ისტორიული მისია.

მარქსიზმ-ლენინიზმის შემადგენელი ნაწილები. მარქსიზმ-ლენინიზმი შედგება სამი ნაწილისაგან: ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული კომუნიზმი.

მარქსიზმის ფილოსოფიაა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი. იგი სამყაროს დიალექტიკურ-მატერიალისტური ახსნის საფუძველზე ჩამოყალიბებული მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ბუნების, საზოგადოების და შემეცნების გავითარების უზოგადეს კანონებს.

პოლიტიკური ეკონომია სწავლობს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას. იგი მეცნიერებაა წარმოებით (ეკონომიკურ) ურთიერთობათა გავითარების კანონების შესახებ.

მეცნიერული კომუნიზმი იკვლევს კაპიტა-

ლიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე გადასვლის კანონზომიერებებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის სამივე შემადგენელი ნაწილი ერთმანეთთან მჭიდრო, ორგანულ კავშირშია და ამიტომ შეადგენს ერთ მთლიან, მწყობრ მოძღვრებას. მარქსისტული ფილოსოფია განაპირობებს პოლიტიკურ-ეკონომიკურ შეხედულებებს, ხოლო ორივე ერთად — მეცნიერულ კომუნიზმს. კონკრეტულად ეს შემდეგში ვლინდება:

სამყაროს დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია აუცილებლობით იწვევს ისტორიის მატერიალისტურ ახსნას, რომლის თანახმად, საზოგადოების სტრუქტურას განსაზღვრავს მისი ყოფიერებისა და ფუნქციობის მატერიალური პირობები. საზოგადოებრივი ყოფიერების მატერიალურ პირობებს შორის ძირითადი, განმსაზღვრელია ეკონომიკური ურთიერთობანი. ამან განაპირობა მათი ბუნების და კანონზომიერების გამოკვლევა. მარქსისტულ ფილოსოფიურ და ეკონომიკურ შეხედულებათა საფუძველზე დგინდება კაპიტალიზმის დაღუპვის გარდაუვალობა და კომუნისტური საზოგადოების აშენების ობიექტური აუცილებლობა. ეს კი კომუნიზმის თეორიის ჩამოყალიბების საფუძველია. მარქსისტული ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის დასკვნებიდან უშუალოდ და ლოგიკურად გამომდინარეობს მეცნიერული კომუნიზმი.

მარქსიზმ-ლენინიზმი მუშათა კლასის სულიერი იარაღი, მისი მეცნიერული მსოფლმხედველობაა. მარქსისტული ფილოსოფია — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი — ამ მოძღვრების თეორიული საფუძველია.

მარქსისა და ენგელსის მიერ 'საზოგადოებრივ მეცნიერებაში მოხდენილი რევოლუციური გადატრიალების არსი და მნიშვნელობა. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მოახდინეს რევოლუციური გადატრიალება საკაცობრიო აზროვნების განვითარებაში იმით, რომ შექმნეს თვისებრივად ახალი მსოფლმხედველობა. ბუნებრივია, დგება საკითხი: გავარკვიოთ ის, თუ რა სიახლე შეიტანეს მათ ამ პროცესში. ე. ი. საკითხი ეხება იმას, თუ რაშია მარქსისა და ენგელსის მიერ მოხდენილი რევოლუციური გადატრიალების არსი. მათ თვისებრივი სიახლე შეიტანეს სამივე — ფილოსოფიის, პო-

ლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერული კომუნიზმის — სფეროში. დავახასიათოთ თითოეული ცალ-ცალკე.

ფილოსოფიის სფეროში მარქსისა და ენგელსის მიერ მოხდენილი რევოლუციური გადატრიალების არსი შემდეგია: მათ შექმნეს ახალი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი. არც მატერიალიზმის და არც დიალექტიკის შექმნა მარქსისა და ენგელსის დამსახურება არ არის. მატერიალიზმი წარმოიშვა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში და მას განვითარების ხანგრძლივი პერიოდი ჰქონდა მარქსამდე. იგი ძირითადად დარჩა მეტაფიზიკურ, ე. ი. არადიალექტიკურ მატერიალიზმად. რაც შეეხება დიალექტიკას, ისიც ანტიკურ პერიოდში წარმოიშვა. მასაც თავისი განვითარების ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. გერმანულ კლასიკურ იდეალიზმში, განსაკუთრებით ჰეგელთან ჩამოყალიბდა დიალექტიკა როგორც აბსოლუტური იდეის ანუ სინამდვილის განვითარების თეორია, მაგრამ ჰეგელის მიერ ჩამოყალიბებული დიალექტიკა იყო იდეალისტური ხასიათის. ე. ი. მარქსამდე ძირითადად არსებობდა იდეალისტური და არა მატერიალისტური დიალექტიკა.

მარქსისა და ენგელსის დამსახურებაა დიალექტიკისა და მატერიალიზმის ერთმანეთთან დაკავშირება. მათ აზროვნების ისტორიაში პირველად შექმნეს დიალექტიკური მატერიალიზმი. ასეთი მიმდინარეობა მანამდე არ ყოფილა.

დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითად დებულებათა გავრცელებამ საზოგადოებრივ მოვლენათა სფეროზე მოგვცა ისტორიის მატერიალისტური ახსნა. მისი არსი ისაა, რომ იგი საზოგადოების განვითარებას ხსნის არა იდეებისა და შეხედულებების, ე. ი. საზოგადოებრივი ცნობიერების, არამედ სოციალურ-მატერიალური, ე. ი. საზოგადოებრივი ყოფიერების საფუძველზე.

ისტორიის მატერიალისტური ახსნა ანუ ისტორიული მატერიალიზმი მარქსამდე არ არსებობდა. მარქსამდელი იდეალიზმი როგორც ბუნების, ასევე ისტორიის მოვლენებს იდეალისტურად ხსნიდა. და ეს სავსებით ბუნებრივი და გასაგები იყო. მაგრამ მარქსამდელი მატერიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი შეზღუდულობა

იყო ის, რომ მატერიალიზმის პრინციპს ვერ ავრცელებდა ისტორიაზე. იგი ბუნების მოვლენებს ხსნიდა მატერიალისტურად, მაგრამ როგორც კი საქმე მიდგებოდა საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნაზე, მაშინვე გადადიოდა იდეალისტურ პოზიციაზე. მაშასადამე, მარქსამდელი მატერიალიზმი იდეალისტური ხდებოდა ისტორიის სფეროში. ამიტომ ისტორიული მატერიალიზმის ჩამოყალიბება მარქსისა და ენგელსის დამსახურებაა. მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის გვერდზე არსებობს ისტორიული მატერიალიზმი. ისინი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ამდენად გასაგებია, რომ მარქსისტულ ფილოსოფიას უწოდებენ დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს.

ამგვარად, კითხვაზე — თუ რა არის მარქსისა და ენგელსის მიერ მოხდენილი რევოლუციური გადატრიალების არსი საკაცობრიო აზროვნების განვითარების ისტორიაში — პასუხი ნათელია: დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შექმნა. იგი მანამდე არ არსებობდა და წარმოადგენს თვისებრივად ახალ მსოფლმხედველობას. აქედან გამომდინარეობს ის თავისებურებანი, რაც მარქსისტულ ფილოსოფიას განასხვავებდა მანამდე არსებული ფილოსოფიური სისტემებისაგან. აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი:

1) საზოგადოების განვითარება განიხილება როგორც ობიექტურ-კანონზომიერი, ბუნებრივ-ისტორიული პროცესი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა ამოცანაა დაადგინოს და გამოიკვლიოს ამ პროცესის ობიექტური კანონები. ამით ამ მეცნიერებებს ჩამოშორდათ ყალბი, ფანტასტიკური, უტოპიური და გამოგონილი იდეები და სქემები. მარქსამდე არსებული ყოველი საზოგადოებრივი თეორია არსებითად მოწყვეტილი იყო რეალობას და საკუთარი გამოგონილი, ფანტასტიკური ილუზიების და ცრურწმენების ტყვეობაში იმყოფებოდა. მარქსიზმმა იდეოლოგია პირველად გახადა მეცნიერებად.

2) მარქსამდე არსებული ფილოსოფიური თეორიები არ გამოხატავდნენ მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს. მარქსიზმი კი ყველაზე რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის იდეოლოგიაა. ეს ისეთი კლასია, რომელიც არა მხოლოდ თავისი, არამედ ყველა მშრომელის განთავისუფლებისათვის იბრძვის. ამიტომ პრო-

ლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოხატავს მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს. მარქსმა და ენგელსმა პროლეტარული იდეოლოგია დაუკავშირეს მშრომელთა ფართო მასების ბრძოლას ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ.

3) მარქსამდელი ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი იყო თეორიის მოწყვეტა პრაქტიკისაგან. მარქსამდელი მატერიალიზმი მეტაფიზიკურობითი ხასიათის იყო, რადგან მიზნად არ ისახავდა რეალური სამყაროს გარდაქმნას. მისი ამოცანა მხოლოდ ადამიანის მიერ სამყაროს ჭვრეტა და შემეცნება იყო. მარქსამდელმა იდეალიზმმა შეიღო ადამიანის მოქმედი, აქტიური მხარის განვითარება. მაგრამ ეს ხდებოდა წმინდა აზრის, თეორიის სფეროში. ამიტომ მარქსამდელი ფილოსოფია არ იყო ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის, აქტიური, რევოლუციური მოქმედების თეორია. მარქსიზმის მიზანია სამყაროს არა მხოლოდ შემეცნება, არამედ მისი პრაქტიკული, რევოლუციური გარდაქმნა. კ. მარქსი წერდა: „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად გ ა ნ მ ა რ ტ ა ვ დ ხ ე ნ სამყაროს. მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შეცვლილ იქნეს".

მარქსიზმი რევოლუციური თეორიაა. იგი ადამიანთა რევოლუციური, აქტიური, სამყაროს პრაქტიკულ-გარდამქმნელი საქმიანობის ასახვა და გამოხატულებაა. ამიტომ მასში თ ე ო რ ი ა და პ რ ა ქ ტ ი კ ა ერთიანობაშია.

4) მარქსიზმი სინამდვილის — ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტურ-კანონზომიერი პროცესის ასახვა და თეორიული გამოხატულებაა. ამ ასახვაში იგი ემყარება საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელ სისტემას და მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის ისტორიულ გამოცდილებას. იგი სინამდვილის სწორი, ჭეშმარიტი ასახვაა და მარქსიზმის სიძლიერე და გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე სწორედ ესაა. ვ. ი. ლენინი წერდა: „მარქსის მოძღვრება ყოვლადძლიერია, იმიტომ, რომ იგი სწორია".

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ი ს ს ფ ე რ ო შ ი მარქსისა და ენგელსის მიერ მოხდენილი რევოლუციური გადატრიალების არსი შემდეგშია: ეს არის ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს თ ე ო რ ი ი ს ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ებ ა. „ზედმეტი ღირებულების

შოძღვრება მარქსის ეკონომიკური თეორიის ქვაკუთხედია", — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. ღირებულების თეორიის ჩამოყალიბება მარქსის დამსახურება არ არის. იგი მანამდე არსებობდა. მარქსის დამსახურება სწორედ ზედმეტი ღირებულების თეორიის შექმნაა.

კ. მარქსმა დაასაბუთა, რომ ზედმეტ ღირებულებას ქმნის მუშა კაპიტალისტური წარმოების პროცესში. მუშის სამუშაო ძალის ღირებულება არ ემთხვევა მის მიერ შექმნილ ღირებულებას. კაპიტალისტი მუშას ქირაობს და მას უხდის მისი სამუშაო ძალის ღირებულებას. მაგრამ მას ამუშავებს უფრო მეტ დროს. ვიდრე ეს მისი ღირებულების ანაზღაურებისათვის არის საკმარო. მუშა ზედმეტი სამუშაო დროის განმავლობაში ქმნის ღირებულებას, რომელსაც კაპიტალისტი ითვისებს ანაზღაურების გარეშე. სწორედ იგი წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას. ე. ი. ზედმეტი ღირებულება იქმნება კაპიტალისტების მიერ მუშათა კლასის დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის საფუძველზე. მუშის აუნაზღაურებელი შრომის მითვისება კაპიტალისტის მიერ არის ზედმეტი ღირებულების წყარო.

თავისი ზედმეტი ღირებულების თეორიით კ. მარქსმა გამოამეღავნა მუშათა კლასის ექსპლოატაციის ეკონომიკური საფუძველი.

მეცნიერული კომუნიზმის თეორიის სფეროში მარქსისა და ენგელსის მიერ მოხდენილი გადატრიალების არსი შემდეგშია: ეს არის სოციალიზმის მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბება. სოციალიზმის თეორია მარქსამდეც არსებობდა, მაგრამ იგი იყო უტოპიური, განუხორციელებელი. მიჩნეული იყო, რომ სოციალიზმი არის იდეალური საზოგადოება, რომელიც კარგი იქნებოდა, თუ განხორციელდებოდა მომავალში. სოციალიზმი მხოლოდ ადამიანთა აუხდენელი ოცნების საგანი იყო.

კ. მარქსის დამსახურება ისაა, რომ მან დაასაბუთა სოციალიზმის გამარჯვების ობიექტური აუცილებლობა. მან აღმოაჩინა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები, რომლებიც გარდაუვალობით გამოიწვევენ კაპიტალიზმის დაღუპვას და სოციალიზმის დამყარებას. კ. მარქსმა აღმოაჩინა აგრეთვე ის ძალა, რომელიც ამ მსოფლიო-ისტორიულ მისიას განახორციელებს—ეს არის პროლეტარიატი.

ამგვარად, კ. მარქსის დამსახურება მეცნიერული კომუნიზმის თეორიის სფეროში ისაა, რომ მან სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად გადააქცია, ე. ი. მეცნიერულად დაასაბუთა სოციალიზმის გარდაუვალობა.

ასეთია მოკლედ მარქსისა და ენგელსის მიერ საკაცობრიო აზროვნების განვითარების ისტორიაში მოხდენილი რევოლუციური გადატრიალების არსი. ახლა ვუპასუხოთ კითხვას — რით გამოიხატება მისი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. ეს არის სამყაროს ახსნის მეცნიერული — დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია, რომლის საფუძველზეც დადგინდა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერება. მათ გაარკვიეს პროლეტარიატის ადგილი და როლი საზოგადოების განვითარებაში. მათ პროლეტარიატს მისცეს სულიერი იარაღი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია სამყაროს რევოლუციური გარდაქმნა. პროლეტარიატის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო მშრომელთა რევოლუციურ მოღვაწეობას — აი ამ გადატრიალების ძირითადი მნიშვნელობა.

მარქსიზმის წარმოშობის ისტორიული წანამძღვრები. მართალია, მარქსიზმი წარმოადგენს ახალი ტიპის მსოფლმხედველობას, რომელიც თვისებრივად განსხვავდება ყველა მანამდე არსებული მოძღვრებისაგან, მაგრამ იგი არ წარმოშობილა ცარიელ ნიადაგზე. იგი საზოგადოების განვითარების კანონზომიერი შედეგია. მისი წარმოშობა აუცილებლობით განაპირობა საზოგადოებრივი განვითარების ისტორიულმა პირობებმა. ვ. ი. ლენინი წერდა:

„ფილოსოფიის ისტორია და სოციალური მეცნიერების ისტორია სრული სიცხადით გვიჩვენებენ, რომ მარქსიზმში არაფერია „სექტანტობის“ მსგავსი, რაღაც ისეთი კარჩაკეტილი, ერთ წერტილზე გაყინული მოძღვრების აზრით, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების შარაგზისაგან დ ა შ ო რ ე ბ ი თ წარმოიშვა. პირიქით, მარქსის მთელი გენიალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან პასუხი გასცა იმ კითხვებზე, რომლებიც უკვე დაეყენა კაცობრიობის მოწინავე აზრმა. მისი მოძღვრება წარმოიშვა, როგორც ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის და სოციალიზმის

უდიდეს წარმომადგენელთა მოძღვრების პირდაპირი და უშუალო განგრძობა"[1].

ისტორიული წანამძღვრები, რომელთაც განაპირობეს მარქსიზმის წარმოშობა, იყო შემდეგი: სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური, საბუნებისმეტყველო-მეცნიერული და თეორიული წყაროები. დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

მარქსიზმის წარმოშობის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ წანამძღვრებს მიეკუთვნება შემდეგი: უპირველეს ყოვლისა ეს არის კაპიტალიზმის განვითარების გარკვეული ეტაპი, როდესაც XVIII საუკუნის სამრეწველო რევოლუციის შემდეგ შეიქმნა მსხვილი ინდუსტრია და წარმოიქმნა სამრეწველო პროლეტარიატი. ამ პერიოდში აშკარად გამოვლინდა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი შინაგანი ეკონომიკური და სხვა სოციალური წინააღმდეგობანი. წარმოიშვა კონფლიქტი კაპიტალიზმის განვითარებულ საწარმოო ძალებსა და მითვისების კერძოკაპიტალისტურ ფორმას შორის. ამ წინააღმდეგობამ აშკარა გამოხატულება პოვა 1825 წლიდან დაწყებულ პერიოდულად განმეორებად ეკონომიკურ კრიზისებში.

XIX საუკუნის 30—40-იან წლებში ადგილი ჰქონდა მუშათა გამოსვლებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ: ეს იყო სილეზიელ ფეიქართა აჯანყება გერმანიაში, ლიონიელ ფეიქართა აჯანყება საფრანგეთში და ჩარტისტული მოძრაობა ინგლისში. მათი თავისებურება ისაა, რომ ისინი პირველი პროლეტარული გამოსვლები იყო — მიმართული ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის მანამდეც არსებობდა, მაგრამ მათ შორის აშკარა ბრძოლა არ ყოფილა. მუშათა კლასი ძირითადად იბრძოდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით. ისინი ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ. პროლეტარიატი დამოუკიდებლად არ იბრძოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ამიტომ მას თავისი იდეოლოგია არ ჰქონდა და არც სჭირდებოდა.

XIX საუკუნის 30—40-იანი წლების მუშათა გამოსვლებით

---

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 3.

იწყება პროლეტარიატის დამოუკიდებელი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. იგი უკვე საკუთარი ინტერესების და ამოცანების განსახორციელებლად იბრძვის. მაგრამ მუშათა მოძრაობა სტიქიურია, ამიტომ მას არ შეუძლია საკუთარი ინტერესების გაცნობიერება და შეგნება. ამისთვის საჭიროა შეიქმნას პროლეტარული იდეოლოგია, რომელიც გაარკვევს მუშათა კლასის მიზნებსა და ამოცანებს და მათი მიღწევის გზებსა და საშუალებებს. მაგრამ იდეოლოგიას ქმნის არა თვითონ კლასი. არამედ ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთაც სათანადო ცოდნა და განათლება აქვთ, შეუძლიათ გამოხატონ და თეორიულად გაიაზრონ მოცემული კლასის ინტერესები და მიზნები. სწორედ ასეთი პროლეტარული იდეოლოგია შექმნეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა.

მარქსიზმის წარმოშობის საბუხებისმეტყველო-მეცნიერულ წანამძღვრებად ფ. ენგელსი ასახელებს სამ დიდ საბუნებისმეტყველო აღმოჩენას XIX საუკუნის 30—50-იან წლებში. ესენია: 1) ენერგიის შენახვისა და გარდაქმნის კანონი, რომლის თანახმად ენერგიის ერთი ფორმა (მაგალითად, მექანიკური, სითბური და სხვა) გარდაიქმნება ენერგიის მეორე ფორმად ისე, რომ მისი რაოდენობა უცვლელი რჩება. ეს კანონი ადგენდა ენერგიის ანუ მოძრაობის ფორმათა განსხვავებულობას და ურთიერთკავშირს, ურთიერთგანპირობებულობას.

2) ცოცხალ ორგანიზმთა უჯრედოვანი აღნაგობის, სტრუქტურის აღმოჩენა. დადგინდა, რომ მცენარეებს და ცხოველებს ძირითადად ერთნაირი უჯრედები აქვთ, რომლებიც ერთნაირ ფუნქციას ასრულებენ მათ ფუნქციობასა და მოქმედებაში. ამით უჯრედული აღნაგობის დონეზე დამტკიცდა სიცოცხლის შინაგანი ერთიანობა.

3) ჩ. დარვინის მიერ ევოლუციური თეორიის ჩამოყალიბება. ამ თეორიის თანახმად, ცოცხალ ორგანიზმთა განსხვავებული სახეობანი წარმოშობილია სიცოცხლის ხანგრძლივი განვითარების, ევოლუციის შედეგად. ამ პროცესს განსაზღვრავდა ცოცხალ ორგანიზმთა სახეობების ბრძოლა არსებობისათვის, სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. რამაც გამოიწვია მათი შეგუება გარემოსთან. გადარჩა ის სახეობები, რომლებიც ყველაზე ძლიერ და უკეთ შეგუებული აღმოჩნდნენ გარემოპირობებთან.

ისმება კითხვა: რატომ სწორედ ეს აღმოჩენები გახდა მარქსი-

სტული ფილოსოფიის წარმოშობის საბუნებისმეტყველო საფუძველი? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ის მთავარი, რაც კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ფილოსოფიაში განახორციელეს. ეს არის მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ი ს შექმნა; იგი ემყარება ბუნების დიალექტიკურ გაგებას, რომლის თანახმად, ბუნებაში გვაქვს მოვლენათა ურთიერთკავშირი, ურთიერთგანპირობებულობა და განვითარება.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ მარქსამდელი დიალექტიკა იდეალისტური იყო. იგი ბუნებას განიხილავდა განვითარების და ურთიერთკავშირის გარეშე. იგი დიალექტიკას არ ავრცელებდა ბუნების სფეროზე. ამის საშუალებას არც მაშინდელი ბუნებისმეტყველება იძლეოდა.

XIX საუკუნის 30—50-იანი წლების ზემოთ დასახელებულმა საბუნებისმეტყველო აღმოჩენებმა კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ აჩვენეს ის გარემოება, რომ ბუნების მოვლენებს შორის არსებობს ურთიერთკავშირი, ურთიერთგანპირობებულობა და ისინი განიცდიან განვითარებას. მაშასადამე, ბუნებისმეტყველების განვითარების მოცემულ დონეზე კონკრეტულად გამოვლინდა ბუნების დიალექტიკური ხასიათი. ამან კი საშუალება მისცა კ. მარქსსა და ფ. ენგელსს, დიალექტიკა აღმოეჩინათ ბუნების სფეროში, რის საფუძველზეც მათ შექმნეს მატერიალისტური დიალექტიკა.

მ ა რ ქ ს ი ზ მ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს თ ე ო რ ი ულ წ ყ ა რ ო ებ ს მიეკუთვნება: გ ე რ მ ა ნ უ ლ ი კ ლ ა ს ი კ უ რ ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი კ ლ ა ს ი კ უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა და უ ტ ო პ ი უ რ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი. ახლა უნდა ვუპასუხოთ კითხვას: თუ რა იყო აღნიშნულ თეორიებში ისეთი, რითაც მათ თეორიულად მოამზადეს, განაპირობეს მარქსიზმის წარმოშობა.

გერმანულმა კლასიკურმა ფილოსოფიამ მოამზადა მარქსისტული ფილოსოფიის წარმოქმნა. მისი წარმომადგენლებია ჰეგელი და ფოიერბახი.

ჰეგელმა შექმნა ობიექტური იდეალიზმის სისტემა, რომლის თანახმად არსებობს აბსოლუტური იდეა როგორც მთელი სინამდვილის საფუძველი. იგი არსებობს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ე. ობიექტურად და პირველადია. ბუნება და

საზოგადოება მისი განვითარების, რეალიზაციის შედეგია. ჰეგელის მისეულვით, ბუნება არის აბსოლუტური იდეის გაუცხოების ფორმა, მისი უცხო ფორმით ყოფნა, ე. ი. ბუნება მეორადია აბსოლუტური იდეის მიმართ. ასეთია ჰეგელის ობიექტური იდეალიზმი.

რა არის ჰეგელის ფილოსოფიის დადებითი, რაციონალური მომენტი, რომლითაც მან მოამზადა მარქსისტული ფილოსოფია, რის გამოც იგი გახდა მისი ერთ-ერთი თეორიული წყარო? ეს არის ამ ფილოსოფიის მეთოდი — დიალექტიკა. ჰეგელმა ფილოსოფიის ისტორიაში პირველად სისტემატური სახით ჩამოაყალიბა დიალექტიკა როგორც სინამდვილის განვითარებისა და მოვლენათა ურთიერთკავშირის თეორია. მარქსმა სწორედ ჰეგელის ფილოსოფიის ეს მომენტი აიღო და დაუდო საფუძვლად თავის მოძღვრებას. მაგრამ ჰეგელის დიალექტიკა ი ყ ო ი დ ე ა ლ ი ს ტ უ რ ი, რომლის თანახმად, განვითარებას განიცდის აბსოლუტური იდეა და არა ბუნება. ობიექტური იდეალიზმის გამო ჰეგელმა დაამახინჯა და გააყალბა დიალექტიკის ჭეშმარიტი არსი. ამის გამო კ. მარქსს და ფ. ენგელსს არ შეეძლოთ მიეღოთ იდეალისტური დიალექტიკა იმ სახით, რა სახითაც იგი ჰეგელმა შექმნა. მათ კრიტიკულად გადაამუშავეს ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკა და ჩამოაყალიბეს თვისებრივად ახალი ტიპის — მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა.

ფოიერბახმა შექმნა ანთროპოლოგიური მატერიალიზმი, რომლის თანახმად ფილოსოფიის ძირითადი მიზანია ახსნას გრძნობად-კონკრეტული, რეალურ-ბუნებრივი ადამიანის არსი. ადამიანი ბუნებრივი არსებაა, იგი ბუნებაში არსებობს და საქმიანობს, ამიტომ იგი მასთან მიმართებაში გაგებულ უნდა იქნეს.

ფოიერბახის მატერიალიზმი იყო ნაკლოვანი: ჯერ ერთი, მას ახასიათებდა მეტაფიზიკურობა. იგი უარყოფდა დიალექტიკას, რადგან მიაჩნდა, რომ მას არსებობა შეუძლია მხოლოდ იდეალიზმის საფუძველზე. ფოიერბახი კატეგორიულად გამორიცხავდა მატერიალისტური დიალექტიკის არსებობის შესაძლებლობას. მეორე, ფოიერბახმა არასწორად, იდეალისტურად გაიგო ადამიანის ბუნება. მისთვის ადამიანი ბუნებრივი, აბსტრაქტული და არაისტორიული არსებაა: მან ვერ გაიგო ადამიანის სოციალური და ისტორიულ-კონკრეტული ბუნება, ე. ი. ფოიერბახმა ვერ მოგვცა ადამიანის

ბუნების მატერიალისტური ახსნა. აქ იგი იდეალიზმის პოზიციაზე იდგა.

ცხადია, კ. მარქსს და ფ. ენგელსს არ შეეძლოთ მთლიანად მიეღოთ ფოიერბახის მეტაფიზიკურ-ანთროპოლოგიური მატერიალიზმი. მათ იგი კრიტიკულად გადაამუშავეს და აიღეს მისგან მისი დადებითი, რაციონალური მომენტი. რა იყო ის ძირითადი, რითაც ფოიერბახმა თეორიულად მოამზადა მარქსისტული ფილოსოფიის წარმოშობა? ეს არის ფოიერბახის მიერ საკითხის დასმა ადამიანის არსის, ბუნების ახსნის შესახებ. მან ფილოსოფიის ძირითად საკითხად წამოაყენა ადამიანი, მისი ყოფიერებისა და საქმიანობის ახსნის საკითხი. ფოიერბახმა იგი იდეალისტურად გადაწყვიტა. მაგრამ მისი დამსახურებაა მოცემული საკითხის დასმა და არა გადაწყვეტა. ის, რაც ფოიერბახმა იდეალისტურად ახსნა, მარქსმა გადაწყვიტა მატერიალიზმის საფუძველზე და ჩამოაყალიბა ისტორიის მატერიალისტური გაგება.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა სამყაროს დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპები თავდაპირველად შეიმუშავეს ისტორიის და არა ბუნების სფეროს მიმართ. ეს გულისხმობდა ადამიანის ყოფიერებისა და საქმიანობის მატერიალისტურ ახსნას. ისტორიის მატერიალისტური გაგება კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ჩამოაყალიბეს სწორედ ფოიერბახის შეხედულებათა კრიტიკული გადამუშავების საფუძველზე.

ინგლისურმა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ მოამზადა მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია. მისი წარმომადგენლებია ა. სმითი და დ. რიკარდო. მათ შექმნეს ღირებულების შრომითი თეორია, რომლის თანახმად, საქონლის ღირებულება განისაზღვრება მის წარმოებაზე დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომით. მაგრამ ვერ შექმნეს ზედმეტი ღირებულების თეორია, რის გამოც ვერ გამოამჟღავნეს კაპიტალისტური ექსპლოატაციის არსი.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კრიტიკულად გადაამუშავეს ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლების შეხედულებანი და ჩამოაყალიბეს ზედმეტი ღირებულების თეორია.

მეცნიერული კომუნიზმი თეორიულად მოამზადა უტოპი-

ურმა სოციალიზმმა, რომლის წარმომადგენლები იყვნენ. სენ-სიმონი, ფურიე და ოუენი. მათ ჩამოაყალიბეს ფანტასტიკური იდეები და გეგმები მომავალი კომუნისტური საზოგადოების შესახებ, რომელთა პრაქტიკული განხორციელება პრინციპულად შეუძლებელი იყო. ამ შეხედულებებმა შემდგომ მიიღეს უტოპიური სოციალიზმის სახელწოდება. სიტყვა „უტოპია" წარმოდგება ბერძნულისაგან და ნიშნავს — „ადგილს, რომელიც არ არსებობს". ეს ტერმინი პირველად იხმარა თ. მორმა 1516 წ. გამოცემულ წიგნში. იგი ლაპარაკობდა არარსებულ კუნძულზე, რომელზეც თითქოს არსებობდა იდეალური საზოგადოება. ამის შემდეგ უტოპიურს უწოდებენ ყველა თეორიას ან გეგმას, რომელიც გამოგონილია, შეთხზულია, ფანტასტიკურია და ამიტომ განუხორციელებელი.

უტოპიური სოციალისტები ქმნიან იდეალური საზოგადოების პროექტს, რომელიც კომუნისტურ პრინციპებზე იქნება აგებული და ცდილობენ მის განხორციელებას ადამიანთა განათლებისა და დარწმუნების გზით. ისინი იმედოვნებენ, რომ თუ ჩვენ ადამიანებს დავარწმუნებთ კაპიტალიზმის უვარგისობაში და კომუნისტური საზოგადოების უპირატესობაში, მაშინ ისინი უარს იტყვიან პირველზე და მხარს დაუჭერენ მეორეს. და ეს მოხდება მშვიდობიანი გზით.

უტოპიურ სოციალისტებს არ ესმით საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერება. მათი სოციალიზმი განუხორციელებელია და ამდენად უტოპიური. მაგრამ მათ დიდი დამსახურება მიუძღვით კაპიტალიზმის კრიტიკის საქმეში. უტოპიურმა სოციალისტებმა ამხილეს და გამოამჟღავნეს კერძო საკუთრების, და მათ შორის კაპიტალისტური კერძო საკუთრების, მრავალი ნაკლი. მათ მოგვცეს ძვირფასი მასალა მუშების გათვითცნობიერებისათვის. უტოპიური სოციალიზმი შეიცავდა მრავალ გენიალურ მიხვედრას მომავალი კომუნისტური საზოგადოების შესახებ.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი მიიჩნევენ, რომ უტოპიური სოციალიზმის წარმოშობას განაპირობებს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის განუვითარებელი და ჯერ კიდევ მკვეთრად ჩამოუყალიბებელი ფორმა. ამის თაობაზე ისინი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" წერდნენ:

„მომავალი საზოგადოების ეს ფანტასტიკური აღწერა წარმო-

შობილია იმ დროს, როდესაც პროლეტარიატი ჯერ კიდევ ძალიან განუვითარებელია, მაშასადამე, როდესაც თვითონ მას ჯერ კიდევ მეტად ფანტასტიკურად აქვს თავისი საკუთარი მდგომარეობა წარმოდგენილი, და შეესაბამება პროლეტარიატის პირველ, წინათგრძნობით აღსავსე მისწრაფებას საზოგადოების საერთო გარდაქმნისაკენ"[1].

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კრიტიკულად გადაამუშავეს უტოპიური სოციალიზმი და შექმნეს მეცნიერული კომუნიზმი. ეს თეორია შეესაბამებოდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის უფრო განვითარებულ ფორმას, რომელიც წარმოიშვა XIX საუკუნის 30—40-იან წლებში.

ლენინური ეტაპი მარქსიზმის განვითარებაში. ეს ეტაპი იწყება ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ. იგი დაკავშირებულია ვ. ი. ლენინისა და მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობასთან. ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმი ახალ ისტორიულ პირობებში. ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმი. მან მარქსიზმი გაამდიდრა ახალი ორიგინალური იდეებით, ხოლო ზოგიერთი მისი დებულება დააკონკრეტა და დააზუსტა შეცვლილი ისტორიული პირობების მიმართ.

ვ. ი. ლენინმა განავითარა მარქსიზმის სამივე შემადგენელი ნაწილი.

ა) ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი ს ს ფ ე რ ო შ ი: ვ. ი. ლენინმა დაამუშავა მატერიალისტური დიალექტიკის ბირთვის — შინაგანი წინააღმდეგობის როგორც განვითარების წყაროს საკითხი; შემეცნების თეორიის როგორც ასახვის თეორიის პრობლემები; განაზოგადა იმდროინდელ ბუნებისმეტყველებაში მოხდენილი ახალი აღმოჩენები; დააკონკრეტა კლასების, კლასობრივი ბრძოლის, სახელმწიფოს პრობლემები და სხვა. ვ. ი. ლენინის ძირითადი ფილოსოფიური შრომაა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი".

ბ) პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ი ს ს ფ ე რ ო შ ი: ვ. ი. ლენინმა გაარკვია კაპიტალიზმის უკანასკნელი და უმაღლესი სტა-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, გვ. 162.

დიის — იმპერიალიზმის ბუნება და დაადგინა მისი განვითარების კანონზომიერებანი. ამით მან გამოიკვლია კაპიტალისტური წარმოების წესი იმპერიალიზმის ეტაპზე. მისი ძირითადი ეკონომიკური შრომაა „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია".

გ) მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს ს ფ ე რ ო შ ი: ვ. ი. ლენინმა შექმნა სოციალისტური რევოლუციის თეორია: დაამუშავა პროლეტარიატის ბრძოლის სტრატეგიის და ტაქტიკის, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხები: დაადგინა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის და სოციალიზმის აშენების კანონზომიერებანი.

ვ. ლენინმა მაღალ საფეხურზე აიყვანა მარქსიზმი, რითაც მან შექმნა მისი განვითარების ახალი ეტაპი.

მარქსიზმ-ლენინიზმი — შემოქმედებითი, განვითარებადი, ინტერნაციონალური მოძღვრება. მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითობა ნიშნავს შემდეგს: იგი ადგენს საზოგადოების განვითარების ზოგად კანონზომიერებას, განსაზღვრავს მისი მომავლის ზოგად მიმართულებას. მაგრამ იგი არ განსაზღვრავს: ჯერ ერთი, საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონზომიერების გამოვლენის თავისებურებებს ყოველ ცალკეულ ქვეყანაში; მეორე, შეცვლილ ისტორიულ პირობებს, რომლებიც წარმოიქმნებიან საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

მარქსიზმ-ლენინიზმი ადგენს საზოგადოების განვითარების ზოგად კანონებს, რომლებიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თავისებურად, სპეციფიკურად უნდა გამოყენებულ იქნეს. მარქსიზმ-ლენინიზმი შეიცავს ზოგად პრინციპებს, რომელთა გამოყენება ავტომატურად, ე. ი. ყოველი კონკრეტული სიტუაციისათვის ერთნაირად არ შეიძლება. მათი გამოყენების დროს აუცილებელია არსებული პირობების ცოდნა და გათვალისწინება.

ამგვარად, მარქსიზმ-ლენინიზმი არ იძლევა რეცეპტს. მზამზარეულ დასკვნებს, რომლებიც შეიძლება დავიზეპიროთ და ავტომატურად გამოვიყენოთ ყოველ ცალკეულ სიტუაციაში. იგი აყალიბებს მხოლოდ ზოგად პრინციპებს, რომელთა გააზრების საფუძველზე შეიძლება გავერკვეთ მოცემულ კონკრეტულ პირობებში. ამისთვის კი აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითა-

რების ახსნისა და შეფასებისადმი კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ-ი ს ტ ო რ ი ულ ი მიდგომა. მაშასადამე, საჭიროა მარქსიზმ-ლენინიზმისადმი შემოქმედებითი და არა დოგმატური მიდგომა.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „მარქსიზმი არ არის დოგმა, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის". იგი მზამზარეულ პასუხებს კი არ შეიცავს ყოველ კონკრეტულ საკითხზე, არამედ განსაზღვრავს ადამიანის აზროვნებისა და საქმიანობის წესს, მის მსოფლმხედველობას.

ამგვარად, მარქსიზმ-ლენინიზმი თავისი ბუნებით შ ე მ ქ მ ე-დ ე ბ ი თ ი ა და ა რ ა დ ო გ მ ა ტ უ რ ი. იგი შეიცავს არა ყველა დროისა და პირობებისათვის უცილობელ, უტყუარ დებულებებს და დასკვნებს, არამედ ზოგად პრინციპებს, რომლებიც სპეციფიკურად და თავისებურად გამოვლინდებიან კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში.

მარქსიზმ-ლენინიზმი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა დ ი მოძღვრებაა. მარქსიზმის განვითარების ნიმუშია ლენინიზმი. თანამედროვე ეტაპზე მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებას ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად ახდენენ კომუნისტური პარტიები. მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შეაქვს დიდი წვლილი. მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების ნიმუშია სკკპ XXVII ყრილობა, რომელმაც განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული კურსი: დაჩქარება და გარდაქმნა. მან წამოაყენა ისეთი დებულებები და დასკვნები, რომლებმაც გაამდიდრეს და გააღრმავეს ჩვენი წარმოდგენები თანამედროვე ეპოქის ძირითადი წინააღმდეგობებისა და ტენდენციების, სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის კანონზომიერების და სხვათა შესახებ.

რა იწვევს მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებას? რატომ არის ეს აუცილებელი? ამ მოძღვრების განვითარებას აუცილებლობით განაპირობებს შემდეგი მიზეზები:

1) საზოგადოების განვითარების პროცესი, რის შედეგად იცვლება ისტორიული პირობები. საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების ცვლილების შესაბამისად უნდა შეიცვალოს ზოგიერთი დებულებაც. ამის მაგალითია ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების იდეა.

ფ. ენგელსმა ნაშრომში — „კომუნიზმის პრინციპები“ (1847) — კითხვაზე — შეიძლება თუ არა რევოლუცია ერთ რომელიმე ქვეყანაში მოხდეს — უპასუხა უარყოფითად. იგი წერდა: „... კომუნისტური რევოლუცია იქნება არა მარტო ეროვნული, არამედ მოხდება ერთსა და იმავე დროს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ე. ი. ყოველ შემთხვევაში ინგლისსა, ამერიკასა, საფრანგეთსა და გერმანიაში“[1].

ვ. ი. ლენინმა ნაშრომში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“ (1915) წამოაყენა დებულება, რომ „თავდაპირველად სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია რამდენიმე ანდა, თუნდაც ერთ, ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყანაში“[2].

აბსტრაქტულად აღებული ეს ორი დებულება ერთმანეთს გამორიცხავს. მაგრამ თუ მათ განვიხილავთ კონკრეტულად, ე. ი. ისტორიული პირობების შესაბამისად, მაშინ თავისი დროისათვის ორივე დებულება ჭეშმარიტია. ფ. ენგელსის დებულება ჭეშმარიტია იმ დროისათვის, როდესაც კაპიტალიზმი ჯერ კიდევ აღმავალი გზით ვითარდებოდა და მთელი ძალით არ მოქმედებდა კაპიტალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი. იმპერიალიზმის ეპოქაში ეს კანონი ძალაშია და მისგან ლოგიკურად გამომდინარეობს ის დასკვნა, რომელიც ვ. ი. ლენინმა გააკეთა: ამიტომ ვ.ი. ლენინის აღნიშნული დებულება ფ. ენგელსის დებულების არა უარყოფა, არამედ განვითარებაა.

2) მშრომელთა რევოლუციური მოღვაწეობის განვითარება, რომელიც მიმდინარეობს საზოგადოების საერთო განვითარების ჩარჩოებში: იცვლება მისი ფორმები და მეთოდები, სტრატეგია და ტაქტიკა, მის წინაშე დგება ახალი ამოცანები და მიზნები და ა. შ. მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკა მოითხოვს მის განზოგადებას და თეორიულ ასახვას. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს მარქსიზმის დებულებებისა და დასკვნების შემდგომ დაზუსტებას და დაკონკრეტებას.

3) საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა გან-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, გვ. 106.

[2] ვ. ლენინი. თხზ., ტ. 21, გვ. 417.

ვითარება. მარქსიზმ-ლენინიზმი სინამდვილის შესახებ ინფორმაციას. მასალას იღებს კერძო მეცნიერებებიდან. ცხადია, ამ უკანასკნელთა განვითარება გამოიწვევს მის განვითარებასაც. საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ახალი აღმოჩენები ამდიდრებენ და შემდგომ ავითარებენ მარქსიზმ-ლენინიზმს.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში" კ. მარქსი და ფ. ენგელსი წერდნენ: „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია". იმ დროისათვის ისტორიული მეცნიერებისათვის უცნობი იყო პირველყოფილი თემური საზოგადოების არსებობა, რომელიც გამორიცხავდა კლასობრივ ბრძოლას. ეს მოგვიანებით დაადგინა მეცნიერებამ. რაც აისახა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შემდგომ შეხედულებებში.

მარქსიზმ-ლენინიზმი ინტერნაციონალური, და არა ვიწრო ნაციონალური, მოძღვრებაა. იგი გამოხატავს არა ერთი რომელიმე ერის, არამედ ყოველი ერის მშრომელთა ინტერესებს. იგი ემყარება სხვადასხვა ერის და ეროვნების მშრომელთა ერთიანობას და სოლიდარობას. ამის საფუძველია მათი ინტერესების ერთიანობა, რომელიც მიმართულია საერთო მტრის — მჩაგვრელების წინააღმდეგ.

მარქსიზმ-ლენინიზმი — კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის თეორიული საფუძველი. კომუნისტური პარტია მუშათა კლასის მოწინავე და ორგანიზებული რაზმია. იგი გამოხატავს და იცავს მის ინტერესებს. იგი იბრძვის იმისათვის, რომ კომუნისტური შეგნება შეიტანოს მუშათა კლასში და დარაზმოს მშრომელები მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა შეგნებული და გაცნობიერებული, მიზანდასახული და ორგანიზებულია. ამას განსაზღვრავს ის მეცნიერული მსოფლმხედველობა, რომელსაც იგი ემყარება. ეს არის მუშათა კლასის იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი. იგი აფუძნებს და ასაბუთებს მშრომელთა ინტერესებს და მიზნებს, ადგენს მათი განხორციელების გზებსა და საშუალებებს. გასაგებია, რომ კომუნისტური პარტია, რომელიც გამოხატავს და იბრძვის მშრომელთა ინტერესებისათვის, ემყარება ამ ინტერესების გამომხატველ იდეოლოგიას.

ამიტომ მარქსიზმ-ლენინიზმი კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის თეორიული საფუძველია. ე. ი. ეს ის მოძღვრებაა, რომლის საფუძველზეც კომუნისტური პარტია განსაზღვრავს თავისი მოღვაწეობის პროგრამას, სტრატეგიას და ტაქტიკას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა არის მარქსიზმ-ლენინიზმი მოქმედებაში.

ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის კომუნისტური მორალის სულისკვეთებით აღზრდისა და კომუნიზმის სწავლების შესახებ. ვ. ი. ლენინმა თავისი შეხედულებანი ჩამოაყალიბა სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე 1920 წ. 2 ოქტომბერს. ეს სიტყვა შემდგომ დაიბეჭდა სათაურით — „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები".

ძირითადი ამოცანა, რომელსაც ვ. ი. ლენინი უსახავს ახალგაზრდობას, არის ის, რომ უნდა ისწავლონ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ზოგადი პასუხია და არაფერს ამბობს „მთავარ და უაღრესად არსებით კითხვებზე — რა ვისწავლოთ და როგორ ვისწავლოთ?"[1].

სრულიად ბუნებრივი პასუხი იმის თაობაზე თუ რა უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ, რომელსაც სურს გადავიდეს კომუნიზმზე, არის ის, რომ მან უნდა ისწავლოს კომუნიზმი.

მაგრამ ეს პასუხიც მეტად ზოგადია. რას ნიშნავს — ვისწავლოთ კომუნიზმი? „რა გვესაჭიროება ჩვენ იმისათვის, რომ კომუნიზმი ვისწავლოთ? რა უნდა გამოვყოთ საერთო ცოდნათა ჯამიდან, რომ კომუნიზმის ცოდნა შევიძინოთ?"[2].

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ „თითქოს კომუნიზმის სწავლა ნიშნავდეს ცოდნათა იმ ჯამის შეთვისებას, რაც გადმოცემულია კომუნისტურ სახელმძღვანელოებში, ბროშურებსა და შრომებში". მაგრამ კომუნიზმის შესწავლის ასეთი განსაზღვრა ვ. ი. ლენინს მეტად უხეშად და არასაკმარისად მიაჩნია.

ამისთვის აუცილებელია მთელი იმ ცოდნის მარაგის შეთვისება, რაც კაცობრიობას თავისი განვითარების გზაზე შეუმუშავებია. „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, — ამბობდა ვ. ი. ლე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 339.

[2] იქვე, გვ. 339—340.

ნინი, — როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია"[1].

ისმება კითხვა: რატომ არის აუცილებელი კაცობრიობის მიერ დაგროვილი მთელი ცოდნის შეთვისება, რომ ახალგაზრდობამ ისწავლოს კომუნიზმი? იმიტომ, რომ კომუნიზმი კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის კანონზომიერი შედეგია და ამიტომ მისი კანონიერი მემკვიდრე. ცხადია, თუ ის ცოდნა არ იცი, რომელმაც კომუნიზმი წარმოშვა, ვერც მას გაიგებ.

ამგვარად, კომუნიზმის შესწავლა ნიშნავს არა მხოლოდ კომუნისტური ლიტერატურის, არამედ კაცობრიობის მიერ დაგროვილი მთელი ცოდნის შესწავლას.

ახლა საკითხი ეხება იმას, თუ როგორ უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ კომუნიზმი.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს ძველი სკოლის ნაკლს: იგი იყო დაზუთხვის, დაზეპირების სკოლა, რომელიც ახალგაზრდობას წვრთნიდა გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისად. მას შთაგონებდა არსებული წყობილების ერთგულებას.

კომუნიზმის შესწავლა გულისხმობს: ჯერ ერთი, ძველი ცოდნის არა მთლიან, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ ათვისებას. მისი იმ ნაწილის უკუგდებას და უარყოფას, რომელიც უსარგებლო და გამოუსადეგარია, ხოლო იმ ნაწილის შეთვისებას, რომელიც საჭირო და აუცილებელია თანამედროვე განათლებული ადამიანისათვის. ეს ნიშნავს ძველი ცოდნისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას, მეორე, ძველი ცოდნის არა უბრალო დაზუთხვას და დაზეპირებას, არამედ მის შეგნებულ გააზრებას და გაცნობიერებას.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა:

„ძველი სწავლის, ძველი ზეპირობის, ძველი წვრთნის ნაცვლად უნდა დავაყენოთ უნარი კაცობრიული ცოდნის მთელი ჯამის შეთვისებისა, ისე შეთვისებისა, რომ კომუნიზმი რაღაც დაზეპირებული რამ კი არ გამოგივიდეთ, არამედ ისეთი რამ იყოს, რაც თვი-

---

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 344.

თონ თქვენ მიერაა გააზრებული, ის დასკვნები იყოს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე განათლების თვალსაზრისით"[1].

ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობას მიუთითებდა: ძველი საზოგადოება უკვე დანგრეულია. ახლა დგას ახალი კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანა, რომელიც თქვენ უნდა გადაჭრათ. ამ ამოცანის გადაჭრას თქვენ შეძლებთ იმ შემთხვევაში, თუ კომუნიზმის ცოდნას გადააქცევთ უშუალო პრაქტიკული მოქმედების სახელმძღვანელოდ—ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდობამ კომუნიზმის ცოდნა თავისი პრაქტიკული საქმიანობის, მოქმედების მრწამსად და სახელმძღვანელო პროგრამად ანუ მსოფლმხედველობად უნდა აქციოს.

ამ მიმართებაში ვ. ი. ლენინი აყენებს ახალგაზრდობის კომუნისტური მორალის სულისკვეთებით აღზრდის საკითხს. არსებობს თუ არა კომუნისტური მორალი, კომუნისტური ზნეობა? — სვამს კითხვას ვ. ი. ლენინი და მას დადებითად უპასუხებს: ბურჟუაზიული პროპაგანდა ბშირად ბრალს გვდებს, თითქოს მარქსისტები უარყოფდნენ ყოველგვარ მორალს. ეს არ არის სწორი.

მარქსიზმი უარყოფს ზეკლასობრივი მორალის არსებობას ექსპლოატატორულ საზოგადოებაში. აქ არსებობს ორი მორალი: ერთი, რომელიც გაბატონებული კლასის, ხოლო მეორე — ჩაგრული კლასის ინტერესებს გამოხატავს. სანამ არსებობენ კლასები და მიმდინარეობს გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა — ზნეობაც კლასობრივია. ბურჟუაზიული მორალი ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს და მშრომელთა ჩაგვრის იარაღია. კომუნისტური მორალიც ექვემდებარება პროლეტარიატის ბრძოლის კლასობრივ ინტერესებს და იგი მიმართულია ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ. იგი მიზნად ისახავს ჩაუნერგოს ახალგაზრდობას ისეთი ზნეობრივი ღირებულებები და ნორმები, რომლებიც შეურიგებელს გახდის მას უსამართლობისა და კლასობრივი ჩაგვრის მიმართ. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ კომუნისტური აღზრდის საფუძველი უნდა იყოს კომუნიზმის იდეალებისა და პრინციპისადმი ერთგულების გამომუშავება ახალგაზრდობაში. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა:

---

[1] ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 346.

„კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის. აი რა არის კომუნისტური აღზრდის, განათლების და სწავლის საფუძველიც"[1].

მაგრამ ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების საქმე არ უნდა იყოს მხოლოდ სკოლაში ჩაკეტილი. იგი ჩვენ უნდა დავუკავშიროთ ცხოვრებას, პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას. „ჩვენ არ ვიწამებდით სწავლას, აღზრდასა და განათლებას, ის რომ მხოლოდ სკოლაში ყოფილიყო ჩაკეტილი და მშფოთვარე ცხოვრებას მოწყვეტილი", — ხაზგასმით მიუთითებდა ვ. ი. ლენინი[2]. ამ მიზნით ახალგაზრდობის სწავლება და აღზრდა სკოლაში უნდა დავუკავშიროთ ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის პრაქტიკულ საქმეს. იგი თავიდანვე უნდა ჩავაბათ შრომით საქმიანობაში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კლასობრივი ბრძოლის პირობებში მორალი კლასობრივია. მაგრამ ეს არ გამორიცხავს ზოგადსაკაცობრიო მორალის არსებობას. როდესაც არ იარსებებს კლასობრივი ანტაგონიზმი და ბრძოლა, გაქრებიან კლასები, მაშინ მორალიც დაკარგავს კლასობრივ ხასიათს და იგი გარდაიქმნება ზოგადსაკაცობრიო მორალად.

ყოველი კლასობრივი მორალი თავის თავში მეტ-ნაკლებად შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც აუცილებელია ყოველგვარი ადამიანური ყოფიერებისათვის. მათი დაცვა სავალდებულოა ადამიანთა თანაცხოვრებისათვის საზოგადოდ. ეს ნიშნავს, რომ ყოველი კლასობრივი მორალი მეტ-ნაკლები ზომით შეიცავს ზოგადსაკაცობრიო მორალის ელემენტებს. ყველაზე მეტად ეს ეხება კომუნისტურ მორალს. და ეს გასაგებიცაა, რადგან პროლეტარიატის ბრძოლის ინტერესები ემთხვევა საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას და მიზნად ისახავს ადამიანის განთავისუფლებას ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან. კომუნისტური მორალი თავის თავში შეიცავს მაღალზნეობრივ და ზოგადადამიანურ ღირებულებებსა და იდეალებს. ამიტომ იგი კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ემთხვევა ზოგადსაკაცობრიო მორალს.

ბირთვული იარაღის ეპოქამ ახლებურად დააყენა კლასობრივი

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 354.
[2] იქვე.

და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მიმართების პრობლემა. რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა — კლასობრივს თუ ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და ღირებულებებს? ბირთვული ომი განადგურებით ემუქრება ცივილიზაციას და საერთოდ სიცოცხლის არსებობას დედამიწაზე. ამიტომ კაცობრიობის წინაშე დგება ყოფნა-არყოფნის, გადარჩენის, არსებობის შენარჩუნების სამკვდროსასიცოცხლო საკითხი. ეს პრობლემა ეხება არა ერთ რომელიმე კლასს, არამედ ყველას, კაცობრიობას მთლიანად.

აღნიშნული თავისებურების გამო ბირთვულ საუკუნეში უპირატესობა ეძლევა და წინა პლანზე წამოიწევა ზოგადსაკაცობრიო, ზოგადადამიანური ღირებულებები და იდეალები.

დიალექტიკური მატერიალიზმის საწყისები

ფილოსოფია როგორც მსოფლმხედველობა

ფილოსოფიური ცოდნა ჩაისახა ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში (ინდოეთი, ჩინეთი, ეგვიპტე). კლასიკური ფორმა მან მიიღო ძველ საბერძნეთში. თვითონ სიტყვა „ფილოსოფია" ძველბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს სიბრძნის სიყვარულს („ფილოს" ნიშნავს სიყვარულს, „სოფია" — სიბრძნეს). დასაწყისში ფილოსოფიური ცოდნა გადახლართული იყო მითოლოგიურ და რელიგიურ წარმოდგენებთან. შემდგომ მოხდა მისი თანდათანობითი გამოცალკევება და იგი ჩამოყალიბდა როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაკუთრებული ფორმა. მაგრამ ფილოსოფიის ფორმირების პროცესი ამით არ დამთავრებულა. ძველ საბერძნეთში (დაახლ. VII—IV სს. ძვ. წ. აღ.) იგი გაიგივებული იყო მეცნიერებასთან საზოგადოდ და თავის თავში შეიცავდა კერძომეცნიერულ წარმოდგენებსაც. მაგალითად, ასტრონომიული, მათემატიკური, ფიზიკური, ბიოლოგიური, სოციალური, ლოგიკური, ფსიქოლოგიური და ა. შ. წარმოდგენები და შეხედულებები შედიოდა ფილოსოფიაში როგორც მისი ორგანული და განუყრელი ნაწილი, შემდგომ დაიწყო ერთიანი ფილოსოფიური ცოდნის დიფერენციაციის პროცესი, რომელიც გრძელდებოდა თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე და მას თანდათანობით გამოეყო კერძო მეცნიერებანი. დაახლოებით XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე დამთავრდა ფილოსოფიიდან კერძო მეცნიერებათა გამოყოფის რთული პროცესი.

რ ა ა რ ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა? იმისათვის, რომ ამ კითხვას ვუპასუხოთ, საჭიროა შევადაროთ იგი კერძო მეცნიერებას. კერძო

მეცნიერება ცოდნის განსაკუთრებული ფორმაა. იგი ემყარება ან ლოგიკურ დამტკიცებას (მაგალითად, მათემატიკა), ან დაკვირვებას (მაგალითად. ასტრონომია) ან ექსპერიმენტს (მაგალითად. ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. ფსიქოლოგია). კერძო მეცნიერება სწავლობს სინამდვილის ერთ რომელიმე კონკრეტულ მხარეს, მაგრამ არ სწავლობს სხვა მხარეებს. მაგალითად, ფიზიკა იკვლევს ფიზიკურ პროცესებს, ქიმია — ქიმიურს, ბიოლოგია — ბიოლოგიურს, სოციოლოგია — სოციოლოგიურს და ა. შ. არც ერთი მათგანი არ ეხება სინამდვილის სხვა რომელიმე მხარეს. ფილოსოფიის მიზანია. მოიაზროს სამყარო ანუ სინამდვილე მთლიანობაში, მოგვცეს სამყაროზე შეხედულებათა მთლიანი, მწყობრი სისტემა. ამიტომ მისი კვლევის საგანია არა სინამდვილის ერთი რომელიმე კონკრეტული მხარე, არამედ სინამდვილე მთლიანობაში, მისი უზოგადესი განსაზღვრულობანი.

რა არის მსოფლმხედველობა? მსოფლმხედველობა არის მეტ-ნაკლებად დასაბუთებულ შეხედულებათა სისტემა სამყაროზე მთლიანად და ადამიანის ადგილსა, დანიშნულებასა და მომავალზე ამ სამყაროში. იგი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1. მსოფლმხედველობა შეიძლება იყოს მკაცრად, ლოგიკურად მოწესრიგებული, მეცნიერულად დაფუძნებული ან შეიცავდეს ლოგიკურ წინააღმდეგობებს, არ ემყარებოდეს მეცნიერებას. ამიტომ მსოფლმხედველობას ყოველთვის არ ახასიათებს მეცნიერულობა და ლოგიკური სიზუსტე. მაგრამ იგი გარკვეულად მაინც უნდა აფუძნებდეს თავის შეხედულებებსა და დასკვნებს, რათა შეეძლოს ადამიანის დარწმუნება, რომ გახდეს მისი ცხოვრების ორიენტირი, გზის მაჩვენებელი. სწორედ ამ გარემოებას აღნიშნავს ის, რომ იგი მეტ-ნაკლებად დაფუძნებულ შეხედულებათა სისტემაა; 2) მსოფლმხედველობა არის ისეთ შეხედულებათა სისტემა, რომელიც ეხება სამყაროს მთლიანად და არა მის რომელიმე კერძო მხარეს. იგი იძლევა სამყაროს სურათს; 3) სამყაროს სურათის მოცემა არ არის მსოფლმხედველობის მიზანი. იგი მისთვის მხოლოდ საშუალებაა, რათა გაარკვიოს ადამიანის ადგილი, როლი, დანიშნულება და მომავალი. ამიტომ მსოფლმხედვე-

ლობის ძირითადი მიზანია არა სამყაროს სურათის დადგენა, არამედ მის საფუძველზე ადამიანის არსისა და მისი ბედის გარკვევა. მსოფლმხედველობის ძირითად საკითხებად ითვლება შემდეგი: რა არის სამყარო? რა შეიძლება ვიცოდე მე სამყაროს შესახებ? ვინ ვარ მე? რა მომელის და რისი იმედი შეიძლება მქონდეს მე?

ამგვარად, მსოფლმხედველობა არის ადამიანის გარემომცველ სამყაროსთან და თავის თავთან დამოკიდებულების გაცნობიერების და გააზრების ფორმა. მაგრამ იგი მხოლოდ ცოდნა არ არის, რადგან შეიცავს რწმენას როგორც სისტემის არსებით მომენტს. სამყაროსა და თავის თავის შესახებ ცოდნას ადამიანს მეცნიერება აძლევს. მსოფლმხედველობის მთავარი ფუნქციაა, მისცეს ადამიანს არა ცოდნა, არამედ რწმენა, რათა დაარწმუნოს იგი, რომ მან იცხოვროს და იღვაწოს გარკვეული წესით და მიზნით. ამიტომ მსოფლმხედველობა ცოდნასთან ერთად შეიცავს იდეალებს, ღირებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ცხოვრებისა და პრაქტიკული მოქმედების მიზნებს და მათი მიღწევის გზებსა და საშუალებებს. ამის გარეშე მსოფლმხედველობა ვერ იქნებოდა ადამიანის ცხოვრების ორიენტირი, მისი გზის მაჩვენებელი. მან უნდა განსაზღვროს ადამიანის ცხოვრების მიზანი (საზრისი) და მისი ყოფიერების და საქმიანობის წესი.

მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა დ ა მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა: კერძო მეცნიერება არ არის და პრინციპულად არც შეიძლება იყოს მსოფლმხედველობა, რადგან მისი ძირითადი ფუნქციაა მოგვცეს ჭეშმარიტი, ობიექტური ცოდნა სინამდვილის რომელიმე ნაწილის შესახებ. იგი არ ეხება სინამდვილეს მთლიანობაში და მიზნად არ ისახავს გაარკვიოს ადამიანის ადგილი და დანიშნულება სამყაროში. მეცნიერების წარმოშობა განაპირობა ადამიანის პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ, რომ მას გაეგო გარემომცველი სამყარო, შეეძინა ჭეშმარიტი ცოდნა მის შესახებ, რათა გამოეყენებინა იგი თავის საქმიანობაში. მაშასადამე, მეცნიერება აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას — იცოდეს, გაიგოს, გამოიკვლიოს სამყაროს მოვლენები, და მათ შორის თავისი თავიც. მსოფლმხედველობის წარმოშობას განაპირობებს სულ სხვა მოთხოვნილება: ადამიანს სჭირდება არა მარტო სამყაროს ცოდნა, არამედ ისიც, თუ რა იწამოს, რას ემსახუროს, რა დაისახოს მიზნად. ადამიანმა არა მხოლოდ უნდა

გაარჩიოს სიკეთე ბოროტებისაგან, სილამაზე სიმახინჯისაგან, ჭეშმარიტი მცდარისაგან, არამედ ისიც, თუ რომელს ემსახუროს, რისთვის იბრძოლოს, რომელი მათგანი დაამკვიდროს. ერთი სიტყვით, ადამიანს სჭირდება გაარკვიოს და გაამართლოს თავისი ცხოვრების საზრისი და მიზანი, იდეალები და ღირებულებები. ადამიანის ამ მისწრაფებას აკმაყოფილებს მსოფლმხედველობა.

ამგვარად, მსოფლმხედველობა და მეცნიერება ერთმანეთისაგან განსხვავდება საგნით, ცოდნის ხასიათით და ფუნქციით.

1) მეცნიერების საგანია სინამდვილის რომელიმე კონკრეტული ზხარე, მსოფლმხედველობის კი — სინამდვილე მთლიანობაში;

2) მეცნიერება იკვლევს სინამდვილის მოვლენებს ადამიანთან მიმართების გარეშე, ისე როგორც ისინი არსებობენ თავისთავად; მსოფლმხედველობა კი არკვევს სამყაროს ადამიანთან მიმართებაში;

3) მეცნიერების მიზანია ადამიანს მისცეს ჭეშმარიტი ცოდნა სამყაროზე, მსოფლმხედველობამ კი რწმენა უნდა გამოუმუშაოს ადამიანს. მეცნიერების მთავარი ფუნქციაა ცოდნით შეაიარაღოს ადამიანი, მსოფლმხედველობის კი — იყოს მისი ცხოვრების მასწავლებელი, გზის მაჩვენებელი.

მეცნიერული და რელიგიური მსოფლმხედველობის დაპირისპირებულობა. მსოფლმხედველობა შეიძლება იყოს მეცნიერული და ანტიმეცნიერული, ე. ი. მეცნიერულის საპირისპირო. კერძო მეცნიერება არ არის მსოფლმხედველობა და პირიქით. მაგრამ მსოფლმხედველობა შეიძლება ემყარებოდეს მეცნიერების მონაცემებს ან არ ემყარებოდეს. ამის შესაბამისად სახეზეა მეცნიერული ან ანტიმეცნიერული მსოფლმხედველობა. მსოფლმხედველობა მეცნიერულია, თუ იგი მეცნიერების მონაცემების განზოგადების საფუძველზე ქმნის სამყაროს სურათს და მისი მეშვეობით არკვევს ადამიანის როლს სამყაროში. მსოფლმხედველობა ანტიმეცნიერულია, თუ იგი მეცნიერების საპირისპირო დაშვებების საფუძველზე ქმნის სამყაროს სურათს და მისი საშუალებით არკვევს ადამიანის ადგილს სამყაროში.

მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩასახვა და განვითარება დაკავშირებულია მატერიალიზმთან, რადგან იგი ყოველთვის ემყარება მეცნიერების მონაცემებს. მაგრამ მარქსიზმის წარმოშობამდე მას შეზღუდული ხასიათი ჰქონდა, რადგან იგი ემყარებოდა ერთ

რომელიმე კერძო მეცნიერებას და მის აბსოლუტიზაციას ახდენდა. ამის ნიმუშია XVII—XVIII სს. მატერიალიზმი, რომელიც მექანისტური ხასიათის იყო. იგი კლასიკური მექანიკის კანონების აბსოლუტიზაციას ახდენდა და ამის საფუძველზე ხსნიდა მთელ სამყაროს. მას მიაჩნდა, რომ ბუნების თუ საზოგადოების ყოველი მოვლენა მექანიკური ხასიათისაა და ექვემდებარება მექანიკის კანონებს. თავის დროზე ეს სამყაროს მეცნიერულ სურათს წარმოადგენდა, რადგან მაშინ ერთადერთი მეცნიერება ბუნების შესახებ იყო კლასიკური მექანიკა. იმ დროს სხვა მეცნიერება — ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, საზოგადოებრივ მეცნიერებებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. მეცნიერების სხვა დარგების ჩამოყალიბების კვალდაკვალ გამოაშკარავდა მექანისტური მსოფლმხედველობის შეზღუდული ხასიათი და იგი უარყოფილ იქნა. ჭეშმარიტ მეცნიერულ მსოფლმხედველობას წარმოადგენს მარქსიზმი, რადგან იგი ემყარება არა ერთ რომელიმე კერძო მეცნიერებას, არამედ მეცნიერებათა მთელ სისტემას. დიალექტიკური მატერიალიზმი როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე საზოგადოებრივ მეცნიერებათა განზოგადების საფუძველზე ადგენს სამყაროს სურათს და მისი მეშვეობით არკვევს ადამიანის ადგილს სამყაროში.

ანტიმეცნიერული მსოფლმხედველობის ნიმუშია რელიგია, რადგან იგი ემყარება ფანტასტიკურ, გამოგონილ დაშვებებს, რომლებიც მიღებულია არა მეცნიერული კვლევისა და ანალიზის, არამედ ბრმა რწმენის საფუძველზე. რელიგიის მიერ შექმნილი სამყაროს სურათი მეცნიერულის საპირისპიროა: თითქოს სამყარო და მისი მოვლენები, მათ შორის ადამიანიც, შექმნილია ღმერთის მიერ. არაფერი სამყაროში არ ხდება ღმერთის ნება-სურვილის გარეშე. ადამიანის ცხოვრების მიზანია მთლიანად მიენდოს ღმერთს და ეზიაროს მას. ამდაგვარი დაშვებები აშკარა წინააღმდეგობაშია მეცნიერებასთან და ამიტომ რელიგიური მსოფლმხედველობა მეცნიერული მსოფლმხედველობის საპირისპიროა.

ფილოსოფია და მსოფლმხედველობა. ფილოსოფია, მეცნიერებისაგან განსხვავებით, თავისი ბუნებით მსოფლმხედველობაა. ეს გამომდინარეობს ფილოსოფიის არსიდან, რადგან მისი მიზანია მოიაზროს სინამდვილე მთლიანობაში და გაარკვიოს ადამიანის გა-

რემომცველ სამყაროსთან მიმართების საკითხი. მსოფლმხედველობა უფრო ფართოა, ვიდრე ფილოსოფია, რადგან იგი შეიძლება იყოს არაფილოსოფიურიც. მაგალითად, ნებისმიერ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი მსოფლმხედველობა, რომელიც მის ცხოვრებისეულ გამოცდილებას ემყარება. ასევე რელიგიაც არაფილოსოფიური მსოფლმხედველობაა. ფილოსოფიური მსოფლმხედველობის თავისებურება, რაც მას განასხვავებს მსოფლმხედველობის ყველა დანარჩენი ტიპისაგან, ისაა, რომ იგი ცნებებით და კატეგორიებით გააზრებული და თეორიულად დაფუძნებული სისტემაა.

ფილოსოფიის ძირითადი საკითხი და მისი ორი მხარე. ფილოსოფიის ძირითადი საკითხია კითხვა იმის თაობაზე, თ უ რ ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა, მ ი მ ა რ თ ე ბ ა ა რ ს ე ბ ო ბ ს ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა ს ა დ ა ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა ს ა ნ უ მ ა ტ ე რ ი ა ს დ ა ი დ ე ა ს შ ო რ ი ს. ამ საკითხს აქვს ორი მხარე — ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური. პირველი გულისხმობს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის დასმას არსებობის ასპექტით: ყოფიერების (მატერიის) არსებობა განსაზღვრავს ცნობიერების (იდეის) არსებობას თუ პირიქით; რომელია პირველადი, განმსაზღვრელი ყოფიერება (მატერია) თუ ცნობიერება (იდეა). ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე, ე. ი. გნოსეოლოგიური მხარე გულისხმობს მოცემული საკითხის დასმას შემეცნების ასპექტით: შეუძლია თუ არა ცნობიერებას (იდეას), შეიმეცნოს ყოფიერება (მატერია). მოკლედ: შემეცნებადია თუ არა სამყარო.

ფილოსოფიის ძირითადი საკითხი ერთია — ეს არის ყოფიერებისა და ცნობიერების დამოკიდებულების საკითხი. ამ საკითხის სხვადასხვა — არსებობის თუ შემეცნების — ასპექტით დასმა განაპირობებს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის ორ განსხვავებულ მხარეს.

ახლა ვუპასუხოთ კითხვას: ყოფიერების ცნობიერებასთან მიმართების საკითხი რატომ არის ფილოსოფიის ძირითადი საკითხი? იგი ფილოსოფიურია, რადგან ეხება სამყაროს მთლიანობაში. სამყაროს მოვლენები შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად: პირველი ჯგუფის მოვლენები მიეკუთვნება ყოფიერებას და ამიტომ ისინი მატერიალურია, ხოლო მეორე ჯგუფის მოვლენები მიეკუთვნება

ცნობიერებას და ამიტომ ისინი იდეალურია. სხვა ტიპის მოვლენა, რომელიც არც მატერიალურია და არც იდეალური (იქნებოდა), სამყაროში არ არსებობს. ამ ორი ტიპის მოვლენათა არსებობა მოიცავს სამყაროს მთლიანად და ამის გამო მათ შორის მიმართების საკითხი ფილოსოფიას განეკუთვნება. მაგრამ რატომ არის იგი ფილოსოფიურ საკითხებს შორის ძირითადი, მთავარი? იმიტომ, რომ მისი გადაწყვეტა განსაზღვრავს ძირითადი მიმართულებების არსებობას ფილოსოფიაში, რომელთა შესაბამისად ხდება შემდეგ ყველა დანარჩენი ფილოსოფიური საკითხის გადაწყვეტა.

მატერიალიზმის და იდეალიზმის შეურიგებლობა. ფილოსოფიის ძირითადი საკითხის ონტოლოგიური მხარის გადაწყვეტა განაპირობებს ორი ძირითადი მიმართულების — მატერიალიზმის და იდეალიზმის არსებობას ფილოსოფიაში. მატერიალიზმი ისეთი ფილოსოფიური მიმართულებაა, რომელიც მიიჩნევს, რომ მატერია, ყოფიერება პირველადი, განმსაზღვრელია, ხოლო იდეა, ცნობიერება მეორადი, განსაზღვრული; იდეალიზმი ისეთი ფილოსოფიური მიმართულებაა, რომელიც მიიჩნევს, რომ იდეა, ცნობიერება პირველადი, გახმსაზღვრელია, ხოლო მატერია, ყოფიერება მეორადი, გახსაზღვრული. მატერიალიზმის და იდეალიზმის ამოსავალი პრინციპები ურთიერთგამომრიცხველია, ამიტომ ისინი საპირისპირო, შეურიგებელი მიმართულებებია. ფილოსოფიის ისტორია ძირითადად მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის ისტორიაა, რაც მათი შეურიგებლობის ნათელი დადასტურებაა.

სამყაროს შემეცნებადობის პრობლემა, აგნოსტიციზმი. როგორც უკვე აღინიშნა, საკითხი იმის შესახებ — შეუძლია თუ არა ცნობიერებას შეიმეცნოს სამყარო, მატერია, ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გნოსეოლოგიური მხარეა. ამ საკითხის გადაწყვეტაც ხდებოდა ორი საპირისპირო მიმართულებით — დადებითად ან უარყოფითად. მატერიალისტები დადებითად წყვეტენ აღნიშნულ პრობლემას და ამართლებენ ადამიანის ცნობიერების მიერ სამყაროს შემეცნებადობის შესაძლებლობას. იდეალისტებს შორის არ არის აზრთა ერთიანობა ამ საკითხის გადაწყვეტაში. ზოგი,

განსაკუთრებით ობიექტური იდეალიზმის წარმომადგენლები, მას დადებითად წყვეტს. ამიტომ მთლიანად იდეალიზმის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი უარყოფს სამყაროს შემეცნებადობის შესაძლებლობას. მაგრამ იდეალისტ ფილოსოფოსებს შორის არსებობენ ისეთებიც, რომლებიც კატეგორიულად უარყოფენ სამყაროს შემეცნებადობას. მათ აგნოსტიკოსებს უწოდებენ. აგნოსტიციზმი ისეთი გნოსეოლოგიური მიმართულებაა, რომელიც უარყოფითად წყვეტს სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას. იგი ამტკიცებს, რომ ადამიანის ცნობიერება, გონება იმდენად უძლურია, უსუსურია, რომ მას პრინციპულად არ შეუძლია ობიექტური რეალობის, სამყაროს შემეცნება. აგნოსტიციზმის ტიპური წარმომადგენელია ი. კანტი. იგი სამყაროს ყოფს ორ ნაწილად — ნივთებად თავისთავად და მოვლენებად. ნივთები თავისთავად — ეს არის საგნები, რომლებიც არსებობენ ობიექტურად, ადამიანთან მიმართების გარეშე, ისინი პრინციპულად შეუმეცნებადია; მოვლენები— ეს არის საგნები, რომლებიც არსებობენ ადამიანთან მიმართებაში. მათ გრძნობადი მონაცემებიდან (შეგრძნებებიდან) აფორმებს, აწესრიგებს ადამიანის ცნობიერება. მხოლოდ მოვლენებია შემეცნებადი. როგორც არ უნდა განვითარდეს ცოდნა, ნივთები თავისთავად ყოველთვის მიუწვდომელი, შეუმეცნებადი დარჩება ადამიანის გონებისათვის. ამგვარად, ი. კანტი აგნოსტიკოსია იმიტომ, რომ მან აღიარა ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი, ობიექტური რეალობის (ნივთების თავისთავად) როგორც პრინციპულად შეუმეცნებადის არსებობა.

შეიძლება შემოგვედაონ: კი მაგრამ, სამყარო ხომ უსასრულოა; ამიტომ, რაც არ უნდა შევიმეცნოთ იგი, ყოველთვის დარჩება მისი ნაწილი, რომელიც შეუმეცნებელია. შესაძლებელია კი საერთოდ აგნოსტიციზმის დაძლევა? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: აგნოსტიციზმი აღიარებს პრინციპულად შეუმეცნებადი, ე. ი. ისეთი სფეროს არსებობას, რომელიც არასოდეს არ შეიმეცნება. იგი საერთოდ მიუწვდომელი დარჩება ადამიანის გონებისათვის. დიალექტიკური მატერიალიზმი კი უარყოფს პრინციპულად შეუმეცნებადი საგნების არსებობას. იგი ყოფს სამყაროს შემეცნებულ და შეუ-

მ ე ც ნ ე ბ ე ლ (მაგრამ არა შ ე მ ე ც ხ ე ბ ა დ და შ ე უ მ ე ც ნ ე ბ ა დ) სფეროებად. ამ ორ სფეროს შორის არ არსებობს პრინციპული მიჯნა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების კვალობაზე მათ შორის ზღვარი იშლება: ის, რაც დღეს შეუმეცნებელია, ხვალ, ზეგ და ა. შ. შეიძლება შემეცნებულ იქნეს. მაგრამ ისეთი რამ, რომელიც საერთოდ მიუწვდომელი და შეუმეცნებადი იყოს ადამიანის გონებისათვის, არ არსებობს.

მატერიალიზმი საზოგადოდ უპირისპირდება აგნოსტიციზმს. მიუხედავად ამისა, მარქსამდელ მატერიალიზმს თავისი შეზღუდულობის გამო ჰქონდა აგნოსტიკური გადახრები. ასევე ზოგიერთი იდეალისტიც, მაგალითად ჰეგელი, უარყოფდა აგნოსტიციზმს. მაგრამ მათ ვერ შეძლეს მისი საბოლოო დაძლევა. ისინი ცდილობდნენ აგნოსტიციზმის გადალახვას მხოლოდ თეორიული, ლოგიკური არგუმენტებით. მარქსიზმმა აჩვენა, რომ ეს აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად, აგნოსტიციზმის საბოლოო დაძლევა შესაძლებელია ადამიანთა პრაქტიკული მოქმედების საფუძველზე. მხოლოდ პრაქტიკის მეშვეობით შეუძლია ადამიანს გასცდეს თავისი ცნობიერების უშუალო საზღვრებს და შეიმეცნოს გარესამყარო.

მატერიალიზმი და მისი ისტორიული ფორმები. მატერიალიზმი ზოგადად ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ. ახლა დავახასიათოთ იგი უფრო კონკრეტულად. მატერიალიზმი ცდილობს ახსნას სამყარო თავისი თავიდან, ყოველგვარი ზებუნებრივი ძალების (ღმერთი, აბსოლუტური იდეა და ა. შ.) მოშველიების გარეშე. იგი ეძებს სამყაროს ბუნებრივ საწყისს, საფუძველს, რომელიც ობიექტურად, რეალურად არსებობს და არ არის შექმნილი რაღაც ზებუნებრივი ძალის მიერ.

მატერიალიზმი ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში წარმოიშვა. პირველმა ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა სცადეს სამყაროს მრავალფეროვნება აეხსნათ ბუნებრივი საწყისის საფუძველზე. მათ წინაშე იდგა ასეთი საკითხი: რა არის ის პირველსაწყისი, საფუძველი, საიდანაც სამყაროს ყველა დანარჩენი მოვლენა წარმოიშობა. ერთმა მიიჩნია, რომ ასეთი პირველსაწყისი არის წყალი (თალესი), მეორემ — ჰაერი (ანაქსიმენი), მესამემ — ცეცხლი (ჰერაკლიტე). ისინი აღიარებდნენ, რომ სამყაროში ყველაფერი ურთიერთ-

კავშირშია, მოძრაობს და ცვალებადობას განიცდის. მათ მიაჩნდათ, რომ მთელი სამყარო ცოცხალია და მისი მოვლენები იმავე კანონზომიერებას ექვემდებარება, რასაც ცოცხალი ორგანიზმები (დაბადება და სიკვდილი, მტრობა და სიყვარული, ურთიერთშორის ბრძოლა და ა. შ.). ეს იყო მატერიალიზმის პირველი ისტორიული ფორმა, რომელსაც გულუბრყვილო ხასიათი ჰქონდა, ამიტომ მას გ ულ უ ბ რ ყ ვ ი ლ ო მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი უწოდეს.

გულუბრყვილო მატერიალიზმი ვერ დაემყარებოდა მეცნიერების მონაცემებს. რადგან იმ დროს მეცნიერება როგორც ასეთი არ არსებობდა. იგი მხოლოდ ჩასახვას იწყებდა. მაგრამ თვითონ გულუბრყვილო მატერიალიზმი მეცნიერული აზროვნების საწყისი ფორმაა. რა თქმა უნდა, ამ ფილოსოფოსთა მიერ საკითხის გადაწყვეტა. რომ თითქოს სამყაროს საწყისია ჰაერი ან ცეცხლი, მცდარია და დღეს სასაცილოდაც კი გვეჩვენება, მაგრამ იგი ჩვენ უნდა შევაფასოთ იმ კონკრეტულ-ისტორიული ვითარების მიხედვით: მაშინ გაბატონებული იყო სამყაროს რელიგიურ-მითოლოგიური ახსნა, რომლის თანახმად, სამყაროს მართავს ბედისწერა და ღმერთები. გულუბრყვილო მატერიალისტებმა სცადეს სამყარო აეხსნათ თავისი თავიდან, თვით მასში და არა მის გარეთ მოეძებნათ პირველსაწყისი. მოვლენების ახსნა მათთვის დამახასიათებელი ბუნებრივი კანონების საფუძველზე არის მეცნიერული აზროვნების დამახასიათებელი. გულუბრყვილო მატერიალისტების დამსახურება აზროვნების ასეთი წესის დამკვიდრების მცდელობაა და სწორედ ამიტომ ითვლებიან ისინი მეცნიერული აზროვნების წინამორბედებად.

მატერიალიზმის კლასიკური ფორმა ძველ საბერძნეთში შექმნა დ ე მ ო კ რ ი ტ ე მ. მან სამყაროს საწყისად მიიჩნია უმცირესი განუყოფელი ნაწილაკები — ატომები. ისინი მუდმივია, არ წარმოიშობიან და არ ისპობიან. მათ არ ახასიათებთ სიცოცხლე. ამიტომ მხოლოდ გარეგანი დაჯახებით ხდება მათი მოძრაობა. ატომების შეერთება იწვევს საგნების წარმოშობას, რომელთა დაშლა ატომებად — მათ მოსპობას. დემოკრიტემ დაძლია გულუბრყვილო მატერიალიზმის ნაკლოვანებანი და დასაბამი მისცა მექანისტურ-მეტაფიზიკურ მატერიალიზმს. ნამდვილი მატერიალიზმის ისტორია იწყება სწორედ დემოკრიტედან და ამიტომ ვ. ი. ლენინმა მ ა ტ ე-

რიალიზმის ხახს დემოკრიტეს ხაზი უწოდა.

მატერიალიზმის თავისებური ისტორიული ფორმა ჩამოყალიბდა ახალ ფილოსოფიაში XVII—XVIII სს. (ტ. ჰობსი, ბ. სპინოზა, ჯ. ჰოლბახი, დ. დიდრო და სხვა). იგი უკვე ემყარებოდა მეცნიერებას. ამ დროს ერთადერთი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელსაც დასრულებული სახე ჰქონდა, იყო კლასიკური მექანიკა. ამიტომ მეცნირებაზე დამყარება იმ დროს ნიშნავდა კლასიკურ მექანიკაზე დამყარებას. კლასიკური მექანიკა, რომელიც ძირითადად ჩამოაყალიბეს გალილეიმ და ნიუტონმა, გახდა ამ პერიოდის მატერიალიზმის ამოსავალი და საფუძველი. ამის გამო ეს მატერიალიზმი თავისი დროისათვის მეცნიერული და პროგრესული იყო. ვინაიდან იგი მხოლოდ ერთ მეცნიერებას, კერძოდ კლასიკურ მექანიკას ემყარებოდა და ახდენდა მის აბსოლუტიზაციას, მას ახასიათებდა შეზღუდულობანი, რომელთაგან ძირითადია შემდეგი: 1) იგი იყო მექანისტური — ეს ნიშნავს, რომ იგი სინამდვილის ყველა მოვლენას ხსნიდა მხოლოდ მექანიკის კანონების საფუძველზე. ყოველი მოვლენა მექანიკურია და ემორჩილება მექანიკის კანონებს. ინერციის, მიზიდულობისა და განზიდულობის, ძალთა ურთიერთქმედების და ა. შ. კანონებს აქვთ აბსოლუტური, უნივერსალური ხასიათი, რომლებიც განსაზღვრავენ არა მარტო ბუნების, არამედ საზოგადოების, მათ შორის ადამიანის სულიერ პროცესებსაც. მაგალითად, სიყვარული მიზიდულობის, ხოლო სიძულვილი განზიდულობის გამოვლენად არის მიჩნეული; 2) იგი იყო მეტაფიზიკური — ეს ნიშნავს, რომ იგი სამყაროს განიხილავდა განვითარებისა და ურთიერთკავშირის გარეშე. რა თქმა უნდა, მოძრაობასა და ცვალებადობას აღიარებდა, მაგრამ ეს იყო მექანიკური მოძრაობა, რომელიც გამორიცხავს თვისებრივად ახლის წარმოშობას. ამიტომ სამყაროში ადგილი აქვს მარადიულ წრებრუნვას, ე. ი. ერთისა და იმავეს მუდმივ განმეორებას; 3) იგი არ იყო თანმიმდევრული — ეს გამოიხატებოდა იმით, რომ იგი მატერიალიზმის პრინციპს ვერ ავრცელებდა საზოგადოების სფეროზე. თუ ბუნების მოვლენებს ხსნიდა მატერიალისტურად, ისტორიის სფეროს ხსნიდა იდეალისტურად. მან მატერიალიზმის პრინციპი ვერ გაავრცელა საზოგადოებრივ მოვლენებზე და ამიტომ არ ჰქონდა ისტორიის მატერიალისტური

გაგება; 4) ი გ ი ი ყ ო მ ჭ ვ რ ე ტ ე ლ ო ბ ი თ ი — ეს ნიშნავს, რომ იგი არ აღიარებდა სამყაროს პრაქტიკულ, რევოლუციურ გარდაქმნას. სამყარო მისთვის მხოლოდ შემეცნების, ჭვრეტის და არა გარდაქმნის ობიექტი იყო. ეს მოხდა იმის გამო, რომ მან ვერ გაიგო ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის როლი სამყაროს შემეცნებასა და გარდაქმნის პროცესში. ა მ გ ვ ა რ ა დ, X V I I — X V I I I სს. მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ძ ი რ ი თ ა დ ა დ მ ე ქ ა ნ ი ს ტ უ რ-მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ი ყ ო.

აღნიშნული შეზღუდულობანი არა მხოლოდ XVII—XVIII საუკუნეების, არამედ მთელი მარქსამდელი მატერიალიზმის ძირითადი ნაკლოვანებანია. რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში არ მიიღება გულუბრყვილო მატერიალიზმი, რომელსაც არ ჰქონდა მექანისტურ-მეტაფიზიკური ხასიათი. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია დიალექტიკური მატერიალიზმია. მარქსის დამსახურება არ არის არც მატერიალიზმის და არც დიალექტიკის ჩამოყალიბება, მატერიალიზმი მარქსამდე არსებობდა, მაგრამ იგი ძირითადად მეტაფიზიკური იყო. დიალექტიკა როგორც განვითარების თეორია მარქსამდე შექმნა ჰეგელმა, მაგრამ იგი იდეალისტური იყო. მარქსამდე არ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული მატერიალიზმი და დიალექტიკა. მარქსის დამსახურება სწორედ მათი გაერთიანებაა, რის საფუძველზეც მან შექმნა მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა ა ნ უ დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი. იგი მატერიალიზმის უმაღლესი ფორმაა. მან დაძლია მანამდელი მატერიალიზმის ძირითადი ნაკლოვანებანი: 1) იგი არ არის მექანისტური, რადგან არ ემყარება მხოლოდ ერთ რომელიმე კერძო მეცნიერებას, ვთქვათ კლასიკურ მექანიკას—იგი ემყარება მეცნიერებათა მთელ სისტემას და მშრომელთა რევოლუციურ-პრაქტიკულ მოღვაწეობას; 2) იგი არ არის მეტაფიზიკური, რადგან სამყაროს განიხილავს ურთიერთკავშირსა და განვითარებაში; 3) იგი თანმიმდევრულია, ვინაიდან მატერიალიზმის პრინციპი გაავრცელა საზოგადოებრივ მოვლენებზე და პირველმა აზროვნების ისტორიაში ჩამოაყალიბა ისტორიული მატერიალიზმი; 4) იგი რევოლუციური ხასიათისაა, რადგან აღიარებს სამყაროს პრაქტიკული გარდაქმნის აუცილებლობას. მისთვის სამყაროს შემეცნება არის არა მიზანი,

არამედ მხოლოდ საშუალება, იარაღი სამყაროს გარდასაქმნელად. სამყაროს გარდაქმნა — აი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის რევოლუციური მოძღვრების ძირითადი მიზანი.

მატერიალიზმი საზოგადოდ ყოველთვის პროგრესული და მეცნიერული იყო. იგი უკავშირდებოდა საზოგადოების მოწინავე კლასებს და ემყარებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაცემებს. მაგრამ მარქსამდელი მატერიალიზმის ისტორიული ფორმები ყოველთვის შეზღუდული იყო, რასაც განაპირობებდა ორი გარემოება: 1) თვითონ კლასი, რომლის ინტერესებსაც იგი გამოხატავდა. არ იყო ბოლომდე თანმიმდევრული და რევოლუციური; 2) მეცნიერება, რომელსაც იგი ემყარებოდა, შეზღუდული იყო თავისი ეპოქის ჩარჩოებით და განვითარების დონით. მარქსამდელი მატერიალიზმი ძირითადად ემყარებოდა ბუნებისმეტყველებას.

მარქსიზმმა თანმიმდევრულად გააგრძელა და გააღრმავა მატერიალიზმის პროგრესული და მეცნიერული ხასიათი. იგი მუშათა კლასის იდეოლოგიაა, რომელიც ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასია. ამის გამო მისი სულიერი იარაღიც ბოლომდე რევოლუციურია. იგი არ არის ჩაკეტილი, ერთხელ ჩამოყალიბებულ დებულებათა სისტემა, რომელიც არ ვითარდება. მას აქვს შემოქმედებითი ხასიათი. იგი მდიდრდება და ვითარდება მეცნიერებათა ახალი აღმოჩენებისა და მშრომელთა რევოლუციური პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე. ამიტომ მარქსიზმ-ლენინიზმი მუდამ რევოლუციური, შემოქმედებითი და განვითარებადი მოძღვრებაა.

იდეალიზმი და მისი სახეები. იდეალიზმი ზოგადად უკვე განვსაზღვრეთ, ახლა დავახასიათოთ უფრო კონკრეტულად: იდეალიზმის თავისებურება ისაა, რომ იგი სულიერს, იდეალურს, ცნობიერებას მიიჩნევს პირველსაწყისად. მატერია, ბუნება მეორადია, დამოკიდებულია იდეაზე, ცნობიერებაზე. იმის მიხედვით თუ როგორაა გაგებული ცნობიერების ბუნება, სახეზეა იდეალიზმის ორი ტიპი — სუბიექტური და ობიექტური იდეალიზმი. იდეალიზმის ზოგადი, ამოსავალი პრინციპია, რომ ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას, მაგრამ ახლა საკითხი ეხება ცნობიერების ბუნებას: როგორია ის ცნობიერება, რომელიც სამყაროს განსაზღვრავს — ადამიანური, სუბიექტური თუ ზეადამიანური, ზებუნებრივი, ე. ი. ობიექ-

ტური? იდეალიზმის ის სახე, რომელიც მიიჩნევს, რომ ადამიანური, სუბიექტური ცნობიერება განსაზღვრავს სამყაროს, არის სუბიექტური იდეალიზმი; იდეალიზმის ის სახე, რომელიც აღიარებს, რომ რაღაც ზეადამიანური, ობიექტური ცნობიერება (იდეა) განსაზღვრავს სამყაროს, არის ობიექტური იდეალიზმი.

სუბიექტური იდეალიზმი, რომლის ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ: ჯ. ბერკლი, დ. იუმი, ი. კანტი, ე. მახი, რ. ავენარიუსი, უარყოფს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი, ობიექტური რეალობის, ე. ი. მატერიის არსებობას. სამყარო ისეთია, როგორც მას აღიქვამს და მოიაზრებს ადამიანის ცნობიერება. არსებობს მხოლოდ ის, რასაც ადამიანი აღიქვამს, ადამიანი კი აღიქვამს თავის შეგრძნებებს. ამიტომ ერთადერთი რეალობა, რომელიც არსებობს, არის შეგრძნებები. მათ მიღმა არაფერი არ არსებობს. საგანი, ნივთი შეგრძნებათა ნაერთი, კომპლექსი, კოლექციაა და მეტი არაფერი; ბერკლი ამტკიცებს, რომ იგი უარყოფს მატერიის ცნებას, როგორც უშინაარსოს, რომელსაც არავითარი რეალობა არ შეესაბამება. ნივთი თვისებების ერთობლიობაა, თვისებები კი შეგრძნებების იგივეობრივია. ამიტომ ნივთი შეგრძნებების ნაერთია. მაგალითად, ვაშლი სხვა არაფერია, თუ არა ფერის, გემოს, სუნის და სხვა შეგრძნებათა ნაერთი.

ერთი შეხედვით სუბიექტური იდეალისტები შეიძლება არანორმალურ ადამიანებად მოგვეჩვენოს: როგორ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა უარყოს ბუნების მოვლენების — ვარსკვლავების, მზის, დედამიწის და ა. შ. ობიექტური არსებობა? როგორ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა ნივთი დაიყვანოს შეგრძნებებზე! მაგრამ საკითხი ასე მარტივად არ გადაწყდება და სუბიექტური იდეალისტებიც სავსებით ნორმალური ადამიანებია: სუბიექტურ იდეალისტებს სჯერათ, სწამთ, რომ ბუნება არსებობდა მათ დაბადებამდე და იარსებებს მათი სიკვდილის შემდეგაც. მაგრამ ერთია რწმენა და მეორეა ცოდნა. ისინი საკითხს სვამენ ცოდნის, შემეცნების თვალსაზრისით: რა ვიცით ჩვენ ბუნების მოვლენების შესახებ? მხოლოდ ის, რასაც შეგრძნებები გვაძლევენ. მზე, რომ ადამიანის ცნობი-

ურებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ცხადია, ეს სჯერა სუბიექტურ იდეალისტს. ' მაგრამ ის, რაც მზის შესახებ მე ვიცი (რომ იგი ანათებს, მათბობს და ა. შ.), მე ვიცი მხოლოდ ჩემი შეგრძნებების მეშვეობით. ამიტომ მზე როგორც ცოდნის. შემეცხების და არა რწმენის საგანი შეგრძნებათა ნაერთია. ამგვარად, სუბიექტური იდეალიზმი ობიექტურ რეალობას უარყოფს თეორიული და არა პრაქტიკული თვალსაზრისით. საგნის შემეცნება შეგრძნებებს ემყარება და ამიტომ ცოდნის თვალსაზრისით იგი შეგრძნებათა ერთობლიობაა.

სუბიექტური იდეალიზმის ძირითადი თეზისი მცდარია. იგი იზღუდება ადამიანის მხოლოდ თეორიული, შემეცნებითი დამოკიდებულებით სამყაროსადმი და გამორიცხავს ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობას როგორც შემეცნების საფუძველს. შემეცნება შეგრძნებებს ემყარება — ამაში სუბიექტური იდეალიზმი არ ცდება. თუ ადამიანს ჩვენ შევზღუდავთ მხოლოდ თეორიული ჭვრეტით, მაშინ შეგრძნებების სფეროს ვერ გავცდებით და ვერ დავამტკიცებთ გარესამყაროს არსებობას. მაგრამ შემეცნების დაწყებამდე ადამიანი პრაქტიკულ ურთიერთობაშია გარესამყაროსთან. აქ მას უშუალოდ საქმე აქვს უკვე არა შეგრძნებებთან. არამედ თვითონ საგნებთან, რადგან გარდაქმნის, მოიხმარს, იყენებს მათ. ადამიანის პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც შემეცნების საფუძველია, ამტკიცებს ობიექტური რეალობის, გარესამყაროს არსებობას. მხოლოდ პრაქტიკის მეშვეობით შეუძლია ადამიანს გავიდეს შეგრძნებებს გარეთ და შეიმეცნოს გარესამყარო. ამ არგუმენტით უარყოფს მარქსიზმი სუბიექტურ იდეალიზმს და ამტკიცებს ობიექტური რეალობის არსებობას.

ობიექტური იდეალიზმი, რომლის მთავარი წარმომადგენლებია პლატონი და ჰეგელი, ამტკიცებს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი, ობიექტური რეალობის არსებობას. ბუნება, გარესამყარო არსებობდა ადამიანის წარმოშობამდე და არსებობს მისი ცნობიერების გარეთ, მისგან დამოუკიდებლად. ბუნება პირველადია ადამიანის ცნობიერების მიმართ. მაგრამ იგი არ არის პირველადი საერთოდ ცნობიერების მიმართ, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს იდეა. ოღონდ ეს იდეა არის არა ადამიანის ცნობიერების შინაარსი, არამედ მისგან დამოუკიდებელი, ობიექტური. იგი ადა-

მიანის ცნობიერების გარეთ, მის მიღმა არსებული იდეაა. მაშასადამე, იდეა, რომელიც სამყაროს განსაზღვრავს, პირველადია, არის ობიექტური, ზეადამიანური და ზებუნებრივი. ჰეგელის თანახმად, სამყაროს დასაბამი, პირველსაწყისი ობიექტური იდეაა, რომელსაც იგი უწოდებს აბსოლუტურ იდეას. ყოველივე. რაც კი სამყაროში არსებობს — ბუნება და საზოგადოება — არის აბსოლუტური იდეის გამოვლენის ფორმა. მაშასადამე, ობიექტური იდეალიზმი, განსხვავებით სუბიექტური იდეალიზმისაგან, აღიარებს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი, ობიექტური რეალობის არსებობას. მაშინ რითი განსხვავდება იგი მატერიალიზმისაგან? მატერიალიზმის თანახმად, ერთადერთი დამოუკიდებლად არსებული მატერია ბუნებაა, ყველაფერი დანარჩენი, მათ შორის ადამიანიც, მისი განვითარების შედეგად წარმოიშობა. ბუნების მიღმური, მასზე მაღლა მდგომი, ზებუნებრივი (ღმერთი, იდეა, გონება და ა. შ.) არ არსებობს. ობიექტური იდეალიზმის თანახმად კი ბუნება, მატერია რაღაც ზებუნებრივი ძალის — ობიექტურად არსებული იდეის, ცნობიერების, გონების გამოვლენაა. იგი მის მიმართ მეორადია და დამოკიდებულია მასზე; ზებუნებრივი, ობიექტური იდეის, ცნობიერების გამართლება და აღიარება — აი ეს არის ობიექტური იდეალიზმის ძირითადი შეცდომა.

იდეალიზმი საზოგადოდ ეწინააღმდეგება მეცნიერებისა და ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის მონაცემებს. ისმება კითხვა: თუკი ეს ასეა, მაშინ საერთოდ რატომ არსებობს იდეალიზმი? მისი წარმოშობა ხომ არ არის გაუგებრობისა და შემთხვევითი შეცდომის შედეგი? არა, არ არის. იდეალიზმი წარმოიშვა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში. ძველ საბერძნეთში იგი დასაბამს იღებს პირველ ფილოსოფოსთა ნააზრევში ცალკეული ელემენტებისა და მომენტების სახით. მაგრამ იდეალიზმის კლასიკური სისტემა შექმნა პლატონმა და ამიტომ ვ. ი. ლენინმა ი დ ე ა ლ ი ზ მ ი ს ხ ა ზ ს უ წ ო დ ა პ ლ ა ტ ო ნ ი ს ხ ა ზ ი. იდეალიზმი როგორც მატერიალიზმის საპირისპირო მიმართულება გასდევს მთელი ფილოსოფიის ისტორიას და იგი დღესაც განაგრძობს არსებობას. იდეალიზმის წარმოშობა საზოგადოების განვითარების კანონზომიერი შედეგია, რადგან მას აქვს საკმაოდ ღრმა ფესვები. ი დ ე ა ლ ი ზ მ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ა ს გ ა ნ ა პ ი რ ო ბ ე ბ ს ს ო ც ი ა ლ უ რ-კ ლ ა ს ობ-

რივი და გნოსეოლოგიური (შემეცნების თეორიული) ფესვები.

იდეალიზმის სოციალურ-კლასობრივი ფესვები შემდეგია: იგი ძირითადად გამოხატავს ინტერესებს „გაბატონებული კლასისა, რომელიც დაინტერესებულია საზოგადოებაში არსებული ვითარების შენარჩუნებით. ამის გამო იგი იცავს კონსერვატიულ, დრომოჭმულ, ჩამორჩენილ იდეებს და ებრძვის მოწინავე, პროგრესულ შეხედულებებს, რომელთა მიზანია არსებული ვითარების შეცვლა და გარდაქმნა. როდესაც მოხდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება გონებრივ და ფიზიკურ შრომად, გონებრივი შრომა იქცა გაბატონებული კლასის პრივილეგიად. პირველ კალსობრივ საზოგადოებაში, სადაც მონათმფლობელებს ეკავათ გაბატონებული მდგომარეობა, მიაჩნდათ, რომ გონებრივი შრომა ეს მათი საქმეა. ისინი ზიზღით და აგდებულად უყურებდნენ ფიზიკურ შრომას, რომელიც მიჩნეული იყო მონების ხვედრად. ცხადია, ასეთ ვითარებაში მონათმფლობელებს აწყობდათ ისეთი თეორია, რომელიც გონების, სულის, იდეის უპირატესობას და პირველადობას გაამართლებდა ფიზიკურისა და მატერიალურის მიმართ. ასეთი ფილოსოფიური თეორია სწორედ იდეალიზმია. ამის გამო ექსპლოატატორულ საზოგადოებაში, სადაც ერთი კლასი ბატონობს მეორე კლასზე, გაბატონებული კლასი დაინტერესებულია იდეალიზმის დაცვით და შენარჩუნებით, რადგან იგი მისი უპირატესობის და პრივილეგიის ფილოსოფიური გამართლებაა.

მაგრამ იდეალიზმს გნოსეოლოგიური ფესვებიც აქვს. ისინი ჩამარხულია შემეცნების რთულ, წინააღმდეგობრივ, დიალექტიკურ პროცესში. შემეცნების რეალური პროცესი არ არის სწორხაზოვანი, იგი მრუდეა, რომელსაც მრავალი მხარე, წახნაგი და განშტოება აქვს. მათგან ერთ-ერთი რომელიმეს ცალკე გამოყოფა, დამოუკიდებლობის მინიჭება და გააბსოლუტება ამახინჯებს შემეცნების რეალურ პროცესს და მივყავართ ფილოსოფიურ იდეალიზმამდე. რეალური შემეცნების ერთი რომელიმე მხარის გაზვიადება, გაბერვა, შეფარდებითის აბსოლუტურად გადაქცევა, დამოკიდებულისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება — აი იდეალიზმის გნოსეოლოგიური ფეს-

ვ ე ბ ი. ამის თაობაზე ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „იდეალიზმს, რა თქმა უნდა, აქვს გ ნ ო ს ე ო ლ ო გ ი უ რ ი ფესვები, იგი არაა უნიადაგო, იგი გ უ დ ა ფ ‘ შ უ ტ ა ა, უდავოდ, მაგრამ გუდაფ‘შუტა, რომელიც ცოცხალი, ნაყოფიერი, ჭეშმარიტი, მძლავრი, ყოვლისშემძლე, ობიექტური, აბსოლუტური, ადამიანური შემეცნების ცოცხალ ხეზე იზრდება“[1].

მართალია, იდეალიზმი პრინციპულად მცდარია, მაგრამ იგი არ არის სისულელე. ყოველი იდეალისტური სისტემა მეტ-ნაკლებად შეიცავს რაღაც დადებით, რაციონალურ მომენტს, რომელიც მას აღებული აქვს შემეცნების რეალური პროცესიდან. იმის გამო, რომ იგი ამ მომენტის გაზვიადებას, გადაჭარბებას, გააბსოლუტებას ახდენს, ამახინჯებს და აყალბებს მას. ვ. ი. ლენინის აზრით, იდეალიზმი არ არის აბდაუბდა. „დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი მატერიალიზმის თვალსაზრისით ფილოსოფიური იდეალიზმი არის ც ა ლ მ ხ რ ი ვ ი, გაზვიადებული განვითარება (გაბერვა, გაფუება) შემეცნების ერთ-ერთი ნიშნისა, მხარისა, მიჯნისა აბსოლუტად, რომელიც მ ო წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ა მატერიას, ბუნებას, — გაღმერთებულია“[2].

საკითხი იდეალიზმის გნოსეოლოგიური ფესვების შესახებ ნათელვყოთ ცალკე სუბიექტური იდეალიზმისა და ცალკე ობიექტური იდეალიზმის მიმართ.

სუბიექტური იდეალიზმი შეგრძნებებს აცხადებს ერთადერთ რეალობად და ნივთი მიაჩნია შეგრძნებების კომპლექსად. მართლაც შეგრძნებები უდიდეს როლს ასრულებენ სამყაროს შემეცნების პროცესში. ისინი ადამიანის ცნობიერებაში წარმოიშობიან გარეგანი საგნების გრძნობის ორგანოებზე ზემოქმედების შედეგად. სინამდვილის შემეცნების წყარო, საფუძველი შეგრძნებებია. როგორც ვხედავთ, შეგრძნებები მეორადია, დამოკიდებულია, მათ იწვევს გარეგანი საგნების ზემოქმედება ადამიანის გრძნობის ორგანოებზე. სუბიექტური იდეალიზმი აზვიადებს შეგრძნებების როლს, ანიჭებს მათ პირველადობას, დამოუკიდებლობას და აცხადებს ერთადერთ რეალობად. შ ე გ რ ძ ნ ე ბ ი ს რ ო ლ ი ს გ ა ზ ვ ი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 375—376.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 375.

ადება და გააბსოლუტება — აი სუბიექტური იდეალიზმის გნოსეოლოგიური ფესვები.

ობიექტურ იდეალიზმს სამყაროს პირველსაწყისად მიაჩნია რაღაც ობიექტური იდეა. რა არის იგი? ობიექტური იდეა არის გასაგნებული ცნება, რომელსაც მინიჭებული აქვს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი არსებობა. ცნებები მართლაც არსებობენ, მაგრამ ისინი არსებობენ მხოლოდ ადამიანის ცნობიერებაში. მათ ქმნის ადამიანი აბსტრაქციისა და განზოგადების შედეგად. ცნება აზრის ისეთი ფორმაა, რომელიც საგნის არსებით ნიშნებს ასახავს. იგი არ არსებობს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ავიღოთ ცნება „ხილი". იგი ასახავს იმ საერთო, აუცილებელ და არსებით ნიშნებს, რომლებიც ახასიათებს ვაშლს, მსხალს, ატამს, ბალს და ა. შ. მას ქმნის ადამიანის აზროვნება და იგი მისგან დამოუკიდებლად არ არსებობს. ობიექტური იდეალიზმი ცნებას ობიექტურობას, ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლობას ანიჭებს და აცხადებს საგნის არსებად. თითქოს ერთეული, ცალკეული საგნები იყოს მისი გამოვლენა. თითქოს ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი და ა. შ. იყოს ხილის როგორც ობიექტურად არსებული იდეის გამოვლენა. ამგვარად, ობიექტური იდეალიზმის თანახმად, ცნება არის არა საგნის არსებითი ნიშნების ასახვა ადამიანის ცნობიერებაში, არამედ მისი არსება, საფუძველი, ცნების როლის გაზვიადება, გადაჭარბება, მისი გაობიექტება, საგნის არსებად გამოცხადება, მისთვის ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი არსებობის მინიჭება — აი ეს არის ობიექტური იდეალიზმის გნოსეოლოგიური ფესვები.

მაშასადამე, იდეალიზმს ღრმა ფესვები აქვს გადგმული საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ სტრუქტურასა და შემეცნების რთულ დიალექტიკურ პროცესში. მას ძირითადად გაბატონებული კლასები იცავენ, მაგრამ ადამიანის რეალური შემეცნების ერთ-ერთი მხარის გაზვიადებისა და გააბსოლუტების საფუძველზე. ამიტომ იდეალიზმი არ არის სისულელე, ადამიანის ცარიელი ფანტაზიის ნაყოფი. იგი გარკვეული რეალური პრობლემების გაზვიადების და დამახინჯების შედეგია.

რელიგიისა და მეცნიერების შეურიგებლობა. რელიგია საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაა. იგი არის წარმოდგენების, გრძნობების და წეს-ჩვეულებების ერთობლიობა, რომელიც ემყარება ბრმა რწმენას ღმერთის ან ღმერთების არსებობის შესახებ. შესაბამისად ისტორიაში არსებობდა ორი ტიპის რელიგია: პირველი მრავალი ღმერთის, ხოლო მეორე ერთი ღმერთის არსებობას აღიარებდა. პირველს ეწოდებოდა პოლითეიზმი, მეორეს კი მონოთეიზმი. რელიგია წარმოიშვა პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში. იგი აღმერთებდა ბუნების ძალებს და მრავალი ღმერთის არსებობას უშვებდა.

რელიგია არ არის ადამიანის თანდაყოლილი ბიოლოგიური თვისება. იგი სოციალური მოვლენაა და წარმოიშობა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე. ისევე როგორც იდეალიზმს, რელიგიასაც აქვს სოციალური და გნოსეოლოგიური ფესვები, რომლებმაც განაპირობეს მისი წარმოშობა. პირველყოფილი ადამიანის ყოფიერება ბეჩავი და უბადრუკია. მისი შრომის იარაღები იმდენად პრიმიტიული და განუვითარებელია, რომ მას ძლივს შეუძლია თავისი თავის გამოკვება. იგი მთლიანად მინდობილი და მიჯაჭვულია ბუნებას და მისი მონაა. ადამიანის ასეთი ყოფიერება იწვევს მონურ დამოკიდებულებას ბუნებისადმი. ბუნების ძალები მას შთაგონებენ შიშს, მოკრძალებას და მორჩილებას. იმისათვის, რომ ადამიანმა ბუნების ძალების რისხვა თავიდან აიცდინოს, იგი მიმართავს მათ შეგონებას, ასრულებს გარკვეულ რიტუალებს, მსხვერპლს სწირავს და ა. შ. ასე აიძულებს ადამიანს მისი სოციალური მდგომარეობა, გააღმერთოს ბუნების ძალები. მაგრამ რელიგიის წარმოშობას ჰქონდა გნოსეოლოგიური ფესვებიც: უპირველეს ყოვლისა ეს არის აბსტრაქციის გარკვეული უნარი, რომელიც ადამიანს უჩნდება გარკვეული, თუნდაც პრიმიტიული, ცოდნის არსებობის პირობებში. იმისათვის, რომ ბუნების მოვლენის. ვთქვათ ჭექა-ქუხილის, უკან, მიღმა რაღაც ზებუნებრივი ძალა — ღმერთის სახით—დაინახო, ცოდნის და აბსტრაქციის გარკვეული დონეა საჭირო. ცხადია, ეს არ არის მეცნიერული ცოდნა. პირველყოფილი ადამიანი უმეცარი და უვიცია, რადგან მან არ იცის მოვლენის წარმოქმნის ბუნებრივი მიზეზები. მას არ ძალუძს მისი მეცნიერული

ახსნა, მაგრამ უკვე იმდენი უნარი შესწევს, რომ გავიდეს ბუნებრივი მოვლენის, მისთვის უშუალოდ მოცემულის ფარგლებს გარეთ და მის მიღმა დაინახოს რაღაც ზებუნებრივი ძალა, რომელიც მისთვის უშუალოდ მოცემული არ არის.

როგორც ვხედავთ, რელიგიის წარმოშობას არა აქვს კლასობრივი საფუძველი. რელიგია გაჩნდა კლასების წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე. მაგრამ ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში, სადაც არსებობს ერთი კლასის მიერ მეორე კლასის ექსპლოატაცია და ჩაგვრა, რელიგიას გაუჩნდა კლასობრივი ფესვებიც. რელიგია ქადაგებს მორჩილებას და მოთმენას, მიმართულია მეცნიერებისა და ახალი, პროგრესული აზრის წინააღმდეგ. ამის გამო გაპატონებულ კლასებს აწყობთ მისი დაცვა და შენარჩუნება. ისინი მას იყენებენ თავიანთი ინტერესებისათვის, რათა მორჩილებაში იყოლიონ ექსპლოატირებული მასები.

რელიგიის შინაარსი თანდათანობით იცვლებოდა და ვითარდებოდა. პირველყოფილი თემური საზოგადოების პრიმიტიული რელიგიური წარმოდგენები შეიცვალა უფრო მდიდარი და დახვეწილი შეხედულებებით. ამის ნიმუშია ანტიკური მითოლოგია, რომელიც კულტურის დიდი შენაძენია. იგი ანტიკური ეპოქის ფილოსოფიისა და ხელოვნების საფუძველი იყო. მას შემდეგაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და როგორც ხელოვნების გარკვეული ნიმუში დღესაც ინარჩუნებს თავის ძალას. მონათმფლობელური საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა მონოთეისტური რელიგიები — ჯერ ბუდიზმი ინდოეთში (მე-6—მე-5 სს. ძვ. წ. აღ-ით), ხოლო შემდეგ ქრისტიანობა — რომის იმპერიაში (1 ს.). მე-7 ს-ში არაბეთის ნახევარკუნძულზე შეიქმნა ისლამი. დღეს მსოფლიოში სწორედ ეს სამი რელიგიაა ყველაზე მეტად გავრცელებული.

რელიგიის შინაარსი მოიცავს სამ ელემენტს: 1. წარმოდგენებს, შეხედულებებს სამყაროზე; 2. გრძნობებს, ემოციებს და 3. წეს-ჩვეულებებს, რიტუალებს. დავახასიათოთ მოკლედ თითოეული მათგანი: რელიგიური წარმოდგენები ქმნიან სამყაროს სურათს, რომლის მეშვეობით გარკვეულია ადამიანის ადგილი და დანიშნულება, ამიტომ რელიგია მსოფლმხედველობაა. იგი უშვებს, რომ არსებობს რაღაც ზებუნებრივი ძალა — ღმერთი, რომელიც არა-

ფრისგან ქმნის სამყაროს. იგი ყოვლისშემძლე შემოქმედია, რომელსაც ახასიათებს აბსოლუტური სიკეთე და სიბრძნე. მან სამყარო მოაწყო მიზანდასახულად: ყოველ საგანს თავისი ადგილი მიუჩინა და მიზანი დაუსახა. ყოველივეს, რაც სამყაროში ხდება, განსაზღვრავს ღმერთის ნება-სურვილი, მის გარეშე კი არაფერი არ მოხდება. ადამიანიც ღმერთმა შექმნა, გადასცა მას დედამიწა თავის განკარგულებაში და უთხრა: „ოფლითა შენითა მოიპოვე სასუფეველი შენი". ადამიანი ტანჯვისა და წვალებისთვისაა გაჩენილი, ბედნიერებას იგი მხოლოდ საიქიოს, სიკვდილის შემდეგ მოიპოვებს, და ისიც იმ შემთხვევაში, თუ იცხოვრებს ღმერთის ნება-სურვილის მიხედვით. ამიტომ ადამიანის უმაღლესი მიზანია შეიყვაროს ღმერთი და ეზიაროს მას. მაგრამ ამის მიღწევა ადამიანს შეუძლია არა ცოდნით, არამედ რწმენით. ღმერთის ყოვლისშემძლეობის ბრმა რწმენა, ე. ი. რწმენა, რომელიც ცოდნას არ ემყარება — აი რელიგიის საფუძველი.

რელიგია მარტო მსოფლმხედველობა როდია, იგი მსოფლშეგრძნებაცაა. იგი მიმართავს არა მხოლოდ ადამიანის გონებას, არამედ მის გულსაც. ადამიანმა უშუალოდ უნდა განიცადოს, შეიგრძნოს ღმერთი და მისი ძლევამოსილება. სათანადო გრძნობებისა და ემოციების გაღვიძებით ადამიანთა გულების დაუფლება — აი რელიგიის ძირითადი მიზანი. ამისთვის მან შეიმუშავა წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების მთელი სისტემა, რომლის ძირითადი დანიშნულება ადამიანში რელიგიური ემოციების და გრძნობების გამომუშავებაა. ეკლესია და მისი მსახურნი სწორედ ამ ფუნქციას ასრულებენ. ეს ხდება არა მხოლოდ რელიგიური იდეების ქადაგებით, არამედ მათი შესატყვისი რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების შესრულებით. ეკლესია ცდილობს, რომ ყოველი მორწმუნე მათი აქტიური მონაწილე გახადოს. ამით იგი ცდილობს, თავისი გავლენის სფერო გააფართოოს.

რელიგია და მეცნიერება ურთიერთგამომრიცხველია, ანტიპოდებია. რელიგია სინამდვილის ფანტასტიკური, დამახინჯებული ასახვაა, მეცნიერება კი მის ჭეშმარიტ, შესატყვის სურათს იძლევა. რელიგიის საფუძველია ზებუნებრივი, ბუნების მიღმური ძალების არსებობის აღიარება. მეცნიერება კი უარყოფს ყოველგვარ ზებუნებრივს, იგი ადგენს მოვლენათა ცვალებადობის ბუნებრივ მი-

ზეზებს. რელიგია ემყარება ბრმა რწმენას. მისი შინაარსი გონებით მიუწვდომელია (ირაციონალურია), ამიტომ საიდუმლოა (მისტიკურია). შეიძლება მისი არა გაცნობიერება-გააზრება და გაგება, არამედ განცდა, ხილვა, რასაც საფუძვლად უდევს ღმერთის სიყვარული. მეცნიერება გონებას ემყარება, იგი რაციონალურია, ამიტომ შესაძლებელია მისი ერთმნიშვნელოვნად გააზრება და გაგება. რელიგია არ აფუძნებს თავის შინაარსს; იგი ავტორიტეტს ემყარება და დოგმატურია, ვერ ითმენს კრიტიკულ შეფასებას. მეცნიერება არ ცნობს არავითარ ავტორიტეტს, იგი მოითხოვს ყველაფრის დამტკიცებას და გააზრებას, ამიტომ კრიტიკული შეფასება და შემოწმება მისი საფუძველია.

ისმება კითხვა: თუკი რელიგია და მეცნიერება ანტიპოდებია, მაშინ დღეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში რატომ განაგრძობს არსებობას რელიგია? შუა საუკუნეებში ფეოდალური წყობილების არსებობის დროს რელიგიას ეკავა გაბატონებული მდგომარეობა. ფილოსოფია იყო მისი მსახური, რადგან იგი მიზნად ისახავდა დაემტკიცებინა ღმერთის არსებობა. ფეოდალური ურთიერთობანი, ტექნიკისა და მეცნიერების დაბალი დონე, ხალხის უმეცრება და გაუნათლებლობა გასაგებს ხდის აღნიშნულ ვითარებას. მაგრამ დღეს, როდესაც მეცნიერება და ტექნიკა, ხალხის კულტურა და განათლება მაღალ დონეზეა განვითარებული, რატომ განაგრძობს არსებობას რელიგია? ცხადია, თანამედროვე სამყაროში მას უკვე აღარ უკავია გაბატონებული მდგომარეობა. მისი გავლენის სფერო თანდათან იზღუდება, მაგრამ იგი მაინც იპყრობს მილიონობით ადამიანების გონებასა და გულს. კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო ყოველნაირად უწყობს ხელს მისი გავლენის გაძლიერებას. სოციალისტურ ქვეყნებში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. რელიგიის რწმენა ადამიანის პირადი საქმეა. ამ ქვეყნებში რელიგიური იდეები არსებობას განაგრძობენ ცრურწმენებისა და გადმონაშთების სახით. მათ სოციალურ-კლასობრივი დასაყრდენი არა აქვთ, მაგრამ ზოგიერთი ადამიანის ცნობიერებაში მაინც განაგრძობენ არსებობას. რა არის ამის მიზეზი?

მეცნიერება ამხელს, ამეღავნებს რელიგიის ანტიმეცნიერულ ხასიათს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის მის დასაძლევად. რელიგიას არც აქვს პრეტენზია მეცნიერულობაზე. ადრე იგი ებრძოდა მეც-

ნიერებას. შუა საუკუნეებში ეკლესია სიკვდილით სჯიდა მეცნიერებს. საკმარისია გავიხსენოთ ინკვიზიციის მიერ ჯორდანო ბრუნოს კოცონზე დაწვის ფაქტი. დღეს კი ეკლესია მეცნიერებას აღარ ებრძვის. იგი თვლის, რომ რელიგიას და მეცნიერებას შეუძლიათ თანაარსებობა და თანამშრომლობაც. მათ თავიანთი სფეროები აქვთ. მეცნიერება ცოდნას აძლევს ადამიანს, რელიგია კი — რწმენას. ადამიანს ორივე სჭირდება, ამიტომ მისთვის აუცილებელია როგორც ერთი, ისე მეორე.

ეკლესიის მსახურთა ამ მსჯელობაში გარკვეული ლოგიკა მართლაც არის. მეცნიერებას არ შეუძლია რწმენა მისცეს ადამიანს. პირიქით, თანამედროვე ანტაგონიზმებით და წინააღმდეგობებით სავსე ეპოქაში მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა გარკვეულად შეარყია მომავლის რწმენა. საქმე ისაა, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მრავალ დადებით სოციალურ შედეგთან ერთად აქვს უარყოფითი შედეგებიც. მან შექმნა ისეთი იარაღი, რომელიც მოსპობით ემუქრება კაცობრიობას. ამიტომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას გარკვეული შიშით და უნდობლობით უყურებს ადამიანი. ამით სარგებლობს რელიგია. იგი ეუბნება შეძრწუნებულ ადამიანს: ხსნა მხოლოდ ღმერთშია, იგი გიხსნის შენ მომავალი კატასტროფისაგან, ამიტომ იწამე იგი. ცხადია, ეს სიცრუეა, ხალხის მოტყუებაა. მაგრამ სანამ ასეთი კატასტროფის საფრთხე არსებობს, რელიგიური ცრურწმენანი ყოველთვის ნახავს დასაყრდენს და მოიპოვებს გარკვეულ გავლენას. როდის იქნება შესაძლებელი რელიგიის სრული დაძლევა?

რელიგიის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად ყოველ ეპოქას ახასიათებდა: კაპიტალიზმმა ეს ტენდენცია განამტკიცა, რადგან მან მოითხოვა ბუნებისმეტყველების და თავისუფალი აზროვნების განვითარება. ჩამოყალიბდა ათეიზმი. იგი არის მოძღვრება რელიგიის უარყოფის შესახებ. მისი აძოსავალი პრინციპია ზებუნებრივი ძალების, მათ შორის ღმერთის უარყოფა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მატერიალიზმის ბაზაზე, ამიტომ ათეიზმი მატერიალიზმიდან ლოგიკურად გამომდინარეობს. XVIII ს-ის ფრანგი მატერიალისტები (პ. ჰოლბახი, კ. ჰელვეციუსი, დ. დიდრო) ყველაზე თანმიმდევარი ათეისტები იყვნენ

მარქსამდე. მაგრამ მათ ათეიზმს შეზღუდული ხასიათი ჰქონდა — მიაჩნდათ, რომ ხალხის განათლებით, მეცნიერული ცოდნის პროპაგანდით, ეკლესიის დანაშაულებრივი საქმიანობისა და სიცრუის მხილებით შესაძლებელია რელიგიის დაძლევა. ისინი ვერ ხედავდნენ რელიგიის სოციალურ-კლასობრივ საფუძველს.

მარქსიზმმა გამოავლინა რელიგიის სოციალურ-კლასობრივი და გნოსეოლოგიური ფესვები, რითაც ჩამოაყალიბა მეცნიერული ათეიზმი. მან ისტორიის მატერიალისტური გაგების საფუძველზე დაადგინა რელიგიის ნამდვილი არსი და აჩვენა მისი დაძლევის ჭეშმარიტი გზა. კ. მარქსის თანახმად, რელიგია არის ადამიანის გაუცხოების, მისი უკეთესმართი და უბადრუკი ყოფიერების გამოსატულება. იგი უსულგულო სამყაროს გული და სულია. რელიგია თითქოს ნუგეშს და იმედს აძლევს ადამიანს, მაგრამ ეს მოჩვენებითი, ილუზიური იმედი და ნუგეშია. იგი ხალხის მოტყუებაა, ოპიუმია, რომელიც მას ათრობს და ნამდვილი ხსნის ნაცვლად მოჩვენებით გამოსავალს ჰპირდება. იმისათვის, რომ რელიგია დავძლიოთ, საჭიროა არაადამიანური, უკეთესმართი საზოგადოებრივი ურთიერთობების ძირეული გარდაქმნა ნამდვილ ადამიანურ ურთიერთობებად. ანტაგონიზმსა და კლასობრივ ჩაგვრაზე დამყარებული სოციალური ვითარების რადიკალური შეცვლა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარებაზე დაფუძნებული საზოგადოებით — აი ეს არის რელიგიის დაძლევის რეალური გზა. ამ პროცესს დასაბამს აძლევს სოციალიზმი და დასრულებს კომუნისტური საზოგადოება. რელიგიაც საბოლოოდ მხოლოდ მაშინ დაიძლევა.

ფილოსოფიის პარტიულობა. ჯერ ზოგადად გავარკვიოთ, თუ რას ნიშნავს ცნებები: „პარტიულობა“ და „მეცნიერული ობიექტურობა“.

პარტიულობა ნიშნავს კლასის ან სოციალური ჯგუფის ინტერესების გამოხატვას და დაცვას. იგი გულისხმობს გარკვეულ პოზიციაზე დგომას, ამ პოზიციის შესატყვისი ხაზის თანმიმდევრულ გატარებას და მისი თვალთახედვით ყველა დანარჩენი მოვლენის შეფასებას. ე. ი. პ ა რ ტ ი უ ლ ობ ა ნ ი შ ნ ა ვ ს ტ ე ხ დ ე ხ ც ი ურ ობ ა ს, მ ი კ ე რ ძ ო ე ბ ა ს, კ ლ ა ს ი ს ან ს ო ც ი ა ლ უ რ ი ჯ გ უ ფ ი ს ინ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა შ ე ფ ა ს ე ბ ა ს.

მეცნიერული ობიექტურობა ნიშნავს ჭეშმარიტების დადგენას და მის დაცვას. იგი მოითხოვს მოვლენათა შეფასებას ობიექტური, ნამდვილად არსებული საგნობრივი ვითარების და არა ვინმეს ინტერესების მიხედვით. **მეცნიერული ობიექტურობა გულისხმობს მიუკერძოებლობას, მიუმხრობლობას, ე. ი. არა კლასობრივი ინტერესების, არამედ ჭეშმარიტების მიხედვით სინამდვილის ასახვას.**

ამგვარად, პარტიულობა ნიშნავს ვინმეს ინტერესების დაცვას, მიკერძოებას და ტენდენციურობას, ხოლო მეცნიერული ობიექტურობა — ჭეშმარიტების დადგენას, მიუმხრობლობას და მიუკერძოებლობას. კანონიერად დგება საკითხი: ხომ არ გამორიცხავენ ისინი ერთმანეთს? შეიძლება კი საერთოდ მათი შეთავსება?

ამ კითხვას არ შეიძლება ერთმნიშვნელოვანი პასუხი გაეცეს. იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კლასის ან სოციალური ჯგუფის პარტიულობას ეხება საქმე. თუ კლასი (სოციალური ჯგუფი) მოწინავე და პროგრესულია, მაშინ მისი პარტიულობა არ ეწინააღმდეგება მეცნიერულ ობიექტურობას. ეს ხდება იმიტომ, რომ ამ კლასის ინტერესები ემთხვევა საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას. პროგრესული კლასი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია, მის ინტერესებში შედის, რომ მან სწორად, ადეკვატურად ასახოს ობიექტური ვითარება, ე. ი. დაადგინოს და დაიცვას ჭეშმარიტება. მოწინავე კლასის ინტერესები აუცილებლობით მოითხოვს ჭეშმარიტების დაცვას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ განახორციელებს თავის მიზნებს. ამის გამო **პროგრესული კლასის (სოციალური ჯგუფის) პარტიულობა და მეცნიერული ობიექტურობა** ემთხვევა ერთმანეთს.

სულ სხვაგვარად გადაწყდება აღნიშნული საკითხი რეაქციული, ჩამორჩენილი კლასის მიმართ. მისი ინტერესები ეწინააღმდეგება საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას, რადგან იგი მას განადგურებით ემუქრება. თუკი რეაქციული კლასი ობიექტურ ვითარებას სწორად შეიმეცნებს და მიიღებს, მაშინ მან ნებაყოფლობით უნდა დათმოს თავისი პოზიციები და მარცხი განიცადოს. რა თქმა უნდა, ეს მის ინტერესებში არ შედის. იგი

გააფთრებით იბრძვის საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერების წინააღმდეგ, რადგან ამას აუცილებლობით მოითხოვს მისი ინტერესები. ასეთი კლასი უკვე აღარ არის დაინტერესებული, მის ინტერესებში არ შედის, მას აღარ აწყობს ჭეშმარიტების დადგენა და დაცვა, პირიქით, იგი უკვე დაინტერესებულია დაამახინჯოს ობიექტური ვითარება, გააყალბოს ჭეშმარიტება, რათა თავიდან აიცდინოს მარცხი და გაიხანგრძლივოს თავისი არსებობა. ისტორიის მიერ დასაღუპავად განწირული კლასის სასიცოცხლო ინტერესები გარდაუვალობით მოითხოვს ჭეშმარიტების, შეცნიერული ობიექტურობის უარყოფას. ამის გამო რეაქციული კლასის პარტიულობა აუცილებლობით გამორიცხავს მეცნიერულ ობიექტურობას.

ფილოსოფია პარტიულია, რადგან იგი მსოფლმხედველობას წარმოადგენს. მისი პარტიულობა ნიშნავს ორი საპირისპირო მიმართულებიდან ერთ-ერთის შეგნებულ და თანმიმდევრულ დაცვას — მატერიალიზმის ან იდეალიზმის პოზიციაზე დგომას და მის განუხრელ გატარებას. მატერიალიზმი მეცნიერული მსოფლმხედველობის გამოხატულებაა, ამიტომ იგი პროგრესული კლასის იდეოლოგიის თეორიული საფუძველია. იდეალიზმი არამეცნიერული მსოფლმხედველობის გამოხატულებაა, ამიტომ იგი რეაქციული კლასის იდეოლოგიის თეორიული საფუძველია.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია მუშათა კლასის იდეოლოგიის — მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლმხედველობრივი და მეთოდოლოგიური საფუძველია. მუშათა კლასი რევოლუციური, პროგრესული კლასია, რომელიც დაინტერესებულია საზოგადოების გარდაქმნით. მისი სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს კლასობრივი ექსპლოატატორული საზოგადოების მოსპობას და ექსპლოატაციისაგან თავისუფალი — უკლასო საზოგადოების აშენებას. ეს სავსებით და მთლიანად შეესაბამება საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას. ამის გამო მუშათა კლასი დაინტერესებულია დაადგინოს და დაიცვას ჭეშმარიტება. მას აწყობს, მის ინტერესებში შედის შეიმუშაოს სინამდვილის ჭეშმარიტი, მეცნიერული სურათი, რადგან მხოლოდ მისი მეშვეობით შეძლებს იგი თავისი მიზნების განხორციელებას. ამიტომ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პარტიულობა არა

თუ არ გამორიცხავს, არამედ პირიქით — ემთხვევა მეცნიერულ ობიექტურობას. სწორედ ამას გულისხმობს მისი პარტიულობისა და მეცნიერული ობიექტურობის ერთიანობა.

თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზოგიერთი წარმომადგენელი უარყოფს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პარტიულობისა და მეცნიერული ობიექტურობის ერთიანობას. მათი აზრით მარქსისტული ფილოსოფია პარტიულია და ამიტომ შეუძლებელია იგი მეცნიერულიც იყოს, რადგან პარტიულობა და მეცნიერულობა მათ საზოგადოდ შეუთავსებლად მიაჩნიათ. ამგვარ შეხედულებათა შეცდომის ძირი ისაა, რომ ისინი ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან პროგრესული და რეაქციული კლასის პარტიულობას. ბურჟუაზია, რომელიც ისტორიის მიერ დასაღუპავად განწირული კლასია, არ შეიძლება მეცნიერული იდეოლოგიის მომხრე იყოს, რადგან იგი ეწინააღმდეგება მის სასიცოცხლო ინტერესებს. ასეთი რამ მას უბრალოდ არ აწყობს. მუშათა კლასი, რომელიც ისტორიული პროცესის ობიექტურ მსვლელობას გამოხატავს, დაინტერესებულია მეცნიერული იდეოლოგიის ჩამოყალიბებით. ეს მისთვის ხელსაყრელია, რადგან სწორედ ასეთი იდეოლოგია შეესაბამება მის სასიცოცხლო ინტერესებს. ამის გამო მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც მოწინავე, რევოლუციური მუშათა კლასის იდეოლოგიაა, ერთსა და იმავე დროს პარტიულიცაა და მეცნიერულიც.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ მარქსიზმი ყოვლად ძლიერია იმის გამო, რომ იგი სწორია, ჭეშმარიტია. მხოლოდ მეცნიერული ობიექტურობის განუხრელი გატარებით შეუძლია მარქსიზმ-ლენინიზმს, გამოხატოს და დაიცვას მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესები. სწორედ მეცნიერული ხასიათი აძლევს მას საშუალებას, იყოს პროლეტარიატის სულიერი იარაღი.

მატერია, მისი არსებობის წესი და ფორმები

მატერია მატერიალიზმის ძირითადი ცნებაა. მისი არსებობის წესია მოძრაობა, ხოლო არსებობის ძირითადი ფორმები — სივრცე და დრო. დავახასიათოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

მატერია. პირველი, რაც თვალში საცემია გარემომცველი სამყა-

როს აღქმისას, ეს არის მისი თვისებრივი მრავალფეროვნება. ბუნების საგნები და მოვლენები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. არაცოცხალი ბუნება (მზე, პლანეტები, მთვარე, ვარსკვლავები, მიწა, წყალი, ჰაერი და ა. შ.), ცოცხალი ბუნება (მცენარეთა და ცხოველთა უამრავი სახეობა) და საზოგადოება (ადამიანთა მოღვაწეობის შედეგად შექმნილი მოვლენები და ურთიერთობები) ერთმანეთისაგან განსხვავდებიან უამრავი თვისებით. ბუნების საგნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ა. შ. თვისებებით. რომ ავიღოთ საგანთა ერთი რომელიმე სახე, ვთქვათ ქვა, ყოველი მისი ცალკეული ნიმუში განსხვავდება მეორისაგან სიდიდით, მოყვანილობით, სიმყარით და ა. შ. განმასხვავებელ თვისებებთან ერთად მოვლენებს საერთო, გამაერთიანებელი თვისებებიც აქვთ. არსებობს თვისებები, რომლებიც გარემომცველი სამყაროს ყველა საგანს ერთ კლასად გააერთიანებს. ეს არის ის, რომ ისინი არსებობენ ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. ობიექტურად. საგანთა და მოვლენათა ამ თვისებას გამოხატავს ფილოსოფიური ცნება (კატეგორია) — მატერია.

რა არის მატერია? ვ. ი. ლენინის განსაზღვრებით, მ ა ტ ე რ ი ა. ა რ ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ა ი მ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი რ ე ა ლ ო ბ ი ს ა ღ ს ა ნ ი შ ნ ა ვ ა დ, რ ო მ ე ლ ი ც ა რ ს ე ბ ო ბ ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს ა გ ა ნ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ დ ა ა დ ა მ ი ა ხ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ი ს ო რ გ ა ნ ო ე ბ ზ ე ზ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი წ ვ ე ვ ს შ ე გ რ ძ ნ ე ბ ებ ს, რ ო მ ლ ე ბ ი ც მ ა ს ა ს ა ხ ა ვ ე ნ. მატერიის ცნება განისაზღვრება სამი ნიშნის მიხედვით: პირველი — ეს არის ობიექტურად, ე. ი. ადამიანის ცნობიერების გარეთ, მისგან დამოუკიდებლად არსებობა. ეს ნიშანი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია მატერიის ცნების განსაზღვრებისათვის. საქმე ისაა, რომ ობიექტური იდეალიზმიც აღიარებს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ რეალობას, მაგრამ მის საფუძვლად მიაჩნია ობიექტური იდეა, რომელიც ზეგრძნობადია; ობიექტურ იდეალიზმს რომ გავემიჯნოთ, საჭიროა მატერიის ცნებას დავუმატოთ მეორე ნიშანი, რომ იგი ისეთ ობიექტურ რეალობას აღნიშნავს, რომელსაც აქვს გრძნობადი ხასიათი. მხოლოდ ისაა მატერიალური, რასაც შეუძლია ადა-

ადამიანის გრძნობის ორგანოებზე ზემოქმედება და შეგრძნებების გამოწვევა. ეს შეიძლება იყოს უშუალო ან გაშუალებული. უშუალოა, როდესაც ადამიანი საგნებს ხედავს, ხელით ეხება, ისმენს ხმაურს, ყნოსავს სუნს და ა. შ.; გაშუალებულია, როდესაც ადამიანი ამას ახერხებს სათანადო ხელსაწყოს გამოყენებით, მაგრამ აუცილებელია, ადამიანს მატერიალური საგანი რაღაცნაირად ეძლეოდეს შეგრძნების მეშვეობით; მესამე ნიშანი გულისხმობს მატერიის შემეცნების შესაძლებლობას. ეს ისეთი რეალობაა, რომელიც პრინციპულად შემეცნებადია. ამის საფუძველია ის, რომ მას მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს შეგრძნებები. ამგვარად, მატერიაა ყველაფერი, რაც ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. ობიექტურად არსებობს, გრძნობად-აღქმადი და შემეცნებადია.

თვით მატერიის ცნებამ ფილოსოფიის ისტორიაში განიცადა ცვლილება. თავდაპირველად იგი გაიგივებული იყო ნივთიერებასთან. არისტოტელეს თანახმად, მატერია არის ის მასალა, რისგანაც საგანი შედგება. მაგალითად, სახლის მატერიაა ის მასალა (აგურები, ხე და ა. შ.), რისგანაც იგი აშენებულია. შემდეგ მატერია გაუგივდა ბუნებას. მატერია გაგებულ იქნა როგორც ბუნების საგანთა ერთობლიობა, რადგან მათ ნივთიერი ხასიათი აქვთ. მატერიალური ნიშნავდა ნივთიერს, მატერია კი ნივთების ერთობლიობას. ასე იყო ძირითადად გაგებული მატერიის ცნება XVII—XVIII სს. მექანისტურ-მეტაფიზიკურ მატერიალიზმში.

მარქსიზმმა გააფართოვა მატერიის ცნება. იგი აღნიშნავს ყველაფერს, რაც ობიექტურად არსებობს და გრძნობადია. ეს იქნება ნივთიერება თუ არა — ამას მნიშვნელობა არა აქვს. ყოველი საგანი, რომელიც ადამიანის ცნობიერების გარეთ არსებობს, იმისდა მიუხედავად, რა კონკრეტული სახე აქვს მას—ნივთიერი თუ არანივთიერი — მატერიალურია. კლასიკურ ფიზიკას მხოლოდ ნივთიერ საგნებთან ჰქონდა საქმე. თანამედროვე ფიზიკამ აღმოაჩინა ისეთ მოვლენათა სახე, რომელიც არ არის ნივთიერი, მაგალითად, ელექტრო-მაგნიტური ველი (სინათლე). ასე რომ, ფიზიკური რეალობის მთლიანად დაყვანა ნივთიერებაზე არ შეიძლება. მატერია კი უფრო ფართოა, ვიდრე ფიზიკური რეალობა. მის გარდა იგი მოიცავს ქიმიურ, ბიოლოგიურ და ზოგიერთ სოციალურ მოვლენასაც კი. არსებობს სოციალური მატერია საზოგადოებრივი ყოფიერე-

ბის სახით. მაშასადამე, მატერია აერთიანებს ყველაფერს, რაც ადამიანის ცნობიერების გარეთ არსებობს, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა კონკრეტული სახე და თვისებები აქვს მას.

ახლა ყურადღება მივაქციოთ მატერიის ცნების განსაზღვრების თავისებურებას. მეცნიერების ცნებათა განსაზღვრების წესი ასეთია: უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის მიხედვით, მაგალითად, გეომეტრიაში კვადრატის ცნება განისაზღვრება ასე: კვადრატი არის სწორკუთხედი, რომლის ყველა გვერდი ერთმანეთის ტოლია. ამ შემთხვევაში სწორკუთხედის ცნება უფრო ზოგადია, ვიდრე კვადრატის ცნება, რადგან პირველი მოიცავს მეორეს. სწორკუთხედი უახლოესი გვარია, კვადრატი კი მისი სახე. სწორკუთხედი კვადრატის გარდა სხვა ტიპის სწორკუთხედებსაც მოიცავს. იმისათვის, რომ კვადრატი მათგან გავმიჯნოთ, ვუმატებთ განმასხვავებელ ნიშანს, რომ ეს ისეთი სწორკუთხედია, რომლის ყველა გვერდი ერთმანეთის ტოლია. მოცემულ შემთხვევაში ნიშანი — „ყველა გვერდი ერთმანეთის ტოლია" — კვადრატის როგორც გარკვეული სახეობის სპეციფიკური ნიშანია. მაშასადამე, კვადრატი განისაზღვრება გვარობითი ცნების (სწორკუთხედი) და სახეობითი, ე. ი. სპეციფიკური ნიშნის („ყველა გვერდი ერთმანეთის ტოლია") მეშვეობით.

შეიძლება თუ არა ფილოსოფიურ ცნებათა განსაზღვრება აღნიშნული წესით? არა, არ შეიძლება. საქმე ისაა, რომ ფილოსოფიური ცნებები უზოგადესი ცნებებია. მათზე უფრო ზოგადი ცნება, რომელიც მათთვის გვარობითი, ე. ი. მათი მომცველი იქნებოდა, არ არსებობს. ამიტომ ფილოსოფიურ ცნებათა განსაზღვრება უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის მიხედვით შეუძლებელია. ეს ვრცელდება მატერიის ცნებაზეც. რადგან იგი ფილოსოფიური ცნებაა. ფილოსოფიური ცნება განისაზღვრება მისადმი დაპირისპირებულ ცნებასთან მიმართებაში. მატერიის საპირისპირო ცნებაა ცნობიერება. მატერიაა ყველაფერი, რაც ცნობიერება არ არის. ისინი ურთიერთგამომრიცხველი ცნებებია, ამიტომ მათ მიმართ არ შეიძლება ვთქვათ, რომელი მათგანი უფრო ფართოა. მატერია არ არის ცნობიერებაზე უფრო ფართო, რადგან იგი მას არ მოიცავს, და პირიქით. ამიტომ მატერიის ცნება განისაზღვრება მისი საპირისპირო ცნების — ცნობიერების, და არა რომელიმე

გვარობითი ცნების, მეშვეობით, ესაა მატერიის ცნების განსაზღვრების თავისებურება.

მატერიის ფილოსოფიური გაგება უნდა განვასხვავოთ მატერიის შესახებ საბუნებისმეტყველო წარმოდგენებისაგან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, უპირველეს ყოვლისა ფიზიკა, სწავლობს მატერიას მისი აღნაგობის, სტრუქტურის მხრივ — რა უმარტივესი ნაწილაკებისაგან შედგება იგი, რა კონკრეტული თვისებები ახასიათებს მას, როგორია მისი გამოვლენის კონკრეტული ფორმები და ა. შ. დემოკრიტეს დროიდან XX საუკუნემდე მიჩნეული იყო, რომ უმარტივესი მატერიალური ნაწილაკები ატომებია. ისინი უსტრუქტუროა, არ იყოფა და ის აგურებია, რომელთა მეშვეობით აგებულია მთელი სამყარო. XIX ს-ის ბოლოს გამოირკვა, რომ ატომი რთული ბუნებისაა, იგი შედგება უფრო ელემენტარული ნაწილაკებისაგან. პირველი ასეთი ნაწილაკი აღმოჩენილ იქნა — ელექტრონი. ფიზიკამ დაადგინა მატერიის ისეთი თვისებები, რომლებიც შეუთავსებელი იყო კლასიკური მექანიკის წარმოდგენებთან. ამას შედეგად მოჰყვა კლასიკურ-მექანიკურ წარმოდგენათა მსხვრევა. წარმოიშვა ფიზიკის კრიზისი, რამაც ზოგიერთი ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი მიიყვანა ფიზიკურ იდეალიზმამდე. ფიზიკური იდეალიზმის საფუძველია ფიზიკის ახალი აღმოჩენების არასწორი ინტერპრეტაცია, ხოლო ძირითადი პრინციპი — დებულება მატერიის გაქრობის შესახებ. ამიტომ ფიზიკური იდეალიზმი ისეთი ფილოსოფიური მოძღვრებაა, რომელიც ფიზიკის ახალი აღმოჩენების არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე ამტკიცებს, რომ მატერია გაქრა. რატომ ამტკიცებენ ფიზიკური იდეალისტები, რომ თითქოს მატერია გაქრა? მათ მსჯელობას საფუძვლად უდევს მატერიის მექანისტურ-მეტაფიზიკური გაგება. მატერია გაიგივებულია ნივთიერებასთან, რომელიც აგებულია ატომებისაგან. მატერიის საბოლოო საზღვარი ატომებია, რომლის იქით უკვე მატერია აღარ არის. როდესაც აღმოჩნდა, რომ მატერიის ქვედა ზღვარი არის არა ატომები, არამედ სხვა ელემენტარული ნაწილაკები, გაკეთდა მცდარი დასკვნა — თითქოს მატერია გაქრა. ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა ფიზიკური იდეალიზმი

და აღნიშნა, რომ გაქრა არა მატერია, არამედ ის საზღვარი, სანამდისაც ჩვენ ვიცოდით მატერია. დღემდე ჩვენ ატომები მიგვაჩნდა ასეთ საზღვრად, დღეს ჩავედით უფრო ღრმად და აღმოვაჩინეთ ელექტრონი, ხვალ კიდევ უფრო ღრმად და ა. შ. ეს ფაქტი მეტყველებს არა მატერიის გაქრობაზე, არამედ ჩვენი წარმოდგენების გაღრმავებაზე მატერიის აღნაგობის შესახებ. ელექტრონიც ისევე მატერიალურია, როგორც ატომი, რადგან ისიც არსებობს ობიექტურად. მატერიის თვისება კი ობიექტურად არსებობაა.

თანამედროვე ფიზიკამ გააღრმავა მატერიის სტრუქტურის შესწავლის საკითხი. აღმოჩენილ იქნა სხვა ელემენტარული ნაწილაკებიც. დღეს მათმა რაოდენობამ 300-ს გადააჭარბა. დადგინდა, რომ არსებობს ნივთიერების ნაწილაკები (ელექტრონი, პოზიტრონი და ა. შ.) და ელეტრომაგნიტური ველის ნაწილაკები (ფოტონები). 30-იან წლებში ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ელექტრონ-პოზიტრონის შეერთება გარდაიქმნება ფოტონებად, და პირიქით. ე. ი. ნივთიერება გადადის ენერგიაში, და პირიქით; ეს უჩვეულო ფაქტია, რადგან აქამდე ცნობილი იყო ნივთიერების ერთი ფორმის ისევ ნივთიერების მეორე ფორმად ან ენერგიის ერთი ფორმის ისევ ენერგიის მეორე ფორმად გარდაქმნა. მაგრამ ნივთიერების გარდაქმნა ენერგიად, და პირიქით — ეს უცნობი იყო. ფიზიკურმა იდეალისტებმა ისევ დაიწყეს მსჯელობა მატერიის გაქრობის შესახებ. ნივთიერება (მატერია) გადადის არანივთიერებაში (არამატერიაში). ამ მსჯელობასაც საფუძვლად უდევს მატერიის მექანისტურ-მეტაფიზიკური გაგება, რომლის მიხედვით მატერია გაიგივებულია ნივთიერებასთან. სინამდვილეში კი მატერია მოიცავს ნივთიერებასაც და ენერგიასაც, რადგან ორივე ობიექტური რეალობაა. ისინი მატერიის სხვადასხვა ფორმაა. ამიტომ სწორი იქნება, თუ ვიმსჯელებთ ასე: მატერიის ერთი ფორმა (ნივთიერება) გადადის მის მეორე ფორმაში (ენერგიაში).

დიალექტიკური მატერიალიზმი ამტკიცებს მატერიის კონკრეტულ ფორმათა მრავალგვარობას. ხვალ მეცნიერება სულ ახალ-ახალ, დღემდე უცნობ ფორმებს აღმოაჩენს. მაგრამ ურყევი დარჩება ის ფაქტი, რომ ისინი ობიექტური რეალობის, ე. ი. მატერიის ფორმებია.

მაშასადამე, მატერია და ბუნება არ ემთხვევა ერთმანეთს. ბუნება მატერიის ძირითადი ნაწილია, მაგრამ მატერია მასზე უფრო ფართოა, რადგან მოიცავს აგრეთვე საზოგადოებრივ ყოფიერებასაც. არც მატერია და სინამდვილე ემთხვევა ერთმანეთს. სინამდვილე ორგვარია — ობიექტური და სუბიექტური. ცნობიერებაც სინამდვილეა, რადგან იგი არსებობს, მაგრამ იგი სუბიექტური სინამდვილეა. ამიტომ მატერია არის არა მთელი სინამდვილე, არამედ მხოლოდ მისი ძირითადი, განმსაზღვრელი, მაგრამ მაინც ნაწილი, კერძოდ ობიექტური სინამდვილე. მატერია და ობიექტური სინამდვილე ერთი და იგივეა. ასევე ერთმანეთს ემთხვევა მატერია და ყოფიერება—როდესაც ყოფიერება გაგებულია როგორც პირველადი, რომელიც განსაზღვრავს ცნობიერებას, მასში იგულისხმება მატერია. ამგვარად, ცნებები: მატერია, ობიექტური რეალობა და ყოფიერება იგივეობრივი მნიშვნელობით იხმარება.

მოძრაობა. მოძრაობა არის მატერიის არსებობის შინაგანი წესი. იგი არა მარტო აუცილებელია, არამედ არსებითიცაა მატერიისათვის. ეს ნიშნავს, რომ მატერია არ არსებობს მოძრაობის გარეშე და მოძრაობაში ვლინდება მისი არსება, შინაგანი ბუნება. მეცნიერება მატერიას შეისწავლის მოძრაობის შესწავლის საშუალებით. მეცნიერებანი განსხვავდებიან იმით, რომ მატერიის მოძრაობის განსხვავებულ ფორმებს სწავლობენ.

მოძრაობის გარეშე არ არსებობს არც ერთი მატერიალური საგანი. დაწყებული ელემენტარული ნაწილაკებიდან დამთავრებული გიგანტური მატერიალური სისტემებით (ვარსკვლავები, გალაქტიკა, მეტაგალაქტიკები) — ისინი მუდმივ მოძრაობაშია. ამ აზრით მოძრაობა აბსოლუტურია. არსებობს თუ არა უძრაობა? რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ იგი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ა. ეს ნიშნავს, რომ რომელიმე მატერიალური საგანი უძრავია რაღაც სხვა საგნის მიმართ, მაგრამ მასთან ერთად მოძრაობს. მაგალითად, მთა უძრავია დედამიწის მიმართ, მაგრამ მასთან ერთად ისიც მოძრაობს. მოძრობაში იგულისხმება საერთოდ ყოველგვარი ცვალებადობა. მოძრაობა არის ნებისმიერი ტიპის ცვალებადობა სინამდვილის რომელ სფეროშიც არ უნდა ხდებოდეს, როგორი ხასიათის და მიმართულებისაც არ უნდა იყოს იგი. ცვლილებები არაცოცხალ ბუ-

ნებაში, ცოცხალ ორგანიზმებში და საზოგადოებაში — ყველაფერი ეს შეადგენს მოძრაობის შინაარსს. ამიტომ მ ო ძ რ ა ო ბ ა ფ ა რ თ ო ც ნ ე ბ ა ა, რ ო მ ე ლ ი ც მ ო ი ც ა ვ ს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ც ვ ა ლ ე ბ ა დ ო ბ ა ს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ს ფ ე რ ო შ ი.

განასხვავებენ მოძრაობის შემდეგ ძირითად ფორმებს: მექანიკურს, ფიზიკურს, ქიმიურს, ბიოლოგიურს და სოციალურს. მექანიკური მოძრაობაა ადგილ-გადანაცვლება სივრცეში, როდესაც სხეული იცვლის თავის ადგილს და გადადის სხვა ადგილზე; ფიზიკური მოძრაობაა ბუნებაში მიმდინარე პროცესები, რომელთა შედეგი არ არის ნივთიერებათა ურთიერთგარდაქმნა (სითბური, ოპტიკური, ელექტრული, მაგნიტური, ბირთვული და ა. შ.); ქიმიური მოძრაობაა ცვლილებები ბუნებაში, რომლის შედეგია ნივთიერებათა ურთიერთგარდაქმნა. რომ განვასხვავოთ ქიმიური მოძრაობა ფიზიკურისაგან, მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: წყალი გაციების შედეგად გადაიქცევა ყინულად, ან ადუღების შედეგად — ორთქლად. ეს ფიზიკური მოძრაობაა, რადგან წყალი როგორც ნივთიერება არ იცვლება. წყალი უცვლელი რჩება, იცვლება მხოლოდ მისი აგრეგატული მდგომარეობა. ქიმიური მოძრაობაა, როდესაც ერთი ნივთიერება შეიცვლება და გარდაიქმნება მეორე ნივთიერებად. მაგალითად, რკინა დაიჟანგა, ეს ნიშნავს, რომ რკინა როგორც ერთი ნივთიერება გარდაიქნა სხვა ნივთიერებად — რკინის ჟანგად. ბიოლოგიურ მოძრაობას მიეკუთვნება ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ცვლილებები. მისთვის დამახასიათებელია: მიზანშეწონილობა, შეგუება გარემოსადმი, მემკვიდრეობითობა, დაბადება, ზრდა, სიკვდილი, თვითმართვა და სხვა. სოციალურ მოძრაობას მიეკუთვნება საზოგადოების სფეროში მიმდინარე ცვლილებები. ეს არის ადამიანთა აქტიური, ცნობიერი, მიზანდასახული მოღვაწეობა.

როგორი დამოკიდებულებაა მოძრაობის ძირითად ფორმებს შორის? ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სირთულის მხრივ: ყველაზე მარტივია მექანიკური, ხოლო ყველაზე რთული — სოციალური მოძრაობა. მოძრაობის ყოველი მომდევნო ფორმა უფრო მაღალია, ვიდრე წინა, რადგან იგი მას შეიცავს, როგორც მომენტს,

მაგრამ არა პირიქით, მაგალითად, ბიოლოგიური მოძრაობა შეიცავს მოძრაობის წინა ფორმებს — მექანიკურს, ფიზიკურს და ქიმიურს. ცოცხალი ორგანიზმი გადაადგილდება სივრცეში, მასში მიმდინარეობს ფიზიკური და ქიმიური ცვლილებები. ანალოგიურად სოციალური მოძრაობა მომენტის სახით შეიცავს მოძრაობის წინა ფორმებს, მაგრამ იგი არც ერთ წინა მოძრაობის ფორმაში არ შედის მომენტის სახით. ეს ნიშნავს, რომ მოძრაობის ყოველ ფორმას თავისი სპეციფიკა, თავისებურება აქვს, რომელიც არ დაიყვანება მოძრაობის წინა ფორმაზე და მისი საშუალებით არ აიხსნება. სოციალური მოძრაობა არ დაიყვანება ბიოლოგიურზე, ბიოლოგიური — ქიმიურზე, ქიმიური — ფიზიკურზე და ფიზიკური მექანიკურზე. თუმცა ეს ფაქტი არ გაძორიცხავს მათ შორის ურთიერთკავშირს და ურთიერთგავლენას. სოციალური მოძრაობა არ დაიყვანება ბიოლოგიურზე, მაგრამ ბიოლოგიური მასზე გავლენას ახდენს. სოციალური მოძრაობის მატარებელი ადამიანი ცოცხალი არსებაა და ექვემდებარება ბიოლოგიურ კანონზომიერებას (იბადება, ბერდება, კვდება და ა. შ.). ცხადია, ბიოლოგიური კანონზომიერება ვერ აგვიხსნის სოციალურ მოძრაობას, მას საკუთარი კანონზომიერება აქვს, მაგრამ იგი აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს სოციალური ცვლილებების ახსნისას.

ფილოსოფიის ისტორიაში ადგილი ჰქონდა მცდელობას, რომლის მიზანი იყო მოძრაობის მაღალი ფორმების დაყვანა უფრო დაბალზე. ამის ნიმუშია მექანისტური მატერიალიზმი, რომელსაც მოძრაობის ყველა ფორმა დაყავს მექანიკურზე. არსებობდა ბიოლოგისტური მიმართულება სოციოლოგიაში, რომელიც ცდილობდა სოციალური მოძრაობა დაეყვანა ბიოლოგიურზე. ყოველ ასეთ მცდელობას მექანიციზმი ეწოდება. *მექანიციზმი არის თეორია, რომელიც ამართლებს მოძრაობის მაღალი ფორმების დაყვანას დაბალზე.* აქ იგულისხმება მოძრაობის უფრო მაღალი ფორმის ნებისმიერ დაბალ ფორმაზე, მაგრამ არა უსათუოდ მექანიკურზე, დაყვანა. ამიტომ მექანიციზმი არ ემთხვევა მექანისტურ მატერიალიზმს. იგი უფრო ფართო აზრით იხმარება და აღნიშნავს ყოველ მცდელობას, რომლის მიზანია, მოძრაობის მაღალი ფორმა დაიყვანოს მოძრაობის

ნებისმიერ დაბალ ფორმაზე, მაგალითად, სოციალური — ბიოლოგიურზე.

მექანიციზმი მცდარი მოძღვრებაა, რადგან ეწინააღმდეგება მეცნიერების მონაცემებს. მოძრაობის ყოველ ფორმას თავისი სპეციფიკა აქვს. იგი ექვემდებარება საკუთარ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ კანონზომიერებას. ამიტომ მოძრაობის რომელიმე ფორმის დაყვანა უფრო დაბალზე შეუძლებელი და გაუმართლებელია.

სივრცე და დრო. სივრცე და დრო მატერიის არსებობის, ყოფიერების აუცილებელი ფორმებია. ეს ნიშნავს, რომ არც ერთი მატერიალური საგანი არ არსებობს მათ გარეშე. ყოველ საგანს უკავია სადღაც ადგილი სივრცეში და არსებობს გარკვეული დროის განმავლობაში.

სივრცის ფილოსოფიური კატეგორია გულისხმობს მატერიალურ საგანთა არსებობის ორ თავისებურებას: ჯერ ერთი, საგნის განფენილობას. ეს ნიშნავს, რომ საგნის ყოველი ნაწილი ერთიმეორის გვერდით არსებობს. ისინი რომ ერთ წერტილში იყვნენ მოქცეული, მაშინ საგანი განფენილი არ იქნებოდა. ამიტომაა, რომ მატერიალურ საგანს აქვს სამი განზომილება: სიგრძე, სიგანე, და სიმაღლე; მეორე, განსხვავებული საგნები გარკვეული წესრიგით არიან განლაგებული ერთიმეორის მიმართ (ზევით — ქვევით, წინ — უკან, მარჯვნივ — მარცხნივ და ა. შ.). ორივე შემთხვევაში სივრცე გამოხატავს თანაარსებობას, ერთიმეორის გვერდით არსებობას. განსხვავება მხოლოდ იმას ეხება — ეს ერთი და იმავე საგნის ნაწილების თუ სხვადასხვა საგნის თანაარსებობაა. ამიტომ სივრცე განისაზღვრება ასე: *სივრცე არის მატერიალურ საგანთა განფენილობის და ურთიერთგანლაგების წესრიგის ფორმა.*

დროის ფილოსოფიური კატეგორია გულისხმობს მატერიალურ საგანთა არსებობის შემდეგ თავისებურებას: არც ერთი საგანი მარადიული არ არის, ყოველი მათგანი რაღაც მომენტში წარმოიშობა, განაგრძობს არსებობას და შემდეგ ისპობა. ეს ნიშნავს, რომ ყოველი საგნის არსებობას გარკვეული ხანგრძლივობა აქვს. ხანგრძლივობა კი გულისხმობს მომენტების თანმიმდევრობას, ე. ი.

ერთიმეორის შემდეგ არსებობას. ამიტომ დრო განისაზღვრება ასე: დრო არის მატერიალურ საგანთა არსებობის ხანგრძლივობისა და თანმიმდევრობის წესრიგის ფორმა. დრო სამი მომენტისაგან შედგება: წარსული, აწმყო და მომავალი. ყოველთვის არსებობს აწმყო („ახლა"). წარსული და მომავალი არასოდეს ამჟამად, რეალურად მოცემული არ არის. აწმყო გადადის წარსულში და იგი აღარასოდეს არ განმეორდება. მომავალი ჯერ არ განხორციელებულა, იგი ამჟამად არ არსებობს, მაგრამ შეიძლება აწმყოდ იქცეს. რეალურად მხოლოდ აწმყო არსებობს. წარსული არსებობს იმდენად, რამდენადაც ოდესღაც იყო აწმყო, ხოლო მომავალი იმდენად, რამდენადაც შეიძლება გახდეს აწმყო.

დროის მომენტები ერთდროულად არასოდეს არ არსებობს. დრო მიედინება წარსულიდან აწმყოს გავლით მომავლისაკენ, ამიტომ მას აქვს მიმართულება. იგი შეუქცევადი პროცესია. შეუძლებელია, რომ დრო მიედინებოდეს მომავლიდან აწმყოს გავლით წარსულისაკენ. განსხვავებით დროისაგან სივრცეს არა აქვს მიმართულება, ამიტომ იგი შექცევადია.

სივრცე და დრო მატერიის არსებობის ობიექტური ფორმებია, ეს ნიშნავს, რომ ისინი განსაზღვრულია თვით საგანთა სტრუქტურით და არ არიან დამოკიდებულნი ადამიანის ცნობიერებაზე. სუბიექტურ იდეალიზმს დრო და სივრცე მიაჩნია ადამიანის ცნობიერების ფორმებად. თითქოს ადამიანის ცნობირებას აქვს უნარი, მოაწესრიგოს საგნები დროსა და სივრცეში. ის, რომ საგანს სამი განზომილება აქვს, არის არა თვითონ საგნის თვისება, არამედ ჩვენი ცნობიერების უნარი. ჩვენ რომ შეგვეძლოს, ოთხ ან მეტ განზომილებაში დავინახოთ საგანი, მაშინ სამყაროს ექნებოდა სამ განზომილებაზე მეტი; როგორიცაა ჩვენი ცნობიერების სტრუქტურა, ისეთივეა სამყაროც. დრო და სივრცე ცნობიერების მიერ სამყაროს ხედვის უნარებია. სუბიექტური იდეალიზმის ამ შეხედულებას დიალექტიკური მატერიალიზმი უარყოფს ბუნებისმეტყველების მონაცემების საფუძველზე.

ბუნებისმეტყველების განვითარებასთან დაკავშირებით მეცნიერებასა და ფილოსოფიაში არსებობდა ორი კონცეფცია დროისა

და სივრცის შესახებ: პირველი დაკავშირებულია ნიუტონის კლასიკურ მექანიკასთან, მეორე — აინშტაინის ფარდობითობის თეორიასთან. ნიუტონი მიიჩნევდა, რომ დრო და სივრცე ობიექტურია, მაგრამ აბსოლუტური და უცვლელი. ეს ნიშნავს, რომ სხეულის სივრცითი განზომილებანი და დროის მიმდინარეობა ყველგან ერთნაირია. ისინი დამოუკიდებელია სამყაროში მიმდინარე პროცესებისაგან. სამყაროში არსებობს მხოლოდ ის სივრცე, რომელსაც აღწერს ევკლიდეს გეომეტრია. ეს იყო სივრცისა და დროის მატერიალისტური, მაგრამ მეტაფიზიკური კონცეფცია. ბუნებისმეტყველების განვითარებამ თანდათან უარყო იგი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ლობაჩევსკის და რიმანის მიერ შეიქმნა ე. წ. არაევკლიდური გეომეტრიები. მათ გამოიკვლიეს ევკლიდური სივრცისაგან განსხვავებული სივრცეების თავისებურებანი. თუ ევკლიდეს გეომეტრიაში სამკუთხედის კუთხეების ჯამი 180°-ს უდრის, ლობაჩევსკის გეომეტრიაში მასზე ნაკლებია, ხოლო რიმანის გეომეტრიაში — მეტი. შემდგომ დადგინდა, რომ სამყაროში ევკლიდური სივრცის გარდა არსებობს არაევკლიდური სივრცეებიც. ყველაფერი დამოკიდებულია საგანთა სტრუქტურასა და მათი მიმართების მასშტაბებზე. დედამიწის ფარგლებში ძალაშია ევკლიდური სივრცე, ხოლო კოსმოსური მასშტაბით — არაევკლიდური.

XX საუკუნის დასაწყისში აინშტაინმა შექმნა ფარდობითობის თეორია, რომლის მიხედვით დრო და სივრცე არის არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი. ისინი დამოკიდებულია საგანთა სტრუქტურასა და სამყაროში მიმდინარე პროცესებზე. მაგალითად, სხეულის სიჩქარის ზრდასთან ერთად დროის ხანგრძლივობა ნელდება, ხოლო მისი სიგრძე კლებულობს. ეს ნიშნავს, რომ დრო და სივრცე არ არის უცვლელი. მათი თვისებები სხვადასხვა სისტემაში სხვადასხვაგვარია, და ეს ხდება ობიექტურად, ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად.

ფარდობითობის თეორიამ დაადასტურა დიალექტიკური მატერიალიზმის დებულება, რომ სივრცისა და დროის თვისებები დამოკიდებულია მატერიის სტრუქტურაზე.

დრო და სივრცე უსაზღვრო და უსასრულოა. მატერია, სამყარო მარადიულია, მას არა აქვს დასაწყისი და დასასრული დროში,

იგი არ წარმოიშობა და არ მოისპობა. იგი მუდმივია, არსებობდა. არსებობს და იარსებებს. ცალკეული საგნები წარმოიშობა, არსებობს გარკვეული დროის განმავლობაში და შემდეგ მოისპობა, გარდაიქმნება სხვა საგნად. რა გინდ ხანგრძლივად არ უნდა არსებობდეს ესა თუ ის მოვლენა ან მოვლენათა სისტემა, მას მაინც აქვს დასაწყისი და დასასრული, მზის სისტემას აქვს დასაწყისი და ექნება დასასრული; ჩვენს გალაქტიკას აქვს დასაწყისი და ექნება დასასრული, თუნდაც რომ რამდენიმე ათეული მილიარდი წელი გრძელდებოდეს მისი არსებობა. მაგრამ სამყაროს მთლიანად არც დასაწყისი და არც დასასრული აქვს დროში. ასევე სამყარო უსაზღვროა, უკიდეგანოა, მას არც ერთი მიმართულებით არ შეიძლება მოეძებნოს საზღვარი.

ბუნებისმეტყველება უარყოფს რელიგიურ ლეგენდას იმის თაობაზე, თითქოს სამყარო შექმნა ღმერთმა და ამიტომ მას აქვს დასაწყისი, თითქოს სამყარო წარმავალია და ექნება დასასრული. თანამედროვე ეტაპზე რელიგია ცდილობს მოიშველიოს ბუნებისმეტყველების ახალი აღმოჩენები თავისი შეხედულების დასამტკიცებლად. არსებობს ე. წ. გაფართოებადი სამყაროს თეორია. იგი ამოდის იმ ფაქტიდან, რომ გალაქტიკები ერთმანეთისაგან გარბიან და ერთმანეთს შორდებიან. თითქოს ეს ფაქტი მეტყველებდეს სამყაროს გაფართოებაზე. დაახლოებით 20 მილიარდი წლის წინათ მთელი სამყარო მოქცეული იყო სივრცის ძალიან მცირე მონაკვეთში. შემდეგ მოხდა აფეთქება, რის შედეგად სამყარომ დაიწყო გაფართოება და იგი დღესაც ფართოვდება. რელიგია ამ თეორიას იყენებს თავის სასარგებლოდ,—რომ ის ძალა, რომელმაც სამყაროს აფეთქება გამოიწვია, იყო ღმერთი; ხომ არ შეიძლებოდა აფეთქება მომხდარიყო თავისით? — კითხულობენ მისი მომხრეები.

მაგრამ თანამედროვე მეცნიერება უარყოფს აღნიშნულ დასკვნებს: არავითარი აფეთქება არ ყოფილა სამყაროს დასაწყისი. იგი შეიძლება იყოს მისი რომელიმე სისტემის დასაწყისი. ცალკეული საგნები და სისტემები მართლაც წარმოიქმნებიან, არსებობენ, შემდეგ ისპობიან, ადგილი აქვს მათს მუდმივ გარდაქმნასა და ცვალებადობას. მაგრამ სამყარო, როგორც მარადიული, უსასრულო და უსაზღვრო, იყო, არის და დარჩება. ამიტომ აფეთქება უნდა განვი-

ხილოთ როგორც სამყაროს რომელიმე სისტემის ჩამოყალიბებისა და ევოლუციის დასაწყისი.

დასკვნა ურყევია, — მატერია, მოძრაობა, სივრცე და დრო განუყრელ კავშირშია ერთმანეთთან. მოძრაობა, სივრცე და დრო მატერიის არსებობის ობიექტური, აუცილებელი და საყოველთაო ფორმებია.

სამყაროს მატერიალური ერთიანობა. სამყაროს ერთიანობას არ ამტკიცებს ყოველი ფილოსოფიური მიმდინარეობა. არსებობს ფილოსოფიური მოძღვრება დუალიზმი (ლათ. სიტყვა duo — ორი), რომელიც მიიჩნევს, რომ სამყაროს აქვს ორი საწყისი, ორი საფუძველი, ორი სუბსტანცია — მატერიალური და იდეალური. ამიტომ სამყარო ერთიანი კი არა, გაორებულია, დუალიზმის თანახმად, სამყარო ორ საპირისპირო ნაწილადაა გათიშული, რომელთა შორის ერთიანობა გამორიცხულია. ამის გამო დუალიზმის წინაშე დგას არა სამყაროს ერთიანობის, არამედ მისი გაორების დაფუძნების პრობლემა.

რომელი ფილოსოფიური მიმდინარეობის წინაშე დგას სამყაროს ერთიანობის დაფუძნების პრობლემა? მხოლოდ მონიზმის წინაშე. მონიზმი (ბერძნ. სიტყვიდან monos — ერთი, ერთადერთი) არის ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც მიიჩნევს, რომ სამყაროს აქვს ერთი საწყისი, ერთი საფუძველი, ერთი სუბსტანცია. ამიტომ სამყარო თავისი არსის მიხედვით ერთიანია. მაშასადამე, სამყაროს ერთიანობის თეზისის დაფუძნება მხოლოდ მონიზმის წინაშე მდგომი პრობლემაა, წინააღმდეგ დუალიზმისა იგი ამართლებს მას.

მაგრამ მონიზმის ორი სახე — მატერიალიზმი და იდეალიზმი არსებობს. ამიტომ სამყაროს ერთიანობის თეზისს ამტკიცებს ერთიც და მეორეც. ე. ი. არსებობს სამყაროს ერთიანობის მტკიცების მატერიალისტური და იდეალისტური დაფუძნება. რაშია მათი დაპირისპირება? იმაში, რომ ისინი ურთიერთგამომრიცხველი პრინციპების საფუძველზე ამტკიცებენ სამყაროს ერთიანობას: მატერიალიზმის ამოსავალი პრინციპია მატერიის პირველადობის აღიარება—რომ ერთადერთი, რაც დამოუკიდებლად არსებობს არის მატერია, ხოლო ყველაფერი დანარჩენი მისი გამოვლენის ფორმა ან

თვისებაა. მაგალითად, ცნობიერება, რომელიც არამატერიალურია, არსებობს როგორც მატერიალურის, კერძოდ, მაღალორგანიზებული მატერიის — ადამიანის ტვინის თვისება. ეს ნიშნავს, რომ სამყაროს ყოველი მოვლენა — მატერიალურიც და არამატერიალურიც — არის ერთი საფუძვლის, ერთი სუბსტანციის — მატერიის გამოვლენა ან თვისება. ყოველი არსებულის ძირი მატერიაა. ამიტომ იგი სამყაროს მრავალფეროვნების ერთიანობის საფუძველია. ამგვარად, სამყაროს ერთიანობა მის მატერიალურობაში მდგომარეობს — ასეთია სამყაროს ერთიანობის თეზისის მატერიალისტური დაფუძნება.

იდეალიზმი იდეის პირველადობის აღიარების საფუძველზე აფუძნებს სამყაროს ერთიანობას. მას მიაჩნია, რომ სამყაროს მთელი მრავალფეროვნება იდეალური საწყისის გამოვლენაა. ამიტომ სამყაროს ერთიანობა მის იდეალურობაში მდგომარეობს — ასეთია ამ თეზისის იდეალისტური დაფუძნება.

დიურინგი თვლიდა, რომ სამყაროს ერთიანობა მის არსებობაშია, ყოფიერებაშია. ფ. ენგელსმა ნაშრომში — „ანტი-დიურინგი"— გააკრიტიკა აღნიშნული თვალსაზრისი. რატომ? იმიტომ, რომ ეს არ არის სამყაროს ერთიანობის მატერიალისტური თეზისი. მისი გაზიარება შეუძლია იდეალიზმსაც. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება გაგებული ყოფიერების, არსებობის ბუნება. ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ ყოფიერების საკითხი ღია საკითხია მანამ, სანამ არ გაირკვევა, რა ტიპის — მატერიალურ თუ იდეალურ—ყოფიერებას ეხება ბჭობა. სამყარო უნდა არსებობდეს, რომ იგი ერთიანი იყოს; ამიტომ მხოლოდ ამ ფაქტის აღნიშვნა სამყაროს ერთიანობის მატერიალისტური მტკიცების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. მატერიალიზმი ამტკიცებს არა მხოლოდ სამყაროს ერთიანობას, არამედ იმას, რომ ეს ერთიანობა მატერიალურ (და არა სხვა რომელიმე, ვთქვათ იდეალურ,) საწყისს ემყარება. იდეალიზმის საპირისპიროდ იგი ამტკიცებს სამყაროს მატერიალურ (და არა იდეალურ) ერთიანობას. ერთიანობის მატერიალურობის ხაზგასმა — აი ამ მტკიცების ძირითადი შინაარსი.

სამყაროს ერთიანობის დაფუძნება ემყარება არა ჭარტოოდენ ფილოსოფიურ ბჭობას, არამედ მეცნიერების თანდათანობითი და ხანგრძლივი განვითარების პროცესს. საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებანი თავიანთი განვითარების პროცესში თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ამტკიცებენ სამყაროს ერთიანობას. მეცნიერების განვითარების კვალობაზე ამ თეზისის დაფუძნება მომავალშიც გაგრძელდება.

ცნობიერება როგორც მაღალორგანიზებული მატერიის თვისება

ჩვენ დავადგინეთ, რომ სამყაროს საფუძველი მატერიალურია. ყველაფერი, რაც არსებობს, მატერიის გამოვლენის ფორმა ან მისი თვისებაა. ცნობიერება მატერიის თვისებაა, მაგრამ იგი არის არა მთელი მატერიის, არამედ მხოლოდ მაღალორგანიზებული მატერიის, კერძოდ ადამიანის ტვინის, თვისება. მატერიის ხანგრძლივი ევოლუციის პროცესში წარმოიშვა სიცოცხლე. თავის მხრივ სიცოცხლის ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად წარმოიშვა ადამიანის განსაკუთრებული სახეობა — გონიერი ადამიანი (homo sapiens), რომლის ტვინის ფუნქცია არის ცნობიერება.

ცნობიერება არ არის მატერიალური. მას არა აქვს ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებები (წონა, სიდიდე, მიზიდულობა, მასა და ა. შ.). იგი მატერიალური, კერძოდ, ადამიანის თავის ტვინში მიმდინარე ბიოფიზიოლოგიური პროცესების თვისებაა. ცნობიერება თავის ტვინის ნორმალური ფუნქციობის შედეგია. ადამიანის თავის ტვინი მატერიალურია, ცნობიერება კი — არა.

დიალექტიკური მატერიალიზმი უარყოფს ვ უ ლ გ ა რ უ ლ მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ს, რომელსაც ცნობიერება დაყავს ფიზიოლოგიურ პროცესებზე. თითქოს ცნობიერება სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის თავის ტვინში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები. მის წარმომადგენლებს მოაქვთ ასეთი შედარება: ტვინი ისევე გამოყოფს აზრებს, როგორც ღვიძლი ნაღველს ან კუჭი წვენს. ამით მათ იმის ხაზგასმა უნდათ, რომ ცნობიერების შინაარსი არაფრით

არ განსხვავდება ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სხვა ნებისმიერი ფიზიოლოგიური პროცესისაგან.

ცნობიერება არ შედგება ფიზიოლოგიური პროცესებისაგან. იგი მათი ფუნქციობის შედეგია, მაგრამ თავისი შინაარსიც აქვს, რომელიც არამატერიალურია. ცნობიერება არის ფსიქიკურ-იდეალური. ივი ფსიქიკური განცდების ერთობლიობაა, რომელთაც აქვთ იდეალური საზრისი.

ცნობიერება მოიცავს სამი ტიპის ფსიქიკურ განცდებს: 1) ადამიანი გახიცდის საგანს, მისი ყურადღება საგანზეა მიმართული. ეს შემეცნებითი აქტია; 2) ადამიანი განიცდის თავის მდგომარეობას, მისი ყურადღება საკუთარ თავზეა მიმართული. ეს ემოციები და გრძნობებია (აგალითად, სიყვარული და სიძულვილი, მწუხარება და სიხარული); 3) ადამიანი განიცდის თავის აქტივობას, იგი ღებულობს რაღაც გადაწყვეტილებას. ეს ნებისყოფითი აქტია. მაშასადამე, ცნობიერება შემეცნებითი, ემოციური და ნებისყოფითი აქტების ერთობლიობაა.

როგორც ვხედავთ, შემეცნება არ ემთხვევა ცნობიერებას. იგი მხოლოდ მისი ნაწილია; დავახასიათოთ შემეცნებითი აქტები. მათ მიეკუთვნება: შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა და აზროვნება, ამ უკანასკნელს თავის მხრივ სამი ფორმა აქვს — ცნება, მსჯელობა და დასკვნა.

შეგრძნება არის საგნის თვისების უშუალო განცდა; აღქმა კი საგნის უშუალო განცდაა. აღქმა შეგრძნებისაგან განსხვავდება იმით. რომ მას საგნობრიობის განცდა ახლავს. მაგრამ ორივესთვის საერთოა ის, რომ ისინი გარესამყაროს საგნებთან უშუალო კავშირს გამოხატავენ. მათ იწვევს საგნის ზემოქმედება რომელიმე გრძნობის ორგანოზე, ადამიანს ხუთი გრძნობის ორგანო აქვს, შესაბამისად ხუთი ტიპის აღქმა არსებობს: მხედველობის, სმენის, ყნოსვის, შეხების და გემოს. შეგრძნებები და აღქმები აძლევენ ადამიანს ცნობებს გარესამყაროს შესახებ, მათ გარეშე ადამიანი ვერ შეძლებდა მის შემეცნებას.

წარმოდგენა არის ერთხელ აღქმული სურათის აღდგენა მეხსიერების საშუალებით. წარმოდგენა საგნის გაშუალებული გან-

ცდაა, იგი გაშუალებულია აღქმით. ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს მხოლოდ ის, რაც ოდესღაც აღუქვამს.

ცნება აზრის ისეთი ფორმაა, რომელიც ასახავს საგნის არსებით ნიშნებს. საგანს აქვს არსებითი, მისი ბუნების გამომხატველი, ზოგადი და აუცილებელი ნიშნები. მაგრამ ამასთან ერთად აქვს არაარსებითი, ე. ი. შემთხვევითი და ინდივიდუალური ნიშნებიც. ცნება განყენებას, აბსტრაქციას ახდენს არაარსებითი ნიშნებისაგან და საგანს ასახავს მხოლოდ არსებითი ნიშნების მიხედვით. მაგალითად, ცნებას ადამიანის შესახებ გამოხატავს მისი განსაზღვრება, რომ იგი იარაღის მკეთებელი ცხოველია.

მსჯელობა არის აზრის ისეთი ფორმა, რომელიც რაღაცას ამტკიცებს ან უარყოფს, მაგალითად, „დღეს თბილისში წვიმა მოდის“ ან „დღეს თბილისში არ ცივა“.

დასკვნა არის მოცემული მსჯელობებიდან ახალი მსჯელობის გამოყვანა. მსჯელობებს, საიდანაც ახალი მსჯელობა გამოიყვანება, ეწოდება წანამძღვრები. ახალ მსჯელობას, რომელიც წანამძღვრებიდან გამოიყვანება, ეწოდება დანასკვი. მაშასადამე, დასკვნა არის წანამძღვრებიდან დანასკვის გამოყვანა. მაგალითად: თუ ყველა ხე მცენარეა და მუხა ხეა, მაშინ მუხა მცენარეა.

ცნობიერება ობიექტური რეალობის სუბიექტური ასახვაა. შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა გარესამყაროს საგნის უშუალო სუბიექტური სახეა. აზროვნება სინამდვილის გაშუალებული ასახვაა, რადგან იგი გრძნობად მონაცემებზე დაყრდნობით იმეცნებს მას. ამიტომ ცნობიერების შინაარსი არის სინამდვილის უშუალო ან გაშუალებული ასახვა.

რა არის ცნობიერების თავისებურება, სპეციფიკა? რატომ ვამტკიცებთ, რომ იგი ახასიათებს ადამიანს და არა ცხოველს? განა ცხოველი არ იქცევა გონივრულად? კ. მარქსი ადარებდა ფუტკრის ქცევას არქიტექტორის საქმიანობას და აღნიშნავდა: ფუტკარი, რომელიც ფიჭას აშენებს, თავისი სიზუსტით ბევრ არქიტექტორს გააწბილებდა. მაგრამ რითაც ყველაზე ცუდი არქიტექტორი განსხვავდება ფუტკრისაგან, არის ის, რომ იგი ჯერ გაიაზრებს, იდეალურად წარმოიდგენს, გეგმას დასახავს და შემდეგ იწყებს მოქმედებას. ცხოველი მოქმედებს ინსტინქტების საფუძველზე, ადამიანი კი

მიზანდასახულად. საქმის ვითარების გააზრება, მიზნის დასახვა და მის შესაბამისად მოქმედება — აი ცნობიერების თავისებურება. სწორედ ამ უნარსაა მოკლებული ცხოველი.

ცხოველის ქცევა მიზანშეწონილია, ბუნების ევოლუციის პროცესში მას გამოუმუშავდა გარემოსთან შეგუების უნარი. იგი გარემოს ცვლილებებზე ახდენს შესატყვის, ადეკვატურ რეაქციას. და ეს კეთდება შესაშური სიზუსტით და უტყუარად. ცხოველისათვის ეს ბუნებრივი მდგომარეობაა. ამისთვის მას არ სჭირდება საგანგებო მომზადება, ცოდნის შეძენა და ა. შ. იმისათვის, რომ ფუტკარმა თაფლი გააკეთოს, მას არ სჭირდება მეფუტკრეობის ცოდნა. იგი ამას აკეთებს ინსტინქტების საფუძველზე.

განსხვავებით ცხოველისაგან, ადამიანისათვის დამახასიათებელია მიზანდასახული მოქმედება. სანამ ადამიანი რაიმეს გააკეთებდეს, მან იგი უნდა მოიაზროს, გეგმა დაისახოს და შესაბამისად იმოქმედოს. ამისთვის მას სჭირდება სინამდვილის შემეცნება, ცოდნა, რადგან მას სათანადო ინსტინქტები არ გააჩნია. მხოლოდ საგანგებო სწავლითა და ვარჯიშით შეუძლია ადამიანს მიაღწიოს სიზუსტეს და უტყუარობას თავის ქცევაში. ქირურგმა რომ უნაკლოდ ჩაატაროს ოპერაცია, იგი სათანადოდ განსწავლული და დახელოვნებული უნდა იყოს, რისთვისაც ეუფლება მედიცინას და გადის სათანადო პრაქტიკას (ვარჯიშობს). ის, რაც ცხოველისათვის ბუნებრივია, ადამიანისათვის შეძენილია — სწავლითა და შრომით, გარჯით და ოფლის ღვრითაა მოპოვებული. ცნობიერება ინსტინქტების სანაცვლოდ — აი ადამიანის ქცევის მთავარი განმსაზღვრელი მექანიზმი. ადამიანის მოქმედება ემყარება სინამდვილის შემეცნებას და ცოდნას.

ზემოთ ცნობიერება დავახასიათეთ როგორც სინამდვილის ასახვა. მაგრამ ასახვა უფრო ფართო ცნებაა, იგი შეიძლება იყოს არაცნობიერიც. მაგალითად, სარკე და ფოტოგრაფია ასახავს საგნებს. ეს ფიზიკური ასახვაა და აქ ცნობიერება არ გვაქვს. ცნობიერების როგორც ასახვის თავისებურება ისაა, რომ იგი ცოდნის მეშვეობით ასახავს გარესამყაროს. ცნობიერება სამყაროს გაცნობიერების, მისი შემეცნების, მასზე ცოდნის მოპოვების საშუალებაა.

ცნობიერების შინაარსი იდეალურია და არა მატერიალური.

მაგრამ იგი მატერიალურის ასახვაა სუბიექტური სახეების, კერძოდ, შეგრძნებების, აღქმების, წარმოდგენების, ცნებების, მსჯელობების და დასკვნების საშუალებით. კ. მარქსის გასაზღვრებით, იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური ადამიანის თავში გადატანილი და გარდაქმნილი. ცნობიერება თავისი იდეალური სახეების საშუალებით ზუსტად ან არაზუსტად, სწორად ან დამახინჯებულად ასახავს და გამოხატავს სინამდვილის საგნებსა და მათ მიძართებებს.

ამგვარად, ცნობიერება შეიძლება განვსაზღვროთ ასე: ცნობიერება არის მაღალორგანიზებული მატერიის, კერძოდ ადამიანის ტვინის, თვისება, უნარი იმისა, რომ წარმოქმნას იდეალური სახეები და მათი მეშვეობით სწორად ან არასწორად ასახოს სინამდვილე.

კიბერნეტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების შემდეგ გაჩნდა აზრი ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობის შესახებ. თითქოს კიბერნეტიკულ მანქანასაც შეუძლია აზროვნება და დადგება დრო, როდესაც მანქანა მთლიანად შეცვლის ადამიანს. რას ემყარება ეს შეხედულება? ცოცხალი ორგანიზმის თავისებურება ისაა, რომ იგი თვითმართვადი, თვითმარეგულირებელი სისტემაა. ეს ნიშნავს, რომ იგი თვითონ, სიტუაციის მიხედვით წყვეტს მის წინაშე მოულოდნელად წამოჭრილ ამოცანებს. კიბერნეტიკამ შექმნა გამომთვლელი მანქანები, რომლებიც თვითრეგულირებას, თვითმართვას ახდენენ. ამ მანქანებმა მოახდინეს ცნობიერების მრავალი ინტელექტუალური ოპერაციის მოდელირება. მათ შეუძლიათ ანგარიში, მათემატიკური და ლოგიკური ამოცანების ამოხსნა, დამახსოვრება, თარგმნა და ა. შ. გამომთვლელი მანქანების უპირატესობა ადამიანთან შედარებით ისაა, რომ ისინი თავიანთ ოპერაციებს ასრულებენ გაცილებით სწრაფად და უშეცდომოდ, მაგრამ მათ აქვთ არსებითი შეზღუდულობა ადამიანთან შედარებით. მანქანები მოქმედებენ მხოლოდ მიღებული პროგრამის ფარგლებში. მათ არ შეუძლიათ მისგან განსხვავებული, პრინციპულად ახალი რამ გააკეთონ. ე. ი. მანქანებს არ ახასიათებს შემოქმედება. ცნობიერებას კი სწორედ შემოქმედება ახასიათებს. მას

შეუძლია სრულიად ახალი, პრინციპულად განსხვავებული, ძანამდე უცნობი გადაწყვეტილება მიიღებინოს ადამიანს. ადამიანს შეუძლია შექმნას პრინციპულად ახალი თეორია, რომელიც ლოგიკურად არ გამომდინარეობს მის ხელთ არსებული ინფორმაციიდან. იგი ამას აკეთებს შემოქმედების საფუძველზე. ამის გამოა, რომ ადამიანის საქმიანობა პროგრესს აღწევს. ყოველი მომდევნო თაობა უბრალოდ კი არ იმეორებს წინა თაობის შედეგებს, არამედ აუმჯობესებს მათ. მანქანას ცხოველის მსგავსად შეუძლია მხოლოდ გაიმეოროს წინა თაობის შედეგი. იგი მოკლებულია შემოქმედების უნარს, რაც ცნობიერი მოღვაწეობის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია.

ამიტომ მანქანა ვერასოდეს ვერ შეცვლის ადამიანს.

ცნობიერება და მეტყველება (ენა). ცნობიერება მატერიასთან დაკავშირებულია არა მარტო იმით, რომ ტვინის ფუნქციაა, არამედ იმითაც, რომ იგი არ არსებობს მატერიალური გამოხატვის გარეშე. ცნობიერება არ არის თვითმყოფადი, მატერიალურს მოწყვეტილი, მისგან დამოუკიდებელი. იგი არსებობს მატერიალურთან ერთიანობაში. ადამიანის ქცევა, მიმიკა, მეტყველება, ხელოვნურ ნიშანთა სისტემა ცნობიერების გამოხატვის, გამომჟღავნების ფორმებია. მათგან ძირითადია მეტყველება, ენა. კ. მარქსი ენას ცნობიერების უშუალო სინამდვილეს უწოდებდა. ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს აზროვნება ცალკე და მეტყველება ცალკე. ისინი მხოლოდ ერთიანობაში არსებობენ. აზრი იმთავითვე დანაწევრებულია მეტყველებაში. დაუნაწევრებელი, ენობრივად გაუფორმებელი აზრი არ არსებობს.

ცნობიერებასა და ენას შორის დამოკიდებულება არის შინაარსისა და ფორმის დამოკიდებულება; ცნობიერება არის ენის იდეალური შინაარსი, საზრისი, ხოლო მეტყველება მისი მატერიალური გარსი, გამოხატვის ფორმა.

ენას აქვს სამი ძირითადი ფუნქცია: 1) ადამიანებს შორის აზრთა ურთიერთგადაცემის, გაგებინების ფუნქცია—ეს არის კომუნიკაციის ფუნქცია. მეტყველება არის ადამიანებს შორის კომუნიკაციის, აზრთა ურთიერთგაზიარების იარაღი. სწორედ კომუნიკა-

ციის აუცილებლობამ განაპირობა მეტყველების წარმოშობა. შრომის პროცესი ადამიანთა კოლექტიური საქმიანობაა. მის შესასრულებლად აუცილებელი გახდა დაგროვილი გამოცდილების, შეძენილი ცოდნის ურთიერთგადაცემა და გაზიარება; 2) ექსპრესიის ფუნქცია — ეს არის აზრის გამოხატვის, გამოვლენის ფუნქცია: ენობრივი ერთეულები (სიტყვა, წინადადება) გამოხატავს შესაბამის აზრებს. მაგალითად, სიტყვა ან სიტყვათა კავშირი გამოხატავს ცნებას, ხოლო თხრობითი წინადადება — მსჯელობას;

3) აღნიშვნის ფუნქცია: ენობრივი ერთეული არა მარტო გამოხატავს აზრს, არამედ აღნიშნავს შესაბამის საგანს. სიტყვა „მზე" არა მხოლოდ გვაწვდის რაღაც აზრს, არამედ მიუთითებს შესაბამის ობიექტზე. იგი ამავე დროს საგნის ნიშანია, მისი აღნიშვნა და დასახელებაა.

ენა უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოების განვითარებაში. მის გარეშე ადამიანები ვერ შეიძენდნენ, ვერ დააგროვებდნენ და ვერ გადასცემდნენ ცოდნას ერთმანეთს თაობიდან თაობაზე. ენის გარეშე არა მხოლოდ მოცემული კოლექტივის წევრები, არამედ თაობებიც ვერ განახორციელებდნენ კომუნიკაციას. ენა ადამიანის საზოგადოებრივი საქმიანობის აუცილებელი კომპონენტია.

მატერიალისტური დიალექტიკა როგორც მოძღვრება მოვლენათა საყოველთაო კავშირისა და განვითარების შესახებ

დიალექტიკა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში წარმოიშვა. ფ. ენგელსის თანახმად, პირველი ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ბუნებით დიალექტიკოსები იყვნენ, რადგან სამყაროს განიხილავდნენ მთლიანობასა და ურთიერთკავშირში, მუდმივ ცვალებადობასა და მოძრაობაში. ეს იყო ს ტ ი ქ ი უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა, რომლის კლასიკური წარმომადგენელია ჰერაკლიტე. ჰერაკლიტე მიიჩნევს, რომ ყველაფერი მოძრაობს და იცვლება. ეს აზრი მან ხატოვნად გამოთქვა ასე: ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შე-

ხვალ. მოძრაობისა და ცვალებადობის წყაროდ მან აღიარა შინაგანი წინააღმდეგობა.

დიალექტიკა ფილოსოფიური შემეცნების მეთოდად პირველად აღიარა პლატონმა. მას დიალექტიკა მიაჩნდა კამათის, საუბრის, პოლემიკის ხელოვნებად. კამათში ვლინდება აზრთა დაპირისპირებულობა და წინააღმდეგობა, რომელთა მოხსნა-დაძლევით მიიღწევა ჭეშმარიტება. დიალოგი თვითონ ჭეშმარიტებას არ შეიცავს, მაგრამ იგი არის მისი მიღწევის ერთადერთი გზა. ამიტომ ფილოსოფიას მხოლოდ დიალექტიკის მეშვეობით შეუძლია დაადგინოს ჭეშმარიტება. ამგვარად, პლატონმა დიალექტიკა გაიგო როგორც კამათის ხელოვნება. ეს სავსებით შეესაბამება თვითონ სიტყვა „დიალექტიკის" მნიშვნელობას. იგი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დიალოგს, საუბარს.

ახალ ფილოსოფიაში დიალექტიკის გაგება შეიცვალა. იგი გაგებულ იქნა როგორც მოძღვრება სინამდვილის მოვლენათა ურთიერთკავშირისა და განვითარების შესახებ. ამგვარად ჩამოყალიბდა იგი გერმანულ კლასიკურ იდეალიზმში. დასრულებული და საბოლოო სახე მას მისცა ჰეგელმა, მაგრამ ჰეგელის დიალექტიკა იყო იდეალისტური.

ჰეგელის მიხედვით, ყოველივე არსებულის საფუძველი არის აბსოლუტური იდეა, რომელიც განიცდის განვითარებას და განხორციელებას. მთელი სინამდვილე (ბუნება, საზოგადოება) აბსოლუტური იდეის რეალიზაცია და გამოვლენაა. აბსოლუტური იდეის განვითარება არის მის მიერ თავისი თავის შემეცნება. ამიტომ სინამდვილის განვითარების პროცესი აბსოლუტური იდეის თვითშემეცნების, თავისი თავის გაცნობიერების პროცესია. ამ გაცნობიერების ფორმა დიალექტიკაა. ამგვარად, ჰეგელის მიხედვით, დიალექტიკა აბსოლუტური იდეის განვითარების, ე. ი. მის მიერ თვითშემეცნების, თავისი თავის გაცნობიერების საშუალებაა. იგი ფილოსოფიური შემეცნების მეთოდია.

კ. მარქსმა კრიტიკულად გადაამუშავა ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკა, დაძლია მისი ნაკლოვანებანი და პირველად აზროვნების ისტორიაში ჩამოაყალიბა მატერიალისტური დიალექტიკა. იგი არის მოძღვრება სინამდვილის (ბუ-

ნების, საზოგადოების, ცნობიერების) მოვლენათა საყოველთაო კავშირისა და განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ. დიალექტიკა არის აზროვნების ისეთი წესი, მეთოდი, რომელიც სინამდვილის მოვლენებს განიხილავს ურთიერთკავშირსა და განვითარებაში. მისი საპირისპირო მეთოდია მეტაფიზიკა. მეტაფიზიკა არის აზროვნების ისეთი წესი, რომელიც სინამდვილის მოვლენებს განიხილავს ურთიერთკავშირისა და განვითარების გარეშე.

ამგვარად, ჩვენ მოკლედ გავეცანით დიალექტიკის შემდეგ ისტორიულ ფორმებს:

1) სტიქიური დიალექტიკა
2) დიალექტიკა როგორც კამათის ხელოვნება
3) იდეალისტური დიალექტიკა
4) მატერიალისტური დიალექტიკა.

ჩვენი შემდგომი განხილვის ობიექტი იქნება მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონები და კატეგორიები.

რა არის კანონი? უპირველეს ყოვლისა განვსაზღვროთ თვითონ კანონის ცნება. დავადგინოთ, თუ რა ნიშნები ახასიათებს კანონს და რა ტიპის კანონები არსებობს. კანონი გამოხატავს კავშირს მოვლენებს შორის. ცხადია, მოვლენებს შორის (ყოველი კავშირი) არ არის კანონი. რა ნიშნებით ხასიათდება კავშირი, რომელიც კანონია? მას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1) ობიექტურობა — ნიშნავს, რომ კანონი არსებობს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ადამიანმა იცის თუ არ იცის, სურს თუ არ სურს მისი არსებობა, იგი მაინც არსებობს და მოქმედებს. ადამიანს შეუძლია კანონის აღმოჩენა, ზუსტად ჩამოყალიბება დებულების სახით და მისი პრაქტიკული გამოყენება. მაგალითად. ნიუტონმა აღმოაჩინა და ჩამოაყალიბა მიზიდულობის კანონი. მას არ შეუქმნია ეს კანონი, იგი არსებობდა და მოქმედებდა მანამდე. ნიუტონმა მხოლოდ შეიმეცნა იგი. ადამიანს არ შეუძლია შექმნას ან გააუქმოს კანონი. იგი თვით მოვლენების შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს და ამიტომ მათთვის დამახასიათებელია. მოვლენების არსებობა უკვე განაპირობებს მათი შესაბამისი კანონების არსებობას.

2) ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა. ეს ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე პირობებში მოცემული კავშირი ყოველთვის არსებობს. იგი არ არის შემთხვევითი, ე. ი. ხან ხორციელდება, ხან კი არა. კანონი ისეთი კავშირია, რომელიც მუდამ ხორციელდება. იგი არ იცვლება, იცვლება მხოლოდ მისი გამოვლენის ფორმები.

3) შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ს ი მ ყ ა რ ე. კანონის სიმყარე გამომდინარეობს იქიდან, რომ მას აუცილებლობა ახასიათებს. მოვლენები იცვლებიან, იგი კი უცვლელია და ამდენად მყარი. მაგრამ ეს არის არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი სიმყარე. ყოველ კანონს ძალა აქვს გარკვეულ პირობებში, მათ ფარგლებს გარეთ ისინი ძალას კარგავენ. კაპიტალიზმის პირობებში მოქმედებს მისთვის დამახასიათებელი კანონები. სოციალიზმის პირობებში ისინი ძალას კარგავენ და მოქმედებას იწყებენ ახალი, სპეციფიკური კანონები.

4) შ ი ნ ა გ ა ნ ო ბ ა, ა რ ს ე ბ ი თ ო ბ ა. კანონი მოვლენათა შინაგანი ბუნებისათვის, მათი არსებისათვის დამახასიათებელ კავშირებს გამოხატავს. ეს კავშირები არ დევს მოვლენათა ზედაპირზე. მათი უშუალოდ აღქმა-დანახვა, ხელით შეხება არ შეიძლება. ადამიანს მხოლოდ დაძაბული კვლევის, რთული აბსტრაქტული აზროვნების მეშვეობით შეუძლია მათი აღმოჩენა. კანონების შემეცნება და დადგენა მეცნიერების საქმეა. კანონის უშუალოდ დანახვა რომ შეიძლებოდეს, მაშინ მეცნიერება ზედმეტი იქნებოდაო. — აღნიშნავდა კ. მარქსი.

5) ზ ო გ ა დ ო ბ ა. ეს ნიშნავს, რომ კანონი ვრცელდება მოვლენათა სიმრავლეზე. მას ექვემდებარება გარკვეული კლასის ნებისმიერი მოვლენა. მიზიდულობის კანონი განსაზღვრავს არა იმ ინდივიდუალური ქვის, რომელიც მე აი ახლა აქ ზევით ავისროლე, არამედ ნებისმიერი მძიმე სხეულის ვარდნას დედამიწაზე. ყოველი კანონი განსაზღვრავს მოვლენათა სიმრავლეს.

თუ შევაჯამებთ ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს, მაშინ მივიღებთ კანონის შემდეგ განსაზღვრებას: კ ა ნ ო ნ ი ა რ ი ს მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი, ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი, შ ე დ ა რ ე ბ ი თ მ ყ ა რ ი, შ ი ნ ა გ ა ნ ი, ზ ო გ ა დ ი კ ა ვ შ ი რ ი.

ყოველი კანონი ზოგადია, მაგრამ ზოგადობის ხარისხის მიხე-

დვით განასხვავებენ სამი ტიპის კანონებს: კერძოს (სპეციფიკურს), ზოგადს და საყოველთაოს (უნივერსალურს).

კანონი კერძოა, თუ იგი ვრცელდება ერთი თვისებრიობის მქონე მოვლენათა სიმრავლეზე. მაგალითად, ელექტროობის ან სითბოს კანონები. კანონი ზოგადია, თუ იგი ვრცელდება რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოვლენათა კლასზე. მაგალითად, ენერგიის შენახვისა და გარდაქმნის კანონი, რომელიც ბუნების ფუნდამენტური კანონია; მემკვიდრეობითობის კანონები, რომლებიც ყოველ ცოცხალ ორგანიზმს (მცენარეებს, ცხოველებს და ადამიანსაც) ახასიათებს. კანონი უნივერსალურია, თუ იგი ვრცელდება მთელ სინამდვილეზე. ბუნების, საზოგადოების და ცნობიერების მოვლენები ექვემდებარება მას. ასეთია სწორედ დიალექტიკის ძირითადი კანონები.

სამყაროს მოვლენებს ახასიათებს გარკვეული წესრიგი: სისტემატური განმეორებადობა და რეგულარობა. დღე ღამეს ცვლის, წელიწადის დროები ერთმანეთს ცვლიან, ცოცხალ ორგანიზმთა ცალკეული სახეობები თავიანთ მსგავსს წარმოქმნიან და მემკვიდრეობით გადასცემენ გარკვეულ ნიშან-თვისებებს, საზოგადოების განვითარება აღმავალი ხაზით მიმდინარეობს და ა. შ. ყოველივე ეს მეორდება გარდაუვალობით, რაც მიუთითებს, რომ სამყაროში არსებობს კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბ ა. იგი ა რ ი ს მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ი, შ ე ს ა ბ ა მ ი ს ი ც ვ ა ლ ე ბ ა დ ო ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი. კანონზომიერია მოვლენა, რომლის წარმოშობა და ცვალებადობა განსაზღვრულია შესაბამისი კანონებით. კანონების გარეშე სამყარო იქნებოდა არაკანონზომიერი, სადაც გამეფებული იქნებოდა ქაოსი.

დიალექტიკის ძირითადი კანონები

დიალექტიკის ძირითადი კანონები განვითარების კანონებია. ისინი განსაზღვრავენ განვითარების პროცესს. ამ კანონების დასადგენად საჭიროა დავახასიათოთ განვითარების ბუნება.

განვითარება მოძრაობის თავისებური სახეა. ყოველი მოძრაო-

ბა, მაგალითად მექანიკური, არ არის განვითარება. რა ტიპის ცვალებადობა შეიძლება იყოს განვითარება? ცვალებადობა იქნება განვითარება, თუ იგი დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1) უნდა წარმოიშვას ახალი თვისებრიობა. თუ ერთი და იგივე არსებობს, ახალი არაფერი წარმოიშობა, მაშინ განვითარება არ გვექნება. არსებულის მხოლოდ რაოდენობრივი გადიდება და შემცირება, თუ მას არ მოჰყვა თვისებრივად ახლის წარმოშობა, არ არის განვითარება. თვისებრივად ახლის წარმოშობას გვიხსნის რაოდენობრივ ცვლილებათა თვისებრივში გადასვლის კანონი.

2) თვისებრივად ახლის წარმოშობა განვითარების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. ახალი თვისებრიობა არ ნიშნავს, რომ იგი უსათუოდ უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე ძველი თვისებრიობა. მაგალითად, წარმოვიდგინოთ ვითარება, რომ ბირთვული ომის შედეგად განადგურდა ცივილიზაცია. მივიღებთ თვისებრივად ახალ მდგომარეობას, მაგრამ ეს იქნება არა განვითარება, არამედ მისი უარყოფა. ამიტომ ცვალებადობას უნდა ჰქონდეს მიმართულება: დაბალიდან — მაღლისაკენ, მარტივიდან — რთულისაკენ და არა პირიქით. მხოლოდ ისეთი ახალი თვისებრიობის წარმოშობა იქნება განვითარება, რომელიც უფრო მაღალ საფეხურზე დგას. ვიდრე ძველი თვისებრიობა. ცვალებადობის მიმართულებას განსაზღვრავს უარყოფის უარყოფის კანონი.

3) ცვალებადობის მიზეზი, წყარო უნდა იყოს შინაგანი და არა გარეგანი. თუ დაეუშვებთ, რომ გარეგანი ფაქტორები იწვევს განვითარებას, მაშინ მათ თავის მხრივ სხვა გარეგანი ფაქტორები დასჭირდებოდა და ა. შ. უსასრულოდ. განვითარების მეცნიერული ახსნა შესაძლებელია, თუ მას მოეძებნება შინაგანი მიზეზი. ეს არის მოვლენათა შინაგანი წინააღმდეგობა. დაპირისპირება-განვითარების წყაროს გვიხსნის დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი.

მოკლედ განვითარება შეიძლება დავახასიათოთ ასე: განვითარება არის შინაგანი წინააღმდეგობით გამოწვეული თვისებრივი ცვალებადობა, რო-

მელსაც აქვს მიმართულება დაბალიდან მაღლისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ. განვითარების პროცესს განსაზღვრავს ზემოთ დასახელებული სამი კანონი, ამიტომ სწორედ ისინია დიალექტიკის ძირითადი კანონები.

ვ. ი. ლენინი განასხვავებდა განვითარების ორ კონცეფციას — მეტაფიზიკურს და დიალექტიკურს. პირველი კონცეფცია განვითარებას განიხილავს, როგორც მხოლოდ რაოდენობრივ გადიდებას და შემცირებას; ამიტომ უარყოფს თვისებრივად ახლის წარმოშობას; როგორც ერთი და იმავეს განმეორებას, წრებრუნვას, ამიტომ უარყოფს ცვალებადობის ზეაღმავალ ხასიათს; როგორც გარეგანი ძალის ზემოქმედებით განსაზღვრულ პროცესს, ამიტომ უარყოფს განვითარების შინაგან წყაროს. მეორე კონცეფცია განვითარებას განიხილავს როგორც თვისებრივ ცვალებადობას, როგორც ზეაღმავალ პროცესს, სადაც განმეორებას ადგილი აქვს, მაგრამ უფრო მაღალ საფეხურზე, როგორც პროცესს, რომელსაც შინაგანი წინააღმდეგობა და დაპირისპირებულ ტენდენციათა შეჯახება განაპირობებს.

„მოძრაობის პირველი კონცეფციის დროს ჩრდილში რჩება თვით მოძრაობა, მისი მამოძრავებელი ძალა, მისი წყარო, მისი მოტივი (ან ეს წყარო გადაიტანება გარეთ — ღმერთი, სუბიექტი). მეორე კონცეფციის დროს ვითავარი ყურადღება მიპყრობილია სწორედ „თვით“ მოძრაობის წყაროს შემეცნებაზე. პირველი კონცეფცია არის მკვდარი, მკრთალი, მშრალი, მეორე — ცხოველმყოფელი“ (ვ. ი. ლენინი)[1]. განვითარების დიალექტიკური კონცეფცია მეცნიერულია, მეტაფიზიკური — არამეცნიერული.

მოკლედ დავახასიათოთ დიალექტიკის ძირითადი კანონები, რომელთაც აქვთ ობიექტური და უნივერსალური ხასიათი. ისინი მოქმედებენ ბუნების, საზოგადოების და ცნობიერების სფეროში, რადგან განვითარება დამახასიათებელია საერთოდ მთელი სინამდვილისათვის.

რაოდენობრივ ცვლილებათა თვისებრივში გადასვლის კანონი.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 272.

იმისათვის, რომ დიალექტიკის ეს კანონი დავახასიათოთ, საჭიროა განვსაზღვროთ შემდეგი ცნებები: *რაოდენობა, თვისებრიობა, ზომა* და *ნახტომი*. სინამდვილის საგნებს და პროცესებს ახასიათებს გარკვეული სიდიდე, მოცულობა, ხარისხი, ტემპი, სიჩქარე, აჩქარება და ა. შ. საგანთა ამ გარკვეულობას გამოხატავს ფილოსოფიური კატეგორია — რაოდენობა. *რაოდენობა საგნის ისეთი განსაზღვრულობაა, რომელიც გაზომვადია* და *გამოითქმება* რიცხვით. იგი გარკვეულ ფარგლებში გულგრილია საგნის ბუნებისადმი. მოცემულ საზღვრებში, მაგრამ არა საერთოდ საგნისათვის, სულ ერთია, რა სიდიდისაა იგი. მაგიდა მაგიდად რჩება — იგი იქნება მაღალი თუ დაბალი, წონით მსუბუქი თუ მძიმე და ა. შ. ცხადია, რომ ამ გულგრილობას თავისი ფარგლები აქვს, რომლის იქით საგანი თავისებურებას კარგავს. მაგიდა არ შეიძლება უზომოდ დიდი ან პატარა იყოს. ყოველ საგანს აქვს თავისი არსებობის რაოდენობრივი საზღვარი.

ყოველ საგანს აქვს თავისი სპეციფიკა, რომლითაც იგი განსხვავდება ნებისმიერი სხვა საგნისაგან. ქვა არის ქვა და არა სხვა რომელიმე საგანი. ხე არის ხე, და არა სხვა, მაგალითად, ბუჩქი და ა. შ. საგნის იმ განსაზღვრულობას, რომ იგი სწორედ ეს საგანია და არა სხვა, გამოხატავს ფილოსოფიური კატეგორია — *თვისებრიობა*. *თვისებრიობა არის საგნის შინაგანი და მოუცილებელი განსაზღვრულობა, რომელიც მისი ბუნების იგივეობრივია*. თვისებრიობის შეცვლა იწვევს თვითონ საგნის შეცვლას. რომელიმე საგანი შეიცვალა თვისებრივად — ეს ნიშნავს, რომ იგი გარდაიქმნა სხვა საგნად. ბუნების ევოლუციის პროცესში, როდესაც წარმოიშვა სიცოცხლე, რომელიც მანამდე არ არსებობდა, მოხდა თვისებრივი ცვალებადობა. ყოველ საგანს აქვს თავისი არსებობის თვისებრივი საზღვარი, რომლის გარეთ იგი წყვეტს თავის არსებობას და გარდაიქმნება სხვა საგნად.

თვისებრიობა უნდა განვსაზღვროთ თვისებებისაგან. თვისება არის თვისებრიობის გამოვლენა ერთი საგნის მეორე საგანთან მი-

მართებისას. თვისებრიობა არ არის თვისებების ჯამი, ისინი მას ავ-ლენენ. თვისებრიობა ერთია, თვისება კი მრავალი. ყოველი თვი-სების შეცვლას არ მოსდევს თვისებრიობის შეცვლა. საგანი თა-ვისი არსებობის მანძილზე იძენს და კარგავს რაღაც თვისებებს, მა-გრამ სანამ იგი მოცემულ საგნად რჩება, მისი თვისებრიობა უც-ვლელია.

რაოდენობა და თვისებრიობა საგნის ორი განუყოფელი მხარეა. ყოველი საგანი მათი ურთიერთობაა, თვისებრიობას გარკვეული რაოდენობა შეესაბამება, და პირიქით. საგნის თვისებრივი განსაზ-ღვრულობა არსებობს მხოლოდ გარკვეულ რაოდენობრივ საზღვრე-ბში, მისი გადალახვისას იგი სხვა თვისებრიობად გარდაიქმნება. ი მ რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ს, რ ო მ ლ ე ბ შ ი ც მ ო ც ე მ უ ლ ი თ ვ ი ს ე ბ რ ი ო ბ ა ა რ ს ე ბ ო ბ ს, ზ ო მ ა ე წ ო დ ე ბ ა. მაგალითად, წყლის თხევად მდგომარეობაში არსე-ბობის ზომაა 0°-დან 100°-მდე. ქვევით იგი გადადის მყარ, ხოლო ზევით — გაზის მდგომარეობაში. ცვალებადობა შეიძლება იყოს რაოდენობრივი და თვისებრივი, მათ განსხვავებული ხასიათი აქვთ: პირველი თანდათანობითია და უწყვეტი, მეორე უეცარია და წყვე-ტადი. როგორია მათ შორის დამოკიდებულება? ზომის ფარგლე-ბში რაოდენობრივი ცვალებადობა გულგრილია საგნის თვისებრი-ობისადმი, იგი არ იქცევა თვისებრივ ცვალებადობად. მაგრამ მხო-ლოდ ზომის ფარგლებში. რაოდენობრივი ცვალებადობა როგორც კი გადალახავს ზომის საზღვრებს, მაშინვე გარდაიქმნება თვისე-ბრივ ცვალებადობად. ამიტომ საგანთა თვისებრივი განსხვავებანი განპირობებულია რაოდენობრივი განსხვავებით. ამის ნათელი მაგა-ლითია ქიმია. დ. ი. მენდელეევმა თავის პერიოდულ სისტემაში ელემენტები განალაგა ატომური წონის მიხედვით. თანამედროვე მეცნიერებამ დააზუსტა ეს წარმოდგენა და დაადგინა, რომ ელემე-ნტთა თვისებები დამოკიდებულია ატომის ბირთვის მუხტის სიდი-დეზე. ატომური ბირთვის მუხტის რაოდენობრივი შეცვლა იწვევს ელემენტების თვისებრიობის შეცვლას.

თვისებრივი ცვალებადობა მიმდინარეობს ნახტომისებურად. ნ ა ხ ტ ო მ ი ა რ ი ს ე რ თ ი თ ვ ი ს ე ბ რ ი ო ბ ი დ ა ნ მ ე ო რ ე თ ვ ი ს ე ბ რ ი ო ბ ა ზ ე გ ა დ ა ს ვ ლ ი ს წ ე ს ი, ფ ო რ მ ა. სა-

ზოგადოების განვითარებაში ნახტომის მაგალითია სოციალური რევოლუცია, რომლის მეშვეობით ხდება გადასვლა ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაზე.

ახლა შეგვიძლია მოკლედ ასე ჩამოვაყალიბოთ რაოდენობრივ ცვლილებათა თვისებრივში გადასვლის დიალექტიკური კანონი: თანდათანობითი, შეუმჩნეველი რაოდენობრივი ცვლილებები ზომის ფარგლებს გარეთ ნახტომის გზით გარდაიქმნება თვისებრივ ცვლილებებად.

რაოდენობრივ ცვლილებათა თვისებრივში გადასვლის კანონი გვიხსნის იმის მექანიზმს, თუ როგორ, რა გზით წამოიქმნება სამყაროს თვისებრივი მრავალფეროვნება. მეტაფიზიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს მრავალფეროვნება დასაბამიდანვე არსებობს. რელიგია მას ხსნის ღმერთის წყალობით, თითქოს ღმერთმა შექმნა იგი. დიალექტიკის თანახმად, სამყაროს თვისებრივი მრავალფეროვნება წარმოიქმნება მისი ევოლუციის პროცესში. იგი არის არა ღვთაებრივი სასწაული, არამედ სამყაროში მიმდინარე თანდათანობითი რაოდენობრივი ცვლილებების სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი შედეგი.

უარყოფის უარყოფის კანონი. იმისათვის, რომ დიალექტიკის ეს კანონი დავახასიათოთ, საჭიროა განვსაზღვროთ უარყოფის ცნება. უარყოფა არის ერთი ობიექტის მიერ მეორე ობიექტის გამორიცხვა. როდესაც ერთი საგანი სპობს, მოხსნის, გარდაქმნის და ა. შ. მეორე საგანს, იგი უარყოფს მას. უარყოფა განვითარების აუცილებელი ფომენტია. თუ ადგილი არ ექნა ძველი თვისებრიობის მოსპობას ან გარდაქმნას, ისე არც განვითარებას ექნება ადგილი. მაგრამ არის კი ყოველი უარყოფა განვითარების მაჩვენებელი? განასხვავებენ ორი ტიპის უარყოფას — მექანიკურს და დიალექტიკურს. პირველი გულისხმობს ძველი თვისებრიობის სრულ, მთლიან, არადიფერენცირებულ, განურჩეველ მოსპობას, როდესაც ერთნაირად ისპობა საგნის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ასეთი უარყოფა შემდგომი განვითარების შესაძლებლობას სპობს.

თუ საგნის დადებითი, ე. ი. განვითარების ხელისშემწყობი მომენტები ისევე იქნა უარყოფილი, როგორც უარყოფითი, ე. ი. განვითარების ხელისშემშლელი მომენტები, მაშინ, ცხადია, შემდგომი განვითარება გამორიცხულია. ამიტომ მექანიკური უარყოფა არ შეიძლება იყოს განვითარების პირობა.

დიალექტიკური უარყოფა არის ძველი თვისებრიობის ნაწილობრივი, დიფერენცირებული მოსპობა. ამ დროს ისპობა საგნის უარყოფითი, მისი განვითარების ხელისშემშლელი მხარეები, მაგრამ შემოინახება მისი დადებითი მომენტები. ისპობა — რაც მოძველებულია, დრომოჭმულია, ხოლო შემოინახება—რაც ახალია, დადებითია. დიალექტიკური უარყოფა ძველი თვისებრიობის მოხსნა-შენახვის პროცესია. ასალი თვისებრიობა ძველში მოხსნის დრომოჭმულს და შემოინახავს პროგრესულს. ამის გამო მხოლოდ დიალექტიკური უარყოფა იძლევა შემდგომი განვითარების შესაძლებლობას.

განვითარება ზეაღმავალი პროცესია, რომელიც მიემართება დაბალიდან მაღალისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ. ამის ნათელი დადასტურებაა მზის სისტემაში სიცოცხლის წარმოშობა და განვითარება. თავიდან მზის სისტემაში არ არსებობდა სიცოცხლე. იგი წარმოიშვა მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე. სიცოცხლე უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე მკვდარი ბუნება. აქ მატერიის უფრო რთულ, მაღალორგანიზებულ ფორმებს აქვს ადგილი. შემდეგ თვით სიცოცხლის ევოლუცია, რომელმაც საბოლოოდ მიგვიყვანა ყველაზე მაღალ და რთულ სახეობამდე — ადამიანამდე. წარმოიქმნა საზოგადოება, რომელიც უფრო მაღალი საფეხურია ბუნებასთან შედარებით. შემდეგ საზოგადოების პროგრესული განვითარება, რომლის ყოველი ეტაპი უფრო მაღალია წინა ეტაპთან შედარებით.

განვითარების პროგრესულ, ზეაღმავალ ხასიათს განსაზღვრავს სწორედ დიალექტიკური უარყოფა. მხოლოდ მექანიკურ უარყოფას რომ ჰქონოდა ადგილი, მაშინ ცვალებადობა იქნებოდა წრეში ტრიალი, ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა. კაპიტალიზმს რომ მთლიანად უარეყო ფეოდალიზმი, მაშინ მას იმავე საწყისი პუნქტიდან უნდა დაეწყო, საიდანაც ფეოდალიზმმა დაიწყო. ამ შემ-

თხვევაში იგი გაივლიდა იმავე გზას, რაც ფეოდალიზმმა გაიარა და არავითარი წინსვლა აღარ გვექნებოდა. მაგრამ კაპიტალიზმმა მთლიანად კი არ უარყო ფეოდალიზმი და თავიდან კი არ დაიწყო ყველაფერი, არამედ იმ დონიდან, რასაც ფეოდალიზმმა მიაღწია. მან უარყო ბატონყმური ურთიერთობანი, მაგრამ შემოინახა საწარმოო ძალების და კულტურის მიღწეული დონე და მათზე დაყრდნობით წავიდა წინ. ანალოგიურად უარყოფს სოციალიზმი კაპიტალიზმს. სწორედ ეს არის დიალექტიკური უარყოფა, რომელიც განსაზღვრავს პროგრესის არსებობას.

განვითარების პროცესი დიალექტიკურ უარყოფათა თანმიმდევრული რიგია, რომლის ყოველი სტადია უფრო მაღალია, ვიდრე წინა, მონაცვლეობის პროცესში ადგილი აქვს დადებითის, პროგრესულის შემონახვას. ეს მიუთითებს მემკვიდრეობითობაზე ცვალებადობის პროცესში. ყოველი ძველი საფეხურის დადებითი, პროგრესული მოვენტი შემოინახება ახალ საფეხურზე და გადაეცემა მომდევნოს. ამიტომ განვითარების პროცესში ადგილი აქვს განმეორებას, მაგრამ განმეორებას უფრო მაღალ საფეხურზე. პირველყოფილი თემური წყობილების დროს არსებობდა საზოგადოებრივი საკუთრება. იგი შეცვალა კერძო საკუთრებამ. კომუნისტურ ფორმაციაში კვლავ აღდგება საზოგადოებრივი საკუთრება, მაგრამ უფრო მაღალ, განვითარებული საწარმოო ძალების და კულტურის საფუძველზე.

ახლა მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ უარყოფის უარყოფის დიალექტიკური კანონი: *დიალექტიკურ უარყოფათა თანმიმდევრული რიგი განსაზღვრავს ცვალებადობის ზეაღმავალ, პროგრესულ ხასიათს, რომელიც მიემართება დაბალიდან მაღალისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ.*

განვითარება იგივეა, რაც პროგრესი. მაგრამ ხომ არსებობს რეგრესიც, რომელიც განვითარების უარყოფაა. ცხადია. არსებობს. ხომ არ ნიშნავს ეს სამყაროს განვითარების უარყოფას? არა, არ ნიშნავს. რეგრესი არის დროებითი უკანდახევა, გადახვევა სამყაროს განვითარების მაგისტრალური ხაზიდან. სამყაროს ცვალებადობა მხოლოდ ზეაღმავალი, პირდაპირი ხაზით კი არ მიმდინარე-

ობს, არამედ ხანდახან ადგილი აქვს დაღმავალ პროცესებსაც. მაგალითად, საზოგადოების ცვალებადობა მიმდინარეობს არა მარტო აღმავალი გზით, არამედ მას აქვს დაცემისა და უკანდახევის პერიოდებიც. მაგრამ ამ გადახვევებსა და ზიგზაგებში საბოლოოდ მაინც გზას იკაფავს პროგრესი. ამიტომ პროგრესი, განვითარება სამყაროს ცოცხალობის ძირითადი ტენდენციაა.

დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი. იმისათვის, რომ დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი დავახასიათოთ, საჭიროა განვსაზღვროთ შემდეგი ცნებები: წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა, ე რ თ ი ა ნ ო ბ ა დ ა ბ რ ძ ო ლ ა.

წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ა რ ი ს ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ს შ ო რ ი ს დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ი ს (ურ თ ი ე რ თ უ ა რ ყ ო ფ ი ს, ურ თ ი ... ე რ თ გ ა მ ო რ ი ც ხ ვ ი ს) მ ი მ ა რ თ ე ბ ა. წინააღმდეგობა გულისხმობს განსხვავებას, მაგრამ იგი არ არის მისი იგივეობრივი. ყოველი განსხვავება არ ნიშნავს წინააღმდეგობას. ორ განსხვავებულ ობიექტს შორის არსებობს წინააღმდეგობა, თუ ისინი რაღაც ასპექტით უპირისპირდებიან, უარყოფენ და გამორიცხავენ ერთმანეთს. წინააღმდეგობა არის განსხვავებულთა დაპირისპირება (ურთიერთუარყოფა, ურთიერთგამორიცხვა).

განასხვავებენ ორი ტიპის — გარეგან და შინაგან წინააღმდეგობას. წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა გ ა რ ე გ ა ნ ი ა, თ უ ი გ ი ა რ ს ე ბ ო ბ ს ო რ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ს ა გ ა ნ ს შ ო რ ი ს, რ ო მ ე ლ თ ა გ ა ნ ე რ თ-ე რ თ ს მ ა ი ნ ც შ ე უ ძ ლ ი ა დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ ა რ ს ე ბ ო ბ ა. მაგალითად, წინააღმდეგობა ცოცხალ ორგანიზმსა და გარემოს შორის გარეგანია; მართალია, ცოცხალი ორგანიზმი ვერ იარსებებს გარემოს გარეშე, მაგრამ გარემოს შეუძლია იარსებოს ცოცხალი ორგანიზმის გარეშე.

წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა შ ი ნ ა გ ა ნ ი ა, თ უ ი გ ი ა რ ს ე ბ ო ბ ს ე რ თ ი დ ა ი მ ა ვ ე ს ა გ ნ ი ს ო რ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ მ ხ ა რ ე ს შ ო რ ი ს, რ ო მ ე ლ თ ა გ ა ნ ა რ ც ე რ თ ს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ ა რ ს ე ბ ო ბ ა. მაგალითად, კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობაა დაპირისპირება პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. მათ ერთი საფუძველი აქვთ, კერძოდ, — წარმოების კაპიტალისტური წესი. მათგან

ერთ-ერთის მოსპობა გამოიწვევს მეორის მოსპობას, ამიტომ არ შეუძლიათ ერთიმეორის გარეშე არსებობა.

შინაგანი წინააღმდეგობა აუცილებლობით გულისხმობს ერთიანობას. იგი ხოლოდ ერთიანობის შიგნით არსებობს. **დაპირისპირებულთა ერთიანობა არის საწინააღმდეგო ძალების ან ტენდენციების ერთ საფუძველზე არსებობა, როდესაც ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ, მაგრამ იმავე აუცილებლობით ერთმანეთს მოითხოვენ და განაპირობებენ.** დაპირისპირებულ მხარეთა განცალკევება, მათი ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არსებობა შეუძლებელია.

ბრძოლა უნდა გავიგოთ ფართო აზრით. იგი დამახასიათებელია ყოველი წინააღმდეგობისათვის სინამდვილის ნებისმიერ სფეროში — ბუნებასა თუ საზოგადოებაში. იგი ახასიათებს არაცოცხალ ბუნებას (მაგალითად, ქმედება და უკუქმედება, მიზიდვა და განზიდვა), ცოცხალ ბუნებას (მაგალითად, ცვალებადობა და მემკვიდრეობითობა, სახეობათა ბრძოლა) და საზოგადოებას (მაგალითად, კლასთა ბრძოლა). ფართო აზრით, ბ რ ძ ო ლ ა ა რ ი ს ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ძ ა ლ ე ბ ი ს ა ნ ტ ე ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი ს შ ე ჯ ა ხ ე ბ ა, შ ე ტ ა კ ე ბ ა.

განვითარების წყარო არის შინაგანი და არა გარეგანი წინააღმდეგობა. გარეგანი წინააღმდეგობა ხელს უწყობს ან ხელს უშლის, მაგრამ არ იწვევს განვითარებას. სინამდვილის ყოველ საგანს აქვს თავისი შინაგანი წინააღმდეგობა, რომელსაც მოძრაობაში, ცვალებადობაში, „შეშფოთებაში" მოყავს იგი. საწინააღმდეგო ძალების და ტენდენციების არსებობა მოითხოვს გადაჭრას, გადაწყვეტას. ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ბრძოლის გზით. ამიტომ დაპირისპირებულთა ბრძოლა არის წინააღმდეგობის გადაჭრის, გადაწყვეტის საშუალება, საგნის დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ უ ლ მ ხ ა რ ე თ ა მ უ დ მ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ა შ ი ნ ა გ ა ნ ი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს გ ა დ ა ჭ რ ი ს ა თ ვ ი ს — ა ი ე ს ა რ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს წ ყ ა რ ო. სინამდვილე ვითარდება იმიტომ, რომ მას ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც აუცილებლობით განაპირობებს საწინააღმდეგო ძალებინ და ტენდენციების შეჯახებას, შეტაკებას. მათი მუდმივი ბრძოლა არის განვითარების ძირითადი მიზეზი.

დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის დიალექტიკური კანონი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც აუცილებლობით განაპირობებს მუდმივ ბრძოლას მისი გადაჭრისათვის, არის განვითარების წყარო. ეს კანონი პასუხობს კითხვაზე — თუ რატომ ხდება განვითარება.

დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი არის სინამდვილის უნივერსალური და ობიექტური კანონი. იგი მთელ სინამდვილეს ახასიათებს. კონკრეტული წინააღმდეგობანი და მუდმივი ბრძოლა საპირისპირო ძალებსა და ტენდენციებს შორის, რომლებიც ბუნების ან საზოგადოების ამა თუ იმ სფეროში არსებობენ, აღნიშნული კანონის გამოვლენის სპეციფიკური ფორმებია.

საზოგადოების სფეროში განასხვავებენ ანტაგონისტურ და არაანტაგონისტურ წინააღმდეგობებს. მაგალითად, კლასებს შორის წინააღმდეგობა შეიძლება იყოს ანტაგონისტური ან არაანტაგონისტური. ანტაგონისტური წინააღმდეგობა არის მტრული, შეურიგებელი დაპირისპირება ისეთ კლასებს შორის, რომელთა ძირეული ინტერესები ერთმანეთს გამორიცხავენ. ასეთი წინააღმდეგობა არსებობს ექსპლოატატორული საზოგადოების კლასებს შორის. იგი ვლინდება კლასთა ბრძოლაში. არაანტაგონისტური წინააღმდეგობა არის არამტრული დაპირისპირება ისეთ კლასებს შორის, რომელთა ძირეული ინტერესები არა თუ გამორიცხავენ, არამედ ერთმანეთს ემთხვევიან. არაანტაგონისტური წინააღმდეგობის გადაჭრაც ხდება ბრძოლის გზით, მაგრამ ეს არ არის კლასთა ბრძოლა.

ვ. ი. ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ანტაგონიზმი და წინააღმდეგობა არ არის ერთი და იგივე. სოციალიზმის დროს პირველი გაქრება, მეორე კი დარჩება. სოციალიზმს ახასიათებს თავისი შინაგანი, სპეციფიკური არაანტაგონისტური წინააღმდეგობანი, რომელთა გადაწყვეტისათვის მუდმივი ბრძოლა იწვევს მის განვითარებას. ანტაგონიზმი არ არის დამახასიათებელი სოციალიზმის ბუნებისათვის, მაგრამ იგი შეიძლება წარმოიშვას არასწორი პოლიტიკის გატარების პირობებში, მაგალითად, როგორც ეს მოხდა პო-

ლონეთში. არაანტაგონისტური წინააღმდეგობანი იარსებებს კომუ-
ნიზმის დროსაც, რადგან წინააღმდეგობათა გარეშე საერთოდ არ
არსებობს განვითარება. განვითარების და სრულყოფის გარეშე
კი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ რომელიმე, მათ შორის მომა-
ვალი კომუნისტური საზოგადოება.

დიალექტიკის ძირითადი კატეგორიები

კატეგორია არის ცნება, მაგრამ ყოველი ცნება არ არის კატე-
გორია. კატეგორია არის უზოგადესი, ძირითადი და ფუნდამენტუ-
რი ცნება. ფილოსოფიური კატეგორიები ის უზოგადესი ცნებებია,
რომლებიც ასახავენ სინამდვილის საყოველთაო, უნივერსალურ
განსაზღვრულობებს. მათ მიეკუთვნება მატერიის, ცნობიერების,
მოძრაობის, დროის, სივრცის ცნებები, რომელთაც ჩვენ უკვე გა-
ეცანით. ფილოსოფიურ კატეგორიებს შორის გამოყოფენ დიალე-
ქტიკის კატეგორიებს. მათი თავისებურება ისაა, რომ ისინი ქმნიან
თანაფარდობითი კატეგორიების დაპირისპირებულთა ერთიანობას.
მათ მიეკუთვნება შემდეგი:

მიზეზი და შედეგი,
აუცილებლობა და შემთხვევითობა,
შესაძლებლობა და სინამდვილე,
ზოგადი და ერთეული,
არსება და მოვლენა,
შინაარსი და ფორმა.

სწორედ ეს ცნებებია დიალექტიკის ძირითადი კატეგორიები.
მათი ასახვის ობიექტია სინამდვილის საყოველთაო, უნივერსალუ-
რი კავშირები და მიმართებები. მოკლედ დავახასიათოთ თითოეუ-
ლი მათგანი.

მიზეზი და შედეგი. მიზეზი არის მოვლენა, რომელიც გაოკვეუ-
ულ პირობებში აუცილებლობით წარმოშობს, იწვევს მისგან გან-
სხვავებულ მოვლენას, შედეგი არის მოვლენა, რომელიც გამოწვეუ-
ულია, წარმოშობილია მიზეზით. მიზეზსა და შედეგს შორის კავში-
რი მიზეზობრივი კავშირია. მაგალითად, ცეცხლი იწვევს ხის და-

წვას. ყოველ მოვლენას წარმოშობისა და ცვალებადობის გარკვეული მიზეზი აქვს. უმიზეზოდ საკუაროში არაფერი ხდება. მიზეზობრიობა სინამდვილის უზოგადესი კავშირია, მას ძალა აქვს ბუნებაშიც და საზოგადოებაშიც.

აუცილებლობა და შემთხვევითობა. აუცილებლობა არის ის, რაც ხდება ასე და არა სხვაგვარად. იგი გამორიცხავს სხვაგვარად მოხდენის შესაძლებლობას. შემთხვევითობა არის ის, რაც შეიძლება მოხდეს ასეც და სხვაგვარადაც. იგი შეიცავს სხვაგვარად მოხდენის შესაძლებლობას. აუცილებლობა გაპირობებულია საგნის შინაგანი, არსებითი კანონზომიერებით, შემთხვევითობა კი გარეგანი, არარსებითი ფაქტორებით.

აუცილებლობა და შემთხვევითობა არ არსებობს ცალ-ცალკე. არ არსებობს მოვლენა, რომელიც მხოლოდ აუცილებელია ან მხოლოდ შემთხვევითი. ყოველი მოვლენა აუცილებელიცაა და შემთხვევითიც. აუცილებლობა შემთხვევითის ფორმით არსებობს, ხოლო შემთხვევითობა აუცილებლობის გამოვლენის ფორმა და დამატებაა. მაგალითად, ადამიანისათვის აუცილებელია, რომ უნდა მოკვდეს, მაგრამ თუ რა ფორმით — ავადმყოფობით, ავარიით, სიბერით და ა. შ., არის შემთხვევითი.

შესაძლებლობა და სინამდვილე. შესაძლებლობა გამოხატავს საგნის არსებობას ჩანასახის, ტენდენციის სახით. ეს ისეთი არსებობაა, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ შეიძლება განხორციელდეს. შესაძლებლობის რეალიზაცია, განხორციელება სინამდვილეა. იგი გამოხატავს საგნის მზა, ჩამოყალიბებული სახით არსებობას.

რეალური შესაძლებლობა გარკვეულ პირობებში შეიძლება განხორციელდეს. ბუნებაში იგი ხორციელდება თავისთავად, ადამიანთა ჩარევის გარეშე, საზოგადოების სფეროში კი ამისთვის აუცილებელია ადამიანთა აქტიური, მიზანდასახული მოქმედება.

ზოგადი და ერთეული. ზოგადი არის თვისება, რომელიც მიეწერება სიმრავლეს. იგი ახასიათებს მოცემული სიმრავლის ნებისმიერ ელემენტს. იგი საერთო და განმეორებადია. ერთეული არის თვისება, რომელიც მიეწერება მხოლოდ ერთ საგანს. იგი უნიკალური და განუმეორებელია, არსებობს მხოლოდ ერთხელ.

ზოგადი და ერთეული არ არსებობს ცალ-ცალკე. არ არსებობს საგანი, რომელიც მხოლოდ ერთეული ან მხოლოდ ზოგადია. ზოგადი არსებობს ერთეულის მეშვეობით, ხოლო ერთეული ზოგადის გამოვლენაა. ამიტომ ყოველი საგანი ერთეულისა და ზოგადის ერთიანობაა.

არსება და მოვლენა. არსება არის საგნის შინაგანი, ძირითადი თვისებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მის თავისებურებას. მოვლენა არის საგნის გარეგანი თვისებების ერთობლიობა. არსება გამოხატავს საგნის ბუნებას, იგი აუცილებელი და ზოგადია. მოვლენა გამოხატავს საგნის არსებობას. იგი შემთხვევითი და ინდივიდუალურია.

არსება მოვლენაში ვლინდება, მოვლენა არსების გამოვლენაა. საგანი არსებისა და მოვლენის ერთიანობაა.

შინაარსი და ფორმა. შინაარსი არის საგნის ელემენტების ერთიანობა, ორგანიზაცია. ფორმა არის ამ ელემენტების ერთიანობის. ორგანიზაციის წესი. შინაარსი გამოხატავს, თუ რა ელემენტებისაგან შედგება საგანი, ფორმა კი გამოხატავს — თუ როგორაა დაკავშირებული ეს ელემენტები ერთმანეთთან.

შინაარსსა და ფორმას შორის უნდა იყოს შესაბამისობა. თუ შინაარსი განვითარდა, ხოლო ფორმა მას ჩამორჩა, მაშინ წარმოიშობა კონფლიქტი ახალ შინაარსსა და ძველ ფორმას შორის. კონფლიქტი გადაიჭრება იმით, რომ ძველი ფორმა შეიცვლება ახლით და დამყარდება შესაბამისობა ახალ შინაარსსა და ახალ ფორმას შორის, შემდეგ მათ შორისაც წარმოიშობა კონფლიქტი, რომელიც გადაიჭრება და ა. შ. უსასრულოდ.

დიალექტიკის ძირითად კატეგორიებს იყენებენ კერძო მეცნიერებანი, რომლებიც სწავლობენ სინამდვილის ამა თუ იმ კონკრეტულ მხარეს. სინამდვილის კავშირ-ურთიერთობების ზოგად დახასიათებას იძლევა დიალექტიკა თავისი კატეგორიების მეშვეობით. სინამდვილე არის შინაგანის და გარეგანის, არსების და მოვლენის, აუცილებლობის და შემთხვევითობის, ზოგადის და ერთეულის, შინაარსისა და ფორმის ერთიანობა.

დიალექტიკა როგორც სამყაროს შემეცნებისა და გარდაქმნის მეთოდი. დიალექტიკა არა მარტო ცოდნას გვაძლევს სამყაროს

შესახებ, არამედ გვასწავლის იმასაც, თუ როგორ მივუდგეთ მის შემეცნებასა და გარდაქმნას. ეს ნიშნავს, რომ იგი ასრულებს მეთოდის ფუნქციასაც. მ ე თ ო დ ი ა რ ი ს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს ა დ ა გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს წ ე ს ი. იგი იმ ხერხებისა და ოპერაციების სისტემაა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია სამყაროს თეორიული და პრაქტიკული ათვისება. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მეთოდია მატერიალისტური დიალექტიკა. მაგრამ იგი საერთოდ მეცნიერული შემეცნების მეთოდია, რაც ნიშნავს იმას, რომ მას იყენებენ კერძო მეცნიერებანი.

დიალექტიკა ადგენს, რომ სინამდვილეს ახასიათებს მოვლენათა უნივერსალური კავშირი და ურთიერთგაპირობებულობა. ეს მეცნიერებისაგან მოითხოვს — ყოველი მოვლენა განიხილოს როგორც მთლიანი სინამდვილის ნაწილი, რომელიც არსებობს კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში. მოცემული პირობების ცვლილების შესაბამისად მოვლენაც იცვლის ხასიათს. მაშასადამე, მის შესამეცნებლად საჭიროა კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა. ეს გამოიხატება დებულებით, რომ აბსტრაქტული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია.

დიალექტიკა ადგენს, რომ სინამდვილე განიცდის განვითარებას. ეს მეცნიერებისაგან მოითხოვს, ყოველი მოვლენა განიხილოს მის წარმოშობასა, ცვალებადობასა და განვითარებაში.

იმისათვის, რომ მეცნიერებამ აღნიშნული მოთხოვნები შეასრულოს, მან სინამდვილის კონკრეტულ სფეროს უნდა მიუყენოს მატერიალისტური დიალექტიკის კანონები და კატეგორიები. ეს გაათავისუფლებს მას ცალმხრივობისა და გაყინვისაგან. დიალექტიკურია არა მხოლოდ სინამდვილე, არამედ თვით მეცნიერებაც. ისიც განიცდის განვითარებას. ხდება არა მარტო ძველი თეორიების დაზუსტება და დაკონკრეტება, არაძედ მათი მსხვრევა, მთლიანად უკუგდება და ახალი, ხშირად სრულიად უჩვეულო და უცნაური თეორიების წარმოქმნა. დიალექტიკა ათავისუფლებს მეცნიერებას დ ო გ მ ა ტ ი ზ მ ი ს ა გ ა ნ, რომელიც აღიარებს ერთხელ დადგენილი დებულების აბსოლუტურ უტყუარობას და უცვლელობას. დიალექტიკა ასევე ათავისუფლებს მეცნიერებას რ ე ლ ა ტ ი ვ ი ზ მ ი ს გ ა ნ, რომელიც მიიჩნევს, რომ არაფერი უტყუარი არ

ის, რადგან ყველაფერი საეჭვო და ცვალებადია. დიალექტიკა ავისი ბუნებით კრიტიკულ-რევოლუციურია, ამასვე მოითხოვს გი მეცნიერებისაგან. მეცნიერება ვითარდება, მისი დებულებები ცვლება. მაგრამ ამ ცვალებადობაში რაღაც ურყევი და უცვლელი ჩება. ეს ნიშნავს, რომ მეცნიერება შეიცავს აბსოლუტური ჭეშარიტების და უტყუარობის მარცვლებს.

დიალექტიკა აძლევს ადამიანს ცოდნას სამყაროს მოვლენათა ურთიერთკავშირისა და განვითარების უზოგადესი კანონების შეახებ. ასეთი ცოდნა კი სამყაროს პრაქტიკული გარდაქმნის აუცილებელი პირობა და საშუალებაა. ამიტომ დიალექტიკა სამყაროს გარდაქმნის მეთოდიცაა.

სამყაროს შემეცნებადობის პრობლემა

სამყაროს შემეცნებადობის პრობლემა ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარეა. კითხვას — შემეცნებადია თუ არა სამყარო — დიალექტიკური მატერიალიზმი დადებითად უპასუხებს. იგი უპირისპირდება აგნოსტიციზმს, რომელიც უარყოფითად წყვეტს აღნიშნულ საკითხს.

შემეცნების პროცესში ადამიანი ასახავს გარემომცველი სამყაროს საგნებს და მოვლენებს, მათ თვისებებსა და ურთიერთკავშირებს, რის შედეგად იგი აყალიბებს ცოდნას, რომელიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ადამიანმა შეიმეცნა რაიმე საგნობრივი ვითარება — ეს ნიშნავს: მან გაიგო, გაარკვია, გაიაზრა, გააცნობიერა იგი, რის შედეგად გარკვეული ცოდნა შეიმუშავა მის შესახებ, ამიტომ შ ე მ ე ც ნ ე ბ ა ა რ ი ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს მ ი ე რ ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს გ ა ა ზ რ ე ბ ი ს, გ ა ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი, რ ო მ ლ ი ს შ ე დ ე გ ა დ ყ ა ლ ი ბ დ ე ბ ა ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ან მ ც დ ა რ ი ც ო დ ნ ა.

მაგრამ სინამდვილის შემეცნება არ არის მარტივი და ერთჯერადი აქტი. იგი რთული დიალექტიკური პროცესია, რომელსაც ვ. ი. ლენინი ახასიათებდა შემდეგნაირად: ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და აქედან პრაქტიკისაკენ — ასე-

თია ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა. აქ შემეცნების ორი ძირითადი ეტაპია გამოყოფილი — ცოცხალი განჭვრეტა ანუ გრძნობადი შემეცნება და აბსტრაქტული აზროვნება ანუ ლოგიკური შემეცნება.

ცოცხალი განჭვრეტა. ცოცხალი განჭვრეტის ეტაპი შემეცნების ის საფეხურია, რომელიც ხორციელდება გრძნობადი მონაცემების (შეგრძნებების, აღქმების და წარმოდგენების) საფუძველზე. გრძნობადი შემეცნების ფორმებია: შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა, მაგრამ მათგან ძირითადია აღქმა. შეგრძნება აღქმის მომენტია, მისგან დამოუკიდებლად იგი არ არსებობს. წარმოდგენის შინაარსი აღქმით განისაზღვრება და პრინციპულად მასზე დაიყვანება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ გრძნობადი შემეცნება პრინციპულად ემყარება აღქმას.

რა ტიპის ცოდნას ვიძენთ ჩვენ აღქმის საფუძველზე? ადამიანს შეუძლია აღიქვას მხოლოდ ის, რაც უშუალოდ გრძნობადად ეძლევა: რასაც ხედავს, ისმენს, ხელით ეხება, ყნოსავს და გემოს უსინჯავს. ასეთია ერთეული საგანი თავისი გარეგანი თვისებებით და მიმართებებით. ამიტომ აღქმის ობიექტია ერთეული და მოვლენა. შეუძლებელია ზოგადის და არსების აღქმა. ის, რაც შინაგანია და დაფარული, რაც უშუალოდ გრძნობის ორგანოზე არ ზემოქმედებს, არ შეიძლება აღქმულ იქნეს. აღქმა გვეუბნება, რომ საგანს ახასიათებს მოცემული თვისება, მაგალითად, „ეს ვარდი წითელია". მაგრამ თუ რატომ ახასიათებს საგანს ეს თვისება, ამის ახსნა აღქმას არ შეუძლია. ამიტომ აღქმა სწვდება მხოლოდ იმას, რაც შემთხვევითია, მაგრამ ვერ სწვდება აუცილებლობას. მაშასადამე, აღქმის საფუძველზე ადამიანი სწვდება ერთეული საგნის გარეგან, ზედაპირულ, შემთხვევით თვისებებსა და მიმართებებს. გრძნობადი ცოდნა, რომელიც აღქმას ემყარება, არის ერთეულის, ნციპულად არც შეიძლება იყოს ზოგადის, არსების და აუცილებლობის ცოდნა.

ახლა წარმოვიდგინოთ ისეთი ვითარება, რომ ადამიანს, ცხოვე-

ახლა წარმოვიდგინოთ ისეთი ვითარება, რომ ადამიანს, ცხოველების მსგავსად, მხოლოდ გრძნობადი აღქმის უნარი აქვს. ეცოდინებოდა თუ არა მას მთელი სინამდვილე? შეძლებდა თუ არა

იგი სინამდვილის სრულ შემეცნებას? ცხადია, რომ ვერ შეძლებდა. ადამიანს ეცოდინებოდა სინამდვილის მხოლოდ ერთი მხარე: ერთეული საგნების გარეგნული და უშუალო, ზედაპირული და შემთხვევითი ნიშან-თვისებები, მაგრამ მას არ ეცოდინებოდა სინამდვილის მეორე მხარე — შინაგანი და არსებითი, ზოგადი და აუცილებელი. ამგვარად, გრძნობადი შემეცნება მთელი სინამდვილის შემეცნების არასაკმარისი პირობაა. მაგრამ იგი აუცილებელია, რადგან გრძნობადი მონაცემების გარეშე ადამიანი საერთოდ ვერ შეძლებდა სინამდვილის შემეცნებას. ცოცხალი განჭვრეტით იწყება სინამდვილის შემეცნება, მაგრამ მისით არ მთავრდება.

აბსტრაქტული აზროვნება. აბსტრაქტული აზროვნების ეტაპი შემეცნების ის საფეხურია, რომელიც ხორციელდება ცნებების საფუძველზე. აბსტრაქტული აზროვნების სპეციფიკა ისაა, რომ იგი ცნებებით აზროვნებაა. იგი ყალიბდება მსჯელობებისა და დასკვნების მეშვეობით. ამიტომ აბსტრაქტული აზროვნების ფორმებს მიეკუთვნება ცნება, მსჯელობა და დასკვნა. მაგრამ მათგან ძირითადია ცნება, რადგან იგი განსაზღვრავს აბსტრაქტული შემეცნების შინაარსსა და მოცულობას.

რა ტიპის ცოდნას ვიძენთ ჩვენ ცნების საფუძველზე? გავიხსენოთ ცნების განსაზღვრება. ცნება აზრის ისეთი ფორმაა, რომელიც ასახავს საგნის არსებით, ზოგად და აუცილებელ თვისებებს. ცნება აზრის სწორედ ის ფორმაა, რომელიც ადამიანს აძლევს საშუალებას, შეიმეცნოს სინამდვილის შინაგანი და არსებითი, აუცილებელი და ზოგადი მხარე.

ცნება აბსტრაქციისა და განზოგადების შედეგია. *აბსტრაქცია არის რაღაცისაგან განყენების, რაღაცის მხედველობაში არ მიღების უნარი.* ცნების შემუშავების დროს განყენება ხდება ინდივიდუალურისა, შემთხვევითისა და არაარსებითისაგან. ამის საფუძველზე ცალკე გამოიყოფა არსებითი, ზოგადი და აუცილებელი. *განზოგადება არის ნიშნების გადატანა სიმრავლის ნაწილიდან მთელ სიმრავლეზე.* აღქმის მეშვეობით ადამიანს ეძლევა სიმრავლის ნაწილი და არა მთელი სიმრავლე. მაგალითად, დავუკვირდით, რომ ლითონების გარკვეულმა ჯგუფმა კა-

რგად გაატარა ელექტროობა. ჩვენ არ შეგვიძლია შევამოწმოთ ყველა ლითონი. მაგრამ გვაქვს განზოგადების უნარი: ის, რაც დადგენილია სიმრავლის ნაწილის მიმართ, გავავრცელოთ მთელ სიმრავლეზე. ასეთი აბსტრაქციისა და განზოგადების წყალობით ცნება სწვდება საგნის არსებას. აბსტრაქტული, ე. ი. განყენებული და განზოგადებული აზროვნება, რომელიც ცნებებს ემყარება, არის სინამდვილის შინაგანი და არსებითი, ზოგადი და აუცილებელი თვისებებისა და მიმართებების ცოდნა. მაგრამ ესეც სინამდვილის ერთი მხარეა. ადამიანს რომ მხოლოდ აბსტრაქტული აზროვნების უნარი ჰქონოდა, ეცოდინებოდა ზოგადი და აუცილებელი, მაგრამ არ ეცოდინებოდა ერთეული და შემთხვევითი; ასევე ეცოდინებოდა შინაგანი და არსებითი, მაგრამ არ ეცოდინებოდა გარეგანი და არაარსებითი. ამიტომ ცალკე აღებული აბსტრაქტული აზროვნება მთელი სინამდვილის შემეცნების არასაკმარისი პირობაა, თუმცა იგი აუცილებელია, რადგან მის გარეშე ადამიანს არ ეცოდინებოდა სინამდვილის მეტად მნიშვნელოვანი მხარე.

რა დააკლდებოდა ადამიანს, რომ ვერ შეემეცნებინა სინამდვილის შინაგანი და არსებითი, ზოგადი და აუცილებელი თვისებები? იგი ვერ დაადგენდა კანონებს და ამიტომ ვერ შეძლებდა მოვლენათა ცვალებადობის მეცნიერულ ახსნას. მეცნიერული შემეცნების თავისებურება სწორედ ისაა, რომ იგი კანონებს ადგენს და მათ საფუძველზე ხსნის მოვლენათა მიმდინარეობასა და ცვალებადობას. მაშასადამე, მეცნიერული შემეცნება შესაძლებელია აბსტრაქტული აზროვნების წყალობით, რომელიც ცნებებზე დაყრდნობით სწვდება საგანთა არსებას და ადგენს კანონებს. მაგრამ აბსტრაქტული აზროვნება ცარიელი იქნებოდა, თუ იგი არ დაეყრდნობოდა გრძნობად მონაცემებს. მხოლოდ შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა აძლევს ადამიანს ცნობებს რეალური სამყაროს თვისებების შესახებ. აბსტრაქტული აზროვნება ცოცხალი განჭვრეტის მონაცემების გადამუშავების საფუძველზე შეიმეცნებს სინამდვილეს მთლიანად. შემეცნება რთული დიალექტიკური პროცესია, რომელიც გულისხმობს ცოცხალი განჭვრეტისა და აბსტრაქტული აზროვნების ერთიანობას.

ცალკე ცოცხალი განჭვრეტა სინამდვილის შემეცნების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი, პირობაა, რადგან იგი იმეცნებს მოვლენათა მხოლოდ გარეგნულ, ზედაპირულ ნიშან-თვისებებს. ასევე ცალკე აბსტრაქტული აზროვნებაც სინამდვილის შემეცნების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა, რადგან იგი იმეცნებს მოვლენათა მხოლოდ შინაგან და არსებით ნიშან-თვისებებს. მხოლოდ ორივე ერთად მთელი სინამდვილის შემეცნების აუცილებელი და საკმარისი პირობაა, რადგან სინამდვილე სხვა არაფერია, თუ არა შინაგანის და გარეგანის, არსების და მოვლენის, ზოგადის და ერთეულის, აუცილებლობის და შემთხვევითის ერთიანობა.

ჭეშმარიტება და საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკა. ადამიანს აინტერესებს შეიმეცნოს გარემომცველი სამყარო, რადგან მხოლოდ მისი ცოდნის საფუძველზე შეუძლია გარდაქმნას იგი და გამოიყენოს თავის სასარგებლოდ. მაგრამ ცოდნა უნდა იყოს ჭეშმარიტი და არა მცდარი, რადგან მხოლოდ ჭეშმარიტი ცოდნა იძლევა ობიექტური ვითარების სწორი შემეცნებისა და მისი შესატყვისი ორიენტაციის საშუალებას. რა არის ჭეშმარიტება?

ჭეშმარიტება არის ცოდნის და არა საგნის თვისება. საგანი არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, იგი არსებობს ან არ არსებობს. მხოლოდ აზრი, მტკიცება ვის შესახებ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ის, რომ მზე ანათებს, არის ფაქტი. იგი არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. ჭეშმარიტია მხოლოდ აზრი იმის შესახებ, რომ მზე ანათებს, ხოლო მისი საწინააღმდეგო აზრი, რომ მზე არ ანათებს— მცდარია. მხოლოდ ისეთი აზრია ჭეშმარიტი, რომელიც სწორად, ადეკვატურად ასახავს სინამდვილეს. თუ ადამიანი ამტკიცებს რაიმეს და ეს მტკიცება შეესაბამება სინამდვილეს, მაშინ იგი ჭეშმარიტია. აზრი მცდარია, თუ იგი არ შეესაბამება, არასწორად ასახავს სინამდვილეს. ამგვარად, ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ც ო დ ნ ი ს, ა ზ რ ი ს თ ვ ი ს ე ბ ა ა, რ ო მ ე ლ ი ც გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს მ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ო ბ ა ს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს თ ა ნ, ე. ი. ა ზ რ ი, რ ო მ ე ლ ი ც ს წ ო რ ა დ, ა დ ე კ ვ ა ტ უ რ ა დ ა ს ა ხ ა ვ ს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს — ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ა.

ჭეშმარიტება არსებობს ცნობიერებაში. ცნობიერებისგან დამოუკიდებლად, ე. ი. ობიექტურად იგი არ არსებობს. მაგრამ ჭეშმა-

რიტება ობიექტურია (და არა ობიექტურად არსებული), რადგან იგი განსაზღვრულია მხოლოდ საგნობრივი ვითარებით და არ არის დამოკიდებული ადამიანის ნება-სურვილზე. ჭეშმარიტება დამოკიდებულია მხოლოდ ერთ რაიმეზე — როგორია ცოდნის მიმართება სინამდვილესთან, შეესაბამება თუ არა იგი ობიექტურ ვითარებას. სხვა სუბიექტური მომენტი (ვინმეს მონდომება, მისი თანამდებობა, ავტორიტეტი და ა. შ.) აქ არავითარ როლს არ ასრულებს. არავის არ ძალუძს ჭეშმარიტი მცდარად აქციოს, და პირიქით. ადამიანს შეუძლია მხოლოდ ჭეშმარიტება აღმოაჩინოს, ე. ი. სწორად შეიმეცნოს ობიექტი, ეს ცოდნა დაამტკიცოს და მთელი საზოგადოების კუთვნილება გახადოს.

ჭეშმარიტება არის შეფარდებითიც და აბსოლუტურიც. იგი მათი დიალექტიკური ერთიანობაა. არ არსებობს ცალკე შეფარდებითი და ცალკე აბსოლუტური ჭეშმარიტება. ეს გამოწვეულია ორი გარემოებით: ჯერ ერთი, სინამდვილე უსასრულოა და ამიტომ მისი შემეცნებაც ამოუწურავია; მეორე, სინამდვილე და მისი ამსახველი ცოდნაც ვითარდება. ამიტომ ყოველი ცოდნა რაღაც მიმართებაში და მოცემულ პირობებში, მაგრამ არა ყველა მხრივ და ყველა პირობაშია ჭეშმარიტი. ჭეშმარიტი ცოდნა შეფარდებითია, რამდენადაც იგი ნაწილობრივ, მიახლოებით ასახავს სინამდვილეს და განვითარებას განიცდის, მაგრამ იგი ამავე დროს აბსოლუტურიცაა, რადგან მოცემულ მიმართებაში და მოცემულ პირობებში სწორად ასახავს სინამდვილეს. მაგალითად, კლასიკური მექანიკა შეფარდებითია, რადგან სინამდვილეს ასახავს მხოლოდ ერთი მხრივ, კერძოდ მაკროსამყაროს. მაგრამ იგი ამავე დროს აბსოლუტურიცაა, რადგან ზუსტად, სწორად ასახავს მაკროსამყაროს პროცესებს. სამყაროს მეცნიერული შემეცნება დიალექტიკური პროცესია. იგი შეფარდებითია, რადგან იცვლება და ვითარდება, მაგრამ ამავე დროს ყოველი მისი საფეხური აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავს. აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომელიც იქნებოდა სამყაროს დასრულებული და ყოველმხრივ ამომწურავი ცოდნა, არ არსებობს. ყოველი ცოდნა შეფარდებითია, მიახლოებითია, ნაწილობრივია, პირობებით განსაზღვრულია, მაგრამ შეიცავს აბსოლუტურ ცოდნას როგორც მომენტს.

რა არის საზოგადოებრივი-ისტორიული პრაქტიკა? პრაქტიკა არის ადამიანთა საგნობრივ-მატერიალური მოღვაწეობა, რომლის მიზანია ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება სინამდვილის გარდაქმნის მეშვეობით. იგი მოიცავს: შრომის პროცესს, რომლის მიზანია ბუნების გარდაქმნა ადამიანის მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; სოციალურ მოღვაწეობას, რომლის მიზანია საზოგადოების გარდაქმნა; ექსპერიმენტს, რომლის დანიშნულებაა გარემომცველი სამყაროს შესახებ ცოდნის მოპოვება და მისი შემოწმება. პრაქტიკა განიცდის ცვალებადობას, იგი ვითარდება. ეს დამოკიდებულია საზოგადოების საწარმოო ძალთა და მეცნიერული ცოდნის განვითარების დონეზე. ამიტომ პრაქტიკა საზოგადოებრივ-ისტორიული ხასიათისაა.

პრაქტიკული საქმიანობა განსაზღვრავს ადამიანის მთელ მოღვაწეობას, მათ შორის შემეცნებითსაც. რა როლს ასრულებს პრაქტიკა შემეცნების პროცესში? **იგი არის შემეცნების საფუძველი, მიზანი და ჭეშმარიტების კრიტერიუმი.**

პრაქტიკა შემეცნების საფუძველია ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, შემეცნების ძირები პრაქტიკაშია. ადამიანის პრაქტიკული მოთხოვნილება განსაზღვრავს მეცნიერების შესაბამისი დარგის წარმოშობას. ეს ფაქტი კარგად ჩანს გეომეტრიის მაგალითზე. მისი წარმოშობა განაპირობა მიწის ფართობების გაზომვის მოთხოვნილებამ. თვით სახელწოდება გეომეტრია მიწისმზომელობას ნიშნავს ძველბერძნულ ენაზე. ახალ დროში მრეწველობისა და ტექნიკის განვითარების საჭიროებამ განაპირობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მძლავრი აღმავლობა; მეორე, სინამდვილესთან ადამიანის შემეცნებითი დამოკიდებულების არე და მასშტაბი გაპირობებულია პრაქტიკით. სინამდვილის თუ რომელ სფეროს და რა ზომით შეიმეცნებს ადამიანი, ეს დამოკიდებულია პრაქტიკის განვითარების დონეზე. მიკროსამყარო მხოლოდ XX საუკუნეში გახდა ადამიანის შემეცნების ობიექტი. განა იგი მანამდე არ არსებობდა როგორც სინამდვილის ნაწილი? ცხადია, არსებობდა, მაგრამ იგი არ იყო შემეცნების ობიექტი, რადგან ადამიანს არ ჰქონდა სათანადო ტექნიკა, რომელიც მისი შემეცნების საშუალებას მისცემდა.

მხოლოდ XX საუკუნეში შეიქმნა ასეთი ტექნიკა და მისი გამოყენებით და თანდათანობით სრულყოფით ადამიანმა შეძლო მიკროსამყაროს კანონზომიერების შემეცნება.

ადამიანის მიზანია სინამდვილის გარდაქმნა, რათა დაიკმაყოფილოს ესა თუ ის მოთხოვნილება—ეს კი პრაქტიკული საქმიანობაა. ამის განხორციელება ადამიანს შეუძლია, თუკი იგი სინამდვილეს შეიმეცნებს. მაშასადამე, შემეცნება ადამიანისათვის საშუალებაა, რათა პრაქტიკულად გარდაქმნას სამყარო. ამიტომ შემეცნების მიზანი პრაქტიკაა.

ადამიანმა უნდა განასხვავოს ჭეშმარიტი ცოდნა მცდარისაგან. იგი უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ ცოდნა, რომელიც მას ჭეშმარიტად მიაჩნია, ნამდვილად ჭეშმარიტია, ე. ი. ადამიანს სჭირდება ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ს ა ზ ო მ ი ა ნ უ კ რ ი ტ ე რ ი უ მ ი. ამისთვის იგი მიმართავს დაკვირვებას, ლოგიკურ დამტკიცებას და ა. შ., მაგრამ ჭეშმარიტების საბოლოო და ყველაზე საიმედო კრიტერიუმი პრაქტიკაა. როდესაც ადამიანი პრაქტიკულად განახორციელებს იმას, რაც ცოდნით ნაწინასწარმეტყველებია, მაშინ იგი ამტკიცებს მის ჭეშმარიტებას. მაგალითად, მენდელეევმა თავის პერიოდულ სისტემაში რამდენიმე ელემენტისათვის, რომლებიც იმ დროს უცნობი იყო, დატოვა ცარიელი ადგილები. მან ზუსტად იწინასწარმეტყველა მათი თვისებები. შემდეგ ეს ელემენტები მართლაც იქნა აღმოჩენილი. ამით დამტკიცდა მენდელეევის პერიოდული სისტემის ჭეშმარიტება. პრაქტიკა არის არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო, არამედ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დებულებების ჭეშმარიტების კრიტერიუმი.

მარქსიზმ-ლენინიზმი -მშრომელთა რევოლუციური მოღვაწეობის განზოგადებაა. საზოგადოებრივი განვითარების პრაქტიკა ადასტურებს მის ჭეშმარიტებას.

ისტორიული მატერიალიზმის საწყისები

ისტორიული მატერიალიზმი როგორც მეცნიერება

ისტორიული მატერიალიზმი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილია. იგი არის ისტორიის მატერიალისტური ახსნა, რომელიც დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი დებულებების საზოგადოებრივ მოვლენათა სფეროზე გავრცელების შედეგია.

ფილოსოფიის ძირითადი საკითხი — რა დამოკიდებულება არსებობს ყოფიერებასა და ცნობიერებას შორის — საზოგადოებრივ მოვლენათა მიმართ დაისმის შემდეგნაირად: *რა დამოკიდებულება არსებობს საზოგადოებრივ ყოფიერებასა და საზოგადოებრივ ცნობიერებას შორის.* მარქსამდე ყოველი ფილოსოფიური მიმდინარეობა ამ საკითხს იდეალისტურად წყვეტდა. მიჩნეული იყო, რომ საზოგადოებრივი იდეები, ადამიანთა მიზნები, მოტივები, ვნებები, ემოციები და ა. შ. განსაზღვრავენ საზოგადოების განვითარებას. იდეალიზმის მიერ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია. მაგრამ მარქსამდელი მატერიალიზმი არათანმიმდევრულობას იჩენდა, როდესაც მოცემულ საკითხს ანალოგიურად წყვეტდა. ბუნების მოვლენების მიმართ იგი მატერიალიზმის პოზიციებზე იდგა და თვლიდა, რომ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. მაგრამ საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ იგი იდეალიზმის პოზიციებზე გადადიოდა და მიიჩნევდა, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება განსაზღვრავს საზოგადოების განვითარებას. საზოგადოებრივ ცვლილებათა მიზეზს იგი ეძებდა ადამიანთა მიზნებსა და მისწრაფებებში, ვნებებსა და ინტერესებში.

ფილოსოფიის ისტორიაში კ. მარქსი და ფ. ენგელსი იყვნენ პირველნი, რომლებმაც ისტორიის განვითარების მიზეზი საზოგადოების არსებობის მატერიალურ პირობებში მოძებნეს. ამ პირობებიდან მათ გამოყვეს სოციალურ-მატერიალური სფერო — საზოგადოებრივი ყოფიერების სახით, როგორც საზოგადოების ფუნქციობისა და განვითარების საფუძველი და ძირითადი მიზეზი. ამიტომ ისტორიული მატერიალიზმის ჩამოყალიბება და შექმნა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დამსახურებაა. იგი მანამდე არ არსებობდა.

საზოგადოების არსებობის მატერიალური პირობები. საზოგადოების არსებობის მატერიალური პირობებია: გეოგრაფიული გარემო, მოსახლეობა და წარმოება. მათ გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს, მაგრამ ყოველი მათგანი განსხვავებულ როლს ასრულებს მის განვითარებაში. გეოგრაფიული გარემო და მოსახლეობა საზოგადოების არსებობის ბუნებრივ პირობებს მიეკუთვნება, რადგან ისინი ადამიანთა სოციალური მოღვაწეობისაგან დამოუკიდებლად, ბუნების თანდათანობითი ევოლუციის შედეგადაა ჩამოყალიბებული. წარმოება სოციალურ პირობათა რიცხვს განეკუთვნება, რადგან იგი მხოლოდ ადამიანთა მოღვაწეობის შედეგია.

გეოგრაფიული გარემო არის დედამიწის ბუნებრივი პირობები: რელიეფი, კლიმატი, მიწის ნაყოფიერება, ბუნებრივი რესურსები და ა. შ. მოსახლეობა არის ადამიანთა ინდივიდები თავიანთი სხეულებრივი ორგანიზაციით და ბიოლოგიური თვისებებით. დედამიწის გეოგრაფიული პირობები და მათი ცვალებადობა, მოსახლეობის შემადგენლობა, მისი სიმჭიდროვე, განლაგება, ზრდის ტემპები და ა. შ. აუცილებელ გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარების ტემპებსა და ხასიათზე, მაგრამ ისინი არ განსაზღვრავენ საზოგადოების თავისებურებას და სტრუქტურას. მარქსამდე იყო ცდები, საზოგადოების თავისებურების ახსნა მოეძებნათ მისი არსებობის ბუნებრივ პირობებში. ზოგს ასეთად კლიმატური პირობები მიაჩნდა, ზოგს კი — მოსახლეობის ზრდის ტემპები.

მარქსის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან გადაჭრით უარყო მსგავსი მცდელობანი და საზოგადოების სტრუქტურის გასაღები თვით საზოგადოების შიგნით არსებულ მატერიალურ პი-

რობებში იპოვა. ასეთად მან მიიჩნია წარმოება. ის, რომ წარმოების გარეშე საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა, ეს მარქსამდეც ცნობილი იყო. მ ა რ ქ ს ი ს ა ღ მ ო ჩ ე ნ ა ა რ ი ს ი მ ი ს დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა, რ ო მ წ ა რ მ ო ე ბ ი ს წ ე ს ი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს ყ ო ვ ე ლ ა დ ა ნ ა რ ჩ ე ნ საზოგადოებრივ ურთიერთობას. წარმოების პროცესში ადამიანები აწარმოებენ არა მხოლოდ საარსებო საშუალებებს, არამედ თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობებსაც. საზოგადოების თავისებურება და სტრუქტურა დამოკიდებულია წარმოების წესზე. წარმოების წესის ცვალებადობა განსაზღვრავს საზოგადოების განვითარებას.

ამგვარად, საზოგადოების სპეციფიკას განსაზღვრავს არა ბუნებრივ-მატერიალური, არამედ სოციალურ-მატერიალური პირობები, კერძოდ, წარმოების წესი.

ბუნებისა და საზოგადოების განსხვავება. საზოგადოების წარმოშობა ბუნების, კერძოდ, მზის სისტემის, ჩამოყალიბებისა და ხანგრძლივი ევოლუციის კანონზომიერი შედეგია. საზოგადოება მატერიალური სამყაროს ნაწილია, ისიც ბუნების ნაგავსად ობიექტურად არსებობს და ვითარდება. მას არ შეუძლია ბუნების გარეშე არსებობა და ფუნქციობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ბუნების ნაწილია და ემორჩილება იმავე კანონებს, რასაც ბუნება. საზოგადოებას თავისი სპეციფიკა აქვს და იგი არსებითად განსხვავდება ბუნებისაგან. ეს განსხვავება შემდეგია:

ბუნება არსებობს და ვითარდება ადამიანის მოქმედებისაგან დამოუკიდებლად. ბუნებაში რაიმე პროცესის განხორციელებას არ სჭირდება ადამიანის ჩარევა. იგი თავისთავად მოხდება. მაგალითად, მთვარის დაბნელებას მთლიანად განსაზღვრავს ბუნებრივი პირობები და იგი განხორციელდება ადამიანის ყოველგვარი ჩარევის გარეშე. ბუნებაში არ მოქმედებს ცნობიერების მქონე ძალები. იგი არავითარ მიზანს არ ისახავს. მისი ცვალებადობა მთლიანად გაპირობებულია მოვლენათა ურთიერთქმედებით და მათი შესაბამისი ობიექტური კანონებით. ამიტომ ბუნების განვითარება ობიექტურ-კანონზომიერი პროცესია, რომელიც მიმდინარეობს თავისთავად ადამიანთა მოქმედებისა და ჩარევის გარეშე.

საზოგადოების განვითარებაც ობიექტურ-კანონზომიერი პრო-

ცესია, რადგან იგი ექვემდებარება კანონებს, რომლებიც არსებობენ და მოქმედებენ ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ საზოგადოებაში არაფერი არ განხორციელდება ადამიანთა აქტიური მოქმედების გარეშე. ისმება კითხვა: თუკი საზოგადოების განვითარება ობიექტური პროცესია, მაშინ რაღა საჭიროა ადამიანის აქტიური მოქმედება? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ საზოგადოების არსებობის თავისებურებას. ბუნებისაგან განსხვავებით, რომელიც არსებობს თავისთავად. საზოგადოება ადამიანთა მოღვაწეობის შედეგია. მას ქმნის ცნობიერების, ე. ი. მიზნებისა და ნებისყოფის მქონე ადამიანები. ყოველი საზოგადოებრივი მოვლენის არსებობის პირობა ადამიანის მოქმედებაა. ამის გამო ვერც ერთი ეს მოვლენა ადამიანის აქტიური მოქმედების გარეშე ვერ განხორციელდება. მაშასადამე, საზოგადოების განვითარება აუცილებლობით მოითხოვს ადამიანის მიზანდასახულ საქმიანობას. მაგრამ ადამიანთა მოქმედება არ ატარებს თვითნებურ ხასიათს. მათ არ შეუძლიათ მოიმოქმედონ ყოველივე, რაც მოესურვებათ. ისინი მოქმედებენ უკვე არსებულ, წინა თაობების მიერ გადმოცემულ პირობებში და ობიექტური კანონების შესაბამისად. ამიტომ მათი მოქმედება ატარებს ობიექტურ-კანონზომიერ ხასიათს.

ამგვარად, ბუნების განვითარება ობიექტურ-კანონზომიერი პროცესია და ხორციელდება ადამიანთა ჩარევის გარეშე. საზოგადოების განვითარებაც ობიექტურ-კანონზომიერი პროცესია, მაგრამ ხორციელდება მხოლოდ ადამიანთა აქტიური მოქმედების წყალობით. საზოგადოების განვითარების ეს სპეციფიკა კ. მარქსმა აღნიშნა იმით, რომ იგი დაახასიათა როგორც „ბუნებრივ-ისტორიული პროცესი".

ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედება. ბუნებასთან ურთიერთქმედების გარეშე საზოგადოებას არსებობა და ფუნქციობა არ შეუძლია. ჯერ ერთი, ბუნებაა ის სივრცე, რომელშიც საზოგადოება არსებობს. იგი მისი სამოქმედო არენაა. მეორე, ბუნება იძლევა იმ საგნებსა და პროდუქტებს, რომელთა გამოყენებით და მოხმარებით ადამიანს შეუძლია თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მესამე, საზოგადოებას არ შეუძლია ბუნების კანონების

მოსპობა ან გაუქმება. მას შეუძლია მათი შემეცნება და თავისი ინტერესებისათვის გამოყენება.

მართალია, ბუნება არ განსაზღვრავს საზოგადოების სპეციფიკას და სტრუქტურას, მაგრამ დიდ გავლენას ახდენს მისი განვითარების მიმდინარეობასა და ტემპებზე. იგი ქმნის საზოგადოების განვითარების ხელსაყრელ ან ხელისშემშლელ პირობებს, ამიტომ მისი დაჩქარება ან დაყოვნება დიდად არის დამოკიდებული მასზე.

საზოგადოება თავის მხრივ ზემოქმედებს ბუნებაზე, კერძოდ, დედამიწის გეოგრაფიულ პირობებზე. რით გამოიხატება ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების სპეციფიკა? ცხოველიც ურთიერთობაშია ბუნებასთან, ისიც ზემოქმედებს მასზე. მაგრამ იგი კმაყოფილდება მხოლოდ იმის მოხმარებით, რასაც ბუნება მზამზარეული სახით აძლევს. ცხოველი ახალს არაფერს ქმნის, მის არსებობას მთლიანად ბუნება უზრუნველყოფს. იგი ბუნების კმაყოფაზეა. ცხოველი ბუნებაზე გავლენას ახდენს თავისი არსებობით. იგი მოიხმარს და შეუძლია გაანადგუროს მხოლოდ ის გარემო, რომელთანაც უშუალო კონტაქტშია. მაგრამ ძირითადად ცხოველსა და გარემოს შორის დამყარებულია ბუნებრივი წონასწორობა; ცხოველი მოიხმარს გარემოს საგნებს ისე, რომ ტოვებს მათი განახლების შესაძლებლობას, ე. ი. არ სპობს, არ აჩანაგებს ბუნებას. თავის მხრივ, გარემო შეიცავს ცხოველის ნორმალური არსებობისა და გამრავლების ყველა პირობას. ცხოველი შეგუებულია გარემოს, გარემო კი მისთვის მშობლიური და მახლობელია. ბუნებრივი წონასწორობის დარღვევა გამოიწვევდა სიცოცხლის მოსპობას დედამიწაზე.

ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან სხვაგვარია. მას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმით, რასაც ბუნება მზამზარეული სახით აძლევს. მან თვითონ, თავისი საქმიანობით უნდა მოიპოვოს და შექმნას არსებობის აუცილებელი საშუალებები: დაამზადოს საკვები, აიშენოს ბინა, გაიყვანოს გზები, შექმნას შრომის იარაღები, ტრანსპორტის საშუალებანი და ა. შ. ადამიანს ყოველივე ამის მიღწევა შეუძლია მხოლოდ ბუნების საგნების გარდაქმნით. იგი მათ სახეს უცვლის თავისი ინტერესების შესაბამისად. თუ ადამიანმა არ გარდაქმნა ბუნება, მაშინ იგი ვერ შეძლებს თავისი არსებო-

ბის შენარჩუნებას. მაშასადამე, ადამიანის ყოფიერების, არსებობის წესი ისეთია, რომ იგი აიძულებს მას, გარდაქმნას ბუნება, რათა თავისი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს. ადამიანი ზემოქმედებს ბუნებაზე იმით, რომ გარდაქმნის, სახეს და ფორმას უცვლის მას.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში საზოგადოების ზემოქმედებამ ბუნებაზე მიიღო გლობალური მასშტაბი. ეს ნიშნავს, რომ მთლიანად დედამიწის გეოგრაფიული პირობები და არა მისი რომელიმე რეგიონი გახდა ადამიანის გარდაქმნის ობიექტი. მოსახლეობის სწრაფი მატება, ინდუსტრიალიზაცია და ქალაქების ზრდა, სოფლის მეურნეობაში შხამ-ქიმიკატების გამოყენება, ბუნებრივი რესურსების მარაგის შემცირება მათი ექსპლოატაციის გაზრდის ხარჯზე — აი ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განადგურებით ემუქრება ბუნებას. დადგა ბუნებრივი წონასწორობის დარღვევის საფრთხე, რასაც ეწოდება ეკოლოგიური კრიზისი.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იწვევს თუ არა თავისთავად ეკოლოგიურ კრიზისს? არა, არ იწვევს. ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების სიძლიერე და მოცულობა დამოკიდებულია ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების დონეზე. მაგრამ მათ გამოყენებას თუ რა სოციალური შედეგები მოჰყვება, ეს უკვე დამოკიდებულია საზოგადოების ხასიათზე, მის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაზე. კაპიტალიზმი აძლიერებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უარყოფით შედეგებს, რადგან მისი ძირითადი მიზანი მოგება და ანგარებაა, სოციალიზმი კი პირიქით, აძლიერებს მის დადებით შედეგებს. მაგრამ არც კაპიტალისტურ სისტემას ცალკე და არც სოციალისტურ სისტემას ცალკე, ურთიერთშეთანხმების გარეშე, არ შეუძლიათ ეკოლოგიური კრიზისის თავიდან აცილება, რადგან იგი გლობალური პრობლემაა.

მხოლოდ კომუნისტური ფორმაციის დროს შეძლებს ადამიანი საბოლოოდ დაძლიოს ეკოლოგიური კრიზისი. ამ დროს შეძლებს კაცობრიობა გონივრულად მართოს და რეგულირება გაუწიოს თავის ურთიერთობებს, და მათ შორის, ურთიერთობას ბუნებასთან.

ისტორიული მატერიალიზმის საგანი. ისტორიული მატერია-

ლიზმი სწავლობს საზოგადოების ზოგად სტრუქტურას. იგი არის ზოგადსოციოლოგიური მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა დ ა ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი ს უ ზ ო გ ა დ ე ს ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს ა დ ა მ ი ს ი მ ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ ე ლ ი ძ ა ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ.

საზოგადოებას სწავლობს სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებანი, მაგალითად: იურიდიული მეცნიერებანი, პოლიტიკური ეკონომია და ა. შ. ისინი შეადგენენ სპეციალურ, კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებათა კომპლექსს. რით განსხვავდება მათგან ისტორიული მატერიალიზმი?

ისტორიული მატერიალიზმი შეისწავლის საზოგადოებას მთლიანობაში, მის ყველა მხარეს, მათ ურთიერთკავშირებსა და მიმართებებს. სპეციალური საზოგადოებრივი მეცნიერება სწავლობს საზოგადოების ერთ რომელიმე, კერძო მხარეს და არ სწავლობს დანარჩენ მხარეებს. მაგალითად, იურიდიული მეცნიერებანი სწავლობს სამართლებრივ ურთიერთობებს და მათ შესაბამის ნორმებს; პოლიტიკური ეკონომია იკვლევს წარმოებით (ეკონომიკურ) ურთიერთობებს. მაგრამ არც ერთი მათგანი არ სწავლობს სხვა ტიპის მიმართებებს.

მაგრამ არსებობს ერთი სპეციალური მეცნიერება, რომელიც ასევე მთლიანობაში სწავლობს საზოგადოებას — ეს არის ისტორია. ისტორიის აღწერის საგანია ქვეყნის განვითარების ყველა მხარე: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ა. შ. როგორც ვხედავთ, ისტორიული მატერიალიზმი და ისტორიაც მთლიანობაში იკვლევს საზოგადოებას. კანონიერად დგება საკითხი: მაშინ რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?

ისტორია აღწერს რომელიმე ქვეყნის განვითარებას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მისი შესწავლის საგანია კონკრეტული ფაქტების მიმდინარეობა, — რამ გამოიწვია ისინი, სად და როდის მოხდა, რა მოუვიდა მათ შემდგომ და ა. შ., ისტორია არ ადგენს საზოგადოების განვითარების კანონებს, იგი აღწერითი მეცნიერებაა.

ისტორიული მატერიალიზმი იკვლევს საზოგადოების სტრუქტურას, მისი განვითარების შინაგან ლოგიკას. იგი ადგენს საზოგა-

დოების განვითარების მამოძრავებელ ძალებსა და კანონებს. იგი ფილოსოფიური მეცნიერებაა.

რა დამოკიდებულებაა ისტორიულ მატერიალიზმსა და სპეციალურ საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის? ისტორიული მატერიალიზმი არ იკვლევს საზოგადოების განვითარების კონკრეტულ ფაქტებს. ეს კერძო მეცნიერებათა საქმეა. ამიტომ ინფორმაციას, მასალას საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შესახებ ისტორიული მატერიალიზმი იღებს მათგან. თავის მხრივ ისტორიული მატერიალიზმი კერძო მეცნიერებათა მეთოდოლოგიური საფუძველია. სპეციალურმა მეცნიერებამ, რომელიც საზოგადოების ერთ მხარეს სწავლობს, რომ მთლიანობაში გაიაზროს იგი, უნდა მიმართოს ისტორიულ მატერიალიზმს. მაგალითად, ისტორია არ აღწერს ყველა ფაქტს, რომელიც მოცემულ პერიოდში მოხდა. მათგან იგი გამოყოფს მნიშვნელოვანს და ღირებულს. მაგრამ რომელი ფაქტი უნდა მიეიჩნიოთ ასეთად? ეს დამოკიდებულია იმაზე — არის თუ არა იგი ისტორიული კანონზომიერების გამოვლენა. ამ კანონზომიერებას კი ისტორიული მატერიალიზმი სწავლობს. მაშასადამე, ისტორიამ რომ გამოყოს, აღწეროს და ახსნას ისტორიული ფაქტები, უნდა დაემყაროს ისტორიულ მატერიალიზმს.

ბუნების და საზოგადოების კანონების ერთიანობა და განსხვავება. ბუნების და საზოგადოების კანონებს ახასიათებს ყველა ის ნიშანი, რაც საერთოდ კანონს. ისინი გამოხატავენ ობიექტურ, აუცილებელ, შედარებით მყარ, შინაგან, ზოგად კავშირებს. ეს ნიშნები მათთვის საერთოა და ამაშია მათი ერთიანობა.

მაგრამ საზოგადოების კანონები ორ არსებით პუნქტში განსხვავდება ბუნების კანონებისაგან. ჯერ ერთი, საზოგადოების კანონები უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში მოქმედებს, ვიდრე ბუნების კანონები. ეს გასაგებიცაა, რადგან საზოგადოება გაცილებით უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ბუნება. შესაბამისად ხდება მათი კანონების ცვლილება. მეორე, ბუნების კანონები ხორციელდება ადამიანის მოქმედებისა და ჩარევის გარეშე. საზოგადოების კანონები კი რეალიზდება მხოლოდ ადამიანის მოღვაწეობის შედეგად. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ადამი-

ანის მოღვაწეობა ქმნის საზოგადოების კანონებს. ისინი ბუნების კანონების მსგავსად არსებობს ობიექტურად. ადამიანს არც მათი შექმნა და არც გაუქმება შეუძლია. ადამიანს შეუძლია მათი აღმოჩენა და შემეცნება. იმისათვის, რომ ადამიანმა რაიმე განახორციელოს, უნდა დაემორჩილოს კანონებს და მათ შესაბამისად იმოქმედოს.

მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით საზოგადოების კანონები იყოფა სამ ტიპად:

1) საყოველთაო, უზოგადესი კანონები, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე. მათ ზოგადსოციოლოგიურ კანონებს უწოდებენ. მაგალითად, საწარმოო ძალთა განვითარების ხასიათსა და დონესთან წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის კანონი.

2) ზოგადი კანონები, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების განვითარების რამდენიმე, მაგრამ არა ყველა ეტაპზე. მაგალითად, ღირებულების კანონი, რომელიც სასაქონლო წარმოებას განსაზღვრავს. კლასობრივი ბრძოლის კანონები, რომლებიც მოქმედებენ ექსპლოატატორულ საზოგადოებაში.

3) სპეციფიკური კანონები, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების განვითარების მხოლოდ ერთ ეტაპზე. მაგალითად, ზედმეტი ღირებულების კანონი, რომელიც კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონია.

ისტორიული მატერიალიზმი ადგენს საზოგადოების განვითარების უზოგადეს კანონებს და მათი გამოვლენის ზოგად და სპეციფიკურ ფორმებს.

საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება. საზოგადოებრივი ყოფიერება სოციალურ-მატერიალურ ურთიერთობათა ერთობლიობაა, რომელიც მყარდება ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად. იგი უპირველეს ყოვლისა მოიცავს წარმოების პროცესს, რომლის დროს ადამიანები ურთიერთობას ამყარებენ ბუნებასთან და ერთმანეთთან. წარმოების პირველ მხარეს შეადგენს შრომის პროცესი. შრომა არის ადამიანის მიერ შესაბამისი იარაღების გამოყენებით ბუნების საგნების გარდაქმნა და მათთვის სასურველი ფორმის მინიჭება. შრომის პროცესში ადამიანი ქმნის მატერიალურ დოვლათს, რათა დაიკმაყოფილოს

თავისი მოთხოვნილებანი. წარმოების მეორე მხარეა ურთიერთობანი, რომელთაც ადამიანები შრომის პროცესში ამყარებენ ერთმანეთთან. ეს არის წარმოებით ანუ ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა. მაშასადამე, წარმოება მოიცავს ორ მხარეს — შრომის პროცესს და ამ პროცესში დამყარებულ წარმოებით ურთიერთობებს. მაგრამ საზოგადოებრივი ყოფიერება მოიცავს სხვა სოციალურ ურთიერთობათა მატერიალურ მხარეებსაც. კ. მარქსის განმარტებით, იგი ადამიანთა ცხოვრების რეალური პროცესია. ამიტომ საზოგადოებრივი ყოფიერება არ უნდა დავიყვანოთ მხოლოდ წარმოების პროცესზე. იგი ყველა საზოგადოებრივ-მატერიალური ურთიერთობის ერთობლიობაა.

საზოგადოებრივი ყოფიერების ძირითად შინაარსს გამოხატავს წარმოების პროცესი; შრომის გარეშე ადამიანს არსებობა არ შეუძლია. იმისათვის, რომ მან იარსებოს, სჭირდება საკვები, ტანსაცმელი, ბინა და ა. შ. ყოველივე ამის მოპოვება მას შრომით შეუძლია. მხოლოდ შრომის მეშვეობით ქმნის ადამიანი მატერიალურ დოვლათს, რომლითაც იგი იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. შრომა კაცობრიობის მიერ შექმნილი მთელი სიმდიდრის წყაროა.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მხოლოდ შრომის პროცესში ყალიბდება ადამიანი როგორც სპეციფიკური საზოგადოებრივი არსება. შრომის წყალობით გამოეყო ადამიანი ცხოველთა სამყაროს. შრომის ინსტინქტური ფორმები ცხოველისთვისაცაა დამახასიათებელი: ჩიტი ბუდეს აშენებს, ფუტკარი ფიჭას აკეთებს და ა. შ. მაგრამ შრომა სპეციფიკური ფორმით მხოლოდ ადამიანს ახასიათებს. ეს არის ადამიანის მიზანდასახული, აქტიური საქმიანობა, რომელიც ბუნებას გარდაქმნის იარაღების დამზადებისა და გამოყენების მეოხებით. ასეთი საქმიანობა ცხოველისათვის უცხოა.

ადამიანი და შრომა განუყრელია ერთმანეთისაგან. არ არსებობს შრომა ადამიანის გარეშე და არც ადამიანი შრომის გარეშე. მათი წარმოშობა და ფორმირება ერთიანი პროცესია. ადამიანი ყალიბდება შრომის პროცესში და ამიტომ სავსებით სამართლიანია ფ. ენგელსის დებულება, რომ შრომამ შექმნა ადამიანი. მაგრამ ასევე სამართლიანია დებულებაც, რომ ადამიანმა შექმნა შრომა.

საზოგადოებრივი ცნობიერება მიეკუთვნება საზოგადოების

ნებული იდეების, შეხედულებების, გრძნობების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, მისწრაფებების და ა. შ. ერთობლიობა. იგი არ არის ინდივიდუალურ ცნობიერებათა ჯამი, არამედ შედარებით დამოუკიდებელი, თავისთავადი მთლიანობაა. მას აქვს რთული სტრუქტურა და გამოვლენის განსხვავებული ფორმები.

საზოგადოებრივი ცნობიერების სტრუქტურა შედგება ორი ელემენტისაგან — იდეოლოგიისა და საზოგადოებრივი ფსიქოლოგიისაგან. იდეოლოგია არის იდეების, შეხედულებების მეტ-ნაკლებად დასაბუთებული სისტემა, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ კლასის ინტერესებს და მიზნად ისახავს არსებული წყობილების დაცვას ან მოსპობას.

იდეოლოგია ყოველთვის კლასობრივია. გაბატონებული კლასის იდეოლოგია მიზნად ისახავს, დაიცვას და განამტკიცოს არსებული წყობილება, დაჩაგრული კლასის იდეოლოგია კი — გააკრიტიკოს და შეცვალოს იგი. რეაქციული კლასის იდეოლოგია ანტიმეცნიერულია და კონსერვატიული, რევოლუციური კლასის იდეოლოგია — მეცნიერული და პროგრესული.

საზოგადოებრივი ფსიქოლოგია არის გრძნობების, ემოციების, ვნებების, მისწრაფებების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების და ა. შ. ერთობლიობა.

საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებია: პოლიტიკური და სამართლებრივი ცნობიერება, მორალი, ხელოვნება, რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება. ყოველი მათგანი მისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური ფორმებით და საშუალებებით ასახავს საზოგადოებრივ ყოფიერებას.

საზოგადოებრივი ყოფიერება პირველადია, იგი საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებობს. საზოგადოებრივი ცნობიერება მეორადია, მისი შინაარსი განსაზღვრულია საზოგადოებრივი ყოფიერებით. საზოგადოებრივი ცნო-

ბიერება მეტ-ნაკლები სისრულით ასახავს საზოგადოებრივ ყოფიერებას და ადამიანის სოციალურ მოთხოვნილებებს.

ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი, ამოსავალი პრინციპია დებულება იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას. საზოგადოებრივი ყოფიერების ცვლილება იწვევს საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლილებას, და არა პირიქით. საზოგადოების ტიპი, მისი სტრუქტურა და სპეციფიკა გაპირობებულია საზოგადოებრივი ყოფიერების ხასიათით და დონით. იდეები, შეხედულებები და ა. შ. იცვლება ადამიანის ყოფიერების, მატერიალური ურთიერთობის შეცვლის შესაბამისად.

მატერიალური დოვლათის წარმოების წესი

წარმოების დახასიათებისას უკვე აღინიშნა, რომ იგი მოიცავს ორ მხარეს: ადამიანთა მიმართებას ბუნებასთან, ე. ი. შრომის პროცესს, და ერთმანეთთან, ე. ი. წარმოებით ურთიერთობებს. ადამიანთა დამოკიდებულებას ბუნებასთან გამოხატავს საწარმოო ძალები, რომლებიც ერთიანობაში არიან წარმოებით ურთიერთობებთან. საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობას წარმოების წესი ეწოდება. დავახასიათოთ თითოეული მათგანი და მიმამართება მათ შორის.

საწარმოო ძალები—ეს ის ძალებია, რომელთა მეშვეობით ხორციელდება შრომის პროცესი, ე. ი. ბუნების გარდაქმნის საფუძველზე იქმნება მატერიალური დოვლათი. ისინი გამოხატავენ საზოგადოების ბუნებაზე ზემოქმედების, ბატონობის დონესა და სიძლიერეს. საწარმოო ძალებს რთული სტრუქტურა აქვს. იგი შედგება შემდეგი ელემენტებისაგან.

შრომის პროცესი რომ განხორციელდეს, აუცილებელია: 1) საგანი, რომლის დამუშავებაც ხდება, რათა მას მიეცეს სასურველი ფორმა — მიწა, ხე, ქვა, ბამბა და ა. შ. საწყის მასალას,

რომლის დამუშავებაც შრომის პროცესში ხდება, ეწოდება შრომის საგანი. შრომის საყოველთაო საგანია ბუნება, მაგრამ იგი საწარმოო ძალებს არ მიეკუთვნება, რადგან შრომა მასზეა მიმართული. შრომის უშუალო საგანია ბუნების რაღაც ნაწილი, კერძოდ ის საგნები, რომლებიც წარმოების პროცესშია ჩართული. საწარმოო ძალების განვითარების კვალობაზე იზრდება შრომის საგნების მოცულობა. ამასთან ადამიანი ბუნებრივ საგნებთან ერთად ფართოდ იყენებს ხელოვნურ საგნებსაც.

2) შრომის საგნის დამუშავებას ადამიანი შიშველი ხელებით არ ახდენს. ამისთვის იგი იყენებს გარკვეულ ნივთებს, ხელსაწყოებს, ინსტრუმენტებს, რომელთაც იგი ბუნებაში მზამზარეული სახით კი არ მოიპოვებს, არამედ თვითონ ქმნის. ნივთებს ან ნივთების კომპლექსს, რომელთა მეშვეობით ადამიანი აქტიურად ზემოქმედებს ბუნებაზე, შრომის იარაღები ეწოდება. მაგალითად, შრომის პროცესში ადამიანი იყენებს ისეთ იარაღებს, როგორიცაა: ჩაქუჩი, ნაჯახი, მანქანები, დაზგები და ა. შ.

3) შრომის პროცესის განსახორციელებლად შრომის იარაღებთან ერთად აუცილებელია დამხმარე საშუალებებიც. მაგალითად: შენობები, გზები, სარწყავი არხები, ტრანსპორტის საშუალებებიც, ელექტროხაზები, ენერგიის წყაროები და ა. შ. ისინი შრომის იარაღებთან ერთად შეადგენენ შრომის საშუალებებს. შრომის საგანი და შრომის საშუალებები ერთად შეადგენს წარმოების საშუალებებს, ისინი წარმოადგენენ შრომის პროცესის ნივთიერი ელემენტების ერთობლიობას.

4) წარმოების საშუალებები თავისთავად ვერაფერს ვერ აწარმოებენ. მათ მოძრაობაში მოყვანა სჭირდებათ. ძალები, რომელთაც ისინი მოძრაობაში მოყავთ და მათი გამოყენებით ახორციელებენ შრომის პროცესს, არიან გარკვეული უნარის, ჩვევის, გამოცდილების და კვალიფიკაციის მქონე ადამიანები. ადამიანები წარმოების საშუალებებთან ერთად შეადგენენ საწარმოო ძალებს. საწარმოო ძალების სტრუქტურა, მისი შემადგენელი

ელემენტები სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ:



საწარმოო ძალების ელემენტებს განსხვავებული ადგილი უჭირავთ მათ სტრუქტურაში. შესაბამისად მათი როლიც განსხვავებულია შრომის პროცესში. წარმოების მთავარი ფაქტორია მწარმოებელი, მშრომელი ადამიანები, რადგან ისინი ქმნიან წარმოების საშუალებებს და მათი გამოყენებით ახორციელებენ შრომის პროცესს. საწარმოო ძალების განმსაზღვრელი ელემენტია შრომის საშუალებები, რადგან ისინი გამოხატავენ ადამიანის ბუნებაზე აქტიური ზემოქმედების დონესა და სიძლიერეს. მათგან კ. მარქსი გამოყოფდა შრომის იარაღებს, რომელთაც იგი წარმოების ძვალკუნთოვან სისტემას უწოდებდა. შრომის იარაღები უდიდეს როლს ასრულებს არა მხოლოდ უშუალოდ წარმოების პროცესში, არამედ საზოგადოების განვითარებაში. კ. მარქსი აღნიშნავს, რომ ეკონომიკურ ეპოქებს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა ის, თუ რა, არამედ როგორ და შრომის რა საშუალებებით იწარმოება.

ახლა დავახასიათოთ წარმოების წესის მეორე მხარე — წარმოებითი ურთიერთობანი.

წარმოებითი ურთიერთობანი ის ეკონომიკური ურთიერთობანია, რომელთა შიგნით და მეშვეობით ხორციელდება წარმოების საზოგადოებრივი პროცესი. ადამიანები მათ ნებაყოფლობით კი არ ირჩევენ, არამედ ისინი ყალიბდებიან ობიექტურად, მათი ნებისა და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად.

შრომის პროცესი თავისი ბუნებით საზოგადოებრივი ხასიათისაა, მაგრამ იგი შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალურად და კოლექტიურად. მას ერთი ადამიანი ცალკე განახორციელებს იმ შემთხვევაში, თუ ისარგებლებს საზოგადოებრივი, ე. ი. სხვების მიერ დამზადებული იარაღებით. თუნდაც, რომ წარმოვიდგინოთ რობინზონი, რომელიც უკაცრიელ კუნძულზე მოხვდა და მარტოს მოუხდა შრომა, სარგებლობდა წინა თაობების კოლექტიური შრომით დამზადებული იარაღებით.

შრომა როგორც კოლექტიური საქმიანობა მოითხოვს ადამიანთა შეთანხმებულ, ორგანიზებულ მოქმედებას, ამ მიზნით მათ შორის მყარდება გარკვეული **ტექნიკურ-ორგანიზაციული ურთიერთობანი,** მაგალითად, შრომის ტექნიკური დანაწილება, განსხვავებული პროფესიების თანაფარდობა, ოსტატის და შეგირდის ან ინჟინრის და მუშის ურთიერთობა და ა. შ. ამ ურთიერთობების გარეშე შრომის კოლექტიური პროცესი როგორც ტექნიკური პროცესი არ განხორციელდება.

წარმოებითი ურთიერთობანი არის არა ტექნიკურ-ორგანიზაციული, არამედ ეკონომიკური ურთიერთობანი, რომელთა გარეშე საზოგადოებრივი წარმოება როგორც სოციალური პროცესი არ განხორციელდება. წარმოებით ურთიერთობებს რთული სტრუქტურა აქვს, რომლის ელემენტებს შეადგენს შემდეგი:

1) საკუთრების მიმართება. საკუთრება არის ადამიანთა მიერ ნივთების მითვისების ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი წესი. ის არის არა ადამიანის ნივთთან, არამედ ადამიანებს შორის საზოგადოებრივი ურთიერთობა, მაგრამ რაღაც ნივთის გამო. საკუთრების იურიდიული გამოხატულებაა ნივთის ფლობის, სარგებლობის და გამგებლობის უფლება. საკუთრება როგორც ეკონომიკური კატეგორია გამოხატავს ადამიანთა დამოკიდებულებას წარმოების საშუალებებთან იმის მიხედვით, ვის ხელშია წარმოების საშუალებანი, არსებობს საკუთრების ორი ტიპი — კერძო და საზოგადოებრივი. საკუთრება კერძოა, თუ წარმოების საშუალებებს ფლობენ ცალკეული პირები. საკუთრება საზოგადოებრივია თუ წარმოების საშუალებებს ფლობს მთელი საზოგადოება ან მშრომელთა კოლექტივები.

2) სოციალური ჯგუფების ადგილი და რო-

ლი წარმოების პროცესში. შრომის პროცესს ახორციელებს მონა, ყმა-გლეხი, დაქირავებული მუშა, თავისუფალი მუშაკი და ა. შ. — ეს გამოხატავს გარკვეულ წარმოებით ურთიერთობებს.

3) საზოგადოებრივი დოვლათის გაცვლის, განაწილების და მოხმარების ფორმები. თუ როგორ, რა პრინციპებით ხდება წარმოებულ პროდუქტთა მითვისება, განაწილება და მოხმარება — წარმოებით ურთიერთობათა გამოხატულებაა.

წარმოებითი ურთიერთობანი ამ სამი მომენტის ერთიანი სისტემაა. მათ შორის გამსაზღვრელია საკუთრების ურთიერთობანი, როგორიცაა საკუთრების ტიპი, ისეთივეა წარმოებით ურთიერთობათა ტიპი. საკუთრების ორი ძირითადი ტიპი — კერძო და საზოგადოებრივი საკუთრება არსებობს, შესაბამისად წარმოებით ურთიერთობათა ორი ტიპი არსებობს.

წარმოებით ურთიერთობათა როგორ ტიპს განსაზღვრავს კერძო საკუთრება? მათ, ვინც წარმოების საშუალებებს ფლობს, აქვთ უპირატესობა იმათთან შედარებით, ვინც მათ არ ფლობს, ამიტომ მათ სხვადასხვაგვარი ადგილი უკავიათ წარმოების პროცესში, შესაბამისად მათი როლი განსხვავებულია. წარმოებული პროდუქტების განაწილებაც არათანაბარია. მფლობელნი ექსპლოატაციას უწევენ არამფლობელთ, პირველნი ბატონობენ, მეორენი კი — მორჩილებენ მათ. მაშასადამე, კერძო საკუთრებაზე დამყარებული წარმოებითი ურთიერთობანი ექსპლოატაციის, ბატონობის და მორჩილების ურთიერთობანია. ამ ტიპის სამი ფორმა არსებობდა ისტორიაში — მონათმფლობელური, ბატონყმური და კაპიტალისტური.

როგორია საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული წარმოებითი ურთიერთობანი? საზოგადოებრივი საკუთრების დროს ადამიანები ერთნაირ დამოკიდებულებაშია წარმოების საშუალებებისადმი, რადგან ყველას მათი სარგებლობის და გამგებლობის ერთნაირი უფლება აქვს. ცალკეულ პირს ან ადამიანთა ჯგუფს რაიმე უპირატესობა არ გააჩნია. ამიტომ მათი ადგილი და როლი

წარმოების პროცესში ერთნაირია. ასეთ ვითარებაში გამორიცხულია ექსპლოატაციის, ბატონობის და მორჩილების დამოკიდებულება. მაშასადამე, საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული წარმოებითი ურთიერთობანი ადამიანთა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობანია. ამ ტიპის ურთიერთობანი არსებობდა პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში, არსებობს სოციალიზმის დროს და იარსებებს კომუნიზმის დროს.

საწარმოო ძალების ხასიათსა და დონესთან წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის კანონი. საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი საზოგადოებრივი წარმოების ორი განუყოფელი მხარეა. მათი ერთიანობის გარეშე წარმოების პროცესი არ განხორციელდება. მაგრამ ისინი განსხვავებულ მხარეებს წარმოადგენენ, ამიტომ მათი როლიც შრომის პროცესში განსხვავებულია. საწარმოო ძალები წარმოების პროცესის შინაარსს შეადგენს, წარმოებითი ურთიერთობანი კი — ფორმას. ამიტომ მათ შორის დამოკიდებულება შინაარსისა და ფორმის დამოკიდებულებაა. მათი ურთიერთობა შინაარსისა და ფორმის დიალექტიკას გამოხატავს.

საწარმოო ძალები უფრო სწრაფად იცვლება და ვითარდება, ვიდრე წარმოებითი ურთიერთობანი. მათი ცვალებადობის ტემპები განსხვავებულია. საწარმოო ძალების ელემენტები მოძრავი და ცვალებადია, წარმოებით ურთიერთობათა ელემენტები კი უფრო მყარი და უძრავი. ამიტომ წარმოებითი ურთიერთობანი განვითარების მხრივ მუდამ ჩამორჩებიან საწარმოო ძალებს.

საწარმოო ძალების განვითარებაში საზოგადოებამ უდიდეს პროგრესს მიაღწია. ამ პროგრესის მაჩვენებელია შრომის საზოგადობრივი ნაყოფიერების ზრდა, როდესაც იქმნება უფრო მწარმოებლური წარმოების საშუალებანი. მათ შორის ძირითადია შრომის იარაღების და შრომის დამხმარე საშუალებების სრულყოფა და გაუმჯობესება. მათ განვითარებას ეწოდება ტექნიკური პროგრესი. თუ გაუმჯობესებული შრომის იარაღი ნაკლები დროის განმავლობაში უკეთ და ხარისხიანად უფრო მეტ სამუშაოს ასრულებს, ვიდრე ძველი შრომის იარაღი, მაშინ იგი უფრო მწარმოებლურია და სწორედ ეს არის ტექნიკური

პროგრესის მაუწყებელი. მაგალითად, თანამედროვე ექსკავატორი ერთი დღის განმავლობაში ასრულებს იმდენ სამუშაოს, რასაც უწინ ათასობით მუშა ნიჩბებით გაცილებით მეტ დროს მოანდომებდა. ტექნიკური პროგრესის მაჩვენებელია აგრეთვე ენერგიის წყაროების, ტრანსპორტის საშუალებების და ა. შ. გაუმჯობესება. უწინ ადამიანი ცხოველების კუნთოვან ძალას იყენებდა, დღეს იგი ელექტროდენის და ატომური ენერგიის ძალას იყენებს. მომავალში ადამიანი შეძლებს თერმობირთვული რეაქციის ძალის გამოყენებას. ტექნიკური პროგრესი საწარმოო ძალების განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. პირველყოფილმა ადამიანმა თავისი საქმიანობა დაიწყო პრიმიტიული — ქვის, ძვლის და ხის — იარაღებით. მშვილდისრის გამოგონება, ცეცხლის გამოყენება და მისი მოპოვების მეთოდების დამუშავება წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ამ გზაზე. მოგვიანებით ადამიანმა დაიწყო ლითონის, ჯერ სპილენძის და ბრინჯაოს, შემდეგ კი რკინის იარაღების დამზადება და გამოყენება. რკინის იარაღები, მათი სრულყოფა და გაუმჯობესება, რომელიც ხელოსნურ შრომას ემყარებოდა, წარმოადგენდა მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ტექნიკური პროგრესის მიმართულებით თვისებრივად ახალი ნაბიჯი გადაიდგა კაპიტალიზმის ეპოქაში, როდესაც შეიქმნა მანქანური წარმოება. ეს იყო პირველი სამრეწველო რევოლუცია, რომელიც XVIII საუკუნეში დაიწყო ინგლისში, XIX საუკუნეში გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო საუკუნის მიწურულს რუსეთიც და იაპონიაც მოიცვა. მანქანური წარმოება თვისებრივად განსხვავდება ხელოსნური შრომისაგან. ხელოსნობა ემყარება ხელით შრომას, რაც მანქანამ შეცვალა. მანქანური წარმოებისას მუშა ხელით მანქანის დამხმარე ოპერაციებს ასრულებს, იგი მანქანის დანამატად გადაიქცა. მანქანური წარმოება ქმნის ტექნიკური პროგრესის ფართო შესაძლებლობებს.

შემდეგი თვისებრივად ახალი ნახტომი საწარმოო ძალების განვითარებაში დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან, რომელიც ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო. ეს არის ბუნებისმეტყველების ფუნდამენტური შე-

დეგების და აღმოჩენების წარმოებაში დანერგვის ბაზაზე თვისებრივად ახალი ტიპის ტექნიკის შექმნა. კიბერნეტიკისა და რადიოტექნიკის განვითარების შედეგად შეიქმნა გამომთვლელი, თვითმარეგულირებელი მანქანები, რომელთა გამოყენებამ გამოიწვია წარმოების პროცესის ავტომატიზაცია. დაიწყო ახალი ერა საწარმოო ძალების განვითარებაში — ავტომატიზებული წარმოება, რომელმაც თვისებრივად შეცვალა ადამიანის ადგილი და როლი შრომის პროცესში. მანქანურმა წარმოებამ შეცვალა ხელის შრომა, მაგრამ ადამიანი არ გაუთავისუფლებია წარმოების პროცესში მონაწილეობისაგან. წარმოების პროცესის მართვა, კონვეიერული სისტემის ცალკეული ოპერაციების შესრულება და ა. შ. ადამიანის საქმედ რჩებოდა. ავტომატიზაცია მთლიანად ათავისუფლებს ადამიანს წარმოების პროცესში უშუალო მონაწილეობისაგან. რობოტები და ავტომატები ცვლიან ადამიანს. წარმოების პროცესში ადამიანი აღარ ერევა. ადამიანს რჩება წარმოების პროცესის კონტროლის, გამართვის, ახალი მანქანების დაპროექტების, პროგრამების შედგენის, სარემონტო სამუშაოების და ა. შ. ფუნქციები. ცხადია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია საწყის სტადიაზეა და მას მთლიანად არ მოუცავს შრომის პროცესი, მაგრამ იგი არნახულ პერსპექტივებს ქმნის ამ მიმართულებით.

ადამიანი უკვე უშუალოდ აღარ ზემოქმედებს ბუნებაზე. ამას იგი ახდენს ავტომატიზებული სისტემის მეოხებით.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ არსებითად შეცვალა მეცნიერების ადგილი და როლი წარმოების პროცესში. უწინ ტექნიკის განვითარება ძირითადად ემყარებოდა ადამიანის გამოცდილებას, დახელოვნებას და ოსტატობას. მეცნიერება ეპიზოდურ და შემთხვევით გავლენას ახდენდა ტექნიკის სრულყოფასა და გაუმჯობესებაზე. დღეს კი მეცნიერება გახდა ტექნიკის განვითარების საფუძველი. ახალი მეცნიერული მიმართულებები, აღმოჩენები, ბუნებისმეტყველებაში განსაზღვრავს თანამედროვე ტექნიკის განვითარების ხასიათსა და ტემპებს. თანამედროვე ბუნებისმეტყველების გარეშე ტექნიკის არსებობა და ფუნქციობა შეუძლებელია.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში კ. მარქსმა იწინასწარმეტყველა, რომ მეცნიერება სულ უფრო მეტად იქცევა უშუალო საწარმოო

ძალად. საწარმოო ძალა მატერიალურია, მეცნიერება კი არა. მეცნიერების გადაქცევა საწარმოო ძალად არ ნიშნავს, რომ იგი მატერიალური გახდება. მეცნიერება ადამიანის სულიერი მოღვაწეობის შედეგია და იგი ასეთად დარჩება. მაგრამ თანამედროვე ტექნიკა მეცნიერული ცოდნის განვითარების, რეალიზაციის, განხორციელების შედეგია. ამიტომ არა თავისთავად, ტექნიკისაგან დამოუკიდებლად, არამედ ტექნიკაში განხორციელებული და რეალიზებული მეცნიერება არის მატერიალური ძალა. ტექნიკური პროგრესი, რომლის გარეშეც დღევანდელი წარმოება შეუძლებელია, მეცნიერებას ემყარება. მეცნიერება ტექნიკის მეშვეობით არის ის საწარმოო ძალა, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს შრომის პროცესში. გარდა ამისა თანამედროვე მუშის საქმიანობა სულ უფრო მეტად მოითხოვს მეცნიერულ ცოდნას. თუ უწინ იგი იოლად გადიოდა გამოცდილების დაგროვებით და დახელოვნებით, ახლა მას რთული ტექნიკის დაუფლება და მართვა აღარ შეუძლია მეცნიერული ცოდნის გარეშე. ბუნებისმეტყველების ცოდნა და მის საფუძველზე კვალიფიკაციის ამაღლება, დახელოვნება და დაოსტატება — აი თანამედროვე წარმოების მუშაკის საქმიანობის აუცილებელი პირობა.

ამგვარად, შრომის პრიმიტიული იარაღებიდან თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციამდე — ასეთია საწარმოო ძალების განვითარების ძირითადი ხაზი. და ეს პროცესი კიდევ უფრო გაგრძელდება და გაღრმავდება. მისი პერსპექტივები უსაზღვრო და წარმოუდგენელია.

ახლა ვნახოთ, როგორ მიმდინარეობს წარმოებით ურთიერთობათა განვითარება.

წარმოებითი ურთიერთობანი შეესაბამება საწარმოო ძალების განვითარების ხასიათსა და დონეს. პირველყოფილი ადამიანის შრომის იარაღები იყო პრიმიტიული. მათი შრომის ნაყოფიერება იმდენად დაბალი იყო, რომ ადამიანს შეეძლო მხოლოდ თავისი თავის გამოკვება. მათი მეშვეობით არ შეიძლებოდა ზედმეტი პროდუქტის შექმნა. ზედმეტი პროდუქტი ეწოდება ისეთ პროდუქტს, რომელიც რჩება ადამია-

ნის აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ. პრიმიტიული იარაღების გამოყენებით ადამიანი ქმნიდა მხოლოდ იმდენს, რამდენიც მას სჭირდებოდა. ასეთ ვითარებაში გამორიცხულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და მისი შრომის პროდუქტის მითვისება. ეს განაპირობებდა საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოების საშუალებებზე. გარდა ამისა ადამიანის უმწეო მდგომარეობა ბუნების მრისხანე ძალების წინაშე და მის ხელთ არსებული პრიმიტიული იარაღები მოითხოვდნენ კოლექტიურ საქმიანობას. ცალკეულ ადამიანს სხვების დახმარების გარეშე არ შეეძლო ეშრომა. ადამიანები კოლექტიურად შრომობდნენ, რაც აიძულებდა მათ წარმოების საშუალებების გაერთიანებას. თავდაპირველად ადამიანთა ერთიანობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმა იყო გვარი, შემდეგ ტომი. შესაბამისად ყალიბდებოდა გვარის ან ტომის საკუთრება, რომელსაც საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა.

შრომის იარაღების გაუმჯობესების და სრულყოფის კვალობაზე იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. რკინის იარაღების გამოყენება იძლეოდა ზედმეტ პროდუქტს. ამის გამო აზრი შეიძინა სხვისი შრომის ექსპლოატაციამ, რადგან გაჩნდა ზედმეტი პროდუქტის მითვისების შესაძლებლობა. ასე წარმოიშვა კერძო საკუთრება. კერძო საკუთრებაზე დამყარებული წარმოებითი ურთიერთობანი შეესაბამება ისეთ განვითარებულ საწარმოო ძალებს, რომლებიც შრომის ნაყოფიერების გაზრდის საფუძველზე ზედმეტი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობას იძლევიან.

თანდათანობით ირღვევა გვარტომობრივი ურთიერთობანი, რადგან ისინი უკვე აღარ შეესაბამებიან განვითარებულ საწარმოო ძალებს. შრომის პროცესი რთულდება, იქმნება მისი სხვადასხვა დარგი, რასაც თან მოსდევს დანაწილება. შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება იყო მესაქონლეობის გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ადამიანი ნადირობიდან გადავიდა ცხოველების მოშინაურებაზე და მათ საგანგებო მოვლა-მოშენებაზე. შრომის მეორე დიდი საზოგადოებრივი დანაწილება იყო ხელოსნობის გამოყოფა სასოფლო-სამეურნეო შრომისაგან. ეს

მოხდა მაშინ, როდესაც ადამიანი შრომის იარაღების მოპოვებიდან გადავიდა მათ საგანგებო დამზადებაზე. ადამიანმა დაიწყო შრომის იარაღების წარმოება. შ რ ო მ ი ს მ ე ს ა მ ე დ ი დ ი ს ა ზ ო გ ა-დ ო ე ბ რ ი ვ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა იყო გონებრივი შრომის ფიზიკურისაგან გამოყოფა. ეს უკვე მოხდა კლასობრივ საზოგადოებაში, როდესაც გაბატონებული კლასის ხვედრი გახდა გონებრივი, ხოლო დაჩაგრული კლასის ხვედრი — ფიზიკური შრომა.

შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ და კერძო საკუთრების წარმოებამ განაპირობა სასაქონლო ურთიერთობების ჩამოყალიბება. სასაქონლო წარმოებამ გამოიწვია გვარტომობრივი ურთიერთობების რღვევა. წარმოიშვა ახალი წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებიც ემყარებოდა კერძო საკუთრებას და მწარმოებელთა ექსპლოატაციას.

ექსპლოატაციის ტიპის წარმოებითი ურთიერთობების პირველი ფორმა იყო მონობა. მონათმფლობელი ფლობს არა მხოლოდ წარმოების საშუალებებს, არამედ მწარმოებელ მუშაკსაც — მონას. მონა მისი საკუთრებაა. მას შეუძლია იგი გაყიდოს, გაასაჩუქროს და მოკლას. მონურ შრომაზე დამყარებული წარმოებითი ურთიერთობანი საკვებით შეესაბამება არსებული საწარმოო ძალების ხასიათსა და დონეს. მონების საშინელი ექსპლოატაციის ხარჯზე მონათმფლობელურმა საზოგადოებამ შექმნა მატერიალური და სულიერი კულტურის საკმაოდ მაღალი დონე. ამიტომ მონათმფლობელური წარმოებითი ურთიერთობანი უფრო პროგრესული იყო პირველყოფილ თემურ-წარმოებით ურთიერთობებთან შედარებით.

მაგრამ შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე მონათმფლობელური ურთიერთობანი უკვე აღარ შეესაბამება განვითარებულ საწარმოო ძალებს. მონა აღარ არის დაინტერესებული წარმოების პროცესის შედეგებით, რადგან მას არაფერი არ რჩება. ამიტომ იგი ცუდად შრომობს, ანადგურებს წარმოების იარაღებს. მყარდება ახალი ფეოდალური, ბატონყმური წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებიც უფრო პროგრესულია მონათმფლობელურთან შედარებით, რადგან მწარმოებელი მუშაკის მეტი დაინტერესების პირობებს ქმნის. ყმა-გლეხი, რომლის ექსპლოატაციასაც ბატონი ეწევა, თავის საკუთრებას ფლობს. წარმოების ძირითადი საშუალება — მიწა

ძებატოხის ხელ ძია, ძაგრაძ ყძას აქვს პირადი საკუთრება პიოუ-ტყვისა და მიწის დასაპუშავებელი წვრილი იარაღების სახით. რადგან მიწა მემამულის ხელშია, იგი აიძულებს გლეხს, მის სასარ-გებლოდ იმუშაოს. შრომითი შემოსავლის დიდი ნაწილი მემამუ-ლეს მიაქვს, ხოლო მცირე, მაგრამ მაინც გარკვეულ ნაწილს გლეხს უტოვებს. ამიტომ გლეხი შრომის პროცესით უფრო დაინტერესე-ბულია, ვიდრე მონა. ამის გამო იზრდება შრომის ნაყოფიერება.

თავდაპირველად ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობანი შეესაბამება საწარმოო ძალების განვითარების ხასიათსა და დონეს. მაგრამ საწარმოო ძალები კიდევ უფრო წინ მიდის და ვითარდება. იზრდება სასაქონლო წარმოება, ჩნდება ქალაქები, ეროვნული ბა-ზრები. ირღვევა ნატურალური, კარჩაკეტილი ფეოდალური მეურ-ნეობა. ქალაქების ზრდა იწვევს მრეწველობის განვითარებას. კიდევ უფრო ღრმავდება შრომის დანაწილება.

განვითარებულ საწარმოო ძალებს უკვე აღარ შეესაბამება ფე-ოდალური ურთიერთობანი. შრომის პროცესი მოითხოვს თავისუ-ფალ მუშაკს, რომელიც არ არის შებოჭილი ბატონყმური ურთიე-რთობებით. მყარდება ახალი კაპიტალისტური წარმოებითი ურთი-ერთობანი, რომელთა არსი შემდეგშია: წარმოების საშუალებანი ეკუთვნის კაპიტალისტს, მუშა მოკლებულია მათ. იგი ფლობს მხოლოდ თავის სამუშაო ძალას. იმისათვის, რომ მუშამ იარსებოს, უნდა გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა. კაპიტალისტმა რომ წარმო-ების საშუალებანი მოძრაობაში მოიყვანოს, უნდა იყიდოს მუშის სამუშაო ძალა, როგორც საქონელი. მხოლოდ ამ ურთიერთობის დამყარების შემდეგ შეიძლება დაიწყოს წარმოების პროცესი. მუ-შა იურიდიულად, ფორმალურად კაპიტალისტის თანასწორია. იგი კანონით მასზე არ არის დამოკიდებული. მაგრამ ფაქტობრივად მათ შორის უთანასწორობაა. იმის გამო, რომ კაპიტალისტი ყი-დულობს მუშის სამუშაო ძალას როგორც საქონელს, იგი მას იყე-ნებს თავის სასარგებლოდ. მუშის ექსპლოატაციის ხარჯზე კაპიტა-ლისტი იღებს კოლოსალურ მოგებას. მაგრამ მუშა უფრო დაინტე-რესებულია შრომის პროცესის შედეგებით, ვიდრე ყმა-გლეხი. ამი-ტომ იზრდება შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერება. კაპიტა-

ლისტური წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალების განვითარების ფართო პერსპექტივებს შლის.

კაპიტალიზმმა უფრო მეტად განავითარა საწარმოო ძალები, ვიდრე მანამდე საზოგადოებამ მთელი ისტორიის მანძილზე. მაგრამ მოგვიანებით განვითარებულ საწარმოო ძალებს უკვე აღარ შეესაბამება კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი. ისინი ამუხრუჭებენ მათ წინსვლას, რადგან ღრმავდება და მწვავდება კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური წინააღმდეგობა: წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ხ ა ს ი ა თ ს ა დ ა მ ი თ ვ ი ს ე ბ ი ს კ ე რ ძ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ურ ფ ო რ მ ა ს შ ო რ ი ს. კაპიტალიზმმა შრომის პროცესი გახადა საზოგადოებრივი. მსხვილმა ინდუსტრიამ ერთ ჭერქვეშ გააერთიანა მუშები, რომლებიც ერთიანი შრომითი პროცესით ქმნიან პროდუქციას, წარმოების და კაპიტალის კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ, მონოპოლიების წარმოშობამ კიდევ უფრო მეტად გაზარდა შრომის პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი, მითვისება კი უცვლელი დარჩა. კვლავ კაპიტალისტები ფლობენ წარმოების საშუალებებს და იღებენ კოლოსალურ მოგებას. მითვისების ასეთი ფორმა აღარ შეესაბამება შრომის პროცესის საზოგადოებრივ ხასიათს. საწარმოო ძალები აუცილებლობით მოითხოვენ განსაზოგადოებას. გარდაუვალი ხდება საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული წარმოებით ურთიერთობათა დამკვიდრება. ასეთია სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებიც მყარდება სოციალიზმის დროს.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი შეესაბამება განვითარებულ საწარმოო ძალებს. მაგრამ საწარმოო ძალების განვითარების კვალობაზე ისინიც განიცდიან პროგრესს და თანდათანობით გარდაიქმნებიან კომუნისტურ წარმოებით ურთიერთობებად. ოღონდ ეს განვითარება თავისი ხასიათით და ბუნებით ძირეულად განსხვავდება ექსპლოატაციაზე დამყარებულ წარმოებით ურთიერთობათა განვითარებისაგან. ეს უკანასკნელი მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლისა და კონფლიქტების გზით. სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა განვითარება კი გეგმაზომიერად, მათი თანდათანობითი სრულყოფის გზით ხდება.

ახლა ზოგადად დავახასიათოთ საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა მიმართება. ამ მიმართებას გამოხატავს საწარმოო ძალების განვითარების ხასიათსა და დონესთან წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის კანონი, რომლის არსი შემდეგშია: საწარმოო ძალების განვითარების ხასიათი და დონე განსაზღვრავს წარმოებით ურთიერთობებს, ამიტომ ამათ შორის არსებობს შესაბამისობა. წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალების განვითარების პირობაა. მაგრამ საწარმოო ძალები უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე წარმოებითი ურთიერთობანი. ისინი ჩამორჩებიან მათ განვითარებას, რის გამოც ძველდებიან და ხელს უშლიან, აბრკოლებენ საწარმოო ძალების წინსვლას და სრულყოფას. ძველი, ჩამორჩენილი წარმოებითი ურთიერთობანი კარგავს თავის ძირითად ფუნქციას — აღარ შეესაბამება განვითარებულ საწარმოო ძალებს და იმის ნაცვლად, რომ ხელი შეუწყოს, პირიქით, აბრკოლებს, ამუხრუჭებს მათ პროგრესს. წარმოიშობა კონფლიქტი განვითარებულ საწარმოო ძალებსა და ძველ, ჩამორჩენილ წარმოებით ურთიერთობებს შორის. ეს კონფლიქტი აუცილებლობით მოითხოვს ძველი წარმოებითი ურთიერთობების შეცვლას ახლით, პროგრესულით. მყარდება ახალი წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებიც შეესაბამებიან განვითარებულ საწარმოო ძალებს და ხელს უწყობენ მათ პროგრესს. მაგრამ საწარმოო ძალები კვლავ ვითარდება, რომელთაც ისევ ჩამორჩება წარმოებითი ურთიერთობანი, ისინი ძველდებიან და იცვლებიან ახლით და ა. შ. დაუსრულებლად.

საწარმოო ძალების განვითარების ხასიათსა და დონესთან წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის კანონი ზოგადსოციოლოგიური კანონია, რომელიც მოქმედებს მთელი ისტორიის მანძილზე. იგი განსაზღვრავს არა მხოლოდ მოცემული წარმოების წესის განვითარებას, არამედ ძველი წარმოების წესის ახლით შეცვლის გარდაუვალობას. რადგან წარმოების წესი განსაზღვრავს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას, ამიტომ აღნიშნული კანონი გა-

მოხატავს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა განვითარებისა და ცვლებადობის კანონზომიერების საფუძველს.

ახლა დავახასიათოთ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია

საზოგადოება განიცდის განვითარებას, რომელიც ატარებს ობიექტურ, კანონზომიერ ხასიათს. ამ პროცესში გამოიყოფა გარკვეული ეტაპები, საფეხურები, რომლებიც საზოგადოების ამა თუ იმ ტიპს გამოხატავენ. ამის გამო საზოგადოება თავისი წარმოშობიდან დღემდე არ არის ერთგვაროვანი. მისი განვითარების კანონზომიერი საფეხურების აღსანიშნავად ისტორიული მატერიალიზმი ხმარობს ცნებას — „საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია". არ არსებობს საზოგადოება საერთოდ. იგი ყოველთვის იმყოფება თავისი განვითარების რომელიმე საფეხურზე, ე. ი. შესაბამისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ეტაპზე. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1) იგი გამოხატავს საზოგადოების გარკვეულ ტიპს, რომელიც კანონზომიერად წარმოიშობა მისი განვითარების რომელიმე საფეხურზე.

2) იგი მოიცავს საზოგადოებას მთლიანობაში, მის ყველა მხარეს. ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ზნეობრივი, სამართლებრივი და ა. შ. ურთიერთობანი წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზმს, რომელიც თავის სპეციფიკურ კანონებს ექვემდებარება. საზოგადოებრივი მოვლენები შემთხვევითი გროვა, ქაოსი კი არ არის, არამედ კანონზომიერად შეკრული ერთიანი კომპლექსია. მასში ყოველ მოვლენას თავისი ადგილი, როლი და ფუნქცია აქვს.

3) საზოგადოების ტიპს განსაზღვრავს წარმოების წესი, ამიტომ მისი შესატყვისია მოცემული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. ისტორიაში არსებობდა ხუთი განსხვავებული წარმოების წესი, შესაბამისად არსებობს ხუთი განსხვავებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია: პირველყოფილი თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და კომუნისტური. უკანასკნე-

ლი ჯერჯერობით არსებობს მისი პირველი ფაზის — სოციალიზმის სახით. მისი მეორე ფაზა — საკუთრივ კომუნიზმი მომავალში განხორციელდება.

4) საზოგადოების ამ რთულ კომპლექსში გამოიყოფა მატერიალური (ეკონომიკური) და იდეოლოგიური ურთიერთობანი. ეკონომიკური ურთიერთობანი განსაზღვრავს, განაპირობებს საზოგადოების მთლიან სტრუქტურას, ამიტომ იგი მის ბაზისს შეადგენს. იდეოლოგიური ურთიერთობანი ბაზისზე აღმართული ზედნაშენია. ამიტომ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის სტრუქტურას გამოხატავს ბ ა ზ ი ს ი და ზ ე დ ნ ა შ ე ნ ი. ამგვარად, თუ შევაჯამებთ ზემოთ აღნიშნულს, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგნაირად:

წ ა რ მ ო ე ბ ი ს წ ე ს ი თ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს გ ა რ კ ვ ე უ ლ ტ ი პ ს, მ თ ლ ი ა ნ ს ო ც ი ა ლ უ რ ს ი ს ტ ე მ ა ს თ ა ვ ი ს ი ბ ა ზ ი ს ი თ დ ა ზ ე დ ნ ა შ ე ნ ი თ, რ ო მ ე ლ ი ც ა რ ს ე ბ ო ბ ს დ ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ს მ ი ს თ ვ ი ს დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ებ ე ლ ი ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე — ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ-ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ფ ო რ მ ა ც ი ა ე წ ო დ ე ბ ა.

საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა ცვლა ატარებს პ რ ო გ რ ე ს უ ლ ხასიათს. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მომდევნო საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია უფრო მაღალია წინანდელთან შედარებით. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია საზოგადოების მატერიალური და სულიერი განვითარების უფრო მეტ შესაძლებლობას ქმნის; ვითარდება საწარმოო ძალები, რის შედეგად იზრდება შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერება. ვ. ი. ლენინს შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერების ზრდა საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად მიაჩნდა, რადგან იგი საზოგადოების მატერიალური და სულიერი განვითარების საფუძველია. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პროგრესულობა აისახება არა მარტო საწარმოო ძალების, არამედ საზოგადოების სხვა მხარეების — პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ზნეობრივი, სამართლებრივი და ა. შ. განვითარებაში. ეს ფაქტი არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ ახა-

ლი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ზოგიერთი ელემენტის განვითარება ჩამორჩებოდეს ძველი ფორმაციის შესაბამის ელემენტს. მაგალითად, ფეოდალიზმი ჩამორჩებოდა მონათმფლობელურ საზოგადოებას კულტურის, კერძოდ ხელოვნების ზოგიერთი დარგის, განვითარებით. მაგრამ მატერიალური და სულიერი განვითარების საერთო დონით იგი გაცილებით უფრო მაღლა იდგა მონათმფლობელობასთან შედარებით. მან მწარმოებელ მუშაკს უფრო მეტი დაინტერესების პირობები შეუქმნა, რითაც გაზარდა შრომის ნაყოფიერება. კაპიტალიზმმა კიდევ უფრო მეტად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, რითაც თვისებრივად მაღალ დონეზე აიყვანა და განავითარა საზოგადოებრივი ურთიერთობანი. კომუნისტური ფორმაცია კიდევ უფრო გააღრმავებს ამ პროცესს და სრულიად ახალი ტიპის საზოგადოებრივ ურთიერთობებს დაამყარებს.

პირველყოფილი თემური წყობილება უკლასო საზოგადოებაა. იგი გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას და ჩაგვრას. მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი კლასობრივ ანტაგონიზმსა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე დამყარებული საზოგადოებებია. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ექსპლოატაციის ფორმებით. მონობა არაეკონომიკურ იძულებას ემყარება. მონა მონათმფლობელის ისეთივე საკუთრებაა, როგორც წარმოების საშუალებანი. ყმა-გლეხიც მებატონის საკუთრებაა, მაგრამ მას მონასთან შედარებით მეტი უფლებები აქვს. კაპიტალიზმმა არაეკონომიკური იძულება შეცვალა ეკონომიკურით. კაპიტალისტური წარმოება დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას ემყარება. სხვაგვარად არსებობა მას არ შეუძლია. ამიტომ კაპიტალიზმი იგივე მონობაა, მაგრამ განსხვავებით ძველი მონობისაგან, დაქირავებული მონობაა.

კაპიტალიზმი კლასობრივ ანტაგონიზმსა და ექსპლოატაციაზე დამყარებული უკანასკნელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციაა. იგი ამზადებს მატერიალურ წანამძღვრებს ახალ კომუნისტურ ფორმაციაზე გადასასვლელად, რომელიც თავისუფალია კლასობრივი ანტაგონიზმებისა და ექსპლოატაციისაგან.

საზოგადოების განვითარება პირველყოფილი თემური წყობი-

ლებიდან მონათმფლობელობის, ფეოდალიზმის და კაპიტალიზმის გავლით მიდის უკანასკნელ კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისაკენ. ეს არის საზოგადოების განვითარების მაგისტრალური ხაზი, რომელიც მიმდინარეობს უდაბლესიდან უმაღლესისაკენ. მას აქვს ზეაღმავალი და პროგრესული ხასიათი.

შეუძლია თუ არა საზოგადოებას, თავის განვითარებაში გამოტოვოს რომელიმე საფეხური? არა, არ შეუძლია. საზოგადოებამ თანმიმდევრულად უნდა გაიაროს ყოველი საფეხური. ეს ისტორიულად აუცილებელი და ობიექტურად კანონზომიერი პროცესია. თუმცა ამა თუ იმ ცალკეულ ქვეყანას შეუძლია გამოტოვოს რომელიმე საფეხური და მისი გვერდის ავლით პირდაპირ გადავიდეს უფრო მაღალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაზე. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემული ქვეყნის გვერდით უკვე ჩამოყალიბებულია და ვითარდება აღნიშნული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. მაგალითად, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა კაპიტალიზმის გვერდის ავლით უშუალოდ გადავიდა სოციალიზმზე. მაგრამ ეს მოხდა საბჭოთა კავშირის აქტიური მხარდაჭერით და დახმარებით.

ბურჟუაზიული სოციოლოგიის ზოგიერთი წარმომადგენელი უარყოფს საზოგადოების განვითარების პროგრესულ ხასიათს. ისინი თვლიან, რომ საზოგადოებაში ადგილი აქვს არა წინსვლას — დაბლიდან მაღლისაკენ, არამედ წრებრუნვას. თითქოს ახალი მთლიანად იმეორებდეს ძველს. ამიტომ საზოგადოების განვითარებაში არავითარ პროგრესს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

მარქსამდელი სოციოლოგია არ აღიარებდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების არსებობას. იგი მსჯელობდა საზოგადოებაზე საერთოდ, აბსტრაქტულად, დამოუკიდებლად მისი განვითარების კონკრეტულ-ისტორიული პირობებისაგან. მისთვის უცხო იყო საზოგადოების განხილვისადმი დიალექტიკურ-მატერიალისტური მიდგომა. იგი იმუშავებდა ზოგად სქემებს, იდეალებს, რომლებიც უნდა განეხორციელებინა მოცემულ საზოგადოებას. ამიტომ მარქსამდელი სოციოლოგიის მსჯელობანი საზოგადოების განვითარებაზე ძირითადად იყო უტოპიური, არამეცნიერული. მან ვერ აღმოაჩინა მისი ცვალებადობის ობიექტური კანონები.

პირველად ისტორიულმა მატერიალიზმმა მოგვცა საზოგადოების განვითარების მეცნიერული ახსნა. მან აბსტრაქტული მსჯელობანი საზოგადოებაზე შეცვალა კონკრეტულ-ისტორიული ანალიზით. არა საზოგადოება საერთოდ, არამედ მისი რომელიმე გარკვეული საფეხური — აი მეცნიერული ანალიზის ობიექტი. მარქსიზმმა ეს მოახერხა იმით, რომ შეიმუშავა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება. კ. მარქსმა „კაპიტალში" გამოიკვლია კაპიტალისტური წარმოების ეკონომიკური კანონები.

თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია უარყოფს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნებას. იგი მიიჩნევს, რომ არსებობს განსხვავებული კულტურები, ცივილიზაციები, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ და ვითარდებიან. მათ აქვთ თავიანთი წარმოშობის, აყვავების და დაცემის პერიოდები, ანალოგიურად იმისა, როგორც ადამიანს აქვს დაბადების, მოწიფულობის, სიბერის და სიკვდილის პერიოდები. განსხვავებული კულტურები ერთმანეთისაგან იზოლირებულია; ისინი ერთიმეორეს არ აგრძელებენ, არამედ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ და ისპობიან. მსოფლიო ისტორია არ არის ერთიანი პროცესი, მას არა აქვს განვითარების მაგისტრალური ხაზი.

მარქსიზმი უარყოფს თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის აღნიშნულ შეხედულებას იმის მეოხებით, რომ აღიარებს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა თანმიმდევრულ ცვლას. მას აქვს შეუქცევადი ხასიათი, რადგან ექვემდებარება ობიექტურ კანონზომიერებას. ისმება კითხვა: რომელი კანონი განსაზღვრავს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა ცვალებადობის ობიექტურ, ისტორიულ გარდაუვალობას? ეს არის საწარმოო ძალების განვითარების ხასიათსა და დონესთან წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის ზოგად-სოციოლოგიური კანონი. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის საფუძველი, განმსაზღვრელი არის წარმოების წესი, როგორიცაა წარმოების წესი, ისეთივეა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. პირველის შეცვლა აუცილებლობით იწვევს მეორის შეცვლას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოების წესის ცვალებადობას განსაზღვრავს საწარმოო ძალების განვითარების ხასიათსა და დონესთან წარმოებით ურთიერთობათა შე-

საბამისობის კანონი. ცხადია, რომ დასახელებული კანონი განსაზღვრავს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების თანმიმდევრული შეცვლის ობიექტურ აუცილებლობას. სწორედ იგი განაპირობებს წარმოების წესის ცვალებადობას, რომლის შესაბამისად გარდაიქმნება მთლიანი სოციალური სისტემა.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნებისაგან უნდა განვასხვავოთ ისტორიული ეპოქის ცნება. იგი გამოხატავს ისტორიული განვითარების ისეთ პერიოდს, რომლის დროს რომელიღაც ტენდენცია არის წამყვანი, გაბატონებული. მაგალითად, ფეოდალიზმის ეპოქა მოიცავს შუა საუკუნეების ხანას, როდესაც აღნიშნული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია იყო გაბატონებული, აღორძინების ეპოქა მოიცავს პერიოდს, როდესაც ხდებოდა ფეოდალურ ურთიერთობათა მსხვრევა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბება. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ფეოდალური სახელმწიფოები ჯერ კიდევ არსებობენ, წამყვანი მდგომარეობა სწორედ აღნიშნულ ტენდენციას უკავია. თანამედროვე ეპოქა მოიცავს ორი სოციალური — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის ურთიერთჭიდილს. მისი მთავარი შინაარსი გამოხატავს გაბატონებულ, წამყვან ტენდენციას, რაც მდგომარეობს მსოფლიო მასშტაბით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლის პროცესში.

ბაზისი და ზედნაშენი. ბაზისი და ზედნაშენი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის სტრუქტურის შემადგენელი ძირითადი ელემენტებია. მათი ურთიერთობა გამოხატავს მოცემული ფორმაციის თვისებრივ სახეს და სპეციფიკას.

ბაზისი არის წარმოებით (ეკონომიკურ) ურთიერთობათა ერთობლიობა. იგი შეადგენს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, მის საფუძველს.

საზოგადოების ბაზისი იგივეა, რაც წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებიც მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში მყარდება ადამიანებს შორის. შინაარსობრივად ისინი ერთმანეთის იგივეობრივია, რადგან შედგებიან ერთი და იმავე ელემენტებისაგან. მაგრამ მათ შორის განსხვავებაა სოციალური ფუნქციის მხრივ.

წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალების ფორმაა, რომ-ლის შიგნით ისინი ვითარდებიან. მათ მიმართ ისინი არ ასრულებენ ბაზისის, საფუძვლის როლს. პირიქით, საწარმოო ძალები განსაზ-ღვრავენ და განაპირობებენ წარმოებით ურთიერთობებს, ამიტომ ისინი მათზე არიან დამოკიდებული, მათ მიმართ მეორადია. მაგრამ იგივე წარმოებითი ურთიერთობანი დანარჩენი საზოგადოებრივი პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური, ზნეობრივი და ა. შ.— ურთიერთობების მიმართ ასრულებს ბაზისის როლს, რადგან მათ შინაარსს და ხასიათს განსაზღვრავს. მაშასადამე, საზოგადოების ბაზისი სხვა არაფერია, თუ არა წარმოებითი ურთიერთობანი, მა-გრამ განხილული არა საწარმოო ძალების, არამედ დანარჩენი საზო-გადოებრივი მოვლენების მიმართ.

ზედნაშენი, რომელიც საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისზე აღიმართება, მოიცავს სამი ტიპის მოვლენებს:

1) საზოგადოებრივ (პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ, კულტურულ, ზნეობრივ, რელიგიურ და ა. შ.) ურთიერთობებს.

2) მათ გამომხატველ იდეებს, შეხედულებებს და გრძნობებს, განწყობილებებს, ე. ი. საზოგადოებრივ ცნობიერებას (იდეოლოგი-ას და საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას).

3) ამ საზოგადოებრივ ურთიერთობათა და შეხედულებათა შე-საბამის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. მაგალითად, პოლი-ტიკურ შეხედულებთა შესაბამისი დაწესებულება და ორგანიზა-ციაა სახელმწიფო, პოლიტიკური პარტია, სამართლებრივ შეხე-დულებათა — სასამართლო, პროკურატურა, რელიგიურ შეხედუ-ლებათა — ეკლესია და ა. შ.

ზ ე დ ნ ა შ ე ნ ი ა რ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ურ თ ი ე-რ თ ო ბ ა თ ა, მ ა თ გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი დ ე ა თ ა დ ა გ ა ნ-წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა თ ა დ ა მ ა თ ი შ ე ს ა ბ ა მ ი ს დ ა წ ე ს ე-ბ უ ლ ე ბ ა თ ა დ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა თ ა ე რ თ ო ბ ლ ი ო ბ ა.

როგორც ვხედავთ, ზედნაშენი უფრო ფართოა, ვიდრე საზოგა-დოებრივი ცნობიერება. მისგან განსხვავებით იგი მოიცავს აგრე-თვე საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მათ შესაბამის დაწესე-ბულებებსა და ორგანიზაციებს.

ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთქმედება. ზედნაშენის აქტი-

ური როლი. ბაზისსა და ზედნაშენს შორის ორმხრივი დიალექ-ტიკური დამოკიდებულებაა. ერთი მხრივ, ბაზისი განსაზღვრავს ზედნაშენს, მეორე მხრივ კი — ზედნაშენი აქტიურად ზემოქმე-დებს ბაზისზე.

ბაზისი განსაზღვრავს ზედნაშენის ხასიათსა და შინაარსს, რა ტიპის ბაზისიცაა, იმავე ტიპისაა ზედნაშენი. ყოველ საზოგადოე-ბრივ-ეკონომიკურ ფორმაციას თავისი ბაზისი და მისი შესატყვისი ზედნაშენი აქვს. მაგალითად, კაპიტალისტურ ბაზისს კაპიტალის-ტური ზედნაშენი, ხოლო სოციალისტურ ბაზისს — სოციალის-ტური ზედნაშენი შეესაბამება.

კლასობრივ საზოგადოებაში ზედნაშენის მნიშვნელოვანი ელე-მენტია პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობანი და შეხე-დულებანი და მათი შესაბამისი დაწესებულებანი. ეს გაპირობებუ-ლია მოცემული საზოგადოების ბაზისის თავისებურებით. მისი წა-რმოებითი ურთიერთობანი კლასობრივი ბუნებისაა. კლასთა ურთი-ერთობის გამოხატულებაა პოლიტიკა და სამართალი. ამის გამო კლასობრივი საზოგადოების ზედნაშენი მოიცავს პოლიტიკურ-სამა-რთლებრივ ურთიერთობებს, შეხედულებებს და მათ შესაბამის დაწესებულებებს. უკლასო საზოგადოების ზედნაშენში ეს ელემენ-ტები არ შედის. ამ საზოგადოების ბაზისი არ გამოხატავს კლასთა ურთიერთობებს და მისი შესატყვისი ზედნაშენიც არ შეიცავს მათ ამსახველ პოლიტიკურ და სამართლებრივ ურთიერთობებს.

კლასი, რომელიც ეკონომიკურად გაბატონებულია, ფლობს წა-რმოების საშუალებებს, იგი პოლიტიკურად და სულიერად გაბატო-ნებულია. მაგალითად, კაპიტალისტები, რომელთაც გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ წარმოების სფეროში, ასევე ბატონობენ პოლიტიკის სფეროში. მათ უპყრიათ სახელმწიფო ძალაუფლება, რის გამოც სახელმწიფო თავისი ბუნებით კაპიტალისტურია. საზო-გადოებაში გაბატონებული იდეები ეკონომიკურად გაბატონებული კლასის იდეებია. ამიტომ ზედნაშენი ძირითადად ეკონომიკურად გა-ბატონებული კლასის ინტერესების და მიზნების ასახვა და გამოხა-ტვაა. მაგრამ ეს გარემოება არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ზედნა-შენი შეიცავს დაჩაგრული კლასის იდეებს, განწყობილებებს და მათ შესაბამის ორგანიზაციებს. მაგალითად, კაპიტალისტურ ზედნაშენში

შედის პროლეტარიატის იდეები და მათი შესაბამისი ორგანიზაციები. მისი შემადგენელი ელემენტია მარქსიზმ-ლენინიზმი და მუშათა პარტიები. ეს გამოწვეულია იმით, რომ პროლეტარიატი კაპიტალისტური ბაზისის აუცილებელი მომენტია.

დებულება იმის შესახებ, რომ ბაზისი განსაზღვრავს ზედნაშენს, ხოლო ზედნაშენი ასახავს ბაზისს, არის ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი პრინციპის დაკონკრეტება. მაგრამ ეს ორი დებულება არ ემთხვევა ერთმანეთს. საზოგადოებრივი ყოფიერება და ბაზისი არ არის ერთმანეთის იგივეობრივი. პირველი უფრო ფართოა, ვიდრე მეორე. საზოგადოებრივი ყოფიერება მოიცავს ადამიანთა ცხოვრების მთელ რეალურ პროცესს, ბაზისი კი — მხოლოდ წარმოებით ურთიერთობებს. ასევე ერთმანეთს არ ემთხვევა საზოგადოებრივი ცნობიერება და ზედნაშენი.

ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი პრინციპი, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის სტრუქტურის ანალიზისას ღებულობს შემდეგ სახეს: ბაზისი განსაზღვრავს ზედნაშენს. საწარმოო ძალები ახდენენ თუ არა გავლენას ზედნაშენზე? უშუალოდ არა, მხოლოდ გაშუალებით. საწარმოო ძალები წარმოებით ურთიერთობათა მეშვეობით ზემოქმედებენ ზედნაშენზე. თუ მათი გავლენა არ აისახა ბაზისში, ისინი ვერავითარ ზემოქმედებას ზედნაშენზე ვერ მოახდენენ.

ზედნაშენი არ არის ბაზისის პასიური ასახვა. იგი ა ქ ტ ი უ რ ა დ ზ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ს მ ა ს ზ ე. რითაა ეს გაპირობებული? ზედნაშენი რთული სტრუქტურის მქონე სისტემაა. რომლის ელემენტები ურთიერთზემოქმედებენ. მასში მომხდარ ყოველ ცვლილებას ავტომატურად და უშუალოდ არ განსაზღვრავს ბაზისი. ეს უკანასკნელი არ არის ერთადერთი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ზედნაშენზე. მასზე ზემოქმედებს აგრეთვე სხვა მრავალი ფაქტორი: კლასთა ბრძოლა, გეოგრაფიული პირობები, ტრადიციები, ეროვნული თავისებურებანი და ა. შ. ბაზისი არის ის საფუძველი, რომელიც მხოლოდ საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს ზედნაშენს.

ამიტომ ზედნაშენს ბაზისთან მიმართებაში აქვს შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა. ბაზისი განსაზღვრავს ზედნა-

შენის ხასიათს და მისი მოქმედების მიმართულებასა და საზღვრებს. მაგალითად, კაპიტალისტური ბაზისის საფუძველზე შეუძლებელია წარმოიქმნას სხვა ტიპის, ვთქვათ, სოციალისტური ზედნაშენი. მაგრამ კაპიტალისტურ ზედნაშენში ელემენტების სახით შეიძლება შევიდეს სოციალისტური ზედნაშენის ზოგიერთი ელემენტი: მოწინავე მარქსისტულ-ლენინური იდეები, კომუნისტური პარტია და ა. შ. მართალია, კაპიტალისტური ბაზისი არ შეიცავს სოციალისტური ბაზისის ელემენტებს, მაგრამ იგი ამზადებს სოციალიზმის წარმოქმნის მატერიალურ წანამძღვრებს. ეს გარემოება აუცილებლობით მოითხოვს შესაბამისი იდეებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმოქმნას.

ამიტომ ზედნაშენის დამოკიდებულება ბაზისისადმი ორგვარია: ერთი მხრივ, იგი იცავს და ემსახურება მას. ამ ფუნქციას ასრულებს გაბატონებული იდეები და ორგანიზაციები. მეორე მხრივ, იგი ებრძვის და ანადგურებს მას. ამ ფუნქციას ასრულებს მოწინავე იდეები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოხატავენ დაჩაგრული კლასის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

ყოველი ბაზისი თავისი ბუნებით წინააღმდეგობრივია, შესაბამისად ზედნაშენიც წინააღმდეგობრივია, რადგან იგი მისი ასახვაა. ანტაგონისტურ საზოგადოებაში აღნიშნული წინააღმდეგობანი ანტაგონისტურია, არაანტაგონისტურში კი — არაანტაგონისტური.

სოციალისტურ ბაზისს შეესაბამება სოციალისტური ზედნაშენი. მათი ურთიერთობა თვისებრივად განსხვავდება ანტაგონისტური საზოგადოების ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობისაგან. სოციალისტური ბაზისი გამორიცხავს კლასთა ანტაგონიზმსა და კონფლიქტებს, იგი გამოხატავს კლასთა თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას. შესაბამისად ზედნაშენიც გამორიცხავს მის ელემენტებს შორის ანტაგონიზმებსა და კონფლიქტებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სოციალისტური ზედნაშენი არ შეიცავდეს მისთვის უცხო ელემენტს, ვთქვათ, რელიგიური ცრურწმენებისა და მათი შესაბამისი დაწესებულების — ეკლესიის სახით. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ზედნაშენი ავტომატურად და პირდაპირ არ არის დამოკიდებული ბაზისზე. ეს დამოკიდებულება მეტად

რთული და მრავალმხრივია, რაც გაპირობებულია არა მხოლოდ ბაზისით, არამედ სხვა უამრავი ფაქტორის და პირობის გადაჯაჭვით და გადახლართვით.

კლასები და კლასობრივი ბრძოლა

კლასები და კლასობრივი ბრძოლა არ მიეკუთვნება საზოგადოების უზოგადეს კანონზომიერებას — კლასები არ არსებობს ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში. პირველყოფილი თემური წყობილების დროს არ არსებობს კლასები. ისინი წარმოიშვნენ მონათმფლობელურ საზოგადოებაში და განაგრძობენ არსებობას ფეოდალიზმის და კაპიტალიზმის პირობებში. სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ შემორჩენილია კლასები, მაგრამ სოციალიზმის განვითარებისა და სრულყოფის გზით თანდათანობით იშლება კლასობრივი განსხვავებანი. არსებითად და ძირითადად კლასები გაქრება და უკლასო საზოგადოება ჩამოყალიბდება სოციალიზმის ფაზის ჩარჩოებში. მთლიანად კი ეს მოხდება საკუთრივ კომუნიზმის ფაზაში.

ამგვარად, კლასები ისტორიული მოვლენაა, ისინი კანონზომიერად წარმოიშობიან საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე და ასევე კანონზომიერად გაქრებიან მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე. რა არის კლასები? რატომ წარმოიშობიან ისინი? და თუ წარმოიშობიან, რატომ გაქრებიან მომავალში?

კლასების განსაზღვრება. ადამიანთა ჯგუფებად დაყოფა შეიძლება მოხდეს ბუნებრივი ან საზოგადოებრივი ნიშნის მიხედვით: ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული დაყოფის მაგალითებია: ასაკის (ძველი და ახალი თაობა), სქესის და რასების მიხედვით. საზოგადოებრივი მიზეზებით გამოწვეული დაყოფის მაგალითებია: პროფესიების, საცხოვრებელი ადგილის და ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების მიხედვით. საზოგადოების კლასებად დაყოფა გამოწვეულია საზოგადოებრივი, კერძოდ ეკონომიკური, მიზეზებით.

კლასების კლასიკური განსაზღვრება მოგვცა ვ. ი. ლენინმა თავის

ნაშრომში „დიადი თაოსნობა“. „კლასები ეწოდება ადამიანთა დიდ ჯგუფებს, რომლებიც განსხვავდებიან მათი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი (მეტწილად კანონებში განმტკიცებული და გაფორმებული) დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, და, მაშასადამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ წილის მიღების წესით და სიდიდით, რომელიც მათ ხელთ აქვთ“[1].

ახლა განვმარტოთ კლასების ლენინისეული განსაზღვრება. კლასები განსაზღვრულია ოთხი ნიშნის მიხედვით, რომლებიც უნდა განვიხილოთ ერთიანობასა და ურთიერთკავშირში: 1) კლასები განსხვავდებიან ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ისტორიულად განსაზღვრული წარმოების წესი განაპირობებს შესაბამისი კლასების არსებობას. მონათმფლობელური — მონათმფლობელებსა და მონებს, ფეოდალური — მემამულე ფეოდალებს და ყმაგლეხებს, კაპიტალისტური — კაპიტალისტებს და პროლეტარიატს, სოციალისტური — მუშათა კლასს და კოლმეურნე გლეხობას. თითოეული კლასის წარმოშობა და არსებობა დაკავშირებულია მოცემული წარმოების წესთან. წარმოების წესი ასევე აუცილებლობით განაპირობებს მოცემული კლასების მდგომარეობას და ურთიერთობის ხასიათს: ერთი კლასი მეორის მიმართ გაბატონებულია, დაქვემდებარებულია თუ თანასწორია — ეს დამოკიდებულია ეკონომიკურ ურთიერთობებზე; 2) კლასები განსხვავდებიან თავიანთი დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი. ეს ნიშნავს საკუთრების ფორმების განსხვავებულობას და მათ საფუძველზე წარმოების საშუალებებისადმი სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას — მათ ფლობას ან არ ფლობას; 3) კლასები განსხვავდებიან შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მათი როლით: ერთნი შრომის პროცესს წარმართავენ, ხელმძღვანელობენ, მეორენი კი — ფიზიკურად შრომობენ და სხვის განკარგულებებს ასრულებენ; 4) კლასები განსხვავდებიან საზოგადოებრივი სიმდიდრის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 491.

ვიღების წესით და ოდენობით. ეს ნიშნავს, რომ ისინი საზოგადოებრივ სიმდიდრეს სხვადასხვა ოდენობით და წესით იღებენ. მაგალითად, კაპიტალისტი უფრო მეტს იღებს, ვიდრე მუშა. მათ მიერ სიმდიდრის მიღების წესები და წყაროები განსხვავდებიან: კაპიტალისტი იღებს მოგებას, მუშა კი — ხელფასს.

ითოეული ნიშანი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია კლასების განსაზღვრებისათვის. ყველა ერთად აღებული სრულად ახასიათებს კლასის ბუნებას და განმარტავს მის თავისებურებას. ამ ნიშნებიდან მთავარია მეორე — საკუთრების ფორმების განსხვავებულობა, რადგან ყველა დანარჩენი ნიშანი მას ემყარება და მის საფუძველზე აიხსნება. კლასი, რომელიც წარმოების საშუალებების მესაკუთრეა, გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს წარმოების ისტორიულ სისტემაში, ასრულებს ხელმძღვანელ როლს შრომის ორგანიზაციაში და ითვისებს წარმოებული სიმდიდრის უმეტეს ნაწილს. პირიქით, კლასი, რომელიც მოკლებულია წარმოების საშუალებებისადმი საკუთრებას, წარმოების ისტორიულ სისტემაში უკავია დაჩაგრული მდგომარეობა და მორჩილებს გაბატონებულ კლასს, შრომის პროცესში ასრულებს უშუალო მწარმოებლის როლს და ითვისებს წარმოებული სიმდიდრის მცირე ნაწილს. საკუთრების ფორმაზეა დამოკიდებული ადამიანის ადგილი, მდგომარეობა და როლი არა მხოლოდ წარმოების პროცესში, არამედ მთლიანად საზოგადოებაში, წარმოების სფეროში. გაბატონებული კლასი ბატონობს აგრეთვე პოლიტიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებშიც.

რა არის კლასების წარმოშობის მიზეზები? რამ გამოიწვია მათი გაჩენა? ეს არის კერძო საკუთრების წარმოშობა. კლასები გაჩნდა იმიტომ, რომ საზოგადოებაში გაჩნდა კერძო საკუთრება. კერძო საკუთრება კი წარმოიშვა მხოლოდ მაშინ, როდესაც შრომის იარაღების გაუმჯობესების შედეგად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და ადამიანს ზედმეტი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობა მიეცა. ერთ ადამიანს შეუძლია შექმნას იმაზე მეტი, რაც მისი არსებობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ეს გარემოება მეორე ადამიანს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ გამოიყენოს სხვა ადამიანის შრომა და მიითვისოს მის მიერ შექმნილი ზედმე-

ტი პროდუქტი. ამან გამოიწვია ადამიანთა დიფერენციაცია — გაჩნდნენ მდიდრები და ღარიბები. პირველყოფილი თემური წყობილების დროს არსებობდა საზოგადოებრივი საკუთრება. წარმოების საშუალებანი თემის საკუთრება იყო. თემის ყველა წევრი ერთნაირ დამოკიდებულებაში იყო მათ მიმართ. ამიტომ მის შიგნით არ არსებობდა კლასობრივი დიფერენციაცია. კერძო საკუთრების წარმოშობის შემდეგ გაჩნდა წარმოების საშუალებებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება. თანდათან ისინი აღმოჩნდნენ ადამიანთა ერთი მცირე ჯგუფის ხელში, ადამიანთა მეორე — დიდი ჯგუფი მათ გარეშე დარჩა. წარმოების საშუალებებისადმი ასეთმა განსხვავებულმა დამოკიდებულებამ, რომლის საფუძველი კერძო საკუთრება იყო, გამოიწვია კლასების წარმოშობა. უკლასო პირველყოფილი თემური წყობილების თანდათანობითი რღვევის შედეგად წარმოიშვა პირველი კლასობრივი საზოგადოება — მონათმფლობელობა.

იმისათვის, რომ კლასები გაქრნენ, აუცილებელია კერძო საკუთრების მოსპობა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სოციალიზმის დროს არ არის კერძო საკუთრება, მაგრამ კლასები მაინც განაგრძობენ არსებობას. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზია ის, რომ სოციალიზმის დროს არსებობს საზოგადოებრივი საკუთრების ორი ფორმა — საერთო-სახალხო (სახელმწიფო) და ჯგუფური (საკოლმეურნეო-კოოპერაციული). პირველთან დაკავშირებულია მუშათა კლასის, ხოლო მეორესთან — კოლმეურნე გლეხობის არსებობა. იმისათვის, რომ მოისპოს მათ შორის კლასობრივი განსხვავებანი, საჭიროა საკუთრების ეს ორი ფორმა შეერწყას ერთმანეთს. ეს მოხდება წარმოების განვითარების უფრო მაღალ დონეზე, რომლის შედეგად გაქრება არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის. ძირითადად და არსებითად აღნიშნული პროცესი განხორციელდება კომუნისტური ფორმაციის პირველი ფაზის — სოციალიზმის ჩარჩოებში.

კლასობრივი ინტერესები. ინტერესი საზოგადოდ არის მოქმედების ის რეალური მიზეზი, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს ინდივიდის, კოლექტივის, კლასის, სახელმწიფოს და ა. შ. სოციალურ ქცევას. საზოგადოებრივი მოტივები და მისწრაფებები, იდეალე-

ბი და ღირებულებები, პოლიტიკა და მისი განხორციელებისათვის ბრძოლა — ინტერესების გამოხატულებაა. ადამიანის ყოველი ქცევის უკან უნდა ვეძებოთ ის სასიცოცხლო ინტერესები, რომლებიც მას აიძულებენ გარკვეული წესით იმოქმედოს. მაშასადამე, ინტერესები გვიხსნის იმ მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სოციალურ საქმიანობას. კონკურენცია და ბრძოლა ინტერესთა შეურიგებლობით და ჭიდილით, ხოლო შეჯიბრება და თანამშრომლობა მათი შერწყმითა და ჰარმონიით აიხსნება.

იმის მიხედვით, თუ რომელი სუბიექტი (ინდივიდი, კოლექტივი, კლასი, ერი და ა. შ.) არის ინტერესის მატარებელი, განასხვავებენ ინდივიდუალურ, კოლექტიურ, კლასობრივ, ეროვნულ და ა. შ. ინტერესებს.

კლასობრივ საზოგადოებაში არსებობს კლასობრივი ინტერესები, რომლებიც ასახვას პოულობენ ამ კლასთა მიზნებსა და მისწრაფებებში, ღირებულებებსა და იდეალებში, ქცევის ნორმებსა და საქმიანობაში. კლასობრივი ბრძოლა აიხსნება კლასთა ინტერესების შეურიგებლობით და ანტაგონიზმით.

კლასობრივ ინტერესებს განსაზღვრავს შესაბამისი კლასის სოციალური ადგილი და მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ეკონომიკურ ურთიერთობებზე, სახელდობრ, საკუთრების ფორმებზე. კერძო საკუთრება განსაზღვრავს კლასებს შორის ბატონობისა და მორჩილების დამოკიდებულებას, რის გამოც მათი ინტერესები შეურიგებელი და მტრულია, რაც იწვევს კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობას. საზოგადოებრივი საკუთრება განსაზღვრავს კლასების არსებითად თანაბარ სოციალურ მდგომარეობას, რაც მათი ინტერესების შეთანხმების და თანამშრომლობის შესაძლებლობას ქმნის. მაშასადამე, კლასობრივი ინტერესები ეკონომიკურ ურთიერთობათა ასახვა და გამოხატულებაა.

ანტაგონისტურ საზოგადოებაში ყველაზე ძლიერია კლასობრივი ინტერესები. ისინი განსაზღვრავენ ყველა დანარჩენ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ადამიანის ყოველ თეორიულ თუ პრაქტიკულ საქმიანობას მეტ-ნაკლები სიძლიერით კლასობრივი ინტერესების დაღი აზის. კლასობრივ ინტერესთა შეჯახება და ჭიდილი მსჭვალავს ანტაგონისტურ საზოგადოებას მთლიანად.

ცხადია, როდესაც კლასები გაქრებიან, აღარც კლასობრივი ინტერესები იარსებებს.

კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა და მისი როლი საზოგადოების განვითარებაში. როგორია კლასებს შორის ურთიერთობა? ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის საზოგადოებასთან გვაქვს საქმე. თუ საზოგადოება ექსპლოატატორულია, სადაც გაბატონებული კლასი ჩაგრავს დამორჩილებულ კლასს, მაშინ მათ შორის დამოკიდებულება ანტაგონისტურია. კლასობრივი ანტაგონიზმი ნიშნავს მოცემული კლასების ძირეული ინტერესების მტრულ დაპირისპირებულობას და შეურიგებლობას. ანტაგონისტური კლასები არსებობენ კერძო საკუთრებაზე დამყარებულ საზოგადოებაში. ასეთია მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი. ანტაგონიზმი არსებობს აგრეთვე კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში, როდესაც შეურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობს პოლიტიკურად გამარჯვებულ პროლეტარიატსა და პოლიტიკურად დამარცხებულ, მაგრამ ჯერ კიდევ ეკონომიკურად ძლიერ, ბურჟუაზიას შორის.

თუ საზოგადოება ექსპლოატაციისაგან თავისუფალია, სადაც არ არსებობს ერთი კლასის მიერ მეორე კლასის ჩაგვრა და ექსპლოატაცია, მაშინ მათ შორის არის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების დამოკიდებულება. ასეთ კლასებს შორის არსებობს წინააღმდეგობა, მაგრამ იგი არაანტაგონისტურია. არაანტაგონისტური კლასები არსებობენ საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებულ საზოგადოებაში, კერძოდ, სოციალიზმის დროს.

კლასობრივი ანტაგონიზმის გადაჭრა, გადალახვა შეიძლება მხოლოდ კლასთა ბრძოლის გზით, არაანტაგონისტური წინააღმდეგობის კი — კლასთა ბრძოლის გარეშე. ამიტომ კლასობრივი ბრძოლა მხოლოდ ანტაგონისტური საზოგადოებისათვის არის აუცილებელი. რას ემყარება მისი აუცილებლობა? რით არის იგი გამოწვეული? კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა გაპირობებულია ანტაგონისტური კლასების დამოკიდებულების ბუნებით. ამ კლასების ძირეული, სასიცოცხლო ინტერესები იმდენად მტრული და დაპირისპირებულია, რომ მათი მორიგება და შეთანხმება არსებული წყობილების პირობებში შეუძლებელია. ამგვარად, კ ლ ა ს ო-

ბრივი ბრძოლის აუცილებლობა ანტაგონისტურ საზოგადოებაში გამოწვეულია მოცემული კლასების დაპირისპირებული მდგომარეობით და ძირეული ინტერესების შეურიგებლობით.

სოციალიზმის დროს კი კლასობრივი ბრძოლა გამორიცხულია, რადგან საზოგადოებრივი საკუთრების არსებობა განაპირობებს მოცემული კლასების პრინციპულად ერთნაირ მდგომარეობას და მათი ძირეული ინტერესების ერთიანობას.

რა როლს ასრულებს კლასობრივი ბრძოლა საზოგადოების განვითარებაში? იგი არ არის საერთოდ საზოგადოების განვითარებისათვის დამახასიათებელი. პირველყოფილი თემური წყობილების დროს კლასები არ არსებობენ და ამიტომ არც კლასობრივი ბრძოლა არსებობს. კომუნისტური ფორმაცია ვითარდება კლასობრივი ბრძოლის გარეშე. კლასობრივი ბრძოლა მხოლოდ ანტაგონისტური საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალაა. ეს ნიშნავს, რომ ექსპლოატატორული საზოგადოების ცვალებადობა და განვითარება მიმდინარეობს მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის გზით. და ეს გამოწვეულია ისევ ანტაგონისტური კლასების მდგომარეობით და მათი ინტერესების შეურიგებლობით. გაბატონებული კლასი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია ჩაგვრისა და ექსპლოატაციის პირობების შენარჩუნებით, დაჩაგრული კლასი კი, პირიქით — მათი მოსპობით. ავიღოთ კონფლიქტი ახალ საწარმოო ძალებსა და ძველ წარმოებით ურთიერთობებს შორის. როგორია ანტაგონისტური კლასების დამოკიდებულება ამ კონფლიქტისადმი? გაბატონებული კლასი სისხლხორცეულად დაინტერესებულია ძველი წარმოებითი ურთიერთობების შენარჩუნებით, რადგან ეს არსებული წყობილების განმტკიცების საფუძველია. დაჩაგრული კლასი კი, პირიქით — სისხლხორცეულად დაინტერესებულია ძველი წარმოებითი ურთიერთობების მოსპობით, რადგან ეს არსებული წყობილების შეცვლის საფუძველია. კლასების სასიცოცხლო ინტერესების ასეთი შეურიგებლობა აუცილებლობით იწვევს მათ შეჯახებას, შეტაკებას, რაც კლასთა ბრძოლას ნიშნავს. კლასობრივი ბრძოლის მეშვეო-

ბით ხდება ექსპლოატატორული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარება და გარდაქმნა.

კლასობრივი ბრძოლა მუდამ არსებობს ექსპლოატატორულ საზოგადოებაში. იგი ხან ფარული, ხან აშკარა სახით მიმდინარეობს, ამ ბრძოლის აშკარა ფორმით გამოვლინებას წარმოადგენს ჩაგრულ ხალხთა აჯანყებანი და რევოლუციები. ექსპლოატატორული საზოგადოების ისტორიაში მრავალი ასეთი აჯანყება და რევოლუციაა ცნობილი.

კლასობრივი ბრძოლა ასევე აუცილებელია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში, რადგან ამ საზოგადოებაშიც ძალაში რჩება კლასთა ანტაგონიზმი.

კლასობრივი ბრძოლის ფორმები მრავალფეროვანია. განვიხილოთ ეს საკითხი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მაგალითზე. არსებობს ამ ბრძოლის სამი ძირითადი ფორმა — ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური.

კლასობრივი ბრძოლის ეკონომიკური ფორმა გულისხმობს პროლეტარიატის ბრძოლას საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის (სამუშაო დღის შემცირება, ხელფასის მომატება, სოციალური უზრუნველყოფა და ა. შ.). იგი პროლეტარიატის ბრძოლის პირველი ისტორიული ფორმაა. ამ ბრძოლამ წარმოშვა მუშათა კლასის პირველი ორგანიზაციები — პროფესიული კავშირები.

ეკონომიკური ბრძოლა არ გულისხმობს პროლეტარიატის განთავისუფლებას ექსპლოატაციისაგან. ამიტომ იგი არ არის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მთავარი ფორმა. ასეთია პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც მიმართულია კაპიტალისტური ექსპლოატაციის პირობების მოსპობისაკენ. ეს პროლეტარიატს შეუძლია ბურჟუაზიის სახელმწიფო ძალაუფლების დამხობით და საკუთარი ძალაუფლების დამყარებით. ამიტომ პოლიტიკური ბრძოლა გულისხმობს პროლეტარიატის ბრძოლას სახელმწიფო ხელისუფლებისათვის.

იდეოლოგიური ბრძოლა გულისხმობს პროლეტარული იდეოლოგიის შემუშავებას და ცრუ, ბურჟუაზიული რწმენებისა და შეხედულებე-

ბის დაძლევას. მხოლოდ იდეოლოგია აძლევს პროლეტარიატს საშუალებას, გააცნობიეროს თავისი კლასობრივი ინტერესები და მიზნები. მუშათა კლასის ასეთ მეცნიერულ სულიერ იარაღს წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმი.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა და არსი

სახელმწიფო მიეკუთვნება საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას. იგი მმართველობის პოლიტიკური ფორმაა. სახელმწიფო თავის ფუნქციებს ასრულებს სამართლის მეშვეობით. ამიტომ ისინი ერთად წარმოიშობიან, ერთად არსებობენ და ასევე ერთად გაქრებიან.

სახელმწიფო და სამართალი ისტორიული კატეგორიაა. ისინი არ მიეკუთვნებიან საზოგადოების უზოგადეს კანონზომიერებას, ე. ი. არ არსებობენ ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში. პირველყოფილი თემური წყობილების დროს სახელმწიფო და სამართალი არ არსებობს, ასევე არ იარსებებენ ისინი კომუნისტური ფორმაციის უმაღლეს ფაზაში. სახელმწიფო და სამართალი წარმოიშობა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, კერძოდ, მონათმფლობელურ ფორმაციაში. რა განაპირობებს მათ წარმოშობას? რა მიზეზები იწვევენ მათ? ეს არის კლასების წარმოშობა. სახელმწიფო წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოიშობა კლასები და მათი ანტაგონიზმი. სახელმწიფო არის კლასობრივი წინააღმდეგობის შეურიგებლობის შედეგი.

პირველყოფილი თემური წყობილების რღვევისას, როდესაც კერძო საკუთრების საფუძველზე მოხდა საზოგადოების დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად, მქონებლებად და უქონლებად, გაჩნდა ორი კლასი — მონათმფლობელები და მონები. მონათმფლობელები, რომლებიც საზოგადოების უმცირეს ნაწილს შეადგენდნენ, ფლობდნენ წარმოების საშუალებებს და თვით მონებს. უკანასკნელნი, რომლებიც საზოგადოების უმრავლესობას შეადგენდნენ, მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ საკუთრებას და უფლებას.

მონათმფლობელები გახდნენ საზოგადოების ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებული კლასი, მონები კი — უუფლებონი და დაჩაგრულნი. პირველი ეწეოდა მეორის აუტანელ ექსპლოატაციას და ჩაგვრას. იმისათვის, რომ მონათმფლობელებს შეენარჩუნებინათ და განემტკიცებინათ თავიანთი ბატონობა მონებზე, მათი ჩაგვრა და ექსპლოატაცია, სჭირდებოდათ გარკვეული იარაღი, მანქანა. სწორედ ასეთ იარაღს წარმოადგენს სახელმწიფო. მაშასადამე, სახელმწიფო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც გაბატონებული კლასის იარაღია დაჩაგრული კლასის დასათრგუნავად. იგი წარმოიშვა როგორც იძულების ორგანო, რადგან ძალდატანების გარეშე ერთ კლასს არ შეუძლია იბატონოს მეორე კლასზე. სახელმწიფო თავისი არსით კლასობრივია. იგი გამოხატავს და იცავს გაბატონებული კლასის ძირეულ ინტერესებს.

სახელმწიფოს ახასიათებს სამი ძირითადი ნიშანი:

1) საჯარო ხელისუფლება. ეს ნიშნავს საგანგებო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნას, რომელთა მიზანი სწორედ ხელისუფლების განხორციელებაა. ძალაუფლებას ახორციელებს არა თვით ხალხი, არამედ ამ მიზნით შექმნილი განსაკუთრებული აპარატი: შესაბამისი უწყებები, მოხელეები, შეიარაღებული რაზმები (ჯარი, პოლიცია, ჟანდარმერია), დამსჯელი, მზვერავი ორგანოები და ა. შ. თავიანთი ნივთიერი დანამატებით (ციხეები, საკონცენტრაციო ბანაკები და სხვა). სახელმწიფო იძულების, ძალდატანების ორგანოა, მაგრამ ყოველი იძულება სახელმწიფოს არ გულისხმობს. სახელმწიფო მხოლოდ ისეთი იძულებაა, რომელსაც ახორციელებს სწორედ ამ მიზნით (იძულებისთვის) საგანგებოდ შექმნილი აპარატი. შევადაროთ სახელმწიფო პირველყოფილ თემურ წყობილებას, სადაც ხორციელდება საზოგადოების მართვა და ამიტომ გარკვეულ იძულებასაც აქვს ადგილი. მაგრამ აქ მართვა ემყარება ჩვეულებებსა და ტრადიციებს და მას ახორციელებს მთლიანად ხალხი. ამისთვის არ არის გამოყოფილი საგანგებო ორგანოები, რომელთა დანიშნულება და ფუნქცია სწორედ მართვა იქნებოდა. სახელმწიფო არის საზოგადოების მმართველობის ისეთი ფორმა, რომელსაც ახორციელებს ამ მიზნით საგანგებოდ შექმნილი განსაკუთრებული აპარატი.

2) გადასახადები, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფო აპარატის შესანახად; რაც უფრო იზრდება სახელმწიფო აპარატი, მით უფრო იზრდება მისი შესანახი ხარჯები, შესაბამისად იზრდება მოსახლეობისაგან გადასახადების აკრეფა.

3) ქვეშევრდომთა ტერიტორიული დაყოფა. სახელმწიფო ძალაუფლება ვრცელდება მოცემული ტერიტორიის ფარგლებში, მასზე მცხოვრები ქვეშევრდომნი მის მოქალაქეებს შეადგენენ. პირველყოფილი თემური წყობილების დროს გვარები და ტომები გაერთიანებული იყვნენ სისხლით ნათესაობის მიხედვით. ამის სანაცვლოდ სახელმწიფო ემყარება ტერიტორიულ ერთიანობას.

სახელმწიფოს აქვს ორი ძირითადი — საშინაო და საგარეო ფუნქცია. საშინაო ფუნქცია გულისხმობს სახელმწიფოს მიერ გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისად ქვეყნის ტერიტორიის შიგნით საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებას და საქმიანობას. მაგალითად, დაჩაგრული კლასების წინააღმდეგობის დათრგუნვას, მართლწესრიგის დაცვას, სამეურნეო-ორგანიზატორულ და სოციალურ-კულტურულ საქმიანობას (მშენებლობა, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება და ა. შ.). საგარეო ფუნქცია გულისხმობს სახელმწიფოს საქმიანობას თავისი ტერიტორიის გარეთ. მაგალითად, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის მოგვარებას, თავისი ტერიტორიის დაცვას ან გაფართოებას და ა. შ.

განასხვავებენ ოთხი ტიპის სახელმწიფოს — მონათმფლობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურს და სოციალისტურს. სახელმწიფო ტიპი განისაზღვრება იმით, თუ რომელი კლასის ინტერესებს გამოხატავს იგი. მაგრამ ერთი და იმავე ტიპის სახელმწიფო შეიძლება განსხვავდებოდეს მმართველობის ფორმებით და მეთოდებით. ამიტომ ერთი ტიპის სახელმწიფოს ფორმა შეიძლება იყოს სხვადასხვა.

სახელმწიფო მმართველობის ფორმა არის ხელისუფლების ორგანიზაცია, რომელიც ხასიათდება ფორმალური წყაროს მიხედვით. განასხვავებენ მმართველობის ორ ძირითად ფორმას — მონარქიას და რესპუბლიკას. მონარქია მმართველობის ისეთი ფორმაა, როდესაც ძალაუფლება ეკუთვნის ერთ პირს (მეფეს ან იმპერატორს) და გადაეცემა მემკვიდრეობით. მონარქია შეიძლება იყოს

შეუზღუდველი (აბსოლუტური) ან შეზღუდული (კონსტიტუციური). აბსოლუტური მონარქიის დროს მეფე განაგებს ქვეყანას ერთპიროვნულად მის მიერ დანიშნული და მხოლოდ მის წინაშე პასუხისმგებელი მოხელეების მეშვეობით. კონსტიტუციური მონარქიის დროს კი მეფე შეიძლება განაგებდეს ქვეყანას არჩევითი ორგანოების (პარლამენტის და მის მიერ შექმნილი მთავრობის) მეშვეობით ან საერთოდ ჩამოშორებული იყოს ხელისუფლებას და არსებობდეს მხოლოდ ფორმალურად. ამ უკანასკნელის მაგალითია ინგლისი. რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა (წარმოდგენა ლათინური სიტყვისაგან და ნიშნავს „საერთო საქმეს) მმართველობის ისეთი ფორმაა, როდესაც ძალაუფლებას ახორციელებენ არჩევითი ორგანოები. აქ ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემა არ ხდება. ხელისუფლების ყოველი ორგანოს შემადგენლობის ან თანამდებობის პირის შეცვლა ხდება არჩევნების მეშვეობით.

მმართველობის ფორმა თავისთავად არ განსაზღვრავს სახელმწიფოში არსებულ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ რ ე ჟ ი მ ს. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია მმართველობის მეთოდებსა და ხერხებზე. რა მეთოდებით, რა საშუალებებით ახორციელებს გაბატონებული კლასი თავის ძალაუფლებას, განასხვავებენ პოლიტიკური რეჟიმის ორ ძირითად ფორმას — დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა ს და დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ს. დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა არის ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის კანონით შეუზღუდავი ძალაუფლება, რომელიც ხორციელდება აშკარა ტერორისტული მეთოდებით. აქ უგულებელყოფილია პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი ღირსება, თავისუფლება და უფლებანი[1]. დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა (წარმოდგება ძველი ბერძნული სიტყვისაგან და ნიშნავს ‘ხალხის ხელისუფლებას) არის სახელმწიფო ძალაუფლების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ხორციელდება ხალხის მონაწილეობით. დემოკრატია აღიარებს მოქალაქეთა თანასწორობას კანონის წინაშე, პიროვნების ხელშეუხებლობას, მის თავისუფლებას და უფლება-მოვალეობებს. დემოკრატია თავისი შინაარსით კლასობრივია. იგი ემსახურება გაბატონებული კლასის ინტერესებს და უზრუნველყოფს მის უპირატესობას დაჩაგრულ

---

[1] პროლეტარიატის დიქტატურა ძირეულად განსხვავდება დიქტატურის სხვა ფორმებისაგან. მის თავისებურებაზე ქვემოთ იქნება საუბარი.

კლასთან. მონათმფლობელური დემოკრატია ეხებოდა მხოლოდ თავისუფალ მოქალაქეებს და გამორიცხავდა მონების მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში. ფეოდალური დემოკრატია აკანონებდა იმ იერარქიულ წყობას, რომელიც არსებობდა ფეოდალიზმის ეპოქაში. კაპიტალისტურმა წყობილებამ მოსპო წოდებრივი განსხვავებანი და პრივილეგიები. მან გამოაცხადა ყველას თანასწორობა კანონის წინაშე, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო საზოგადოების განვითარებაში. მაგრამ იგი უზრუნველყოფს კაპიტალის განვითარებას, მის უპირატესობას. ამიტომ იგი რჩება ფორმალურ, მოჩვენებით დემოკრატიად, რადგან მისი უფლებებით და მოვალეობებით უპირატესად სარგებლობენ კაპიტალისტური კლასის წარმომადგენლები.

ნამდვილი დემოკრატია არის სოციალისტური დემოკრატია, რადგან იგი უზრუნველყოფს მშრომელი ხალხის რეალურ (და არა ფორმალურ) მონაწილეობას ხელისუფლების განხორციელებაში. მხოლოდ სოციალიზმის დროს მყარდება პიროვნების ნამდვილი თავისუფლება და ხელშეუხებლობა. ძაგრამ სოციალისტური დემოკრატიაც არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, გაყინული და გაქვავებული. ისიც განიცდის განვითარებას და სრულყოფას. ამის საფუძველია თვით სოციალიზმის ეკონომიკური და სოციალური განვითარება, სოციალიზმის ფორმირების ძირითადი ეტაპების შესაბამისად ხდება მისი დემოკრატიის სრულყოფა და განვითარება. ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რომელსაც განსაზღვრავს სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული დაჩქარების სტრატეგიული კურსი, მიმდინარეობს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი, გეგმაზომიერი სრულყოფა და გაღრმავება. ამ პროცესის ძირითადი მიმართულებაა ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის განვითარება, რაც გულისხმობს შრომითი კოლექტივების უშუალო მონაწილეობის გაფართოებას სახელმწიფო მმართველობაში.

სახელმწიფოს გაქრობასთან ერთად დემოკრატია, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმა, გაქრება. კომუნიზმის დროს იარსებებს ხალხის კომუნისტური თვითმმართველობა.

ს ა მ ა რ თ ა ლ ი წარმოიშობა სახელმწიფოსთან ერთად, რადგან სახელმწიფოებრივი ძალაუფლება მხოლოდ მისი მეშვეობით

ხორციელდება. სამართალი არ არსებობს სახელმწიფოს გარეშე და, პირიქით. ისინი ერთიან ზედნაშენს ქმნიან ეკონომიკურ ბაზისზე.

სამართალი არის იმ ნორმების (ყოფაქცევის წესების) ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა ძირითად მხარეს და განმტკიცებულია სახელმწიფოს მიერ დაწესებულ კანონებში.

სამართალი განსაზღვრავს ადამიანის ქცევის მართლზომიერებას— თუ რამდენად შეესაბამება იგი სახელმწიფოს მიერ სანქცირებულ კანონებს. თუ მოქალაქე ამ კანონებს არღვევს, მაშინ მას სახელმწიფო ორგანოები დასჯიან. მაშასადამე, სამართალი ემყარება სახელმწიფო იძულებას, რომლის გარეშეც იგი არ მოქმედებს და ამიტომ ძალას კარგავს. სწორედ ამ მომენტით განსხვავდება იგი მორალისაგან. მორალიც იმ ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. მაგრამ განსხვავებით სამართლისაგან იგი ემყარება ადამიანის შეგნებას და საზოგადოებრივ აზრს. თუ სამართალდარღვევა ისჯება სახელმწიფოს მიერ, მორალური დარღვევა არ ექვემდებარება ასეთ დასჯას. ხდება მისი განკიცხვა საზოგადოებრივი აზრის მიერ და ზნეობრივად დამნაშავე ადამიანი განიცდის სინდისის ქენჯნას.

კ. მარქსის განმარტებით სამართალი არის გაბატონებული კლასის კანონად ქცეული ნება. ამიტომ ექსპლოატატორულ საზოგადოებაში სამართალი ემსახურება გაბატონებული კლასის ინტერესებს და დაჩაგრული კლასის დათრგუნვის იარაღია.

სოციალისტური სახელმწიფოს ექსპლოატატორულისაგან ძირეული განსხვავება. სოციალისტური სახელმწიფო არის სახელმწიფოს ახალი ტიპი, რომელიც არსებითად განსხვავდება ექსპლოატატორულისაგან. რაშია ეს ძირეული განსხვავება? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ორი ეტაპი: პირველ ეტაპზე არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა, მეორეზე კი — საერთო-სახალხო სახელმწიფო. პირველი შეესაბამება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდს, როდესაც მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ბურჟუაზია პოლიტიკურად დამარცხებულია, მაგრამ

იგი ჯერ კიდევ არსებობს და ეკონომიკურად ძლიერია, ამიტომ გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს ახალი საზოგადოების მშენებლობას. პროლეტარიატს სჭირდება სახელმწიფო, რათა დათრგუნოს ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობა და დარაზმოს მშრომელი მასები ახალი საზოგადოების ასაშენებლად. ამიტომ იძულება არ არის მთავარი პროლეტარიატის დიქტატურისათვის. აქ ძირითადი ფუნქციები ხდება სამეურნეო-ორგანიზატორული და სოციალურ-კულტურული საქმიანობა. პროლეტარიატის დიქტატურა ახლებურად დიქტატორულია, რადგან ახორციელებს მშრომელთა უმრავლესობის დიქტატურას ექსპლოატატორულ უმცირესობაზე და ახლებურად დემოკრატიული, რადგან მშრომელთა უმრავლესობის დემოკრატიაა.

სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ პროლეტარიატის დიქტატურა თანდათან გარდაიქმნება საერთო-სახალხო სახელმწიფოდ. ექსპლოატატორული კლასები გაქრნენ და დამყარდა მშრომელთა საზოგადოება, რომელსაც ახასიათებს ყველა კლასისა და სოციალისტური ჯგუფის ინტერესების ერთიანობა. ამიტომ სახელმწიფო გადაიქცა ხალხის საერთო ინტერესების გამომხატველად. იგი უკვე აღარ ახორციელებს ერთი კლასის მეორე კლასზე ბატონობას. ცხადია, იძულება რჩება, რადგან იძულების გარეშე არ არსებობს სახელმწიფო. მაგრამ ეს იძულება მიმართულია არა ერთი კლასისგან მეორე კლასზე, არამედ ახალი საზოგადოების უცხო წეს-ჩვეულებებისა და მათი მატარებელი ადამიანების წინააღმდეგ. საერთო-სახალხო სახელმწიფო კლასობრივი ბატონობის ორგანოდან გადაიქცა მშრომელი მასების დარაზმვისა და მათი კომუნისტური აღზრდის მეშვეობით ახალი საზოგადოების მშენებლობის იარაღად. ამიტომ სოციალისტური სახელმწიფო —ეს არის სოციალიზმის აშენების, მისი გეგმაზომიერი სრულყოფისა და კომუნიზმის მშენებლობის იარაღი. იგი აღარ არის კლასობრივი ბატონობის ორგანო. ესაა მისი ძირეული განსხვავება ექსპლოატატორული სახელმწიფოსაგან.

სოციალისტური სახელმწიფო განვითარებული კომუნიზმის ჩარჩოებში დაკარგავს თავის ფუნქციებს და თანდათანობით მოკვდება. იგი შეიცვლება კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართვე-

ლობით. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების მართვას განახორციელებს არა საგანგებოდ შექმნილი აპარატი (საჯარო ხელისუფლება), არამედ თვითონ ხალხი თავისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშუალებით.

პოლიტიკა და პოლიტიკური პარტიები. სიტყვა პოლიტიკა წარმოდგება ძველი ბერძნული სიტყვისაგან—„პოლისი", რაც ნიშნავს ქალაქ-სახელმწიფოს. ძველ საბერძნეთში სახელმწიფო აერთიანებდა ქალაქისა და მის გარშემო ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას. არსებობდა არა ერთიანი ბერძნული სახელმწიფო, არამედ მრავალი ქალაქ-სახელმწიფო, რომელთა შორის ხშირად მიმდინარეობდა ომები პირველობისა და სხვა ქალაქ-სახელმწიფოებზე ბატონობისათვის. არისტოტელე ადამიანს განსაზღვრავდა როგორც პოლიტიკურ ცხოველს. ეს ნიშანი მიაჩნდა მას ადამიანის ბუნების, მისი სპეციფიკის გამომხატველად. იგი თვლიდა, რომ ადამიანი სხვა ცხოველებისაგან განსხვავებით სახელმწიფოს მოქალაქეა და აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თანამედროვე მეცნიერებაში „პოლიტიკის" ცნება ორი განსხვავებული აზრით იხმარება: 1) იგი აღნიშნავს სახელმწიფოს, პარტიას ან სოციალური ჯგუფის საქმიანობის მიმართულების ძირითად ხაზს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროში. მაგალითად, სოციალისტური სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა გამოხატავს მისი მოღვაწეობის ძირითად მიმართულებას ქვეყნის შიგნით, ხოლო საგარეო პოლიტიკა—მისი საქმიანობის ძირითად გეზს ქვეყნის გარეთ. 2) იგი აღნიშნავს ადამიანთა საქმიანობის და სოციალურ ურთიერთობათა გარკვეულ ტიპს. მაშასადამე, არა ყოველგვარი, არამედ გარკვეული ტიპის საქმიანობა და ურთიერთობანი იქნება პოლიტიკური. კერძოდ, მხოლოდ ისეთი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია სახელმწიფო ძალაუფლების საკითხთან. ამგვარად, პ ო ლ ი ტ ი კ ა ა დ ა მ ი ა ნ თ ა მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს ი ს ს ფ ე რ ო ა, რ ო მ ე ლ ი ც უ შ უ ა ლ ო დ ან გ ა მ შ უ ა ლ ებ ი თ დ ა კ ა ვ შ ი რ ებ უ ლ ი ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ძ ა ლ ა უ ფ ლ ებ ი ს დ ა მ ხ ო ბ ი ს, მ ო პ ო ვ ებ ი ს, შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ებ ი ს ან გ ა ნ მ ტ კ ი ც ებ ი ს ს ა კ ი თ ხ თ ა ნ. ხ ო ლ ო ი ს სოციალური ურთიერთობანი, რომლებიც ადამიანთა საქმიანობის აღნიშნულ სფეროში ყალიბდება, იქნება პოლიტიკური

ურთიერთობანი. როგორც ვხედავთ, პოლიტიკის არსს წარმოადგენს სახელმწიფოსთან დაკავშირებული საქმიანობა და ურთიერთობანი.

პოლიტიკა წარმოიშვა მაშინ, როდესაც წარმოიქმნა სახელმწიფო. სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა. იგი საზოგადოების მართვას ახორციელებს პოლიტიკური საშუალებებით. კომუნიზმის სრული გამარჯვების შემდეგ, როდესაც სახელმწიფო მოკვდება, მასთან ერთად მოკვდება პოლიტიკაც. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების მართვა დაკარგავს პოლიტიკურ ხასიათს და იგი შეიცვლება კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობით, რომელსაც არ გააჩნია პოლიტიკური შინაარსი.

პოლიტიკა კლასობრივია. იგი ყოველთვის რომელიმე კლასის ინტერესებს გამოხატავს. ამიტომ პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული კლასებისა და მათი პარტიების საქმიანობასთან. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კლასის ყოველი საქმიანობა ან ყოველი კლასობრივი ურთიერთობა პოლიტიკურია. მაგალითად, ჩვენ დავახასიათეთ კლასობრივი ბრძოლის ისეთი ფორმები, როგორიცაა ეკონომიკური და იდეოლოგიური, რომლებიც არ წარმოადგენენ პოლიტიკურს. მათგან განსხვავებით არსებობს კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკური ფორმა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ძალაუფლებისადმი დამოკიდებულების საკითხს. ცხადია, იგი არის კლასობრივი ბრძოლის არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი ფორმა. მაგრამ იგი კლასობრივი ბრძოლის ყველაზე მაღალი ფორმაა, რადგან კლასობრივი ინტერესებიდან კონცენტრირებული სახით გამოხატავს ყველაზე მთავარს და ძირითადს — დამოკიდებულებას სახელმწიფო ძალაუფლებისადმი.

კლასობრივმა ბრძოლამ აუცილებლობით გამოიწვია პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს წარმოშობა. პარტია არ ემთხვევა კლასს, იგი მოიცავს მხოლოდ მის ნაწილს. პ ა რ ტ ი ა ა რ ი ს კ ლ ა ს ი ს ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ო წ ი ნ ა ვ ე, შ ე გ ნ ე ბ უ ლ ი დ ა ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ ი ნ ა წ ი ლ ი.

კლასი ყალიბდება სტიქიურად, მას წარმოშობს შესაბამისი წარმოების წესი. პარტია კი ყალიბდება შეგნებულად, მას ქმნიან

თანამოაზრენი საათანადო წესდებისა და პროგრამის წინასწარ შემუშავებისა და მიღების საფუძველზე.

პარტია გამოხატავს კლასის ძირეულ, სასიცოცხლო ინტერესებს და იბრძვის მათი განხორციელებისათვის, რისთვისაც იგი რაზმავს და ხელმძღვანელობს მას. პარტია თავისი კლასის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა, მისი პოლიტიკური ბელადია. ამა თუ იმ კლასის ბრძოლის წარმატება ან წარუმატებლობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად გამოცდილი და ორგანიზებული პარტია ხელმძღვანელობს მას.

პოლიტიკური პარტიები წარმოიშვა მას შემდეგ, რაც გაჩნდა კლასები და გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა. მაგრამ მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების დროს პარტიები არსებობდა გარკვეული დაჯგუფებების სახით, რომლებიც აერთიანებდა თანამოაზრეთა მცირერიცხოვან ჯგუფს. არ არსებობდა მასობრივი პოლიტიკური პარტია. აგრეთვე, არ არსებობდა მშრომელთა პოლიტიკური პარტიები. ეს გაპირობებული იყო მათი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით.

პოლიტიკური პარტია თანამედროვე გაგებით იქმნება კაპიტალიზმის დროს. წარმოიშვა ბურჟუაზიის, პროლეტარიატის და გლეხობის ინტერესების გამომხატველი პარტიები, რომელთაც მეტნაკლებად მასობრივი ხასიათი აქვთ.

მუშათა მოძრაობამ წარმოშვა თავისი პოლიტიკური პარტიები: კომუნისტური, სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, ლეიბორისტული და ა. შ. მათგან ყველაზე რევოლუციური, რომელიც ბოლომდე თანმიმდევრულად გამოხატავს მუშათა კლასის ძირეულ ინტერესებს, არის კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიით.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემა. საზოგადოების პოლიტიკური სისტემა მოიცავს პოლიტიკურ ურთიერთობებს და მათ მომწესრიგებელ, მარეგულირებელ სოციალურ ინსტიტუტებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს.

პოლიტიკური სისტემის ძირითადი ელემენტია სახელმწიფო

მაგრამ სახელმწიფოს გარდა მასში შედის ყველა ის დაწესებულება ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელნიც მონაწილეობენ სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელებაში ან თუ არ მონაწილეობენ, მიზნად ისახავენ მის მოპოვებას. ამიტომ პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ელემენტები იქნება პოლიტიკური პარტიები და ყველა ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელნიც უშუალოდ ან გაშუალებით დაკავშირებული არიან სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელებასთან. საკითხი იმის შესახებ — მიეკუთვნება თუ არა ესა თუ ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან დაწესებულება მოცემულ პოლიტიკურ სისტემას, გადაწყდება იმის მიხედვით, აქვს თუ არა მას რაიმე კავშირი სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელებასთან ან მოპოვებასთან. მაგალითად, ეკლესია ფეოდალური საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ელემენტია, რადგან აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო მმართველობაში. მაგრამ ეკლესია სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას არ მიეკუთვნება, რადგან ჩამოშორებულია სახელმწიფო საქმიანობას.

სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ელემენტებია: სოციალისტური სახელმწიფო, კომუნისტური პარტია (თუ ქვეყანაში მრავალპარტიული სისტემაა, მაშინ სხვა პარტიებიც), პროფკავშირები, კომკავშირი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები (კოოპერატიული, შრომითი კოლექტივები და ა. შ.). კომუნისტური პარტია სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ბირთვია. იგი ხელმძღვანელობს და წარმართავს პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლის მუშაობას და საქმიანობას.

პროფკავშირები კაპიტალისტური საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ელემენტი არ არის. აქ ისინი მშრომელთა მხოლოდ ეკონომიკურ ინტერესებს გამოხატავენ და არ მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ მართვაში. სოციალიზმის პირობებში კი ისინი უკვე პოლიტიკური ორგანიზაციის ხასიათს იძენენ. ეს ხდება იმიტომ, რომ ამ საზოგადოებაში პროფკავშირები მშრომელთა არა მარტო ეკონომიკურ ინტერესებს იცავენ, არამედ მონაწილეობენ ქვეყნის მართვაშიც. სოციალიზმის დროს პროფკავშირები

მრომელთა ყველაზე მასობრივი ორგანიზაციის, თვითმმართველობის ფორმაა. ისინი მის პოლიტიკურ სისტემას მიეკუთვნებიან.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემა უნდა განვასხვავოთ საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრებისაგან. მეორე პირველზე უფრო ფართო სფეროს მოიცავს. საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება პოლიტიკური სისტემის ელემენტებს გარდა მოიცავს ადამიანთა პოლიტიკურ ცნობიერებას და საქმიანობას.

კლასების გაქრობასა და სახელმწიფოს კვდომასთან ერთად თანდათან გაქრება საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრებაც. ეს მოხდება კომუნიზმის სრული გამარჯვების პირობებში.

სოციალური რევოლუცია

საზოგადოების განვითარების ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, შევამჩნევთ ორი ტიპის ცვალებადობას: პირველი, რომელიც მიმდინარეობს ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შიგნით. ხორციელდება გარკვეული რეფორმები, მიმდინარეობს სისხლისმღვრელი ომები ქვეყნებს შორის, ჩაგრულთა აჯანყებები მჩაგვრელების წინააღმდეგ, სახელმწიფო გადატრიალებები და ა. შ. ხშირად ეს ცვლილებანი მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი ეხებიან საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცალკეულ მხარეებს, მისი საფუძვლები და ბუნება კი უცვლელი და ურყევია. ეს არის თანდათანობითი, ევოლუციური პროცესი, რომელიც არსებითად არ ცვლის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებას. მეორე ტიპის ცვალებადობაა, როდესაც ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია იცვლება მეორე — ახალი, უფრო პროგრესული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციით. აქ ცვლილება უკვე თვით საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას ეხება, იგი იცვლება ძირფესვიანად. იცვლება არა მისი რომელიმე ცალკეული მხარე, არამედ მთლიანი სოციალური სისტემა. ეს ცვალებადობა სხვაგვარი ბუნებისაა. იგი ატარებს რევოლუციურ ხასიათს.

ფეოდალიზმი, რომელიც ევროპის ქვეყნებში გაბატონებული იყო V საუკუნიდან XVI საუკუნემდე, იცვლებოდა ნელა და თანდათანობით. მისი ისტორია სავსეა კლასობრივი ბრძოლებით, ურთიერთდაპყრობებით, შეთქმულებებით, ინკვიზიციის სისხლიანი ტერორით და ა. შ. მაგრამ ყოველივე ეს არ ეხებოდა მის ბუნებას და არსებითად არ ცვლიდა მას. მაგრამ აი დადგა მკვეთრი, ძირფესვიანი შემობრუნების პერიოდი საზოგადოების განვითარებაში. ეს იყო ბურჟუაზიულ რევოლუციათა ეპოქა, რომელმაც ევროპის ქვეყნებში ფეოდალიზმი შეცვალა კაპიტალიზმით. XVI საუკუნეში — ნიდერლანდებში, XVII საუკუნეში — ინგლისში, ხოლო XVIII საუკუნეში — საფრანგეთში მოხდა რევოლუციები, რომელთა შედეგად ევროპაში გაბატონდა კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. XX საუკუნეში დადგა სოციალისტურ რევოლუციათა ეპოქა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ახალი ერა საზოგადოების განვითარებაში. ეს არის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ერა.

ამგვარად, საზოგადოების განვითარება ორი განსხვავებული — ევოლუციური და რევოლუციური ფორმით მიმდინარეობს. პირველი გულისხმობს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის თანდათანობით, რაოდენობრივ, ხოლო მეორე — თვისებრივ, ნახტომისებურ ცვლილებებს.

სოციალური რევოლუცია მოიცავს სოციალური სისტემის ყველა მხარეს და ეხება მთლიანად საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას. იგი მისი ძირფესვიანი და საფუძვლიანი გარდაქმნაა.

მთლიანი სოციალური სისტემის ძირფესვიან შეცვლას, რომლის შედეგად დაბალი, ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან გადასვლა ხდება უფრო მაღალზე, პროგრესულზე — სოციალური რევოლუცია ეწოდება.

სოციალური რევოლუცია არ არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ყოველგვარი შეცვლა. თუ მაღალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია იცვლება დაბალით — ეს არის *კონტრრევოლუცია*. რევოლუცია ვულისხმობს საპირისპირო პროცესს, როდესაც მოძველებული, რეაქციული საზოგადო-

ებრივი წყობილება იცვლება ახლით, პროგრესულით. ამიტომ სოციალური რევოლუცია საზოგადოებრივ პროგრესის ძირითადი საშუალებაა. კ. მარქსი მას ისტორიის ლოკომოტივს უწოდებდა.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლა რთული, ხანგრძლივი პროცესია. მისი საფუძველია წარმოების წესის შეცვლა, რაც გულისხმობს საწარმოო ძალების განვითარების შესაბამისად წარმოებით ურთიერთობათა გარდაქმნას. ეს კი ნიშნავს საზოგადოების ბაზისის შეცვლას, რომლის კვალდაკვალ გადატრიალება ხდება მთელ უზარმაზარ ზედნაშენში. ამით იცვლება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური სტრუქტურა, ადამიანის ცხოვრების წესი, მისი იდეოლოგია და ფსიქოლოგია და სხვა. ერთი სიტყვით, ძირეულად გარდაიქმნება მოცემული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. სოციალური რევოლუცია სწორედ ასეთ გარდაქმნას გულისხმობს.

სოციალური რევოლუცია აუცილებელი და კანონზომიერი მოვლენაა საზოგადოების განვითარებაში. იგი გარდაუვალი შედეგია იმ ღრმა წინააღმდეგობებისა, რომლებიც თანდათანობით მწვავდება და გროვდება საზოგადოების ევოლუციის პროცესში. რა მიზეზები იწვევენ სოციალურ რევოლუციას? მათ მიეკუთვნება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები.

სოციალური რევოლუციის ობიექტური მიზეზები შემდეგია:

კონფლიქტი ახალ, განვითარებულ საწარმოო ძალებსა და ძველ, დრომოჭმულ წარმოებით ურთიერთობებს შორის. იგი რევოლუციის ეკონომიკური საფუძველია და ამიტომ — მისი უველაზე ღრმა მიზეზი.

აღნიშნული კონფლიქტი სოციალური რევოლუციის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. რევოლუცია რომ მოხდეს, გარდა აღნიშნული კონფლიქტისა, აუცილებელია საერთო ეროვნული კრიზისი, რომლის შედეგად ქვეყანაში იქმნება რევოლუციური სიტუაცია. ვ. ი. ლენინმა შემდეგნაირად დაახასიათა იგი: 1) ზედაფენების კრიზისი, როდესაც მჩაგვრელებს აღარ შეუძლიათ ძველებურად მართვა და ამიტომ წინანდელი სახით აღარ შეუძლიათ შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა; 2) ჩაგრულთა გაჭირვებისა და ტანჯვის გაძლიერება ჩვეულებრივზე მეტად; 3) ქვედაფე-

ნებს აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება, ამის გამო იზრდება მათი აქტივობა და ისინი იწყებენ დამოუკიდებელ ისტორიულ გამოსვლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

რევოლუციური სიტუაცია გულისხმობს მასების რევოლუციური შეგნების დონის ზრდას, მიუხედავად ამისა, ი გ ი ო ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ო ბ ი ე ქ ტ უ რ პ ი რ ო ბ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს.

სოციალური რევოლუციის სუბიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება შემდეგი: 1) რევოლუციური მასების შეგნებულობა, მათი მზადყოფნა და თავდადება—იბრძოლონ მჩაგვრელთა წინააღმდეგ; 2) მასებისა და მათი ავანგარდის ორგანიზებულობა; 3) საკმაოდ გამოცდილი და ბრძოლაში გამოწრთობილი პარტიის არსებობა, რომელსაც აქვს ნათლად შემუშავებული მოქმედების პროგრამა.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ა გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ა მ ა შ ი ნ, რ ო დ ე ს ა ც ს ა ხ ე ზ ე ა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი დ ა ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა.

რა არის სოციალური რევოლუციის ძირითადი საკითხი? ეს არის ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი. რევოლუციის შედეგად ძალაუფლება ერთი კლასის ხელიდან გადადის მეორე კლასის ხელში. ისმება კითხვა: ძალაუფლების საკითხი რატომ არის რევოლუციის ძირითადი საკითხი? წარმოების წესი ხომ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის საფუძველია, რომლის შეცვლა იწვევს მის ძირეულ შეცვლას. ამის გამო კანონიერია კითხვა: რატომ ძალაუფლების, ე. ი. პოლიტიკური და არა წარმოების წესის, ე. ი. ეკონომიკური საკითხი არის რევოლუციის მთავარი საკითხი? ხომ ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკას და არა პირიქით? მართალია, ახალი წარმოების წესის დამკვიდრება, განმტკიცება და განვითარება არის ყოველი რევოლუციის უპირველესი ამოცანა, რადგან მის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლა. მაგრამ აქ საკითხი ისმის: თუ რა გზით, რა საშუალებით შეიძლება განხორციელდეს ეს ამოცანა? საქმე ისაა, რომ გაბატონებული კლასები გააფთრებით იცავენ არსებულ წარმოების წესს. ამისთვის ისინი იყენებენ ყველა საშუალებას, და პირველ რიგში, სახელმწიფო ძალაუფლებას. რევოლუციურ ძალებს მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის მეშვეობით შეუძლიათ დაძლიონ გაბატონებული კლასების წინააღმდეგობა. ამისთვის კი აუცილე-

ბელია სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ძალაუფლების მოპოვება არის არა რევოლუციის მიზანი, არამედ მისი განხორციელების საშუალება. სახელმწიფო ძალაუფლების შეშვეობით რევოლუციური კლასი ამსხვრევს ყველა იმ დაბრკოლებას და წინააღმდეგობას, რომლებიც ხელს უშლიან ახალი წარმოების წესის დაჭკვიდრებას და განვითარებას. ამიტომ არის იგი რევოლუციის ძირითადი საკითხი.

რევოლუციები ერთმანეთისაგან განსხვავდება ხ ა ს ი ა თ ი თ: რევოლუციის ხასიათს განსაზღვრავს ის ამოცანები, რომელთა განხორციელებასაც იგი მიზნად ისახავს. შესაბამისად გვაქვს რევოლუციის განსხვავებული ტიპები. თუ რევოლუცია მიზნად ისახავს დაამხოს ფეოდალური წყობილება და დაამკვიდროს კაპიტალისტური, მაშინ საქმე გვაქვს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ულ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს თ ა ნ. თუ რევოლუციის მიზანია კაპიტალიზმის დამხობა და სოციალიზმის დამყარება, მაშინ საქმე გვაქვს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს თ ა ნ. რევოლუციები აგრეთვე ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მ ა მ ო ძ რ ა ვ ებ ე ლ ი ძ ა ლ ებ ი თ. მამოძრავებელი ძალები ეს ის კლასებია, რომლებიც აქტიურად იბრძვიან და ახორციელებენ რევოლუციას. იმ კლასს, რომელიც ხელმძღვანელობს ამ ბრძოლას, უწოდებენ რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ჰ ე გ ე მ ო ნ ს. რევოლუციის მამოძრავებელი ძალები დამოკიდებულია არა მარტო მის ხასიათზე, არამედ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებზე. ამიტომ ერთი და იმავე ტიპის რევოლუციას შეიძლება განსხვავებული მამოძრავებელი ძალები ჰყავდეს. მაგალითად. XVII—XVIII საუკუნეების ბურჟუაზიული რევოლუციის მამოძრავებელი ძალები იყვნენ: ბურჟუაზია, გლეხობა, ქალაქის მოსახლეობის მდაბიო ფენები, მუშათა კლასი. რევოლუციის ჰეგემონი იყო ბურჟუაზია. რუსეთის 1905—1907 წლებისა და თებერვლის (1917 წ.) რევოლუციების მამოძრავებელი ძალები იყვნენ პროლეტარიატი და გლეხობა. ბურჟუაზია საერთოდ არ მონაწილეობდა მასში, როგორც ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა. რევოლუციის ჰეგემონი კი იყო პროლეტარიატი.

სოციალისტურ და ბურჟუაზიულ რევოლუციებს შორის ძირეული განსხვავება. ამ ორი ტიპის რევოლუციას შორის ძირეული განსხვავება შემდეგშია:

ა) ბურჟუაზიული რევოლუცია ექსპლოატაციის ერთ ფორმას— ფეოდალურს ცვლის ექსპლოატაციის მეორე ფორმით — კაპიტალისტურით. იგი ერთი კლასის ბატონობას ცვლის მეორე კლასის ბატონობით. სოციალისტური რევოლუცია სპობს ყოველგვარ ექსპლოატაციას. იგი დასაბამს აძლევს კლასობრივ განსხვავებათა მოსპობას და უკლასო საზოგადოების აშენებას.

ბ) ბურჟუაზიულ რევოლუციას წინ უსწრებს კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა ჩასახვა ფეოდალიზმის წიაღში. ახალ წარმოებით ურთიერთობათა განვითარებას ხელს უშლის გაბატონებული ზედნაშენი. წარმოიშობა კონფლიქტი ახალ ბურჟუაზიულ ბაზისსა და ჩამორჩენილ ფეოდალურ ზედნაშენს შორის. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ უნდა გადაჭრას ეს წინააღმდეგობა. იგი ფეოდალურ ზედნაშენს ცვლის ბურჟუაზიულით, რომელიც თავის მხრივ კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა განვითარების ხელშემწყობ პირობებს ქმნის.

სოციალისტურ რევოლუციას წინ არ უსწრებს სოციალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა კაპიტალიზმის წიაღში. კაპიტალიზმი თავისი განვითარების უკანასკნელ და უმაღლეს სტადიაზე ქმნის სოციალიზმის აშენების მხოლოდ მატერიალურ წანამძღვრებს. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი და მათ საფუძველზე აშენდეს ახალი, ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოება. ასეთი საქმიანობის ძირითადი იარაღია პროლეტარიატის დიქტატურა. ამიტომ სოციალისტური რევოლუცია ი წ ყ ე ბ ა სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობით, რაც გულისხმობს ძველი სახელმწიფო მანქანის დამსხვრევას და ახალი ტიპის სახელმწიფოს შექმნას. ბურჟუაზიული რევოლუცია კი ძირითადად მ თ ა ვ რ დ ე ბ ა სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობით.

გ) სოციალისტური რევოლუციის წინაშე დგას გაცილებით უფრო რთული და გრანდიოზული ამოცანები, ვიდრე ბურჟუაზიული რევოლუციის წინაშე. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ მარტო უნდა დაამსხვრიოს ძველი, ხოლო სოციალისტურმა — ააშენოს სრულიად ახალი ტიპის საზოგადოება. ეს კი მისგან მოითხოვს მრავალმხრივი — სამეურნეო-ორგანიზატორული და სოციალურ-კულტურული ამოცანების გადაწყვეტას.

იმის გამო, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობანი ჩაისახება ფეოდალიზმის წიაღში, ბურჟუაზიული რევოლუციის განხორციელებას არ სჭირდება ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი პერიოდი. ბურჟუაზიული რევოლუცია ძირითადად იზღუდება პოლიტიკის სფეროთი (სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობით).

იმის გამო, რომ სოციალისტური ურთიერთობანი არ ჩაისახება კაპიტალიზმის წიაღში, სოციალისტური რევოლუციის განხორციელებას სჭირდება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი. სოციალისტური რევოლუცია არ იზღუდება პოლიტიკის სფეროთი. სახელმწიფო ძალაუფლება მისთვის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ამოცანების გადაწყვეტის მხოლოდ საშუალება და იარაღია. ამიტომ სოციალისტური რევოლუცია არა მხოლოდ ამსხვრევს ძველს, არამედ აშენებს სრულიად ახალ საზოგადოებას.

ადამიანთა ერთობის ისტორიული ფორმები

ადამიანთა ერთობის ისტორიული ფორმებია: გვარი, ტომი, ეროვნება და ერი.

ცხოველებს ახასიათებს ჯოგური არსებობა. ეს არის ისეთი თანაარსებობა, რომელსაც აწესრიგებს მხოლოდ ბიოლოგიური კანონები. არსებობისათვის ბრძოლის ხანგრძლივ პროცესში ცხოველებს გამოუმუშავდათ ისეთი გენური სტრუქტურა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს და გაახანგრძლივოს მოცემული სახეობის სიცოცხლე. ბიოლოგიური მექანიზმი, რომელიც მემკვიდრეობით თაობიდან თაობას გადაეცემა, სავსებით უზრუნველყოფს ცხოველთა თანაარსებობას მათი ბინადრობის არეალში.

რა თქმა უნდა, ადამიანებს შორისაც არსებობს ბიოლოგიური კავშირები. მაგრამ ისინი არ განსაზღვრავენ მათ თანაარსებობას. აქ მთავარია და გადამწყვეტი სოციალური ურთიერთობანი, ამიტომ ადამიანებს უკვე აღარ ახასიათებთ ჯოგური არსებობა. მათი ერთად არსებობა განსაზღვრულია სოციალური კანონზომიერებით, თუმცა ბიოლოგიური კანონებიც ასრულებენ გარკვეულ როლს. ადამიანთა ერთობის ფორმებს ისტორიული ხასიათი აქვს. ისინი იცვლებოდ-

ნენ საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ. ადამიანთა ერთობის პირველი ისტორიული ფორმა იყო გვარი.

გ ვ ა რ ი ადამიანთა ისეთი სოციალური და ეთნიკური ერთობაა, რომელიც ემყარება სისხლით ნათესაობას. მის წევრებს აერთიანებს საერთო წარმოშობა, ენა, წეს-ჩვეულებები, ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის ნიშნები. გვარის ეკონომიკური საფუძველია პირველყოფილი გვაროვნული საკუთრება. იგი საზოგადოებრივი საკუთრებაა, რომელიც გულისხმობს კოლექტივის წევრების თანაბარ უფლებებს და პროდუქტების თანაბარ განაწილებას. გვარის განკარგულებაშია ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, რომელიც მას სჭირდება საწარმოო, სანადირო და სხვა საქმიანობისათვის.

ტ ო მ ი აერთიანებს რამდენიმე გვარს, ამიტომ იგი ადამიანთა უფრო დიდი ერთობაა. მას ძირითადად იგივე ნიშნები ახასიათებს, რაც გვარს. მაგრამ მისგან განსხვავდება ზოგიერთი თვისებით, რაც გამოწვეულია გაერთიანების სიდიდით: ჩნდება ტომობრივი საკუთრება, რომელსაც მიეკუთვნება სამეურნეო საქმიანობის საერთო ტერიტორია: ჩნდება მართვის ახალი ორგანოები — ტომის საბჭო, ქურუმები, მხედართმთავრები, საერთო კრება და სხვა.

ერთობის გვარტომობრივი ორგანიზაცია, რომელიც ემყარება საზოგადოებრივ საკუთრებას, დამახასიათებელი იყო პირველყოფილი წინაკლასობრივი საზოგადოებისათვის. ეს გაპირობებული იყო საწარმოო ძალების განვითარების დაბალი დონით, რომელიც აუცილებლობით მოითხოვდა საერთო საკუთრებას და ადამიანთა კოლექტიურ საქმიანობას. იმ პერიოდისათვის ამის უზრუნველყოფა შესაძლებელი იყო მხოლოდ გვარტომობრივი ორგანიზაციის ფორმით.

პირველყოფილ-თემური საზოგადოების რღვევის შედეგად წარმოიშვა ადამიანთა ერთობის ახალი ისტორიული ფორმა, რომელიც უკვე აღარ წარმოადგენს სისხლითნათესაობრივ კავშირს. იგი აერთიანებს ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს გარკვეული სოციალური ნიშნების მიხედვით. ეს არის ე რ ო ვ ნ ე ბ ა.

ე რ ო ვ ნ ე ბ ა ა დ ა მ ი ა ნ თ ა ე რ თ ო ბ ი ს ი ს ე თ ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ფ ო რ მ ა ა, რ ო მ ე ლ ი ც მ ა თ ა ე რ თ ი ა ნ ებ ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ი ს, ე ნ ი ს, ფ ს ი ქ ი კ უ რ ი წ ყ ო ბ ი ს, კ უ ლ-

ტ უ რ ი ს ა დ ა ყ ო ფ ა-ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო პ ი რ ო ბ ე-
ბ ი თ. მას ახასიათებს საერთო ჩვეულები და ტრადიციები.

ეროვნების წარმოშობის ეკონომიკური საფუძველია კერძო საკუთრების გაჩენა, რომელმაც გამოიწვია საზოგადოების დაყოფა კლასებად და სახელმწიფოს წარმოქმნა. ამიტომ ეროვნებანი ჩამოყალიბდნენ კლასობრივ საზოგადოებაში.

ეროვნება ტომთან შედარებით ადამიანთა ერთობის უფრო განვითარებული ფორმაა. იგი უკვე უზრუნველყოფს მათ შრომით, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა საქმიანობას, რადგან არ არის შეზღუდული სისხლითნათესაობრივი ვიწრო კავშირებით. იგი აერთიანებს ადამიანებს ენის, ფსიქიკური წყობის, ტრადიციების და ა. შ. მიხედვით შედარებით ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც მათი მოქმედების ფართო სარბიელს ქმნის, მაგრამ ეროვნებაც ადამიანთა ერთობის შეზღუდული ფორმაა, რაც დროთა განმავლობაში თანდათანობით გამოვლინდა. მას აკლია მყარი ეკონომიკური ერთობა. იგი არსებობს პატრიარქალურ-ნატურალური მეურნეობის პირობებში, როდესაც სახელმწიფო დაქუცმაცებულია ცალკეულ რეგიონებად, რომელთა შორის ეკონომიკური კავშირები არ არის მყარი და მუდმივი. ქვეყნის მეურნეობა არ არის ერთიანი საზოგადოებრივი კომპლექსი, რადგან მისი ცალკეული რგოლები დამოუკიდებელი და თავისთავში ჩაკეტილია. სასაქონლო წარმოების განვითარებამ თანდათანობით მოსპო ცალკეული რაიონების გათიშულობა და გააერთიანა ისინი ერთ მთლიან კომპლექსად. კაპიტალიზმის დროს სასაქონლო წარმოებამ მიიღო საყოველთაო ხასიათი, რის შედეგად შეიქმნა ერთიანი ეკონომიკა, რომლის ცალკეული დარგები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთმანეთის გარეშე არ შეუძლიათ ფუნქციობა. ერთიანი ეკონომიკის წარმოქმნამ გამოიწვია ადამიანთა უფრო მყარი ერთობის — ერების ჩამოყალიბება. მაშასადამე, ერების ჩამოყალიბება ხდება კაპიტალიზმთან ერთად. რა არის ერი? რით განსხვავდება იგი ეროვნებისაგან? ერი ეროვნებისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ მას საფუძვლად უდევს მყარი ეკონომიკური ერთობა, რასაც ეროვნება მოკლებულია. ერი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ე რ ი ა რ ი ს ა დ ა მ ი ა ნ თ ა მ ყ ა რ ი ე რ თ ო ბ ა, რ ო მ ე ლ-
ს ა ც ა ხ ა ს ი ა თ ებ ს ს ა ე რ თ ო ე ნ ა, ს ა ე რ თ ო ტ ე რ ი ტ ო-

რია, ერთიანი ეკონომიკა და საზოგადოებრივი ფსიქოლოგიისა და კულტურის ზოგიერთი თავისებურება. ყოველივე ამის საფუძველზე ყალიბდება თავისებური ეროვნული ხასიათი.

ერი უნდა განვასხვავოთ რასისაგან. ერი ადამიანთა ერთობის ისტორიული ფორმაა, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე. რასა კი ადამიანთა ერთობის ბიოლოგიური ფორმაა. იგი აერთიანებს ადამიანებს დიდ ჯგუფებად ზოგიერთი ბიოლოგიური ნიშნის მიხედვით (კანის ფერი, სახის მოყვანილობა და სხვა). რომლებიც გადაეცემა მემკვიდრეობით. განასხვავებენ სამი სახის რასას — ნეგროიდულს, ევროპოიდულს და მონგოლოიდურს. რასობრივი განსხვავებანი არ განაპირობებს შესაბამისი ხალხების სოციალურ და კულტურულ განვითარებას. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკურ პირობებსა და არა რასობრივ თავისებურებებზე. რასებს შორის განსხვავება გარეგნულია. გენეტიკურად ისინი ერთიანია, ამიტომ მათი ინტელექტუალური თუ სხვა შესაძლებლობანი ერთნაირია. არ არსებობს რაიმე ბიოლოგიური უპირატესობა ერთი რასისა მეორის მიმართ. ისინი თანასწორნი არიან.

ორი ტენდენცია ერების განვითარებაში. ერების განვითარებას ახასიათებს ორი ტენდენცია — ეროვნული და ინტერნაციონალური. პირველი გულისხმობს ეროვნული თვითცნობიერების გაღვიძებას, სოციალური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, სწრაფვას ეროვნული შემოქმედებითი ძალების გამოვლენისა და კულტურის განვითარებისათვის. ერთი სიტყვით, ეს არის ერის მისწრაფება—დაამკვიდროს თავისი თვითმყოფადობა. მეორე გულისხმობს — ერთა შორის კავშირების განვითარებას, ეროვნული ზღუდეების გადალახვას, მათ შორის კავშირის გაფართოებას. ერთი სიტყვით, ეს არის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია.

ერების განვითარების ორი ტენდენცია სხვადასხვაგვარად ვლინდება კაპიტალიზმის და სოციალიზმის დროს. კაპიტალიზმის დროს იგი ვლინდება კონფლიქტებისა და ანტაგონიზმების ფორმით. არსებობს ეკონომიკურად და კულტურულად განვითარებული და ჩამორჩენილი ერები. პირველნი ჩაგრავენ და ექსპლოატაციას უწე-

ვენ მეორეთ. დაჩაგრული ერების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება მჩაგვრელი ერების მხრიდან. ამიტომ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლის გზით. ასევე ერთა დაახლოებაც ხორციელდება ძალმომრეობის, ე. ი. მჩაგვრელი ერის მიერ დაჩაგრული ერის დისკრიმინაციის, დამორჩილებისა და გაძარცვის გზით. ამას ხშირად მოჰყვება ერთი ერის მიერ მეორის ასიმილაცია (შთანთქმა) ან გენოციდი (რომელიმე ხალხის სისტემატური განადგურება).

სოციალიზმის დროს ერების განვითარების ორი ტენდენცია ვლინდება ანტაგონიზმებისა და კონფლიქტების გარეშე. აქ საქმე გვაქვს თანასწორუფლებიან ერებთან, რომელთა შორის მყარდება ურთიერთდახმარება და ურთიერთთანამშრომლობა. რა თქმა უნდა, ეს ერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით, ტრადიციებით და წეს-ჩვეულებებით და ეს განსხვავებანი დიდხანს რჩება. სოციალისტური ერების მიზანია არა ერთმანეთის ჩაგვრა და დისკრიმინაცია, არამედ მეგობრობა და თანამშრომლობა. ეს არ გამორიცხავს გარკვეულ სიძნელეებს და წინააღმდეგობებს მათს ურთიერთობაში, მაგრამ ისინი არაანტაგონისტური ხასიათის არიან და დაიძლევიან ურთიერთშეთანხმების გზით. ამის შედეგად ხდება სოციალისტურ ერთა კულტურების აყვავება და დაახლოება. ამგვარად, სოციალიზმის დროს ერების განვითარების ორი ტენდენცია ვლინდება შემდეგნაირად: ერთი მხრივ, ერების განვითარება, მათი კულტურის აყვავება, ხოლო მეორე მხრივ— მათი დაახლოება ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთგამდიდრების გზით.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. ნაციონალიზმი არის იდეოლოგიური თეორია, რომელიც ამტკიცებს მოცემული ერის განსაკუთრებულობას და მის უპირატესობას სხვა ერების მიმართ. იგი ერს განიხილავს როგორც ჰარმონიულ მთლიანობას, რომელიც გამორიცხავს კლასების და სხვა სოციალური ფენების განსხვავებულობას და დაპირისპირებას. იგი ეროვნულ ინტერესებს კლასობრივზე უფრო მაღლა აყენებს და მას უქვემდებარებს. ბურჟუაზია იყენებს ნაციონალიზმის იდეო-

ლოგიას. ბურჟუაზიული ნაციონალიზმი წარმოიშვა და ვითარდებოდა კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების კვალდაკვალ. ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზია გამოდიოდა მთელი ერის სახელით; თითქოს იგი იცავდა და ამტკიცებდა არა თავის ვიწრო, ეგოისტურ, არამედ მთელი ხალხის, მათ შორის, მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს. ამით მას სურდა მიეჩქმალა დაპირისპირება პროლეტარიატთან და მასთან ერთიანი ფრონტით გამოსულიყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ამ მიზნით იგი წინა პლანზე წევდა საერთო ნაციონალურ ინტერესებს. შემდგომ, როდესაც ბურჟუაზიამ მოიპოვა და განიმტკიცა თავისი ძალაუფლება ქვეყნის შიგნით, იგი ასევე მთელი ერის სახელით უპირისპირდება სხვა ერებს და ცდილობს მათ დამორჩილებას. თითქოს აქაც იგი იცავს არა თავის ეგოისტურ, არამედ საერთო-ნაციონალურ ინტერესებს. ამგვარად, ნაციონალიზმი ბურჟუაზიისათვის მისაღები თეორია და პრაქტიკაა, რომელსაც იგი იყენებს როგორც თავისი ერის, ასევე სხვა ერების მიმართ.

როგორ უნდა შევაფასოთ ნაციონალიზმი? საერთოდ იგი თავისი არსით მცდარი და რეაქციული მოძღვრებაა. მაგრამ ზოგჯერ მან შეიძლება პროგრესული როლი შეასრულოს საზოგადოების განვითარებაში. მაგალითად, დაჩაგრული ერების ბრძოლა კოლონიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ატარებს ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ხასიათს, სამართლიანი და პროგრესულია. აქ წინა პლანზეა წამოწეული მჩაგვრელი ერის უღლის გადაგდება და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც მოსახლეობის ყველა ფენის და კლასის ინტერესებს შეესაბამება. ამ შემთხვევაში ნაციონალიზმი გამოხატავს საერთო ეროვნულ ინტერესებს, რაზმავს ერს ერთ მთლიანობად და ხელს უწყობს მის გამარჯვებას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამდენად იგი პროგრესულია. მაგრამ იგი თავისი ბუნებით მაინც შეზღუდულია, რადგან მისი დროშის ქვეშ ამოფარებული ბურჟუაზია ცდილობს თავისი ინტერესების განხორციელებას.

შ ო ვ ი ნ ი ზ მ ი ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმაა. იგი არ იზღუდება ეროვნული განსაკუთრებულობისა და უპირატესობის მტკიცებით, არამედ ქადაგებს სიძულვილს სხვა ერების მიმართ. იგი შუღლსა და მტრობას თესავს ერებს შორის.

რ ა ს ი ზ მ ი არის თეორია, რომელიც ერთი რასის მეორე რასისადმი უპირატესობას აღიარებს. მას კოლონიური, დაპყრობითი ომების დროს იყენებენ გაბატონებული კლასები, რომელთაც სხვა ხალხების დამორჩილება სურთ.

ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს პროლეტარიატმა დაუპირისპირა ინტერნაციონალიზმი. პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი აღიარებს მშრომელთა კლასობრივ სოლიდარობას ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, დამოუკიდებლად იისა, თუ რომელ ერს და რასას მიეკუთვნებიან ისინი. რა განაპირობებს პროლეტარულ სოლიდარობას? — მშრომელთა მდგომარეობის და ცხოვრების ერთნაირი პირობები და საერთო მიზნები. მათ ერთი მტერი ჰყავთ და ერთნაირი ინტერესები ამოძრავებთ. ისინი იბრძვიან ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან, განთავისუფლებისათვის, რაც აუცილებლობით მოითხოვს მათ შეკავშირებას მსოფლიო მასშტაბით. ამ მოთხოვნის გამოხატულებაა ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ეროვნულ ინტერესებს უქვემდებარებს კლასობრივს. ეროვნული საკითხი მას მიაჩნია სოციალურის ნაწილად. მხოლოდ სოციალური განთავისუფლების შედეგი შეიძლება იყოს ეროვნული თავისუფლება. ყოველგვარი ექსპლოატაციისა და ჩაგვრის მოსპობა არის ერების აყვავებისა და განვითარების პირობა, და არა პირიქით. ამიტომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის წარმატება არის ეროვნული თავისუფლების მოპოვების აუცილებელი წანამძღვარი. თუ მუშათა კლასს უნდა თავის ერს მოუპოვოს ნამდვილი დამოუკიდებლობა და თავისუფლება, იგი უპირველეს ყოვლისა უნდა განთავისუფლდეს ბურჟუაზიის ბატონობისაგან.

გამორიცხავს თუ არა პროლეტარული ინტერნაციონალიზმი პატრიოტიზმს? არა, არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს. პატრიოტიზმი არის საშშობლოს, საკუთარი მიწა-წყლის, ეროვნული კულტურის, შამა-პაპათა ოფლით და სისხლით შექმნილი და შენარჩუნებული საგანძურის სიყვარული. იგი გულისხმობს ადამიანს მზადყოფნას — საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვას თავისი საშშობლო.

ეროვნული სიამაყის გრძნობა ყოველი ადამიანისათვის უნდა

ყოს დამახასიათებელი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს ნაციონალიზმს. ერთია ეროვნული კულტურის პატივისცემა, ზრუნვა მისი განვითარებისათვის, და მეორეა — მისი გაზვიადება, გადაჭარბება, მისი დაპირისპირება სხვა ეროვნული კულტურებისადმი. პირველს აღიარებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, მეორეს კი — ბურჟუაზიული ნაციონალიზმი.

პატრიოტიზმის საპირისპიროა კოსმოპოლიტიზმი. იგი უარყოფს ეროვნულ სამშობლოს და მთელ მსოფლიოს აღიარებს ადამიანის სამშობლოდ. მას მიაჩნია, რომ ადამიანი მსოფლიოს მოქალაქეა. არ არსებობს ეროვნული თავისებურებანი და განსხვავებანი. სულ ერთია, სად ვიცხოვრებთ, რისთვის ვიბრძოლებთ და რას დავიცავთ. ადამიანის სამშობლო ყველგანაა. კოსმოპოლიტიზმის დევიზია: „სადაც კარგია, სწორედ იქაა სამშობლო". პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს არაფერი საერთო არა აქვს კოსმოპოლიტიზმთან. იგი მას უარყოფს, როგორც ეროვნული ნიჰილიზმის გამოხატულებას.

მარქსიზმი აღიარებს ყველა ერის, რასის და ეროვნების თანასწორობას. არც ერთ ერს, რასას ან ეროვნებას რაიმე უპირატესობა სხვებთან შედარებით არა აქვს. არ არსებობს ეროვნული განსაკუთრებულობა, თუმცა ყოველ ერს თავისი ხასიათი, განსხვავებული კულტურა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები აქვს. ყოველ მათგანს თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო კულტურის საგანძურში. სწორედ ეს მრავალფეროვნება ამშვენებს და ალამაზებს კაცობრიობას.

ერთა განვითარების სხვადასხვა დონე აიხსნება არა რაღაც ეროვნული ხასიათის საიდუმლოებით, არამედ სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით.

ისტორიული აუცილებლობა და ადამიანთა შეგნებული საქმიანობა

ისტორიული აუცილებლობა და თავისუფლება. საზოგადოების განვითარებას განსაზღვრავს ობიექტური კანონები. ეს ნიშნავს, რომ იგი მიმდინარეობს ადამიანის ნებისა და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. ობიექტურად და კანონზომიერად; საზოგა-

დოებრივი განვითარების კანონები განაპირობებს ისტორიულ აუცილებლობას, რომელიც გზას იკაფავს შემთხვევით და თითქოს მოჩვენებით. არაკანონზომიერ მოვლენათა ფორმით. ბუნებისაგან განსხვავებით საზოგადოების განვითარება ხორციელდება მხოლოდ ადამიანთა მიზანდასახული მოღვაწეობით. მათ მოქმედებას განსაზღვრავს ორი გარემოება: ჯერ ერთი, ადამიანები მოღვაწეობას იწყებენ გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში, რომლებიც მათ უკვე დახვდათ და მემკვიდრეობით გადმოეცათ წინა თაობებისაგან. ამიტომ ადამიანთა ყოველი თაობის მოღვაწეობის ხასიათი და მიმართულება, მიზნები და მისწრაფებები ძირითადად განსაზღვრულია იმ ისტორიული ეპოქით, რომელიც მათ უკვე დახვდათ და რომელშიც მათ უხდებათ მოღვაწეობა. მეორე, არსებობენ საზოგადოებრივი განვითარების კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა მოქმედებას. ეს კანონები ობიექტური ხასიათისაა, ამიტომ ადამიანებს არ შეუძლიათ მათი მოსპობა, გაუქმება ან შეცვლა. ისინი თავიანთ მოღვაწეობაში მათ ექვემდებარებიან და ემორჩილებიან. ამგვარად, ადამიანები თვითონ ქმნიან ისტორიას, მაგრამ არა საზოგადოებრივი განვითარების კანონების საპირისპიროდ ან გვერდის ავლით, არამედ მათზე დაყრდნობით და მათ შესაბამისად. ისინი თავიანთი მიზანდასახული მოღვაწეობით ახორციელებენ ისტორიულ აუცილებლობას, რომელსაც ობიექტური და კანონზომიერი ხასიათი აქვს.

კანონიერად დგება შემდეგი კითხვა: თუკი ისტორიული აუცილებლობა არსებობს, მაშინ რა ადგილი უკავია ადამიანს საზოგადოების განვითარებაში? იგი ისტორიული აუცილებლობის მონაა თუ თავისუფალია? იგი მხოლოდ პასიური, ე. ი. შემსრულებელია თუ აქტიური, ე. ი. გარდამქმნელია? საზოგადოების განვითარებაში არის თუ არა რაიმე დამოკიდებული ადამიანის აქტიურობასა და ნებაზე, თუ ყველაფერი თავისთავად, სტიქიურად ხდება?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, საჭიროა გავარკვიოთ თავისუფლების ცნება. რას გულისხმობს იგი საზოგადოდ და კონკრეტულად რიაშია ადამიანის თავისუფლება? თავისუფლება — ეს ისეთი მოქმედებაა, რომელსაც ადამიანი ახორციელებს თავისი სურვილებისა და მოთხოვნილებების მიხედვით: როდესაც იგი ახორციელებს

სწორედ იმას, რაც მას უნდა, სურს. ამ დროს ადამიანი მოქმედებს თავისი ნების მიხედვით და არა სხვისი ქარნახით. იგი ახორციელებს საკუთარ და არა სხვის ნებას.

თავისუფლება უპირისპირდება ი ძ უ ლ ე ბ ა ს. იძულება არის ისეთი აუცილებლობა, რომელიც თავსმოხვეულია გარეგანი პირობებით. იგი გაიძულებს გააკეთო ისეთი რამ, რაც შენ არ გინდა, არ გსურს. იძულება ბატონობს არაორგანულ ბუნებაში. მისი გამოხატულებაა კლასიკური მექანიკის კანონები. ამ კანონების მიხედვით ნებისმიერი სხეულის მდებარეობა ცალსახად გაპირობებულია მასზე მოქმედი ძალებით, მაგალითად, ქვა იცვლის თავის მდებარეობას არა თავისი შინაგანი აქტივობის, არამედ გარეგანი ძალების ზემოქმედების შედეგად. ასეთ სიტუაციაში თავისუფლება გამორიცხულია. თუ ადამიანიც იძულებულია განახორციელოს მხოლოდ ის, რაც მას თავსმოხვეული აქვს გარეგანი პირობებით, მაშინ იგი მათი მონაა და მისი თავისუფლება გამორიცხულია. თუ ისტორიული აუცილებლობა ადამიანს აიძულებს გააკეთოს ის, რაც მას არ უნდა, მაშინ იგი მისი სათამაშო თოჯინაა, მისი თავისუფლება მოჩვენებითი და ილუზორულია, ე. ი. ფაქტობრივად გაუქმებული და უარყოფილია. თუ ადამიანს არ შეუძლია ისტორიული აუცილებლობის გადალახვა, დაძლევა ან შეცვლა, მაშინ რაღაშია მისი თავისუფლება?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: თავისუფლება არ უპირისპირდება საზოგადოდ აუცილებლობას. იგი უპირისპირდება მხოლოდ გარეგან აუცილებლობას, რომელიც თავსმოხვეულია იძულების სახით. მაგრამ შინაგან აუცილებლობას, რომელიც ადამიანმა საკუთარ მოთხოვნილებად აქცია, თავისუფლება არ უპირისპირდება. ამიტომ თავისუფლებას გამორიცხავს მხოლოდ გარეგანი აუცილებლობა (იძულება) და არა შინაგანი აუცილებლობა. როდესაც ისტორიული აუცილებლობა ადამიანის მოღვაწეობისათვის გარეგანია (იძულებითია), მაშინ მისი მოქმედება, რა თქმა უნდა, არ არის თავისუფალი. მაგრამ თუ ადამიანმა ეს ისტორიული აუცილებლობა თავის საკუთარ მოთხოვნილებად აქცია, თავის უნდა-ს, სურვილს დაამთხვია, მაშინ, ცხადია, მისი მოქმედება თავისუფალი იქნება. ამგვარად, თავისუფლება არ უპირისპირდება ისტორიულ აუცილებ-

ლობას, როდესაც მას ადამიანი აქცევს, გახდის თავის შინაგან აუცილებლობად. თავისუფლება ადამიანის შინაგანი აუცილებლობია გამოხატულებაა. ისტორიული აუცილებლობა რა პირობებში შეიძლება გადაიქცეს ადამიანის შინაგან აუცილებლობად? ამისთვის საჭიროა ორი პირობა:

1) ისტორიული აუცილებლობის შემეცნება. ადამიანმა უნდა იცოდეს, გააცნობიეროს იგი, რათა იმოქმედოს შეგნებულად. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოქმედება იქნებოდა ბრმა და სტიქიური. ასეთ ვითარებაში კი თავისუფლების მიღწევა შეუძლებელია. ამგვარად, ისტორიული აუცილებლობის ცოდნა, მისი შემეცნება თავისუფლების აუცილებელი პირობაა. მაგრამ არის კი იგი საკმარისი? არა, არ არის. ადამიანს ხშირად გარეგანი ვითარებები, ვთქვათ, სიკვდილის მუქარა აიძულებს გააკეთოს ისეთი რამ, რაც მას არ უნდა. მან გააცნობიერა გარეგანი აუცილებლობა, გაითვალისწინა მოსალოდნელი შედეგები და სწორედ იმიტომ, რომ გადაერჩინა თავისი სიცოცხლე, ჩაიდინა ისეთი რამ, რაც მას არ სურდა. ასეთ სიტუაციაში ადამიანის ქცევა არ არის თავისუფალი, თუმცა მას გაცნობიერებული აქვს გარეგანი აუცილებლობა. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ადამიანმა კი შეიმეცნა გარეგანი აუცილებლობა, მაგრამ იგი არ გადაუქცევია საკუთარ მოთხოვნილებად, შინაგან აუცილებლობად.

2) შემეცნებული აუცილებლობა ადამიანმა უნდა გადააქციოს თავის შინაგან აუცილებლობად, ე. ი. გახადოს თავისი ნების გამოხატულებად. მან არა მარტო იცის მოცემული აუცილებლობა, არამედ სწამს, რომ ეს სწორედ ის აუცილებლობაა, რომლის განხორციელებაც მას უნდა. ამისთვის ცოდნა არ კმარა. ამას სჭირდება რწმენა, რომელიც ადამიანს საშუალებას მისცემს აუცილებლობა გარეგანი იძულებისაგან გაათავისუფლოს და თავის შინაგან აუცილებლობად აქციოს. რწმენა იმისა, რომ ეს სწორედ შენი, საკუთარი აუცილებლობაა, რომელიც ემთხვევა შენს სურვილებსა და მისწრაფებებს და აკეთებ სწორედ იმას, რაც შენ გინდა — აი თავისუფლების განხორციელების მეორე აუცილებელი პირობა.

ამგვარად, თავისუფლება არის ადამიანის მიერ შემეცნებული აუცილებლობის გადაქცე-

ვა საკუთარ — შინაგან აუცილებლობად, სასიცოცხლო მოთხოვნილებად და ამის შესაბამისი მოქმედება.

მარქსიზმ-ლენინიზმი თავისუფლების გაგების საკითხში ემიჯნება ორ უკიდურესობას — ფატალიზმს და ვოლუნტარიზმს. ფატალიზმი არის თეორია, რომელიც აღიარებს, რომ სამყაროში ყველაფერი აუცილებელი და გარდაუვალია. ყოველივე, რაც სამყაროში ხდება წინასწარ, მკაცრად, ცალსახად განსაზღვრულია; არ არსებობს ძალა, რომელიც რაიმეს შეცვლიდა მოვლენათა მიმდინარეობაში. რაც წინასწარ დადგენილია, უეჭველად განხორციელდება. რა ადგილი უკავია ადამიანს ასეთ სამყაროში? მისი ხვედრი, წილი წინასწარ განსაზღვრულია. მას თავისი არე აქვს მიჩენილი, რომლის საზღვრებსაც იგი ვერ გადალახავს. ადამიანს თავის ცხოვრების გზაზე ზუსტად ის შეხვდება, რაც წინასწარ განსაზღვრულია. რაც არ უნდა მოიმოქმედოს მან, იგი ვერაფერს გახდება, ვერაფერს შეცვლის. წინასწარდადგენილი აბსოლუტური სიზუსტით და რკინისებური აუცილებლობით განხორციელდება. მაშასადამე, ადამიანი არ არის თავისუფალი, იგი გარდაუვალობის მონაა. მან მხოლოდ ის უნდა აკეთოს, რაც წინასწარ დადგენილია. ადამიანი სათამაშო თოჯინაა, რომელსაც რაღაც გარეგანი აუცილებლობა თავის ნებაზე აცეკვებს.

ფატალიზმი წარმოიშვა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, როგორც ბედისწერის თეორია. მიჩნეული იყო, რომ ბედისწერაა სწორედ ის ძალა, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს ყოველივე იმას, რაც სამყაროში ხდება. მოხდება მხოლოდ ის, რასაც ბედისწერა წინასწარ გადაწყვეტს. მისი გადაწყვეტილება კი გარდაუვალია, მას თავს ვერავინ დააღწევს. ბედისწერის იდეას ემყარება ძველი ბერძნული მითოლოგია. არსებობენ ბედისწერის ქალღმერთები — მოირები, რომლებიც წინასწარ აწესებენ იმას, რაც უნდა მოხდეს. ადამიანის ხვედრს, წილს მოირები განსაზღვრავენ. ადამიანს შეუძლია ნებაყოფლობით მიიღოს ან წინ აღუდგეს ბედისწერის განაჩენს. მაგრამ იგი ვერაფერს შეცვლის — მაინც ის მოხდება, რაც ბედისწერით დაწესებულია. ადამიანის უმწეობა ბედისწერის წინაშე რომაელმა ფილოსოფოსმა სენეკამ ასე გამოთქვა: ბედისწერას მიყავს მორჩილი და მიათრევს ურჩს. თუ ბედისწერას დამორჩილდები — წაგი-

ყვანს, ურჩობას გაუწევ — წაგათრევს. ბედისწერის განაჩენი მაინც გარდაუვალია, ამიტომ უმჯობესია, რომ მორჩილად და უშფოთველად, მოთმინებით და სიყვარულით დახარო თავი მის წინაშე.

ფატალიზმის შინაარსი შემდგომ გაფართოვდა. იგი დაშორდა ბედისწერის იდეას. შეიძლება ბედისწერა არ აღიარო, მაგრამ მაინც ფატალისტი იყო. ასეთი იყო XVII—XVIII საუკუნეების მექანისტური მატერიალიზმი, რომელიც ბედისწერის იდეას უარყოფდა, მაგრამ მაინც ფატალიზმს წარმოადგენდა, რადგან იგი კლასიკური მექანიკის კანონების აბსოლუტიზაციის საფუძველზე მხოლოდ აუცილებლობას აღიარებდა და შემთხვევითობას უარყოფდა.

ამიტომ ფატალიზმია ყოველი თეორია, რომელიც მხოლოდ აუცილებლობას აღიარებს და შემთხვევითობას უარყოფს. ეს ხდება ბედისწერის, განგების, ობიექტური კანონების თუ აბსოლუტური იდეის საფუძველზე — განსაზღვრავს ფატალიზმის სახესხვაობებს და არა მის ძირითად შინაარსს.

ვოლუნტარიზმი არის თეორია, რომელიც მიიჩნევს, რომ სამყაროში არ არსებობს ობიექტური კანონზომიერება. ყველაფერი შემთხვევითია, აუცილებლობას ადგილი არა აქვს, ამიტომ ყველაფერი შესაძლებელი და დასაშვებია. რაიმეს მოხდენა არ არის განსაზღვრული ობიექტური აუცილებლობით. ამის გამო ადამიანს ყველაფერი შეუძლია. იგი თავისუფალია, რადგან ობიექტური კანონზომიერება, რომელიც მას შეზღუდავდა, არ არსებობს. ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანის ნებაზე. ადამიანის თავისუფალი ნება, და არა ობიექტური კანონზომიერება, განსაზღვრავს სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს — ასეთია ვოლუნტარიზმის ძირითადი თეზისი.

თუ ფატალიზმი უარყოფს ადამიანის თავისუფლებას და ამართლებს მის პასიურობასა და უმოქმედობას, ვოლუნტარიზმი პირიქით — აღიარებს ადამიანის აბსოლუტურ თავისუფლებას და ამართლებს მის თვითნებობასა და სუბიექტივიზმს.

მარქსიზმის თანახმად, ადამიანი თავისუფალია, მაგრამ მას ახასიათებს მხოლოდ შეფარდებითი და არა აბსოლუტური თავისუფლება. მის თავისუფლებას განსაზღვრავს ობიექტური კანონზომიერება. ადამიანს ყველაფერი როდი შეუძლია. მას შეუძლია მხო-

ლოდ ის, რაც განსაზღვრულია ობიექტური აუცილებლობის ფარგლებით. ადამიანს შეუძლია შემდეგი:

1) შეიმეცნოს ობიექტური აუცილებლობა და იმოქმედოს მის შესაბამისად. ამ შემთხვევაში იგი წარმართავს მოვლენათა მსვლელობას, აჩქარებს მას და ხელს უწყობს მისთვის სასურველი ფორმით განხორციელებას. სწორედ ასე მოქმედებენ პროგრესული, რევოლუციური ძალები, რომლებიც ხელს უწყობენ და აჩქარებენ საზოგადოების განვითარებას.

2) შეიმეცნოს ობიექტური აუცილებლობა, მაგრამ იმოქმედოს მის საპირისპიროდ. ამ შემთხვევაში იგი აფერხებს საზოგადოების წინსვლას და მას საბოლოოდ დამარცხება ელის. სწორედ ასე მოქმედებენ რეაქციული, ჩამორჩენილი ძალები, რომელთაც მომავალი არა აქვთ.

3) ობიექტური აუცილებლობის ცოდნის გარეშე იმოქმედოს ბრმად და სტიქიურად. ამ შემთხვევაში იგი მოვლენათა მსვლელობის მონაა, მას ვერ წარმართავს და კუდში მიჩანჩალებს.

საზოგადოების სფეროში არაფერი თავისთავად არ ხდება. ყველაფერი ხორციელდება ადამიანთა შეგნებული საქმიანობის შედეგად. ამიტომ მათ აქტიურობას, დარაზმულობას და ორგანიზებულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისტორიული პროცესების განხორციელებაში. საზოგადოების სფეროში მუდამ მიმდინარეობს ბრძოლა პროგრესულ და რეაქციულ ძალებს შორის. თუ რომელი მხარე გამოიჩენს მეტ აქტიურობასა და დარაზმულობას — ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ამა თუ იმ პროცესის განხორციელება. ისტორიამ იცის ხშირი შემთხვევები, როდესაც ახლის მოხდენის ისტორიული აუცილებლობა ობიექტურად არსებობდა, მაგრამ სათანადო ძალებმა აქტიურობა ვერ გამოიჩინეს, ამიტომ იგი არ განხორციელებულა. ასეთ სიტუაციაში რეაქციული ძალები დროებით, მაგრამ მაინც ზეიმობენ გამარჯვებას. უნდა ითქვას, რომ ეს მათი დამსახურებაა, რადგან მათ გამოიჩინეს უფრო მეტი აქტიურობა და შეკავშირება და შეძლეს პროგრესული ძალების დამარცხება. რევოლუციურ ძალებსაც გამარჯვება მხოლოდ თავგანწირული და შეუპოვარი ბრძოლით შეუძლიათ მოიპოვონ. ვერავითარი ისტორიული აუცილებლობა მათ ნაცვლად საქმეს ვერ გააკეთებს და გამარჯვების გვირგვინს მზამზარეულად არ მიართმევს.

ამგვარად, ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ისტორიას, მაგრამ არა თვითნებურად. როგორც ეს მათ მოესურვებათ, არამედ ობიექტური კანონზომიერების შესაბამისად და მის ფარგლებში.

ხალხის მასების როლი ისტორიაში. ჩვენ აქამდე ზოგადად გავარკვიეთ ადამიანთა აქტიური როლი საზოგადოების განვითარებაში. ახლა უნდა დაზუსტდეს, დაკონკრეტდეს, თუ ვის ეკუთვნის გადამწყვეტი როლი ისტორიის განვითარებაში. ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც ისტორიის მსვლელობას განსაზღვრავენ? ვინ არის ისტორიის შემოქმედი? ამაზე მარქსიზმს აქვს ერთმნიშვნელოვანი და ნათელი პასუხი. ისტორიის მთავარი შემოქმედი არის ხალხი. რა შინაარსს გულისხმობს ხალხის ცნება? იგი მოიხმარება ორი აზრით: 1) ფართო გაგებით იგი აღნიშნავს რომელიმე ერს, მაგალითად, ქართველი ხალხი, რუსი ხალხი და. ა. შ. 2) ვიწრო გაგებით იგი მოიცავს მოსახლეობის იმ ფენებს, რომლებიც ძირითადად ქმნიან მატერიალურ და სულიერ დოვლათსა და იბრძვიან საზოგადოების პროგრესისათვის. სწორედ ისინია ისტორიის მთავარი შემოქმედი, მისი რეალური სუბიექტი. რას ემყარება ამ დებულების სამართლიანობა? იგი გამომდინარეობს ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი პრინციპიდან, რომლის თანახმად, წარმოების პროცესი განსაზღვრავს საზოგადოების სტრუქტურას. წარმოების პროცესის ძირითად, განმსაზღვრელ ელემენტს შეადგენს მწარმოებელი ადამიანები — მშრომელი მასები. იმის გამო, რომ მატერიალური დოვლათის წარმოება არის საზოგადოების განვითარების საფუძველი, ამ დოვლათის მწარმოებელი ადამიანები — მშრომელი მასები იქნებიან ისტორიის რეალური შემოქმედნი.

მშრომელი მასების გადამწყვეტი როლი აშკარად და ნათლად ჩანს მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში. მაგრამ ასრულებენ კი ისინი ასეთსავე როლს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა, მაგალითად: პოლიტიკის, მეცნიერების და ხელოვნების, სფეროში? ამ სფეროებშიც მოღვაწეობენ მშრომელი მასები, მაგრამ თითქოს აქ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის არა მათ, არამედ სათა-

ნადო ნიჭით დაჯილდოებულ და ცოდნით აღჭურვილ ადამიანებს— პოლიტიკოსებს, მეცნიერებს და ხელოვნების მუშაკებს. ცხადია, რომ მშრომელი მასები უშუალოდ არ განსაზღვრავენ აღნიშნულ სფეროებში მიმდინარე პროცესების ხასიათსა და მიმართულებას, მაგრამ ისინი გაშუალებით ახდენენ გადამწყვეტ გავლენას მათზე. პოლიტიკოსები მხოლოდ ხალხის მასებზე დაყრდნობით და მათი საშუალებით აღწევენ თავიანთი მიზნების განხორციელებას. მათი მხარდაჭერის გარეშე ისინი წარმატებას ვერ მიაღწევენ და დამარცხდებიან. მეცნიერება პრაქტიკის განზოგადების შედეგია. პრაქტიკის ძირითადი, განმსაზღვრელი ფაქტორი კი ადამიანთა შრომითი საქმიანობაა მატერიალური დოვლათის წარმოების მიზნით. ბუნებისმეტყველება ნაბიჯსაც კი ვერ გადადგამდა იმ ტექნიკისა და ხელსაწყოების გარეშე, რომელთაც მშრომელები ქმნიან წარმოების პროცესში.

ნამდვილი ხელოვნება ხალხურია, მისი შთაგონების წყარო ხალხია. იგი ხალხის ძირეულ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ასახავს და ხალხისათვის იქმნება.

ხალხი გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოების მკვეთრი შემობრუნების, მისი განვითარების გარდატეხის პერიოდებში. ომები, აჯანყებები, რევოლუციები, რომლებიც ხალხის ენერგიის, შემოქმედებისა და თავგანწირვის სრული გამოვლენაა — ამის აშკარა და ნათელი დადასტურებაა.

ამგვარად, ხალხი უშუალოდ თუ გაშუალებით გადამწყვეტ, ძირითად როლს ასრულებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ხალხის მასების მზარდი როლის კანონი. მაგრამ ხალხის მასების ზეგავლენა საზოგადოების განვითარებაზე ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში არ არის ერთნაირი. შეიმჩნევა მათი აქტიურობის თანდათანობითი და განუხრელი ზრდა. ჯერ ერთი, თანდათანობით ხალხის უფრო ფართო ფენები ღებულობენ მონაწილეობას საზოგადოების განვითარების პროცესში. განსაკუთრებით მათი რაოდენობა და აქტიურობა იზრდება ისტორიის მკვეთრი შემობრუნების, გარდატეხის მომენტებში. მეორე, თანდათანობით ფართოვდება ხალხის მასების უშუალო მო-

ნაწილეობის სფერო. მათი აქტიურობა მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში ყოველთვის გადამწყვეტია, რადგან ისინი წარმოადგენენ ძირითად საწარმოო ძალას, მაგრამ ასევე თანდათან ფართოვდება ხალხის მასების აქტიურობა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა — პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებშიც. მესამე, მათი ზემოქმედება ისტორიულ პროცესზე სულ უფრო ღრმა და მასშტაბური, ქმედითი და გადამწყვეტი ხდება. სწორედ ამ მომენტებს გამოხატავს ხ ა ლ ხ ი ს მ ა ს ე ბ ი ს მ ზ ა რ დ ი რ ო ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი, რომელიც საზოგადოების განვითარების ზოგადსოციოლოგიური კანონია. იგი კონკრეტულად ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა.

ვ. ი. ლენინს კ. მარქსის და ფ. ენგელსის ნაშრომიდან—„წმინდა ოჯახი" — მოაქვს შემდეგი დებულება: „ისტორიული მოქმედების საფუძვლიანობასთან ერთად, მაშასადამე, გაიზრდება იმ მასის მოცულობაც, რომლის ქმნილებასაც იგი წარმოადგენს". ვ. ი. ლენინი მოცემულ დებულებას მიიჩნევს „ერთ-ერთ ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვან დებულებად" და ასკვნის:

„ადამიანთა ისტორიული შემოქმედების გაფართოებასა და გაღრმავებასთან ერთად უნდა იზრდებოდეს იმ მოსახლეობის მასის რაოდენობაც, რომელიც შეგნებული ისტორიული მოქმედია" [1].

რა განაპირობებს ხალხის მასების მზარდი როლის კანონის ობიექტურობას და რეალურობას? მას განაპირობებს საზოგადოების განვითარების პროგრესული ხასიათი. ყოველი ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია წინასთან შედარებით უფრო მაღალი და პროგრესულია: ყოველი მათგანი, ჯერ ერთი, აფართოებს ისტორიული გარდაქმნების სიღრმესა და მასშტაბურობას, და მეორე, თანდათანობით აუმჯობესებს ხალხის მასების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ პირობებს. ყოველივე ეს აუცილებლობით იწვევს ხალხის მასების აქტიურობის თანდათანობით, მაგრამ განუწყვეტელ ზრდას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ხალხის მასების აქტიურობის გამოვლენას ახასიათებს ორი თავისებურება: ჯერ ერთი, მას

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 653.

აქვს სტიქიური და არაორგანიზებული ხასიათი; მეორე, იგი წარმატებას აღწევს მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის მეშვეობით. ეს გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების არამატერიალურ სფეროებში — პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებში მოღვაწეობა გაბატონებული კლასის პრივილეგიაა. იგი ყოველნაირად ცდილობს შებოჭოს ხალხის მასების აქტიურობა, რათა არ დაუშვას მისი მონაწილეობა ამ სფეროებში. ასეთ პირობებში ხალხის მასებს მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის გზით შეუძლიათ გამოავლინონ თავიანთი ენერგია და შემოქმედებითობა და ამით ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოების განვითარებაზე.

ექსპლოატატორული საზოგადოების ისტორიაში კაპიტალიზმმა ხალხის მასების აქტიურობის გამოვლენის შედარებით ყველაზე კარგი პირობები შექმნა. ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ გარკვეულად ხელი შეუწყო ხალხის მასების აქტიურობის ზრდას.

მაგრამ ბურჟუაზიული დემოკრატია თავისი კლასობრივი ხასიათის გამო შეზღუდულია. იგი ემსახურება და განამტკიცებს ბურჟუაზიის ბატონობას, ამიტომ იგი ყოველნაირად ზღუდავს ხალხის ფართო მასების უფლებებს. ბურჟუაზიული სახელმწიფო იცავს გაბატონებული კლასის ინტერესებს და მიმართულია ხალხის ფართო მასების წინააღმდეგ. ასეთ პირობებში მშრომელებს მხოლოდ აქტიური ბრძოლის მეშვეობით შეუძლიათ გაიუმჯობესონ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პირობები. ამის გამო კაპიტალიზმის დროსაც ხალხის ფართო მასებს კლასობრივი ბრძოლის გზით ძალუძთ ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოების განვითარებაზე.

სოციალიზმმა ხალხის მასების აქტიურობის გამოვლენის თვისებრივად ახალი შესაძლებლობები შექმნა: იგი არის ხალხის საზოგადოება, სადაც აღარ არსებობს ანტაგონისტური კლასები, ჩაგვრა და ექსპლოატაცია. მას ახასიათებს სოციალური თანასწორობა და სამართლიანობა. სოციალისტური დემოკრატია გამოხატავს ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და ემსახურება მათ. ამიტომ იგი ხალხის მასების ინიციატივისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშემწყობ პირობებს ქმნის. გარდა ამისა, სოციალიზმი საზოგადოების გარდაქმნის ისეთ ამოცანებსა და მიზნებს სახავს, რომლე-

ბიც მიმართულია ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ყოველივე ეს იწვევს ხალხის მასების აქტიურობის ზრდას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

სოციალიზმის დროს ხალხის მასების აქტიურობის გამოვლენას აქვს შემდეგი თავისებურება: ი გ ი ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა რ ე შ ე დ ა ა ქ ვ ს შ ე გ ნ ე ბ უ ლ ი დ ა ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი. ამას განაპირობებს სოციალისტური საზოგადოების ბუნება, კერძოდ, მისი განვითარების არაანტაგონისტური და გეგმაზომიერი ხასიათი.

მაგრამ სოციალიზმის განვითარების კვალობაზე ადგილი აქვს ხალხის მასების აქტიურობის თანდათანობით და განუხრელ ზრდას. სოციალიზმის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მისი ყოველმხრივი და გეგმაზომიერი სრულყოფა შედეგად იწვევს დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავებას და გაძლიერებას. ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის განვითარება მოსახლეობის ფართო ფენებს შესაძლებლობას აძლევს უ შ უ ა ლ ო მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მიიღოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ხალხის მასების აქტიური როლი საზოგადოების განვითარებაში კიდევ უფრო გაიზრდება კომუნიზმის დროს, როდესაც სახელმწიფო თანდათანობით მოკვდება და იგი შეიცვლება კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობით. აქ უკვე ხალხი უშუალოდ გადაწყვეტს საზოგადოების განვითარების ყველა ძირითად საკითხს.

პიროვნების როლი ისტორიაში. როგორც უკვე აღინიშნა, ხალხის მასები გადამწყვეტ, მთავარ როლს ასრულებენ ისტორიაში. ხომ არ ნიშნავს ეს პიროვნების როლის ყოველგვარ უარყოფას? არა, არ ნიშნავს; მარქსიზმის თანახმად, პიროვნება არა გადამწყვეტ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისტორიის განვითარებაში. იმისათვის, რომ ვაჩვენოთ პიროვნების როლი ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა განვსაზღვროთ „გამოჩენილი პიროვნების“ ანუ „დიდი ადამიანის“ ცნება.

ისტორია მრავალ გამოჩენილ პიროვნებას იცნობს. ისინი მოღვაწეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. პოლიტიკა და კულტურა სავსეა გამოჩენილ პიროვნებათა სახელებით. სახელმწიფო მოღვაწეები და მხედართმთავრები, მეცნიერები და

ხელოვნების მუშაკები, მათი ღვაწლი და დამსახურება, შეცდომები და ნაკლოვანებები მეტ-ნაკლებად ყველასათვის ცნობილია. ერთი შეხედვით, თითქოს გამოჩენილ პიროვნებათა გარეშე ვითარდება მატერიალური დოვლათის წარმოების სფერო, სადაც ხალხის გადამწყვეტი როლი აშკარაა. მაგრამ მასაც ჰყავს თავისი გამოჩენილი პიროვნებანი, რომელთაც წინ წასწიეს იგი და გარკვეული ეტაპები შექმნეს მის განვითარებაში. ესენია ინჟინერ-გამომგონებლები. მაგალითად, უაიტი, რომელმაც ორთქლის მანქანა გამოიგონა, გამოჩენილი პიროვნებაა ტექნიკის განვითარებაში, რადგან მისმა აღმოჩენამ სათავე დაუდო ახალ ეტაპს მრეწველობის პროგრესში. ასე რომ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ჰყავს თავისი გამოჩენილი პიროვნებანი.

ვინ შეიძლება ჩაითვალოს დიდ ადამიანად?

დიდი ადამიანი მასისაგან გამოირჩევა თავისი ნიჭით, ნებისყოფით, წინასწარხედვის უნარით და მიზანსწრაფვით. ამ თვისებების გამო იგი ასრულებს ნოვატორის და ლიდერის როლს საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესაბამის სფეროში. გამოჩენილი პიროვნება სხვებზე ადრე, უფრო ნათლად და ღრმად აცნობიერებს იმ მოთხოვნილებებსა და ამოცანებს, რომელთა გადაჭრას აუცილებლობით მოითხოვს საზოგადოების განვითარება. იგი დაუცხრომელი ენერგიით იღვწის მათ გადასაჭრელად.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროში დიდი ადამიანები გამოხატავენ თავიანთი ეპოქის ძირითად მოთხოვნილებებსა და ამოცანებს და ენერგიულად იბრძვიან მათ განსახორციელებლად. ისინი რაზმავენ ხალხის მასებს, წარმართავენ და ხელმძღვანელობენ მათ მოძრაობას.

დიდ ადამიანთა გამოჩენა ისტორიის სარბიელზე აუცილებელიცაა და შემთხვევითიც. ეპოქა აყენებს გარკვეულ ამოცანებს, რომელთა გადასაჭრელად აუცილებელია დიდ ადამიანთა მოღვაწეობა. ამიტომ მათ გამოსვლას სამოღვაწეო ასპარეზზე ეპოქა აუცილებლობით განაპირობებს. მაგრამ თუ კონკრეტულად რომელი ადამიანი, ვინ შეასრულებს ამ ამოცანას — ეს უკვე შემთხვევითია. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია

აუცილებლობით მოითხოვდა დიდ ადამიანებს, მაგრამ ეს ფუნქცია რომ ნაპოლეონმა და მისმა მარშლებმა შეასრულეს, უკვე შემთხვევითობაა. კონკრეტულ-ისტორიულმა პირობებმა განსაზღვრეს ის გარემოება, რომ სწორედ ნაპოლეონი, და არა სხვა, აღმოჩნდა საფრანგეთის რესპუბლიკის სათავეში. მაგრამ ნაპოლეონს კი არ შეუქმნია ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქა, არამედ მოცემულმა ეპოქამ წარმოშვა იგი. მან მხოლოდ მეტ-ნაკლებად გამოხატა მისი ძირითადი ტენდენციები, მოთხოვნილებანი და ამოცანები.

დიდ ადამიანს არ შეუძლია შეცვალოს საზოგადოების განვითარების ძირითადი მიმართულება. ეს ობიექტურ-კანონზომიერი პროცესია, რომელსაც განსაზღვრავს ადამიანის ნებისა და სურვილებისაგან დამოუკიდებლად მოქმედი საზოგადოებრივი კანონები. დიდ ადამიანს შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს საზოგადოების განვითარება. მის გამჭრიახობასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაზე ბევრადაა დამოკიდებული, თუ რა მსხვერპლის ფასად და ტანჯვად დაუჯდებათ ხალხის მასებს ამა თუ იმ ამოცანის გადაჭრა. ამიტომ დიდი ადამიანის პირად — დადებით და უარყოფით — თვისებებს შეუძლიათ სარგებლობა ან ზიანი მოუტანონ საზოგადოებას. მაგრამ, რაგინდ დიდი ზიანი არ უნდა მიაყენოს ქვეყანას გამოჩენილმა პიროვნებამ, მას საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი ტენდენციის შეჩერება ან მიმართულების შეცვლა არ შეუძლია.

ამგვარად, ძირითადად ხალხის მასები განსაზღვრავენ ისტორიის მსვლელობას. დიდ ადამიანებს მხოლოდ მათზე დაყრდნობით შეუძლიათ ეპოქის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრა. ხალხის მასების მხარდაჭერის გარეშე მათ უსათუოდ მარცხი მოელით. ისტორიამ იცის მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ დამარცხდა ესა თუ ის გამოჩენილი პიროვნება, როგორც კი მან ხალხის მასების ნდობა და მხარდაჭერა დაკარგა.

მარქსიზმი კატეგორიულად უარყოფს შეხედულებას, რომლის თანახმად, გამოჩენილი პიროვნებანი, ე. წ. გმირები განსაზღვრავენ ისტორიის მსვლელობას. თითქოს ხალხის მასები პასიური, ე. ი. ინიციატივას და შემოქმედებას მოკლებული ბრბოა, რომელიც

მოძრაობაში მოყავს გმირებს. თითქოს მხოლოდ გმირების ენერგიასა და ნებისყოფაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება საზოგადოების განვითარება, ისინი განსაზღვრავენ ისტორიის მიმართულებას და ხასიათს.

ეს არის ვოლუნტარისტული თვალსაზრისი ისტორიაზე, რომელიც ემყარება ობიექტური კანონზომიერების არსებობის უარყოფას საზოგადოების განვითარებაში. მარქსიზმის თანახმად, საზოგადოების განვითარება ბუნებრივ-ისტორიული პროცესია. რომელსაც ობიექტურ-კანონზომიერი ხასიათი აქვს. არც ხალხის მასებს და არც დიდ ადამიანებს მისი შეცვლა ან გაუქმება არ შეუძლიათ. მათ შეუძლიათ ობიექტური კანონზომიერების საფუძველზე და მის ფარგლებში აქტიური მოღვაწეობა. ამასთან გადამწყვეტი სიტყვა ხალხის მასებს ეკუთვნის, ხოლო დიდ ადამიანებს მხოლოდ მათი მეშვეობით და მხარდაჭერით შეუძლიათ რაიმე მნიშვნელოვანი როლის შესრულება.

იმის გამო, რომ მარქსიზმი ისტორიულ განვითარებაში ძირითად როლს ხალხის მასებს მიაკუთვნებს, მისთვის უ ცხ ო ა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს კ უ ლ ტ ი. ეს უკანასკნელი ემყარება დიდი პიროვნების ვოლუნტარისტულ შეფასებას, მის გაზვიადებას და განდიდებას. იგი ქადაგებს ქედის მოხრას დიდი ადამიანის წინაშე, რომელიც მისტიკური საიდუმლოებით მოსილი რაღაც ზებუნებრივი, ზეკაცის სამოსელშია გახვეული: თითქოს მას თვითნებურად ძალუძს ყველაფერი და უცოდველია. იგი არასოდეს არ ცდება და ამიტომ მისი საქმიანობა ყოველგვარი ხეჭვისა და კრიტიკის გარეშეა.

პიროვნების კულტს წარმოშობს დიქტატორული პოლიტიკური რეჟიმი, რომლის დროს დარღვეულია დემოკრატიის ელემენტარული ნორმები — პიროვნების თავისუფლება და ხელშეუხებლობა, სიტყვის და პრესის თავისუფლება. იგი ქმნის ისეთ სიტუაციას, როდესაც გამოიყოფა ცალკეულ პიროვნებათა ჯგუფი, რომელთა საქმიანობის რაიმე კრიტიკული შეფასება პოლიტიკურ დანაშაულად ითვლება და სასტიკად ისჯება. ასე წარმოშვა ფაშისტურმა რეჟიმმა ჰიტლერის პიროვნების კულტი.

პროლეტარიატის დიდი ბელადები — კ. მარქსი, ფ. ენგელსი და ვ. ი. ლენინი კატეგორიულად უარყოფდნენ პიროვნების კულტს და ყოველნაირად ებრძოდნენ მის დანერგვას მშრომელთა რევო-

ლუციურ მოძრაობაში. სოციალიზმის ბუნებისათვის უცხოა პიროვნების კულტი. მაგრამ სოციალიზმის პირობებში შეიძლება შეიქმნას კონკრეტულ-ისტორიული სიტუაცია, რომელიც წარმოშობს მას. ამის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა სოციალისტური დემოკრატიის განვითარება და მისი ნორმების განუხრელი დაცვა.

საზოგადოებრივი ცნობიერება — ისტორიული პროცესის აქტიური ძალა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიული მატერიალიზმის თანახმად, საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოების ცნობიერებას. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საზოგადოებრივი ყოფიერების ყოველ ცვლილებას ავტომატურად თან ახლდეს საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლილება. უკანასკნელს შედარებითი დამოუკიდებლობა აქვს, რაც გაპირობებულია შემდეგი გარემოებით: საზოგადოებრივი ცნობიერების შინაარსს განსაზღვრავს არა მხოლოდ საზოგადოებრივი ყოფიერება, არამედ თვით ცნობიერების ფორმების ურთიერთქმედება და მათი განვითარების მემკვიდრეობითობა. საზოგადოებრივი ყოფიერება მხოლოდ საბოლოო ანგარიშით, ძირითადად განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცნობიერების შინაარსს და მისი განვითარების ხასიათს.

იმის გამო, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებას შედარებითი დამოუკიდებლობა აქვს, მას შეუძლია აქტიური ძალის როლი შეასრულოს ისტორიული პროცესის მიმდინარეობაში. საზოგადოებრივ ცნობიერებას შეუძლია უკუზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, დააჩქაროს ან შეანელოს მისი განვითარება და ამის მეოხებით იმოქმედოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დანარჩენ სფეროზე. კონკრეტულად რაში გამოიხატება საზოგადოებრივი ცნობიერების აქტიური ზემოქმედება ისტორიულ პროცესზე?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი ცნობიერების სტრუქტურა ორ ელემენტს მოიცავს — საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას და იდეოლოგიას. პირველი ყალიბდება სტიქიურად — ემოციების, გრძნობების, მისწრაფებების წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების სახით. ისინი ადამიანთა ცნობიერებაში ყალიბდებიან

საუკუნეების განმავლობაში, მემკვიდრეობით გადაეცემიან თაობებს და იძენენ ჩვეულების ძალას. ვ. ი. ლენინის განმარტებით „მილიონების და ათეული მილიონების ჩვეულების ძალა ყველაზე საშინელი ძალაა". ამგვარად, საზოგადოებრივი ფსიქოლოგია მილიონობით ადამიანთა ფსკერზე თანდათანობით ილექება, იძენს ჩვეულების ძალას და ცნობიერად თუ არაცნობიერად ახდენს ზეგავლენას მათ საქმიანობაზე.

სულ სხვაგვარია იდეოლოგიის ზემოქმედება ისტორიულ პროცესზე. იგი იდეებისა და შეხედულებების თეორიული სისტემაა, რომლის ჩამოყალიბება და შემუშავება სტიქიურად არ ხდება. იდეოლოგია მუდამ კლასობრივია, იგი ამა თუ იმ კლასის ინტერესებსა და მიზნებს გამოხატავს. თვით კლასი სტიქიურად ვერ გამოიმუშავებს იდეოლოგიას, რადგან მას ამისთვის საკმარისი ცოდნა და დრო არ გააჩნია. მას ქმნიან კლასის იდეოლოგები — თეორეტიკოსები, რომელთაც საამისოდ საკმარისი ცოდნა და დრო აქვთ. იდეოლოგიის შემუშავების შემდეგ ხდება მისი შეტანა კლასის ცნობიერებაში. კლასმა უნდა გაიცნოს, შეისწავლოს თავისი იდეოლოგია, რათა დაეუფლოს მას და მისი მეშვეობით გააცნობიეროს საკუთარი ინტერესები და მიზნები. იდეოლოგია არის კლასის შეგნებისა და თვითშეგნების ფორმირების საშუალება.

იდეები თავისთავად არაფერს არ ცვლიან. საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა მხოლოდ მატერიალურ ძალას შეუძლია. მაგრამ იდეები, თეორიები მატერიალურ ძალად იქცევა როგორც კი ისინი მასებს დაეუფლება — აღნიშნავდა კ. მარქსი. ამიტომ იდეოლოგია ისტორიულ პროცესზე გავლენას ახდენს არა უშუალოდ, არამედ გაშუალებით — მხოლოდ იმის მეოხებით, რომ იგი მასების კუთვნილება ხდება. ადამიანები, შეიარაღებულნი სათანადო იდეოლოგიით, არიან ისტორიული პროცესის აქტიური შემოქმედი ძალა. ამგვარად, იდეოლოგია ადამიანთა შეგნების და თვითშეგნების ჩამოყალიბების მეოხებით აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ისტორიულ პროცესზე. საზოგადოებრივი ცნობიერების აქტიური ზემოქმედება ისტორიულ პროცესზე ორი მიმართულებით შეიძლება მოხდეს — ხელი შეუწყოს ან შეუშალოს მის განვითარებას, ამიტომ დაჩქაროს ან შეანელოს იგი. ეს დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცნობიერების ხასიათზე. ჩამორჩენილი, მავნე ტრა-

დიციები და წეს-ჩვეულებები, რეაქციული იდეები და შეხედულებები უარყოფით გავლენას ახდენდნენ ისტორიულ პროცესზე და ამიტომ ამუხრუჭებენ მას. მოწინავე წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, პროგრესული იდეები და შეხედულებები დადებით ზემოქმედებას ახდენენ ისტორიულ პროცესზე და ამიტომ აჩქარებენ მას.

ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში შეურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობს ორ — პროგრესულ, მოწინავე და რეაქციულ, ჩამორჩენილ იდეოლოგიას შორის. არაანტაგონისტურ საზოგადოებაში იდეოლოგიურ ბრძოლას ადგილი არა აქვს. ცხადია, იდეებისა და შეხედულებების ჭიდილი და ბრძოლა აქაც რჩება და მას მუდამ ექნება ადგილი, მაგრამ იგი უკვე აღარ ატარებს კლასობრივ ხასიათს. თანამედროვე ეპოქაში, რომლის ძირითადი შინაარსია ბრძოლა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის და კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე თანდათანობითი გადასვლის რევოლუციური პროცესი, იდეოლოგიურმა ბრძოლამ საერთაშორისო ასპარეზზე გადაინაცვლა. ამჟამად ბრძოლა მიმდინარეობს ორი საპირისპირო სამყაროს — კომუნისტურ და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას შორის. კომუნისტური იდეოლოგიაა მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც საზოგადოების განვითარების ძირითად მიმართულებას და მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია და ცხოვრების წესი

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია და მისი სტრუქტურა ჩვენ უკვე გავარკვიეთ. ახლა საჭიროა განვსაზღვროთ „ცხოვრების წესის“ ცნება და დავახასიათოთ მისი სტრუქტურა.

ცხოვრების წესი გამოხატავს ადამიანის არსებობის, საქმიანობის და ქცევის გარკვეულ სახეს, მანერას, სტილს: როგორ, რა სახით არსებობს. საქმიანობს და იქცევა ადამიანი. ეს ცნება აღნიშნავს არა ადამიანის საქმიანობის შინაარსს, არამედ მის ხასიათს, როგორობას. მაგალითად, ავიღოთ ადამიანის შრომითი საქმიანობის სფერო. „ცხოვრების წესის“ ცნება გამოხატავს არა იმას, თუ რა საგნებს და რომელი ტექნოლოგიური პროცესით აშზადებს მათ ადამიანი, არამედ მის დამოკიდებულებას შრომის პროცესისადმი.

როგორ ეპყრობა, როგორ ეყურებს იგი თავის შრომით საქმიანობას: შეგნებულად შრომობს თუ იძულებით, ზარმაცია თუ არა, სიამოვნებს თუ არა შრომა და ა. შ.

„ცხოვრების წესის“ ცნება მოიცავს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს: შრომას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ყოფაცხოვრებას, ოჯახს, მეგობრებთან ურთიერთობას, პირად ცხოვრებას და თავისუფალ დროს. იგი გამოხატავს ადამიანის მთლიანი სასიცოცხლო საქმიანობის პირობებსა და ფორმებს. ყველა ამ სფეროში ვლინდება ადამიანის ხასიათი, მისი მრწამსი და მორალური სახე: თუ ადამიანი ეგოისტია, მაშინ იგი უფრო მეტ დროს ანდომებს თავის თავზე ზრუნვას და პირადი ინტერესების დაკმაყოფილებას; თუ ადამიანი ზარმაცია და უპასუხისმგებლო, მაშინ იგი გაურბის შრომას, საზოგადოებრივ საქმიანობას და ცდილობს მეტი თავისუფალი დრო ჰქონდეს, რათა იგი ქეიფსა და უდარდელობაში გაატაროს. ასეთი კაცი არც ოჯახზე ზრუნვით იწუხებს თავს; თუ ადამიანის შრომისმოყვარეა და პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, მაშინ იგი კეთილსინდისიერად შრომობს და საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა. ასეთი ადამიანი ოჯახსა და მეგობრებზე იზრუნებს, თავისუფალ დროსაც კი არ გაატარებს უქმად და შეეცდება რაციონალურად გამოიყენოს იგი.

ამგვარად, ცხოვრების წესი შეგვიძლია განვსაზღვროთ ასე: ცხოვრების წესი არის პიროვნების მთლიანი სასიცოცხლო მოქმედების ხასიათის გამოვლენა მისი საქმიანობის ყველა სფეროში — დაწყებული შრომიდან თავისუფალი დროის ჩათვლით. იგი გამოხატავს პიროვნების მრწამსს და მის ზნეობრივ სახეს.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ცხოვრების წესი დაახასიათეს როგორც „ინდივიდთა მოქმედების გარკვეული წესი, გარკვეული სახე მათი სასიცოცხლო მოქმედებისა“ [1]. მათ მიიჩნიეს, რომ ადამიანის ცხოვრების წესი გამოხატავს მის ბუნებას, რაობას. „რო-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, გვ. 11.

გორიცაა ინდივიდთა სასიცოცხლო მოქმედება, ისეთივენი არიან თვით ისინი"[1].

ცხოვრების წესი გამოყოფს ორ მთავარ მომენტს ადამიანთა ურთიერთობაში: 1) როგორია დამოკიდებულება ადამიანთა პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის; და 2) როგორია მიმართება ადამიანთა მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს შორის, რომელს აძლევს პიროვნება უპირატესობას—თავის პირად ეგოისტურ ინტერესებს და ამის საფუძველზე იბრძვის მხოლოდ მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, თუ პირიქით. კერძო საკუთრებაზე დამყარებულ საზოგადოებაში ბატონობს ცხოვრების ისეთი წესი, როდესაც პიროვნების საქმიანობა ძირითადად მიმართულია პირადი ინტერესებისა და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებულ საზოგადოებაში კი პიროვნება საზოგადოებრივ ინტერესებზე ზრუნვის მეშვეობით ცდილობს დაიკმაყოფილოს თავისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

რა დამოკიდებულებაა ცხოვრების წესსა და წარმოების წესს შორის? ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა. წარმოების წესი გამოხატავს ადამიანის შრომით საქმიანობას და ამ პროცესში აღმოცენებულ წარმოებით ურთიერთობებს. ცხოვრების წესი კი მოიცავს ინდივიდის მოღვაწეობის არა მხოლოდ შრომითს სფეროს, არამედ მის მთელ საქმიანობას როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი ინტერესების განხორციელების პროცესში. ამგვარად, წარმოების წესი ინდივიდის საქმიანობის მხოლოდ ერთ სფეროს მოიცავს, მაშინ როდესაც ცხოვრების წესი — მის მთელ საქმიანობას.

წარმოების წესი შეიცავს ადამიანთა საქმიანობას მატერიალური დოვლათის შექმნის მიზნით და ამ პროცესში დამყარებულ მხოლოდ ეკონომიკურ ურთიერთობებს მათ შორის. მაგრამ იგი არ მოიცავს სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებს — პოლიტიკურს, სოციალურს, სამართლებრივს, მორალურს და ა. შ. ცხოვრების წესი მოიცავს ადამიანურ ურთიერთობათა ყველა სახეს. რადგან ადამიანი ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა,

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, გვ. 11.

ხოლო ცხოვრების წესი მათი ბუნების, ხასიათის გამოვლენაა, ამიტომ იგი მთლიანობაში მოიცავს ამ ურთიერთობებს.

მაგრამ წარმოების წესი და ცხოვრების წესი ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მხოლოდ მოცულობით, არამედ შინაარსობრივადაც. წარმოების წესი გამოხატავს.—თუ რას, რა საშუალებებით და როგორ აწარმოებენ ადამიანები. ცხოვრების წესი კი გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას შრომითი საქმიანობისადმი: როგორ აფასებს, როგორ ეპყრობა იგი შრომას და როგორ ვლინდება მისი მრწამსი მის ქცევაში.

მარქსიზმის თანახმად, წარმოების წესი განსაზღვრავს საზოგადოების ხასიათსა და სტრუქტურას. შრომითი საქმიანობა და მის პროცესში აღმოცენებული ეკონომიკური ურთიერთობანი მთელი ადამიანური მოღვაწეობის საფუძველი და განმსაზღვრელია. ამის გამო წარმოების წესი განაპირობებს ცხოვრების წესს, და არა პირიქით. როგორი ხასიათიც აქვს პირველს, ისეთივეა მეორე. ცხოვრების წესი იცვლება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ცვლილებათა შესაბამისად. ბურჟუაზიულ საზოგადოებას ცხოვრების ბურჟუაზიული წესი, ხოლო სოციალისტებს — ცხოვრების სოციალისტური წესი აქვთ.

ცხოვრების სოციალისტური წესის არსი და ძირითადი ნიშნები. განსხვავებულ პირობებში ადამიანები სხვადასხვაგვარად ცხოვრობენ, ამიტომ მათი ცხოვრების წესები ერთმანეთისაგან განსხვავდება. მაგალითად, ქალაქში მცხოვრები ადამიანის ცხოვრების წესი განსხვავდება სოფელში მცხოვრები ადამიანის ცხოვრების წესისაგან; ფიზიკურად მომუშავე ადამიანის ცხოვრების წესი — გონებრივად მომუშავე ადამიანის ცხოვრების წესისაგან და სხვა. არსებობის პირობების გათანაბრება კი იწვევს ადამიანთა ცხოვრების წესების დაახლოებას. მაგალითად, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ თანამედროვე ადამიანის შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობები განვითარებულ კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებში ერთმანეთს დაუახლოვა: ელექტროგანათება, მაცივარი, ტელევიზორი, მსუბუქი მანქანა, მაღალი სამედიცინო მომსახურება, დასვენებისა და გართობის მრავალფეროვნება და ა. შ. მათი საქმიანობის დაახლოებით ერთნაირ პირობებს ქმნის. ეს პირობები არსებითად განსხვავდება წინა საუკუნეებში მცხოვრებ ადამიანთა პი-

რობებისაგან. ამ მიმართებაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქის ადამიანის ცხოვრების წესზე და განვასხვავოთ იგი წინა ეპოქების ადამიანთა ცხოვრების წესისაგან.

ცხოვრების სოციალისტური წესი გამოხატავს კომუნისტური ფორმაციის დაბალი ფაზის — სოციალიზმის ჩარჩოებში მცხოვრები ადამიანის ცხოვრების წესს. მისი არსი განისაზღვრება წარმოების სოციალისტური წესის თავისებურებით.

წარმოების სოციალისტური წესი განსაზღვრავს ცხოვრების სოციალისტური წესის ხასიათსა და შინაარსს. წარმოების კაპიტალისტური წესი კი განსაზღვრავს ცხოვრების ბურჟუაზიული წესის ხასიათსა და შინაარსს. იმის გამო, რომ წარმოების ეს ორი წესი თავისი ბუნებით ურთიერთგამორიცხულია, მისი შესაბამისი ცხოვრების წესებიც ურთიერთდაპირისპირებულია. ეს კარგად ჩანს მათთვის დამახასიათებელი ნიშნების დაპირისპირებაში.

ცხოვრების სოციალისტური წესის ძირითადი ნიშნებია შემდეგი: შრომისადმი შეგნებული და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ჰუმანიზმი და კოლექტივიზმი, სოციალისტური პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, იდეური რწმენა და სოციალური ოპტიმიზმი.

ახლა ვაჩვენოთ კონკრეტულად თუ როგორ განსაზღვრავს წარმოების სოციალისტური წესი ცხოვრების სოციალისტური წესის ძირითად ნიშნებს:

შრომისადმი შეგნებული და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. შრომისადმი ადამიანის ასეთ დამოკიდებულებას განსაზღვრავს შრომის ხასიათი და განაწილების სოციალისტური პრინციპი. შრომა არის ექსპლოატაციისაგან თავისუფალი; ადამიანი შრომობს თავისთვის და საზოგადოებისათვის, მისი შრომის ნაყოფს სხვა ადამიანი არ ითვისებს, მას ექსპლოატაციას არავინ არ უწევს. შრომის მიხედვით განაწილება გამორიცხავს უშრომელი შემოსავლის არსებობას. ამიტომ სოციალიზმი უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრებას შრომითი შემოსავლის საფუძველზე. ყოველივე ეს

წარმოადგენს შრომისადმი ახლებური დამოკიდებულების ეკონომიკურ საფუძველს სოციალიზმის პირობებში.

ჰუმანიზმი და კოლექტივიზმი. ჰუმანიზმი წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან — humanus, რაც ნიშნავს ადამიანურს. იგი არის მოძღვრება, რომელიც აღიარებს პიროვნების თავისუფლებას და ღირსებას, მის უფლებებსა და გრძნობებს: ადამიანს მიიჩნევს უმაღლეს ღირებულებად და ამიტომ მოითხოვს, რომ ადამიანებს შორის დამყარდეს შემწყნარებლური და პატივისცემის ურთიერთობა. კაცთმოყვარეობა — აი ჰუმანიზმის ძირითადი პრინციპი.

კოლექტივიზმი არის ადამიანთა ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის გამოხატულება. ადამიანი ადამიანის ძმა, ამხანაგი და მეგობარია. კოლექტივიზმი შეიძლება მხოლოდ ჰუმანისტურ პრინციპებს ემყარებოდეს.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ურთიერთობანია, ისინი გამორიცხავენ ჩაგვრას და ექსპლოატაციას. ამიტომ ისინი განაპირობებენ ადამიანებს შორის ჰუმანისტურ და კოლექტივისტურ ურთიერთობებს.

სოციალისტური პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი. სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი ამკვიდრებს თავისუფალ შრომას და ჰუმანისტურ პრინციპებს საზოგადოებაში. იგი ათავისუფლებს ადამიანს ჩაგვრისა და ძალადობისაგან, რაც მასში ავითარებს სიამაყის გრძნობას თავისი ქვეყნისადმი. მას მხურვალედ და მგზნებარედ უყვარს თავისი სამშობლო. მაგრამ ეს გრძნობა არ გამორიცხავს, არამედ პირიქით, გულისხმობს სხვა დაჩაგრული ერების პატივისცემას და სიყვარულს, მათდამი უანგარო დახმარებას. აქედან წარმოდგება სოციალისტური პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი. ცხოვრების სოციალისტური წესი მოითხოვს როგორც საკუთარი, ასევე სხვა ერების პატივისცემასა და სიყვარულს.

იდეური რწმენა და სოციალური ოპტიმიზმი. რწმენა ადამიანის ყოფიერების და საქმიანობის განმსაზღვრელი მოტივია. მაგრამ რწმენა სხვადასხვაგვარია: ბრმა (მაგალითად, რელიგიური), სტიქიური (გაუცნობიერებელი) და შეგნებული (გაცნობიერებული). ცხოვრების სოციალისტური წესი მოითხოვს შეგნებულ, გა-

ცნობიერებულ რწმენას. რას ემყარება იგი? ასეთი რწმენა ემყარება მეცნიერულ ცოდნას, რომლის საფუძველია ერთადერთი მეცნიერული იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი. ეს მოძღვრება ადამიანს აიარაღებს არა მხოლოდ სამყაროს ობიექტური კანონზომიერების მეცნიერული ცოდნით, არამედ უნერგავს მას ხვალინდელი დღის იმედს. საზოგადოების განვითარების კანონზომიერების ცოდნა ადამიანს უჩვენებს, რომ კაპიტალიზმი უპერსპექტივო, განწირული საზოგადოებაა და მომავალი მხოლოდ სოციალიზმს ეკუთვნის. წარმოების სოციალისტური წესი, რომელიც გამორიცხავს კრიზისებს და უმუშევრობას და თანდათანობით აუმჯობესებს ადამიანის ცხოვრების პირობებს, პრაქტიკულად განუმტკიცებს მას ასეთ რწმენას. აქედან წარმოდგება პიროვნების იდეური რწმენა და სოციალური ოპტიმიზმი სოციალისტურ საზოგადოებაში.

ცხოვრების სოციალისტური და ბურჟუაზიული წესების დაპირისპირებულობა. ცხოვრების ბურჟუაზიული წესი გამოხატავს კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პიროვნების ცხოვრების წესს: მას ახასიათებს შემდეგი ძირითადი ნიშნები: მომხვეჭელობა და ანგარება, ეგოიზმი და ინდივიდუალიზმი, ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და შოვინიზმი, გულგრილობა და სოციალური პესიმიზმი. როგორც ვხედავთ, ეს ნიშნები ცხოვრების სოციალისტური წესის ძირითადი ნიშნების საწინააღმდეგოა. ეს გარემოება ასახავს ცხოვრების ბურჟუაზიული და სოციალისტური წესების დაპირისპირებულობას.

ახლა კონკრეტულად ვაჩვენოთ, თუ როგორ განსაზღვრავს წარმოების კაპიტალისტური წესი ცხოვრების შესაბამის წესს:

მომხვეჭელობა და ანგარება. კაპიტალისტური კერძო საკუთრება განაპირობებს შრომისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას: კაპიტალისტი ცდილობს, მუშის დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის საფუძველზე რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღოს. მუშისთვის შრომა არ არის ღირსების საქმე, იგი მისთვის არსებობის საშუალებაა. მან იცის, რომ შრომის პროდუქტი ეკუთვნის არა მას, არამედ კაპიტალისტს, რომელიც ამის მეშვეობით მდიდრდება. ამიტომ როგორც კაპიტალისტის, ასევე მუშის დამოკიდებულება შრომისადმი ანგარებითია. ანგარება კი წარმოქმნის მომხვეჭელო-

ბის ფსიქოლოგიას — რაც შეიძლება მეტი სიმდიდრის მოპოვება და დაგროვება. ეს ხდება ადამიანის ცხოვრების საზრისი და მიზანი კაპიტალიზმის პირობებში.

ეგოიზმი და ინდივიდუალიზმი. ინდივიდუალიზმი არის ინდივიდის საზოგადოებისაგან დამოუკიდებლობის, მისი უფლებების აბსოლუტიზაციის აღიარება. თითქოს ინდივიდს ყველაფრის უფლება აქვს და არავითარი მოვალეობა არ აკისრია საზოგადოების წინაშე. იგი აბსოლუტურად თავისუფალია როგორც მიზნების, ასევე მათი განხორციელების საშუალებების არჩევაში. ეგოიზმი ინდივიდუალიზმის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა. იგი უპირატესობას ანიჭებს პიროვნების პირად ინტერესებს და მას უქვემდებარებს საზოგადოებისა და სხვა ადამიანთა ინტერესებს. ეგოიზმი საკუთარი თავის სიყვარულია სხვათა ხარჯზე.

ზოგიერთი მოაზროვნე ამტკიცებს, რომ ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის ინსტინქტები ადამიანის ბუნებაშია მოცემული, ამიტომ მარადიული და დაუძლეველია. ეს არ არის სწორი. ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი სოციალური მოვლენაა, მათ წარმოშობს კერძო საკუთრება. კაპიტალისტური წარმოება ემყარება კონკურენციას და ანარქიას, ექსპლოატაციას და ჩაგვრას, ამიტომ იგი ამკვიდრებს ინდივიდუალიზმს და ეგოიზმს.

რა თქმა უნდა, ადამიანს უნდა უყვარდეს საკუთარი თავი, ისე იგი სხვის სიყვარულს და პატივისცემას ვერ შეძლებს, მაგრამ საკუთარი მე-ს სიყვარული და ზრუნვა მის კეთილდღეობაზე არ უნდა ხდებოდეს სხვა ადამიანთა დაჩაგვრისა და მათი ინტერესების შელახვის ხარჯზე. კერძო საკუთრების მოსპობისა და საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრებისა და განმტკიცების კვალობაზე ინდივიდუალისტური ფსიქოლოგია თანდათანობით შეიცვლება კოლექტივისტური სულისკვეთებით.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და შოვინიზმი. მაქსიმალური მოგებისადმი სწრაფვა, რაც დამახასიათებელია წარმოების კაპიტალისტური წესისათვის, განაპირობებს არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის მშრომელთა, არამედ სხვა ერთა ექსპლოატაციასაც. აქედან წარმოდგება მისწრაფება — ექსპლოატაცია გაუწიონ სხვა ერების სიმდიდრეს. ეს კი განაპირობებს მათი ეროვნული ღირსებებისა და უფლებების შელახვას. ამას კაპიტალიზმი ახორციელებს როგორც

ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ძალადობის მეშვეობით. ამ მიზნით იგი იყენებს ვაჭრობას, სხვა ქვეყნებში კაპიტალის გატანას და დაპყრობით ომებს. ყოველივე ეს ამკვიდრებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს და შოვინიზმს.

გულგრილობა და სოციალური პესიმიზმი. კაპიტალიზმის დაღუპვის გარდუვალობა, რომელიც გაპირობებულია საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებით, იდეურ რწმენას ართმევს ადამიანს. იგი ინდიფერენტული., გულგრილი ხდება ყოველივე იმისადმი, რაც საზოგადოებას და სხვებს ეხება. მას მხოლოდ საკუთარი, პირადი ინტერესები ამოძრავებს. ასეთ ადამიანს მომავლის არ სჯერა, იგი უნდობლობით და შიშით შესცქერის მას. ცხოვრობს მხოლოდ დღევანდელი დღით, რაც შეიძლება მეტი მოიხვეჭოს და დატკბეს იმით, რაც ხელთ აქვს. კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ქრონიკული კრიზისები და უმუშევრობის ზრდა პრაქტიკულად განამტკიცებს მის ურწმუნობას. მას ეუფლება მარტოობის, გადაგდებულობის და გაუცხოების გრძნობა. ყოველივე ეს ამტკიცებს გულგრილობას და სოციალურ პესიმიზმს. ახალგაზრდობა სოციალურ აქტივობას მოკლებული, პასიური ხდება, იგი ცდილობს ყოველდღიურ სიამოვნებაში მოკლას დრო, რათა არ იფიქროს ხვალინდელ დღესა და მომავალზე. ბურჟუაზიული პროპაგანდა, განსაკუთრებით პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით, ყოველნაირად ცდილობს ცხოვრების ამგვარი წესის დანერგვას. აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს დასავლეთის ახალგაზრდობაში ფეხმოკიდებული მახინჯი მოვლენების ზრდას და გავრცელებას.

მაშასადამე, ცხოვრების სოციალისტური წესი გამოხატავს მაღალზნეობრივ იდეალებს — ჰუმანიზმსა და სოციალურ ოპტიმიზმს: იგი ამკვიდრებს მათი შესაბამისი ქცევის — ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთთანამშრომლობის — კოლექტივისტურ ნორმებს.

ცხოვრების კაპიტალისტური წესი კი, პირიქით, გამოხატავს ინდივიდუალიზმისა და სოციალური პესიმიზმის მორალურ იდეალებს. იგი ამკვიდრებს მათი შესაბამისი ქცევის — ანგარების, მომხვეჭელობის, პრაქტიკული სარგებლიანობის, მომხმარებლობის ეგოისტურ ნორმებს.

ცხოვრების სოციალისტური წესი განაპირობებს პიროვნების პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების გონივრულ თანაფარდობას.

ცხოვრების კაპიტალისტური წესი კი განაპირობებს ინდივიდის პირადი ინტერესების და მისი მატერიალური მოთხოვნილებების გაზვიადებას. მათ ანიჭებს უპირატესობას საზოგადოებრივ ინტერესებსა და სულიერ მოთხოვნილებებთან შედარებით. აქედან მომდინარეობს მომხმარებლობის, კომფორტის კულტი და ადამიანის სულიერი სამყაროს გაღარიბება.

ყოფა-ცხოვრება, ოჯახი და თავისუფალი დრო. როგორც უკვე აღინიშნა, ცხოვრების წესი მოიცავს ინდივიდის საქმიანობას ყოფა-ცხოვრების და ოჯახის სფეროებში, აგრეთვე თავისუფალი დროის გამოყენებას. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

ყ ო ფ ა-ც ხ ო ვ რ ე ბ ა ა რ ი ს ი ნ დ ი ვ ი დ ი ს ა რ ა წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი დ ა ა რ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს ი ს ე თ ი ს ფ ე რ ო, ს ა დ ა ც ი გ ი უ შ უ ა ლ ო დ ი კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ს თ ა ვ ი ს მ ა ტ ე რ ი ა ლ ურ დ ა ს უ ლ ი ე რ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ებ ს: ჭ ა მ ა-ს მ ი ს, ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ლ ი ს, ტ ა ნ ს ა ც მ ლ ი ს, ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ო ბ ი ს შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ებ ი ს, ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი ს, გ ა რ თ ო ბ ი ს, დ ა ს ვ ე ნ ებ ი ს დ ა ა. შ.

ინდივიდის საყოფაცხოვრებო პირობები დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: 1) წარმოების წესი განსაზღვრავს მათ ხასიათსა და შინაარსს. მაგალითად, წარმოების კაპიტალისტური წესი ყოფა-ცხოვრების სხვადასხვაგვარ პირობებს უქმნის მდიდრებსა და ღარიბებს. წარმოების სოციალისტური წესი კი დაახლოებით ერთნაირ საყოფაცხოვრებო პირობებს უქმნის ყველა მშრომელს.

2) სოციალურ ან ბუნებრივ პირობათა განსხვავება ქმნის საყოფაცხოვრებო პირობების განსხვავებასაც. მაგალითად, ქალაქისა და სოფლის ან ბარის და მთის მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო პირობები განსხვავებულია.

3) ხალხის ეროვნული ტრადიციები, ჩვევები და რწმენა. მაგალითად, განსხვავებულია ქართველის, სომხის, რუსის, გერმანელის და ა. შ. ყოფა-ცხოვრება. ასევე განსხვავდება ქრისტიანის და მუსულმანის საყოფაცხოვრებო საქმიანობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარება თანდათან დაუახლოებს ერთმანეთს სხვადასხვა ხალხის საყოფაცხოვრებო პირობებს, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ წაშლის მათ შორის არსებულ განსხვავებას.

ყოფა-ცხოვრება უდიდეს როლს ასრულებს ინდივიდის ცხოვრებაში. ადამიანის ჯანმრთელობა, მისი სიცოცხლის ხანგრძლიობა. გუნება-განწყობილება ბევრადაა დამოკიდებული საყოფაცხოვრებო პირობებზე. ამიტომ ყოფა-ცხოვრებაზე ზრუნვა, მისი გაუმჯობესება და უკეთ ორგანიზება არ არის მარტოოდენ პიროვნების პირადი საქმე. იგი უპირატესად საზოგადოებრივი საქმეა. ამიტომ სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების განვითარება და გაუმჯობესება.

ოჯახი არის ადამიანთა სოციალური ურთიერთობის ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომელიც ემყარება ცოლისა და ქმრის ინტიმურ კავშირს, მშობლებისა და შვილების, დებისა და ძმების და ა. შ. ნათესაურ ურთიერთობას, რომლებიც ერთად ცხოვრებას ეწევიან. ოჯახი ინდივიდის პირადი ყოფა-ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა.

ოჯახი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების არსებობასა და განვითარებაში. მისი ძირითადი ფუნქციაა ადამიანთა მოდგმის კვლავწარმოება. შვილების გაჩენა, მათი მოვლა-პატრონობა და აღზრდა — აი ოჯახის მთავარი დანიშნულება.

ოჯახის წევრებს შორის არსებობს მრავალმხრივი ურთიერთობანი: ბიოლოგიური, მაგალითად, ცოლსა და ქმარს შორის; ეკონომიკური, მაგალითად, სამეურნეო, საკუთრებითი და ფინანსური; ფსიქოლოგიურ-ემოციური, მაგალითად, სიყვარული, სიხარული და სიბრალული; მორალური, მაგალითად, ურთიერთზრუნვა და ურთიერთპატივისცემა. მშობლები მოვალენი არიან იზრუნონ შვილებზე, ხოლო გაზრდილი შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მოხუც მშობლებზე; სამართლებრივი, მაგალითად: ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის ზოგიერთი მხარის რეგულირება ხდება სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად: პედაგოგიურ-აღმზრდელობითი და სხვა. ოჯახი ის პირვე-

ლადი უჯრედია, რომელშიც როგორც სარკეში აისახება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი განვითარების ხასიათი და დონე.

ოჯახი ისტორიული კატეგორიაა. მისი ორგანიზაციის ფორმები და ხასიათი დამოკიდებულია საზოგადოების განვითარების ხასიათსა და დონეზე. პირველად გვაროვნული წყობილების დროს ოჯახი იყო ადამიანთა სოციალური ერთობის ერთადერთი ფორმა, რომელიც ქმნიდა გვარს. თემური წყობილების დროს მოხდა რამდენიმე გვარის გაერთიანება ტომად. თემური წყობილების დაშლის შემდეგ წარმოიშვა სახელმწიფო, რომელშიც უკვე ოჯახი სოციალური ერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი ფორმაა.

თავდაპირველად ოჯახი ჯგუფურ სქესობრივ ურთიერთობას ემყარებოდა. შემდგომ თანდათანობით მოხდა სქესობრივ ურთიერთობათა შეზღუდვა და წარმოიშვა ოჯახი, რომელიც ერთი მამაკაცის და ერთი დედაკაცის სქესობრივ კავშირს ემყარება. მისი წარმოქმნა კერძო საკუთრების გაჩენამ გამოიწვია და შემდგომ იგი გახდა ოჯახის ყველაზე გავრცელებული ფორმა. თანამედროვე ეპოქასა და კომუნისტურ საზოგადოებაშიც იგი შეინარჩუნებს თავის გაბატონებულ მდგომარეობას.

ოჯახში ქალის მდგომარეობა განსაზღვრულია იმით, თუ რა მდგომარეობა უკავია მას საზოგადოებაში საერთოდ. ეს კი განისაზღვრება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების სტრუქტურით. მასზე დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე ამა თუ იმ ხალხის კულტურა, ტრადიციები და რწმენა, მათ შორის რელიგია. პირველყოფილი თემური წყობილების დროს ზოგიერთი ხალხის ცხოვრებაში ქალებს ეკავათ გაბატონებული მდგომარეობა, ამიტომ იგი ოჯახშიც ბატონობდა. გვარის ასეთ ფორმას მატრიარქატი ეწოდება. თანამედროვე მეცნიერების მონაცემებით იგი არ არის გვაროვნული წყობილების ორგანიზაციის ზოგადი ფორმა, რადგან ყველა ხალხის ცხოვრებაში მას არ ვხვდებით. ამიტომ იგი არ განიხილება როგორც ერთ-ერთი ეტაპი პირველყოფილი საზოგადოების განვითარებაში. კერძო საკუთრების წარმოქმნის შემდეგ ოჯახის ზოგადი ფორმა გახდა პატრიარქატი, რომელიც გულისხმობს მამაკაცის მიერ ქალის დამონებას. ეს გა-

მოიწვია იმან, რომ მამაკაცმა საზოგადოებაში მოიპოვა ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებული მდგომარეობა.

საზოგადოებაში, სადაც არსებობს კაცისა და ქალის სოციალური უთანასწორობა, იგი აისახება ოჯახშიც. თუ მამაკაცს ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს საზოგადოებაში, მას ოჯახში გაბატონებული მდგომარეობა აქვს. ცოლი ქმარზეა ეკონომიკურად დამოკიდებული, ამიტომ იგი მორალურად და ფსიქოლოგიურად მას ემორჩილება. ქმარი ცოლს უყურებს როგორც თავის საკუთრებას და ასეთი ურთიერთობა განმტკიცებულია სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი კანონებით.

რელიგიაც ახდენს გავლენას ქალის მდგომარეობაზე ოჯახში. ქრისტიანული რელიგიის მიერ დაშვებულია ერთცოლიანობა (მონოგამია), მუსლიმანური რელიგია კი უშვებს მრავალცოლიანობას (პოლიგამიას).

ცხოვრების კაპიტალისტური წესის თავისებურება ასახვას პოულობს ოჯახშიც. ოჯახის წევრებს შორის გაბატონებულია მომხვეჭელობისა და ანგარების, ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის, გულგრილობისა და ინდიფერენტულობის ურთიერთობა. ქორწინება ძირითადად ხდება პრაქტიკული მოსაზრებებით და ანგარებით და არა სიყვარულის გამო. ბავშვები იზრდებიან ფსიქოლოგიურად და ზნეობრივად იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ქონება დააგროვონ და იზრუნონ მარტოოდენ მატერიალურ კეთილდღეობაზე. მომხვეჭელობის და მოხმარების, ანგარების და კომფორტის კულტი, სულიერი გაღარიბება და მაღალზნეობრივი იდეალების დაკარგვა — აი ბურჟუაზიული ოჯახის თავისებურება. ამის შედეგია სქესობრივი აღვირახსნილობისა და პროსტიტუციის გავრცელება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

ცხოვრების სოციალისტური წესის თავისებურება ასახვას პოულობს ოჯახში. სოციალიზმმა სოციალურ-ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაათანაბრა ქალი და კაცი. მათ ერთნაირი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა უკავიათ საზოგადოებაში. ქალი ეკონომიკურად აღარ არის დამოკიდებული კაცზე. მას დამოუკიდებლად შეუძლია არსებობა და თავის რჩენა. ამიტომ ანგარებით და პრაქტიკული მოსაზრებებით ქორწინებას გამოეცალა

ეკონომიკური საფუძველი. შეუღლება ძირითადად ხდება სიყვარულით, რაც ცოლისა და ქმრის ურთიერთპატივისცემისა და მეგობრობის მყარ ნიადაგს ქმნის.

სიყვარული ღრმად ინდივიდუალური მოვლენაა. იგი ქალისა და კაცის პირადი საქმეა. მისი ძალით წარმოქმნა არ შეიძლება, ამიტომ მისი მკრთვა და რეგულირება არ ხდება სახელმწიფოს მიერ. მაგრამ ოჯახის შექმნა, მისი სიმყარე, ბავშვების გაჩენა და მათი აღზრდა არ არის მარტოოდენ ინდივიდთა პირადი საქმე. ამ პროცესით სისხლხორცეულად დაინტერესებულია სახელმწიფო. ამიტომ იგი ოჯახურ ურთიერთობებს იურიდიული კანონების საშუალებით აწესრიგებს. ქორწინების დაფიქსირება ხდება სახელმწიფო ორგანოს მიერ. ცოლ-ქმარის გაყრა, თუ მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელია, ხდება სასამართლოს მიერ. სახელმწიფო ყოველნაირ დახმარებას უწევს მშობლებს შვილების მოვლასა და აღზრდაში: აგებს ბაგა-ბაღებს და სპორტულ ნაგებობებს, უწევს სამედიცინო მომსახურებას და ზრუნავს მათ დასვენებასა და გართობაზე. სახელმწიფო ახდენს მოზარდი თაობის ზოგად-საგანმანათლებლო, სპეციალური და უმაღლესი განათლების ორგანიზებას. მიუხედავად ამისა, მოზარდი თაობის მოვლა-პატრონობის, აღზრდისა და განათლების საქმეში ოჯახი ასრულებს მეტად მნიშვნელოვან როლს. ასეთი როლი დარჩება მას მომავალ კომუნისტურ საზოგადოებაშიც.

თავისუფალი დრო არის არასამუშაო დროის ნაწილი, როდესაც ადამიანი მოცლილია, არაფრით არ არის დაკავებული და შეუძლია იგი გამოიყენოს თავისი სურვილის მიხედვით.

თავისუფალი დრო შეიძლება დავახასიათოთ მოცულობის (ხანგრძლიობის) და შინაარსის (მისი გამოყენების) მიხედვით.

თავისუფალი დროის ხანგრძლიობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ინდივიდი რამდენ დროს ანდომებს სამუშაოს (სამუშაო ადგილზე მისვლა-წამოსვლა, თვით შრომა), საზოგადოებრივ მოღვაწეობას, საყოფაცხოვრებო მომსახურებას და ძალთა აღდგენას (ძილი, დასვენება). თუ აქ დასახელებული ფაქტორები იზრდება, მაშინ თავისუფალი დრო მცირდება, და პირიქით. შრომის ნაყოფიერების ამაღლებამ და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებამ

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში გამოიწვია თავისუფალი დროის მკვეთრი გაზრდა. ამიტომ ამ ქვეყნებში თავისუფალი დროის გამოყენების საკითხი, განსაკუთრებით ახალგაზრდების მიერ, მწვავე სოციალური პრობლემა გახდა.

თავისუფალი დრო ინდივიდმა შეიძლება გამოიყენოს პასიურად ან აქტიურად. პასიურია, როდესაც ინდივიდი არაფერს აკეთებს: ზის მოწყენილი უქმად, სძინავს და ა. შ. აქტიურია, როდესაც ინდივიდი რაღაცას აკეთებს. ცხადია, ადამიანმა აქტიურად უნდა გამოიყენოს თავისუფალი დრო, მაგრამ ეს არ არის მთავარი. საკითხი ეხება იმას, თუ რისთვის და როგორ იყენებს იგი ამ დროს. შეიძლება მან იგი გამოიყენოს ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს საზოგადოებას: მისდიოს სპორტს, იკითხოს წიგნები, იაროს კინოში, თეატრში, მუზეუმში და ა. შ. მაგრამ შეიძლება ინდივიდმა თავისუფალი დრო გამოიყენოს ანტისაზოგადოებრივი საქმიანობისათვის: ილოთოს, იქურდოს, იხულიგნოს და ა. შ. ამიტომ სახელმწიფო გულგრილი ვერ იქნება იმის მიმართ თუ როგორ და რა მიზნით იყენებს თავისუფალ დროს ესა თუ ის ინდივიდი. მას შეუძლია კანონით აკრძალოს თავისუფალი დროის გამოყენება ანტისაზოგადოებრივი მიზნით. სხვა მხრივ კი იგი მის შეზღუდვას არ ახდენს. სახელმწიფო ვერ დააწესებს, თუ მოცალეობის ჟამს კონკრეტულად რა გააკეთოს ამა თუ იმ ინდივიდმა. თავისუფალი დრო სწორედ ისეთი დროა, რომლის გამოყენების რეგულირება არ ხდება სახელმწიფოს მიერ და მთლიანად ინდივიდის განკარგულებაშია. მას საკუთარი სურვილის მიხედვით უნდა შეეძლოს მისი გამოყენება, რა თქმა უნდა, არა ანტისაზოგადოებრივი მიზნით. სახელმწიფოს მოვალეობაა, კულტურული გართობისა და აქტიური დასვენების მრავალფეროვნება შექმნას, რომ ყოველ ინდივიდს ჰქონდეს ფართო არჩევანის შესაძლებლობა, რათა უსიხარულოდ და მოწყენილად არ განვლოს დღენი თავისი.

კ. მარქსი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისუფალ დროს პიროვნების სრული და ყოველმხრივი განვითარების საქმეში. იგი თავისუფალ დროს ახასიათებდა როგორც სივრცეს, რომელიც ცალკეული ადამიანის და ამიტომ მთელი საზოგადოების ძალთა სრული განვითარების სარბიელს ქმნის. კაპიტალიზმამდე ექსპლოატატორული საზოგადოება თავისუფალ დროს ძირითადად

ქმნიდა გაბატონებული კლასის წარმომადგენლებისათვის. კაპიტალიზმმა შრომის ნაყოფიერების ამაღლებით და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით გაზარდა თავისუფალი დრო. მაგრამ, ჯერ ერთი, მან ვერ შექმნა თავისუფალი დროის გამოყენების გონივრული პირობები, რის გამოც მარტოობის და მოწყენილობის განცდები ჭარბად გავრცელდა კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობაში. მეორე, კაპიტალიზმმა წარმოშვა უმუშევართა მთელი არმია, რომელთათვის თავისუფალი დრო იძულებით თავს მოხვეულია. ამიტომ ისინი ამ დროს იყენებენ არა თავიანთი ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარებისათვის, არამედ ატარებენ უქმად სამუშაო ადგილის ძებნაში. ასეთი თავისუფალი დრო ინდივიდის მორალური და ფსიქოლოგიური დათრგუნვის იარაღად იქცევა. უმუშევარი ვერ იყენებს თავისუფალ დროს არა იმიტომ, რომ მას იგი აკლია, არამედ პირიქით — ზედმეტი აქვს.

სულ სხვაგვარ ხასიათსა და შინაარსს შეიძენს თავისუფალი დრო კომუნიზმის პირობებში. ამ საზოგადოებაში „ყველას თავისუფალი დრო გაიზრდება“ — აღნიშნავდა კ. მარქსი. ამიტომ აქ ადამიანის საქმიანობის ძირითადი დრო იქნება თავისუფალი დრო. ადამიანი საწარმოო სფეროში უშუალოდ მონაწილობას აღარ მიიღებს, რადგან ამ პროცესს მთლიანად განახორციელებს ავტომატიზებული სისტემები. ადამიანს არც მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის დასჭირდება ზრუნვა. იგი ყველაფერს საზოგადოებიდან მიიღებს მოთხოვნილების მიხედვით. რისთვის გამოიყენებს ადამიანი ამდენ თავისუფალ დროს? თავისი ინდივიდუალური ძალების, უნარებისა და მიდრეკილებების ყოველმხრივი და სრული გამოვლენისა და განვითარებისათვის.

კომუნისტური საზოგადოების შესახებ კ. მარქსი წერდა, რომ „მაშინ სიმდიდრის საზომი უკვე იქნება არა სამუშაო, არამედ თავისუფალი დრო“[1]. კომუნიზმის დროს შრომა ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცევა, ამიტომ იგი იშრომებს არა იძულებით (მატერიალური დაინტერესების გამო), არამედ თავისი სურვილით, შინაგანი მოთხოვნილებით. შრომა მას უდიდეს სიამოვნებას და ნე-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, т. 46, часть II, стр. 217.

ტარებას მიანიჭებს. ეს ნიშნავს, რომ კომუნიზმის პირობებში სამუშაო დრო თავისუფალი დროის ნაწილად გადაიქცევა. ამიტომ გახდება თავისუფალი დრო საზოგადოებრივი სიმდიდრის საზომი.

პიროვნება და საზოგადოება

ინდივიდი როგორც საზოგადოებრივი არსება. საზოგადოება ცალკეულ, ინდივიდუალურ ადამიანთა, ე. ი. ინდივიდების ერთიანობაა. იგი არსებობს, მოქმედებს და ვითარდება ინდივიდების ერთობლივი საქმიანობის შედეგად. საზოგადოებაში არსებული მატერიალური და სულიერი დოვლათი შექმნილია ინდივიდების მრავალმხრივი მოღვაწეობის მეოხებით. ადამიანთა საქმიანობა საზოგადოებაში დანაწილებულია, ამის გამო ისინი განსხვავებულ სფეროებში მოღვაწეობენ: ზოგი წარმოების სფეროშია დასაქმებული, ზოგი ვაჭრობას მისდევს, ზოგი მომსახურების სფეროში შრომობს, ზოგი მშენებლობის სფეროში ღვრის ოფლს, ზოგი კულტურისა და ხელოვნების ნიმუშებს ქმნის და ა. შ. ასევე დანაწილებულია შრომა ადამიანთა საქმიანობის ყოველ ცალკეულ დარგში. მაშასადამე, საქმიანობა ინდივიდებს შორის განაწილებულია და საზოგადოების განვითარების კვალობაზე ეს პროცესი უფრო ღრმავდება და რთულდება. იქმნება ადამიანთა საქმიანობის ახალ-ახალი პროფესიები. ტექნიკის განვითარება შესაბამისად წარმოშობს პროფესიათა ახალ-ახალ სახეებს. მატარებლის შექმნასთან ერთად გაჩნდა მემანქანის პროფესია, ხოლო თვითმფრინავის შექმნამ წარმოშვა მფრინავის პროფესია და ა. შ.

მაგრამ საზოგადოება არ არის ინდივიდთა და მათ განსხვავებულ საქმიანობათა მექანიკური ჯამი. იგი მათი ერთიანი, რთული სოციალური სისტემაა, რომელსაც თავისი სტრუქტურა და თავისებურებანი ახასიათებს. იგი აუცილებლობით მოითხოვს ინდივიდთა განსხვავებული ინტერესებისა და მოთხოვნილებების, აგრეთვე მათი განსხვავებული საქმიანობის ურთიერთშეთანხმებას და შერწყმას. საზოგადოებას ინდივიდებისაგან განსხვავებული მიზნები, ინტერესები და მოთხოვნილებები ახასიათებს.

ამგვარად, საზოგადოება ინდივიდთა ერთობლივი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი

ერთიანი სოციალური ორგანიზმია, რომელსაც თავისი, სპეციფიკური ინტერესები, მიზნები და მოთხოვნილებები აქვს.

მაშასადამე, საზოგადოება ორი ურთიერთმიმართებაში მყოფი ელემენტისაგან შედგება: ერთი მხრივ, ეს არის ინდივიდთა კოლექტიური, ერთობლივი საქმიანობის შედეგად შექმნილი სისტემა თავისი, სპეციფიკური ინტერესებითა და მოთხოვნილებებით, ხოლო შეორე მხრივ — თვით ინდივიდები, რომელთაც ასევე საკუთარი, სპეციფიკური ინტერესები და მოთხოვნილებები აქვთ. ბუნებრივია, დგება საკითხი მათ შორის მიმართების შესახებ, რომელიც ცნობილია საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემის სახელით. ეს არის შეტად რთული საკითხი, რომელიც ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული დღემდე აწუხებთ მოაზროვნეებს.

ის, რომ ინდივიდი სოციალურ გარემოში მოღვაწეობს, რომ მან უნდა ისარგებლოს წინა თაობათა და სხვა ინდივიდების მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი დოვლათით, არ არის სადავო. საზოგადოებისაგან სრული განცალკევება და გამოყოფა ინდივიდს არ შეუძლია: ასკეტიც კი, რომელიც კარჩაკეტილ, სხვებისაგან იზოლირებულ ცხოვრებას ეწევა, თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის იძულებულია ისარგებლოს საზოგადოების მიერ შექმნილი სიკეთით.

კამათის ობიექტია შემდეგი: ადამიანი ბუნებრივ-ბიოლოგიური თუ სოციალურ-საზოგადოებრივი არსებაა. უპირველეს ყოვლისა, ადამიანი ბიოფიზიკური არსებაა. მისი ორგანიზმი ექვემდებარება ფიზიკურ და ქიმიურ კანონზომიერებას: აქვს წონა, მასში მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა და ურთიერთგარდაქმნა. იგი ცოცხალი ორგანიზმია და ამდენად ემორჩილება სიცოცხლისათვის დამახასიათებელ ბიოლოგიურ კანონზომიერებას: აქვს გენური სტრუქტურა, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას; იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება. არის თვითმარეგულირებელი და თვითმართვადი სისტემა. ადამიანს აქვს ფსიქიკური უნარები და მიდრეკილებები, ვნებები და ემოციები, ხასიათი და ტემპერამენტი.

ზოგიერთი მოაზროვნე მიიჩნევს, რომ ადამიანი თავისი ბუნებით ბიოლოგიური არსებაა. იგი მთლიანად ექვემდებარება ბუნებრივ

კანონზომიერებას და ამიტომ მასზე სოციალური გარემო ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. მართალია, იგი სოციალურ გარემოში არსებობს და საქმიანობს, მას ურთიერთობა აქვს სხვა ადამიანებთან, მაგრამ ეს მის ბუნებაში არაფერს არ ცვლის. იგი ყველგან და ყველა ეპოქაში ერთნაირია. ადამიანი არის აბსტრაქტული, არაისტორიული, თავისი ბუნებით უცვლელი ბიოფიზიკური არსება. ამ შემთხვევაში ადამიანი გაგებულია ცხოველის მსგავსად. ცხოველიც არ არსებობს განცალკევებულად, ისიც თავის მხრივ ინდივიდებთან ერთად არსებობს. მას ჯოგური არსებობა ახასიათებს. მაგრამ მისი ბუნება უცვლელი და მუდმივია. მაგალითად, არ განვასხვავებთ ჩვენ მგელს ეპოქების მიხედვით. არ ვამბობთ ანტიკური ან თანამედროვე ეპოქის მგელი და ა. შ. მგელი ანტიკურ ეპოქაში და დღეს თავისი გენური სტრუქტურით უცვლელია და ერთნაირად იქცევა. მისი ყოველი ახალი თაობა უცვლელად იმეორებს ძველი თაობის ნიშან-თვისებებს.

ადამიანი კი ისტორიული არსებაა. იგი იცვლება ეპოქების მიხედვით. არ არსებობს ერთი უცვლელი ადამიანი, რომელიც ყველა ეპოქაში ერთნაირი იქნებოდა. იმის გამო, რომ მისი არსებობის სოციალური პირობები საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების მიხედვით იცვლება, შესაბამისად იცვლება თვით ადამიანიც. ამიტომ სამართლიანია ბჭობა არა ადამიანზე საზოგადოდ, აბსტრაქტულად, დამოუკიდებლად იმ ეპოქისაგან, რომელშიც იგი ცხოვრობს და მოღვაწეობს, არამედ კონკრეტულ-ისტორიულად — იმ ეპოქის შესაბამისად, რომელიც მისი არსებობის სოციალურ გარემოს შეადგენს; ხავსებით დასაშვებია შემდეგი გამოთქმები: „პირველყოფილი ადამიანი", „ანტიკური ეპოქის ადამიანი", „ფეოდალიზმის ადამიანი", „კაპიტალიზმის ადამიანი" და „კომუნისტური ფორმაციის ადამიანი". ეს გარემოება მიუთითებს შემდეგ მნიშვნელოვან მომენტზე:

ადამიანი თავისი ბუნებით არ არის ბიოლოგიური არსება. ბიოლოგიურად ადამიანი არსებითად არ შეცვლილა კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. თავისი გენური სტრუქტურის მიხედვით იგი მთელი ამ ხნის მანძილზე უცვლელია. პირველყოფილი და დღევანდელი ადამიანიც მიეკუთვნება ერთ ბიოლოგიურ სახეობას — გონიერ ადამიანს და ამ მხრივ მათ არსებითი ცვლილებები არ განუცდიათ. მაგრამ პირველყოფილი და თანამედროვე ადამიანი სოცია-

ლური ბუნების მიხედვით არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სულ სხვაა პირველყოფილი ადამიანის მიზნები, ინტერესები, მოთხოვნილებები და ის სოციალური გარემო, რომელშიც იგი არსებობს და მოღვაწეობს. თანამედროვე ადამიანს მიზნები, ინტერესები, მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების საშუალებები სრულიად განსხვავებული აქვს.

ამგვარად, ადამიანის ბუნების შესახებ ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ორი მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა: 1) ადამიანი არის არა ბუნებრივი, ბიოფიზიკური, არამედ სოციალური, საზოგადოებრივი არსება. კ. მარქსის განმარტებით, იგი „ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა". ეს ფაქტი არ უარყოფს იმას, რომ ადამიანს აქვს ბუნებრივი მხარეც და ამიტომ იგი ექვემდებარება ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ კანონზომიერებებს. ადამიანი ბიოსოციალური არსებაა, ეს ნიშნავს, რომ ბიოლოგიური კანონზომიერების მქონე ინდივიდი არის სოციალური ურთიერთობების შემქმნელი და მატარებელი. მხოლოდ გარკვეული ბიოლოგიური სახეობა — გონიერი ადამიანი ქმნის ბუნებისაგან განსხვავებულ სფეროს— სოციალურ გარემოს — საზოგადოებას. მაშასადამე, ადამიანს ორი— ბუნებრივი და საზოგადოებრივი მხარე აქვს. მაგრამ მისი არსია, რომ იგი არის არა ბუნებრივი, არამედ სოციალურ-საზოგადოებრივი არსება.

2) ადამიანი არის არა აბსტრაქტული, განყენებული, მოწყვეტილი თავის სოციალურ გარემოს, არამედ კონკრეტულ-ისტორიული, თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი. ადამიანები განსხვავდებიან ისტორიული ეპოქების, კერძოდ, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების მიხედვით.

ამგვარად, ადამიანი არის კონკრეტულ-ისტორიული, საზოგადობრივ-სოციალური არსება, რომლის მატარებელია ბიოლოგიური ორგანიზმი, ამიტომ ადამიანს აქვს როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალური მოთხოვნილებები. მათი დაკმაყოფილება მისი არსებობის და მოღვაწეობის აუცილებელი პირობაა.

რა არის პიროვნება? პიროვნება ეწოდება ადამიანს, რომელიც გამოყოფს თავის თავს სხვა ადამიანებისაგან, გაცნობიერებული აქვს თა-

ვისი განსაკუთრებული ინდივიდუალური ინტერესები და ამოცანები და იბრძვის მათ განსახორციელებლად.

პიროვნების ცნება ორი განსხვავებული აზრით იხმარება: 1) იგი აღნიშნავს გამოჩენილ, დიდ ადამიანს, რომელიც გამოიყოფა მასისაგან თავისი გამჭრიახობით და ნებისყოფით, სხვებზე ადრე აცნობიერებს ეპოქის მოთხოვნილებებს და იბრძვის მათ განსახორციელებლად. აქ დგას პიროვნებისა და ხალხის მასების ურთიერთობის პრობლემა; 2) იგი აღნიშნავს ჩვეულებრივ ადამიანს, რომელსაც თავისი საკუთარი, სხვებისაგან განსხვავებული მოთხოვნილებები და ინტერესები აქვს. ყოველი ადამიანი ინდივიდია, რომელსაც ახასიათებს ინდივიდუალობა, სხვებისაგან განსხვავებული უნარები და ძიდრეკილებები, მოთხოვნილებები და ინტერესები, ემოციები და მისწრაფებები. სწორედ ამ მეორე ასპექტის დროს დგას პიროვნების და საზოგადების მიმართების პრობლემა. მაშასადამე, ეს არის საკითხი საზოგადოებისა და ინდივიდის ანუ საზოგადოებრივისა და პირადის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ინდივიდუალობა პიროვნების არსებობის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. ყოველი ცხოველი, რომელიც ჯოგში არსებობს, ინდივიდუალურია, განსხვავებულია სხვებისაგან. ყოველ მათგანს საკუთარი მოთხოვნილებები აქვს და იბრძვის მათ დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ჩვენ არ ვლაპარაკობთ ცხოველურ ინდივიდზე როგორც პიროვნებაზე. რატომ? იმიტომ, რომ ცხოველს არა აქვს ცნობიერება. იგი მიეკუთვნება გარკვეულ ბიოლოგიურ სახეობას და მის შესაბამისად თანდაყოლილი ან შეძენილი ინსტინქტების საფუძველზე მიზანშეწონილად მოქმედებს. ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანს აქვს ცნობიერება. მისი მოქმედება გაცნობიერებული, გააზრებული, მიზანდასახული საქმიანობაა. ადამიანს არა მხოლოდ ახასიათებს ინდივიდუალობა, არამედ მან იცის, გაცნობიერებული აქვს იგი და ამიტომ მიზანდასახულად მოქმედებს. ინდივიდუალობის გაცნობიერება, რომელიც ადამიანს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ საკუთარი, პირადი მოთხოვნილებანი და ინტერესები განასხვავოს სხვა ადამიანების მოთხოვ-

ნილებებისა და ინტერესებისაგან და ცნობიერად იბრძოლოს მათ დასაკმაყოფილებლად, არის პიროვნებად ყოფნის მეორე აუცილებელი პირობა.

ამგვარად, პიროვნება არის ადამიანური ინდივიდი, რომელიც აცნობიერებს თავის ინდივიდუალობას, განსხვავებულობას სხვებისაგან და შეგნებულად იბრძვის მისი გამოვლენის და რეალიზაციისათვის. ამ აზრით, საზოგადოების ყოველი წევრი, რომელსაც გაცნობიერებული აქვს თავისი პირადი ინტერესები, მოთხოვნილებები და იბრძვის მათ დასაკმაყოფილებლად, პიროვნებაა. პიროვნება არ იქნება ბავშვი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებია ცნობიერება, ან ფსიქიკურად არანორმალური ადამიანი.

პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობის პრობლემა. ყოველი ადამიანი ცდილობს, რაც შეიძლება სრულად და ყოველმხრივ გამოავლინოს თავისი ნიჭი, უნარები და მიდრეკილებები, რაც შეიძლება მეტად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი, უკეთ მოაწყოს თავისი ოჯახის და მახლობლების ცხოვრება. ყოველივე ეს შეადგენს მის პირად ინტერესებს. მაგრამ იგი საზოგადოებაში არსებობს. მას უხდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, რომელთაც აგრეთვე თავიანთი პირადი ინტერესები აქვთ. ყოველი ადამიანი ცხოვრობს ქალაქში ან სოფელში. საქმიანობს გარკვეულ შრომით კოლექტივში, მიეკუთვნება რომელიღაც კლასს ან სოციალურ ჯგუფს. სახელმწიფოს წარმოშობისა და არსებობის პირობებში იგი ხდება რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქე და ა. შ. ამის გამო ადამიანი ეჯახება სხვათა ინტერესებს. შეიძლება ეს იყოს შრომითი კოლექტივის, სოციალური ჯგუფის, კლასის, ერის, სოფლის, ქალაქის, თემის, სახელმწიფოს და ა. შ. ინტერესები, ეს ინტერესები პიროვნებას უპირისპირდება როგორც საზოგადოებრივი ინტერესები.

ყოველი პიროვნება ნათლად აცნობიერებს განსხვავებას პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. იგი აშკარად ხედავს, რომ ისინი ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. როგორ უნდა მოიქცეს იგი? რომელს მისცეს უპირატესობა — პირადს თუ საზოგადოებრივს? თუ პიროვნება ვერ ახერხებს მათ მორიგებას, მაშინ

მის წინაშე გარდაუვალად წარმოიქმნება კონფლიქტი პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის.

მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა და ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ ე ბ ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ა დ გ ა ს პ ი რ ა დ ი ს და ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ს ურ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ჭ რ ი ლ ში. საკითხი ეხება იმას — საზოგადოება ბოჭავს, თრგუნავს პიროვნებას თუ მას აძლევს თავისუფლებას, რათა მან სრულად და ყოველმხრივ გამოავლინოს თავისი ინდივიდუალობა? შეიძლება კი საერთოდ პიროვნება თავისუფალი იყოს საზოგადოებაში?

ზოგიერთი მოაზროვნე მიიჩნევს, რომ პიროვნება არ შეიძლება თავისუფალი იყოს საზოგადოებაში. ყოველი საზოგადოებრივი წყობილება, რაგინდ სრულყოფილი არ უნდა იყოს იგი, მაინც ზღუდავს და ბოჭავს ადამიანის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ამიტომ პიროვნებას მხოლოდ საზოგადოებისაგან განცალკევებით, მისგან იზოლირებულად შეუძლია ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვება. ამის გამო ისინი ამართლებენ ადამიანის ასკეტურ ცხოვრებას, როდესაც იგი მოშორებულია საზოგადოებას და ზრუნავს მხოლოდ პირად ინტერესებსა და სიამოვნებაზე. ცნობილია ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენე სინოპელი, რომელიც კასრში ცხოვრობდა. განდეგილის ცხოვრება ტრაგედიაა, მისი თავისუფლება მხოლოდ მოჩვენებითია. ასეთი კაცის ტრაგედია შესანიშნავად აღწერა ილია ჭავჭავაძემ პოემაში „განდეგილი“.

მარქსიზმის თანახმად, ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, ამიტომ პიროვნებამ თავისი ინდივიდუალობა მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლება გამოავლინოს. „მხოლოდ კოლექტივში არსებობს ყოველი ინდივიდისათვის იმის საშუალება, რომ მან თავისი ნიჭი ყოველმხრივ განავითაროს, და, მაშასადამე, მხოლოდ კოლექტივშია შესაძლებელი პირადი თავისუფლება“, — წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი „გერმანულ იდეოლოგია“-ში [1].

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოველი საზოგადოება პიროვნების განვითარების ხელსაყრელ პირობებს ქმნის, თითქოს ყოველ საზოგადოებაში პიროვნება თავისუფალია და სრულად შეუძლია გამოავლინოს თავისი ინდივიდუალობა. ეს არის დამოკიდებული

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, გვ. 71.

საზოგადოებრივი წყობილების ხასიათსა და სტრუქტურაზე. ყოველი საზოგადოებრივი-ეკონომიკური ფორმაცია პიროვნების არსებობისა და საქმიანობის თავისებურ პირობებს ქმნის. ამიტომ ამ კითხის გადაწყვეტას უნდა მივუდგეთ ისტორიულად.

პირველყოფილ საზოგადოებაში პიროვნება დათრგუნულია. იგი მთლიანად ემორჩილება თემს. მისი თემისაგან განდგომა და მისადმი დაპირისპირება იწვევს კონფლიქტს თემსა და პიროვნებას შორის, რომელიც ყოველთვის უკანასკნელის მარცხით მთავრდება. ამგვარი პიროვნული ტრაგედიები შესანიშნავად აღწერა ვაჟა ფშაველამ თავის პოემებში: „სტუმარ-მასპინძელი" და „ალუდა ქეთელაური".

შეიძლება ითქვას, რომ თემის შიგნით პიროვნება როგორც ასეთი არ არსებობს. ყოველი ინდივიდი ვალდებულია დათრგუნოს პირადი ინტერესები და მთლიანად დაექვემდებაროს თემის საერთო ინტერესებს. ეს გაპირობებულია იმდროინდელი წარმოების წესით. პრიმიტიული შრომის იარაღები განაპირობებს ადამიანის უმწეობას ბუნების მრისხანე ძალების წინაშე. განცალკევებულად ინდივიდს არ შეუძლია შრომა და თავისი თავის გამოკვებაც კი. ამიტომ იგი მთლიანად მიჯაჭვულია კოლექტივს.

მაგრამ პირველყოფილი თემური წყობილების დროს ყოველ ინდივიდს ერთნაირი სოციალური მდგომარეობა უკავია კოლექტივში. ამას განაპირობებს საერთო საკუთრება. ამიტომ თემში არავის არა აქვს უპირატესობა, ყველას ერთნაირი უფლებები და მოვალეობები აკისრიათ, რის გამოც თემი ყველას მიმართ ერთნაირად მკაცრი და დაუნდობელია. მას ვერავინ წინ ვერ აღუდგება, იგი მათ მკაცრად დასჯის.

კერძო საკუთრების გაჩენამ გამოიწვია განსხვავებული კლასებისა და სოციალური ჯგუფების წარმოშობა. მათ განსხვავებული სოციალური მდგომარეობა უკავიათ საზოგადოებაში. მესაკუთრეებს უპირატესობა აქვთ იმათ მიმართ, ვინც საკუთრებას მოკლებულია, პირველნი ბატონობენ, მეორენი მორჩილებენ, პირველნი ჩაგრავენ, მეორენი დაჩაგრულები არიან. მათ შორის არსებობს ანტაგონისტური წინააღმდეგობა და შეურიგებელი ბრძოლა მის გადასაჭრელად. ასეთ ვითარებაში არ არსებობს ერთნაირი დამოკიდებულება პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. კერძო საკუთრე-

ბაზე დამყარებული საზოგადოება ხელსაყრელ პირობებს უქმნის ეკონომიკურად გაბატონებულ კლასს, იგი ცხოვრების ყველა სფეროში გაბატონებული ხდება. ამ კლასის წარმომადგენელთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები ერთმანეთს შეესაბამება, მათ შორის არ არსებობს კონფლიქტი.

სულ სხვაგვარ მდგომარეობაშია დაჩაგრული კლასი. მის სასიცოცხლო ინტერესებს თრგუნავს კერძო საკუთრება და მის საფუძველზე აღმოცენებული სახელმწიფო. ასეთი საზოგადოება ზღუდავს და ბოჭავს ამ კლასის წარმომადგენელთა სასიცოცხლო ინტერესებს. მათ არ გააჩნიათ პირადი თავისუფლება, რის გამოც ასეთ საზოგადოებაში არ შეუძლიათ სრულად და დამაკმაყოფილებლად გამოავლინონ თავიანთი ინდივიდუალობა. ამიტომ მათ შორის არსებობს კონფლიქტი, ე. ი. ანტაგონისტურ საზოგადოებაში კონფლიქტი არ არსებობს გაბატონებული კლასის წარმომადგენელ პიროვნებასა და საზოგადებას შორის. იგი არსებობს დაჩაგრული კლასის წარმომადგენელ პიროვნებასა და საზოგადოებას შორის.

გაბატონებული კლასი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია დაიცვას არსებული საზოგადოებრივი წყობილება, ამიტომ მისი პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. დაჩაგრული კლასი კი თავის მხრივ სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მოსპოს იგი, ამიტომ მისი პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა. მისი ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ ეჯახება გაბატონებული კლასის ინტერესებს. ამიტომ შეურიგებელი ბრძოლა მჩაგვრელებსა და ჩაგრულებს შორის არის პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არსებული კონფლიქტის გამოხატულება.

გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვის ძირითადი საშუალება სახელმწიფოა. იგი იცავს არსებულ წყობილებას. ამის გამო დაჩაგრული პიროვნების კონფლიქტი საზოგადოებასთან განიცდება როგორც კონფლიქტი სახელმწიფოსთან. ანტაგონისტურ საზოგადოებაში არსებობს კონფლიქტი არა გაბატონებული კლასის, არამედ დაჩაგრული კლა-

სის წარმომადგენელ პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის. დაჩაგრულთა პირადი და სახელმწიფოებრივი ინტერესები ერთმანეთს გამორიცხავენ.

მონათმფლობელური საზოგადოება პირად თავისუფლებას აძლევს მონათმფლობელს, მონა კი ყოველგვარ უფლებებს მოკლებულია. ამიტომ ამ საზოგადოებასთან კონფლიქტშია მონა და არა მონათმფლობელი. ფეოდალურ საზოგადოებასთან კონფლიქტშია ყმაგლეხი და არა მემამულე. კაპიტალიზმმა ფორმალურად, იურიდიულად გაათანაბრა საზოგადოების ყველა კლასი და ფენა. მაგრამ მან ვერ მოსპო და არც შეეძლო მოესპო სოციალური უთანასწორობა. კაპიტალისტური კერძო საკუთრება ბურჟუაზიის წარმომადგენლებს უქმნის არსებობისა და ინდივიდუალობის გამოვლენის ყოველგვარ პირობებს. ისინი განცხრომასა და ფუფუნებაში ცხოვრობენ. მათ შეუძლიათ დაიკმაყოფილონ უბრალო კაპრიზი და აისრულონ ავხორცული ჟინიც კი, რადგან ფლობენ სიმდიდრეს და ფულს. ამიტომ კაპიტალისტსა და ბურჟუაზიულ საზოგადოებას შორის არარსებობს კონფლიქტი. პირიქით, მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა.

მაგრამ კაპიტალისტური კერძო საკუთრება სულ სხვაგვარ მდგომარეობაში აყენებს პროლეტარიატს. იგი მოკლებულია წარმოების საშუალებათა საკუთრებას და რომ იარსებოს, უნდა მიექირაოს ბურჟუაზიას. კაპიტალისტი მუშის დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის ხარჯზე ღებულობს მოგებას და მდიდრდება, მუშა კი მხოლოდ აუცილებელ სასიცოცხლო მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს და მასთან შედარებით სიღარიბეში ცხოვრობს. ამის გამო მუშას არ შეუძლია სრულად და დამაკმაყოფილებლად გამოავლინოს თავისი ინდივიდუალობა. თუ მუშა ზოგჯერ მაინც ახერხებს ამას, ეს შესაძლებელია მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის მეშვეობით. კონფლიქტი არსებობს მშრომელსა და ბურჟუაზიულ საზოგადოებას შორის.

სოციალისტური საზოგადოება და პიროვნება. სოციალისტური საზოგადოება მშრომელთა საზოგადოებაა. იგი სპობს კერძო საკუთრებას და ამის ნიადაგზე წარმოქმნილ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას, კლასთა ანტაგონიზმსა და მათ შორის არსებულ შეურიგებელ ბრძოლას. სოციალიზმი ამყარებს საზოგადოებრივ საკუთრებას და ამკვიდ-

რებს სოციალურ სამართლიანობას. სოციალისტური განაწილების პრინციპია „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით". სოციალიზმი მშრომელი ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლენისა და განვითარების ხელსაყრელ პირობებს ქმნის: ვისაც შრომის საფუძველზე უნდა ცხოვრება, მისთვის ყოველგვარი პირობა არის შექმნილი. რა თქმა უნდა, ეს პირობები სოციალიზმის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მისი სისტემის სრულყოფის კვალობაზე იცვლება და ვითარდება.

ამგვარად, სოციალიზმის დროს მშრომელი კაცი დაინტერესებულია, რაც შეიძლება კარგად და ხარისხიანად იშრომოს, რათა მის საფუძველზე დაიკმაყოფილოს პირადი ინტერესები. საზოგადოება კი თავის მხრივ დაინტერესებულია, რომ მშრომელ კაცს შეუქმნას თავისი საქმიანობისა და ნიჭის გამოვლენის კარგი პირობები. ამიტომ ასეთ საზოგადოებაში მშრომელი პიროვნების საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. მათ შორის კონფლიქტი გამორიცხულია.

მაგრამ გამორიცხავს თუ არა სოციალიზმი კონფლიქტს საზოგადოებასა და ყოველ პიროვნებას შორის? ცხადია, არა. იგი არ გამორიცხავს კონფლიქტს არამშრომელ პიროვნებასთან. პირიქით, იმათ წინააღმდეგ, ვინც უშრომელი შემოსავლით ცდილობს იცხოვროს, მას დაუნდობელი ბრძოლა აქვს გამოცხადებული. სოციალიზმის პირობებში არამშრომელი კაცის პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები ერთმანეთს გამორიცხავს, რადგან იგი მისი არსებობის ხელსაყრელ პირობებს არ ქმნის.

ამგვარად, სოციალიზმის დროს არსებობს კონფლიქტი საზოგადოებასა და არამშრომელ პიროვნებას შორის, მაგრამ იგი უკვე აღარ არის კლასთა ბრძოლის გამოხატულება, რადგან არამშრომელი კლასი სოციალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს.

მართალია, სოციალიზმის დროს არსებობს შესაბამისობა მშრომელ პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, მაგრამ შეუძლია კი სოციალისტურ საზოგადოებას სრულად და ყოველმხრივ გამოავლინოს მისი ინდივიდუალობა? არა, არ შეუძლია. საქმე ისაა, რომ სოციალიზმი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი საზოგადება, რო-

მელსაც შეუძლია უზრუნველყოს პიროვნების ყოველმხრივი განვითარება. ამის მიზეზები ძირითადად შემდეგშია:

1) სოციალიზმის დროს არ ხერხდება მატერიალური და სულიერი დოვლათის უკიდურესად მაღალი სიუხვის შექმნა. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ საწარმოო ძალები და მათ საფუძველზე შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერება სათანადოდ არ არის განვითარებული.

2) სოციალიზმის დროს რჩება არსებითი სოციალური განსხვავება ქალაქსა და სოფელს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას, მაღალკვალიფიციურ და დაბალკვალიფიციურ შრომას შორის.

3) სოციალიზმის დროს რჩება ადამიანთა საქმიანობის დაქვემდებარება შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისადმი. ადამიანი ძირითადად მოღვაწეობს მის მიერ არჩეული საქმიანობის ერთ რომელიმე დარგში, რაც მისგან მოითხოვს სპეციალიზაციას და პროფესიულ დაოსტატებას.

4) შრომა ჯერ კიდევ არ გადაქცეულა ადამიანის აუცილებელ სასიცოცხლო მოთხოვნილებად. აქ ადამიანი ძირითადად შრომობს მატერიალური დაინტერესების გამო.

სოციალიზმს არ შეუძლია განახორციელოს განაწილების კომუნისტური პრინციპი — „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით". ეს მოხდება მხოლოდ კომუნისტურ საზოგადოებაში, როდესაც გადაილახება სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდულობანი.

აღნიშნულის გამო სოციალიზმი და კომუნიზმი თვისებრივად განსხვავებულ პირობებს ქმნიან პიროვნების არსებობისა და განვითარებისათვის. ეს განსხვავება ძირითადად გამოიხატება შემდეგში:

1) სოციალიზმის დროს პიროვნებას ჯერ კიდევ არ შეუძლია ყოველმხრივ განავითაროს თავისი ინდივიდუალობა. კომუნიზმი კი ისეთი საზოგადოებაა, „რომელშიც ყველა საარსებო საგანი ისე ბლომად იქნება წარმოებული, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს შესაძლებლობა ექნება თავისუფლად განავითაროს და გამოიყენოს

ყველა თავისი ძალა და უნარი", — აღნიშნავდა ფ. ენგელსი ნაშრომში — „კომუნიზმის პრინციპები" [1].

2) სოციალიზმის დროს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, რომელსაც ჯერ კიდევ ექვემდებარება ადამიანი, ვერ უზრუნველყოფს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას. მისი საქმიანობა ძირითადად შეზღუდულია მოღვაწეობის ერთი რომელიმე დარგით. კ. მარქსი და ფ. ენგელსი „გერმანულ იდეოლოგია"-ში წერდნენ: „საქმე ისაა, რომ როგორც კი შრომის დანაწილება იწყება, თითოეულს უჩნდება მოქმედების რომელიმე გარკვეული, განსაკუთრებული არე, რომელსაც მას თავს ახვევენ და რომლიდანაც გამოსვლა მას არ შეუძლია. იგი მონადირე, მეთევზე ან მწყემსია, ანდა კრიტიკული კრიტიკოსი და ასეთად უნდა დარჩეს, თუ არ სურს დაკარგოს არსებობის საშუალებანი". კომუნიზმის დროს კი სხვაგვარი ვითარება იქნება; იმავე შრომაში კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავენ: „მაშინ როდესაც, კომუნისტურ საზოგადოებაში, სადაც არავინ არ არის შეზღუდული მოქმედების რაიმე განსაკუთრებული არეთი, არამედ თითოეულს შეუძლია ყოველ დარგში დახელოვნდეს, საზოგადოება არეგულირებს მთელ წარმოებას და სწორედ ამიტომ შესაძლებლობას მიქმნის დღეს გავაკეთო ერთი, ხვალ კი— მეორე, დილით ვინადირო, ნაშუადღევს ვითევზაო, საღამოთი პირუტყვს მოვუარო, ვახშმის შემდეგ კრიტიკას მივყო ხელი, — როგორც ჩემს სულს და გულს ნებავს, — და ეს გავაკეთო ისე, რომ არ გავხდე მონადირე, მეთევზე, მწყემსი ან კრიტიკოსი"[2].

3) სოციალიზმის დროს პიროვნების განვითარება საზოგადოების განვითარების და სრულყოფის შესაბამისად ხდება, აქ ძირითადი მიზანია არა პიროვნების, არამედ საზოგადოების ყოველმხრივი და გეგმაზომიერი სრულყოფა, რომლის ჩარჩოებშიც შესაძლებელია ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლენის პირობების თანდათანობითი გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება. თუ წარმოიშვა წინააღმდეგობა ადამიანის პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის, მაშინ უპირატესობა უკანასკნელს უნდა მიეცეს. სოციალიზმის

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, გვ. 102.
[2] იქვე, გვ. 31.

დროს საზოგადოების განვითარება პიროვნების, თითოეული ინდივიდის განვითარების პირობაა.

კომუნისტურ საზოგადოებაში კი ძირითადი მიზანი იქნება პიროვნების სრული და ყოველმხრივი განვითარება. კ. მარქსი და ფ. ენგელსი ნაშრომში—„კომუნისტური პარტიის მანიფესტი"—ახასიათებენ კომუნიზმს, როგორც ასოციაციას, „სადაც თვითეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა"[1]. ამ დროს პიროვნება კი არ დაუქვემდებარებს პირად ინტერესებს საზოგადოებრივს, არამედ პირიქით — საზოგადოება დაკმაყოფილებს პიროვნების ყველა მოთხოვნილებას. სწორედ ამის განხორციელების შესაძლებლობას შექმნის კომუნისტური განაწილების პრინციპი, რომელიც საზოგადოებაში დამკვიდრდება.

4) სოციალიზმის დროს პიროვნების განვითარება უნდა მოხდეს იმ მიზნით, რომ მან საზოგადოებას რაც შეიძლება მეტი უკუგება მისცეს, აქ პიროვნების განვითარება არ წარმოადგენს თვითმიზანს. კომუნიზმის დროს კი პიროვნების, თითოეული ინდივიდის განვითარება საზოგადოების თვითმიზანია.

ამრიგად, სოციალიზმი კაპიტალიზმთან შედარებით უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია პიროვნების განვითარების გზაზე, მაგრამ იგი მაინც ვერ უზრუნველყოფს მის სრულ და ყოველმხრივ განვითარებას. იგი მხოლოდ ამ პროცესის წანამძღვრებს ამზადებს. ამ მხრივ უფრო მაღალ საფეხურს ქმნის კომუნიზმი. მხოლოდ კომუნისტურ საზოგადოებაშია შესაძლებელი პიროვნების სრული და ყოველმხრივი განვითარება. ამიტომ ასეთ საზოგადოებაში აღარ იარსებებს კონფლიქტი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის.

სოციალური გარემოს როლი პიროვნების ფორმირებაში

შესაძლებელია თუ არა ადამიანის აღზრდა? შეიძლება ზოგიერთს ასეთი კითხვის დასმა ზედმეტად მოეჩვენოს. თითქოს ამ კითხვაზე დადებითი პასუხი იმდენად ნათელია, რომ იგი

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, გვ. 152.

საეჭვოც კი არ უნდა იყოს, მაგრამ ასე მარტივად არ წყდება მოცემული საკითხი.

არსებობდა და დღესაც არსებობს თეორიები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ადამიანის აღზრდა, მისი ფსიქიკის გარდაქმნა შეუძლებელია. ადამიანს დაბადებიდანვე თან დაჰყვება თვისებები, რომლებიც მისთვის არსებითი და აუცილებელია. მთელი მისი ცხოვრება ამ თანდაყოლილი თვისებების რეალიზაცია და განხორციელებაა: იშველიებენ თანამედროვე გენეტიკის მონაცემებს, რომლებიც თითქოს განამტკიცებენ ასეთ თვალსაზრისს. გენური სტრუქტურა. რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მემკვიდრეობით თვისებებს, თითქოს ასევე აუცილებლობით განსაზღვრავს მისი ქცევის თავისებურებას. ის, რომ ადამიანი კეთილსინდისიერი მშრომელია ან ქურდი — ეს ჩაწერილია მის გენურ კოდში და იგი ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს მის შესაბამის ქცევას. პიროვნების ქცევა აუცილებლობით განსაზღვრულია მისი გენური სტრუქტურით, რომელიც მემკვიდრეობით გადმოცემული აქვს მას მშობლებისაგან. აღზრდა ვერაფერს შეცვლის ადამიანის გენურ სტრუქტურაში, ამიტომ იგი ვერც მის ქცევაზე მოახდენს რაიმე გავლენას. არ ხდება პიროვნების ჩამოყალიბება, იგი ცალსახად დაპროგრამებულია მემკვიდრეობით მიღებული გენური სტრუქტურით. აღზრდა ვერ გარდაქმნის, ვერ შეცვლის პიროვნებას.

აღნიშნული თვალსაზრისი პიროვნებისა და აღზრდის დამოკიდებულების შესახებ ემყარება ადამიანის ბიოლოგისტურ გაგებას. თითქოს ადამიანი თავისი ბუნებით ბიოლოგიური და არა საზოგადოებრივი არსება იყოს, ამიტომ მის ქცევას განსაზღვრავს არა სოციალური, არამედ ბიოფიზიოლოგიური მექანიზმი. მარქსიზმი კატეგორიულად უარყოფს ასეთ თვალსაზრისს, და მისი ეს პოზიცია სავსებით გასაგებია, რადგან იგი ემყარება იმას, რომ ადამიანი თავისი ბუნებით საზოგადოებრივი და არა ბიოლოგიური არსებაა. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა, ამიტომ მათი შეცვლით თვით პიროვნებაც შეიცვლება.

ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი პრინციპის თანახმად, საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას. ცხადია, რომ პირველის შეცვლა აუცილებლობით გა-

მოიწვევს მეორის შეცვლას. თუ ჩვენ გვინდა გარდავქმნათ ადამიანი, უნდა გარდავქმნათ მისი საზოგადოებრივი ყოფიერება.

ადამიანი არ იბადება არც კეთილად და არც ბოროტად. დაბადებიდანვე გენური სტრუქტურის მიერ არ არის განსაზღვრული, რომ იგი უსათუოდ იქნება პატიოსანი მშრომელი ან ქურდი. იგი გარკვეულ გარემოპირობებში შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთი ან მეორე სახით. მაშასადამე, პიროვნება ყალიბდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველზე.

ახდენს თუ არა ადამიანის ქცევაზე რაიმე გავლენას მისი გენური სტრუქტურა. ბიოფსიქიკური თვისებები? რა თქმა უნდა, ახდენს, რადგან ადამიანი ცოცხალი ორგანიზმია, რომლის მიდრეკილებები და შესაძლებლობები განსაზღვრულია მემკვიდრეობით მიღებული გენური სტრუქტურით. მაშასადამე, გენური კოდი განაპირობებს ადამიანის როგორც ცოცხალი ორგანიზმის თავისებურებას — მის შესაძლებლობებს და მიდრეკილებებს. მაგრამ განსაზღვრავს კი იგი ადამიანს როგორც საზოგადოებრივ არსებას? არა, არ განსაზღვრავს. ადამიანი როგორც პიროვნება, როგორც საზოგადოებრივი არსება ყალიბდება გარკვეულ გარემოპირობებში. იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა შედეგია. მაგრამ ეს ჩამოყალიბება ხდება არა ავტომატურად, არამედ იმ შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების შესაბამისად, რომლებიც ადამიანს როგორც ცოცხალ ორგანიზმს ახასიათებს. ვერავითარი გარემოპირობები ადამიანს კომპოზიტორად ან პოეტად ვერ აქცევს, თუ მას ამის ბუნებრივი ნიჭი არ გააჩნია. მაგრამ ამ ნიჭს ადამიანი ვერ განახორციელებს სათანადო საზოგადოებრივი გარემოს გარეშე. ამგვარად, ადამიანს მემკვიდრეობით გადმოეცემა გარკვეული შესაძლებლობები და მიდრეკილებები, რომელთა გაშლა, რეალიზაცია და განვითარება გაპირობებულია საზოგადოებრივი პირობებით. ადამიანი პოეტად ან კომპოზიტორად არ იბადება. მას ამის სათანადო ნიჭი ჩანასახის, მიდრეკილების სახით დაჰყვება დაბადებისას. მაგრამ იგი როგორც პოეტი ან კომპოზიტორი ყალიბდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველზე მისი თანდაყოლილი ნიჭის შესაბამისად. ვერავითარი გარემოებანი მუსიკალური ნიჭის გარეშე ადამიანს კომპოზიტორად ვერ აქცევს. მაგრამ თუ შესაფერისი გარემო არ იქნა, იგი ვერც კომპოზიტორად ვერ ჩამოყალიბდება.

ცხადია, აღზრდის მეშვეობით ადამიანს სათანადო ნიჭი არ გაუჩნდება. იგი მას უნდა ჰქონდეს თანდაყოლილი — მიდრეკილების, უნარის სახით, მაგრამ აღზრდას შეუძლია მისი გამოვლენა და განვითარება. ამიტომ ნიჭის როგორც გარკვეული ჩანასახის, უნარის ჩამოყალიბება შესაბამის ნიჭად და მისი გამოვლენა-განვითარება აღზრდის მეოხებით ხდება.

რაც შეეხება ადამიანის მორალურ სახეს, მის ზნეობრივ თვისებებს, ისინი მთლიანად საზოგადოებრივი ურთიერთობების შედეგად ყალიბდება. ისინი ადამიანებს არ გადაეცემათ არა თუ ჩამოყალიბებული, არამედ მიდრეკილების სახითაც კი. არ არსებობს პატიოსნების ან უპატიოსნობის, ქურდობის ან წესიერად ცხოვრების. ლოთობის ან ფხიზლად ცხოვრების ბიოლოგიური გენი. მათ არავითარი საფუძველი არა აქვთ ადამიანის გენურ სტრუქტურაში. ეს თვისებები ადამიანებს უყალიბდებათ გარკვეულ სოციალურ გარემოში. პატიოსნად ან უპატიოსნოდ, ქურდად ან წესიერად, ლოთად ან არალოთად ადამიანები არ იბადებიან. ისინი გარკვეულ სოციალურ გარემოში ყალიბდებიან ერთ ან მეორე პიროვნებად.

სოციალური გარემო მოიცავს მოვლენათა ფართო წრეს. მასში იგულისხმება:

1) საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება.

2) მიკროგარემო: ოჯახი და მისი ტრადიციები; მეზობლები და შემთხვევით გაცნობილი ადამიანები; სამსახურში გამეფებული ატმოსფერო და თანამოსამსახურენი და ა. შ.

მაგრამ მხოლოდ სოციალური გარემო არ არის საკმარისი ავხსნათ პიროვნების ესა თუ ის საქციელი. აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ მისი ბიოფსიქიკური თავისებურებანი, მოთხოვნილებები და ინტერესები, მრწამსი და შეხედულებები, სურვილები და გატაცებები. — ყოველივე ეს ერთად აღებული განსაზღვრავს პიროვნების ქცევას. მაგრამ პირობათა ამ რთულ კომპლექსში ძირითადი განმსაზღვრელი არის სოციალური გარემო. თვით პიროვნების, მისი მოთხოვნილებებისა და ინტერესების, მრწამსისა და შეხედულებების, სურვილებისა და გატაცებების ჩამოყალიბება ხდება სოციალურ გარემოში. მაგრამ ეს ჩამოყალიბება მიმდინარეობს არა ავტომატურად, არამედ იმ შესაძლებლობებისა და უნარების შესაბამი-

ად, რომლებიც ამა თუ იმ პიროვნებას მემკვიდრეობით მიღებული აქვს ჩანასახებისა და მიდრეკილებების სახით. ამიტომ ყოველი პიროვნების ჩამოყალიბება ინდივიდუალური თავისებურების მქონე პროცესია.

პიროვნების ჩამოყალიბება არ არის მარტოოდენ სოციალური, იგი სოციალურ-ინდივიდუალური პროცესია. აღზრდის ამოცანაა, მოცემულ სოციალურ გარემოში, რაც შეიძლება ფართოდ და ყოველმხრივ გამოავლინოს და განავითაროს პიროვნების შესაძლებლობები და უნარები. ახალი ადამიანის აღზრდა, პიროვნების ახალი ტიპის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძირფესვიანად გარდაიქმნა არსებული სოციალური გარემო. ამის საფუძველი წარმოების წესის შეცვლაა, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციის გზით. მაშასადამე, რევოლუცია, რომელიც წარმოადგენს არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის გარდაქმნას, ახლით ცვლის ახალი ადამიანის ფორმირების პირობებს.

სოციალისტური რევოლუცია არის ძველი კაპიტალისტური წყობილების არა მხოლოდ დამხობის, არამედ ადამიანთა მასობრივი შეცვლის, მისი ცნობიერების გარდაქმნის საშუალება. კ. მარქსი და ფ. ენგელსი „გერმანულ იდეოლოგია"-ში ამის თაობაზე აღნიშნავდნენ: „მაშასადამე, რევოლუცია აუცილებელია არა მარტო იმიტომ, რომ არავითარი სხვა გზით არ შეიძლება გაბატონებული კლასის დამხობა, არამედ იმიტომაც, რომ დამამხობელ კლასს მხოლოდ რევოლუციაში შეუძლია მთელი ძველი სისაძაგლე თავიდან მოიშოროს და საზოგადოების ახალი საფუძვლის შექმნის უნარის მქონე გახდეს"[1].

სოციალისტური რევოლუციის შედეგად ძირფესვიანად გარდაიქმნება ძველი საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება, რის შედეგად თანდათანობით ყალიბდება ცხოვრების ახალი სოციალისტური წესი. მაგრამ ყოველივე ეს ავტომატურად არ იწვევს ადამიანთა ინდივიდუალური ცნობიერების, მათი პიროვნების გარდაქმნას. ამისთვის აუცილებელია ადამიანთა აღზრდა, რომლის შედეგად შეცვლილი სოციალური გარემოს პირობებში

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, გვ. 39.

მოხდება მათი ინდივიდუალური ცხოვრების ძირფესვიანი გარდაქმნა. შესაბამისად გარდატეხა მოხდება მის ქცევაშიც. იგი იცხოვრებს ცხოვრების სოციალისტური წესის მიხედვით. ჩამოყალიბდება პიროვნების ახალი ტიპი — სოციალისტური პიროვნება. ეს მართლაც ასე მოხდა საბჭოთა კავშირში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

კომუნისტური აღზრდა. აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი. აღზრდა არის ადამიანის ცნობიერების, ე. ი. მისი შეხედულებებისა და ფსიქიკის ჩამოყალიბების საფუძველზე შესაბამისი ქცევის ნორმებისა და ჩვევების გამომუშავება. იგი გულისხმობს ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედებით მისი ქცევის მიზანდასახულ წარმართვას და რეგულირებას. აღზრდის მეოხებით ხდება პიროვნების ჩამოყალიბება გარკვეულ სოციალურ გარემოში. ამიტომ ყოველი საზოგადოება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს.

კომუნისტური აღზრდა გულისხმობს ადამიანთა აღზრდას კომუნიზმის იდეალებისა და მიზნებისადმი ერთგულების სულისკვეთებით. ეს არის კომუნისტური მრწამსის, კომუნისტური ზნეობის და მათი შესაბამისი ცხოვრების წესის დამკვიდრების რთული და მრავალმხრივი პროცესი.

კომუნისტური აღზრდის მიზანია ჩამოაყალიბოს ჰარმონიულად და ყოველმხრივ განვითარებული, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნება, რომელშიც შეხამებული იქნება სულიერი სიმდიდრე, მორალური სისპეტაკე და ფიზიკური სრულქმნილება.

სულიერი სიმდიდრე მოიცავს შემდეგს:

1) გააზრებულ რწმენას, შეგნებულ მრწამსს, რომელიც ემყარება მაღალ იდეურობას, მეცნიერულ მსოფლმხედველობას. ასეთი მრწამსის საფუძველია არა ბრმა, რელიგიური, ფანატიკური დარწმუნებულობა, არამედ მეცნიერულად გააზრებული და დაფუძნებული მსოფლმხედველობა — მარქსიზმ-ლენინიზმი.

2) სამყაროს მეცნიერულ სურათს. ეს არის არა ყველა საბუნე-

ბისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მონაცემების ჯამი, არამედ სამყაროს შესახებ შეხედულებათა ერთიანი სისტემა, ო

ელიც მეცნიერების განვითარების ძოცემულ დონეს შეესაბამება. ამიტომ სულიერი სიმდიდრე ყველა მეცნიერების დაუფლებას არ ნიშნავს, ეს საერთოდ შეუძლებელია. იგი გულისხმობს მათი ძირითადი პრინციპების გააზრების საფუძველზე სამყაროს ერთიანი მეცნიერული სურათის შექმნას და მის ათვისებას.

3) მშვენიერების აღქმას და გაგებას. ეს გულისხმობს არა მხოლოდ ხელოვნების ცოდნას და გაგებას, არამედ ბუნების სილამაზის განცდის და ტკბობის უნარს.

მ ო რ ა ლ უ რ ი ს ი ს პ ე ტ ა კ ე გულისხმობს მაღალზნეობრივი, კომუნისტური მორალის ნორმებისა და პრინციპების ჩამოყალიბებას და მათ გადაქცევას პიროვნების ცხოვრების ნორმად. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი განუხრელად უნდა იცავდეს ცხოვრების სოციალისტური წესის მოთხოვნებსა და ნორმებს.

ფ ი ზ ი კ უ რ ი ს რ უ ლ ქ მ ნ ი ლ ე ბ ა გულისხმობს ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობას და გამოწრთობას. პიროვნება არა მხოლოდ სულიერად მდიდარი და მორალურად სპეტაკი, არამედ ფიზიკურად ჯანმრთელი და გაკაჟებული უნდა იყოს. რომაული ანდაზა ამბობს: „ჯანმრთელი სული ჯანმრთელ სხეულში". იგი მართებულ აზრს გამოხატავს, თუ სწორად იქნა გაგებული „ჯანმრთელი სულის" ცნება.

ამგვარად, კომუნისტური აღზრდის მიზანია პიროვნების სულიერი სიმდიდრის, მორალური სისპეტაკის და ფიზიკური სრულქმნილების შერწყმა და შეხამება.

აღნიშნულ მიზანს ექვემდებარება აღმზრდელობითი მუშაობა, რომელშიც შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1) ი დ ე უ რ ი ა ღ ზ რ დ ა. იგი გულისხმობს კომუნიზმის იდეების და მიზნების გაცნობიერებას და ნათელ შეგნებას, მათი განხორციელებისათვის შეგნებულ ბრძოლას. ამის საფუძველი უნდა იყოს მეცნიერული იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი.

2) შ რ ო მ ი თ ი ა ღ ზ რ დ ა. იგი გულისხმობს კეთილსინდისიერი, შემოქმედებითი შრომის საფუძველზე ადამიანში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების თანდათანობით ჩამოყალიბე-

ბას, რომ შრომა მისთვის გადაიქცეს ბუნებრივ, სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

3) პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ა ღ ზ რ დ ა. იგი გულისხმობს ადამიანის როგორც მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელიც აქტიურად და შეგნებულად მიიღებს მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

4) ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი ა ღ ზ რ დ ა. იგი გულისხმობს. ადამიანს გამოუმუშაოს მართლშეგნება და მართლწესრიგის განმტკიცებისა და დაცვის აქტიური მონაწილე გახადოს იგი. ამისათვის ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფოში მოქმედი კანონები, თავისი უფლება-მოვალეობანი და განუხრელად უნდა დაიცვას და გაატაროს ისინი ცხოვრებაში. მოქალაქე არა მხოლოდ უნდა იყენებდეს თავის უფლებებს, არამედ კეთილსინდისიერად ასრულებდეს თავის მოვალეობებსაც.

5) ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ა ღ ზ რ დ ა. იგი გულისხმობს კომუნისტური მორალის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდას. კომუნისტური ზნეობის პრინციპები და ნორმები უნდა გადაიქცნენ ადამიანთა შინაგან მოთხოვნილებად და მათი მოქმედების განმსაზღვრელ მოტივებად.

6) ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი ა ღ ზ რ დ ა. იგი გულისხმობს მშვენიერების აღქმისა და მისი გაგების უნარის გამომუშავებას ადამიანში. ამის საშუალებაა არა მხოლოდ ხელოვნება, არამედ თვით ბუნების სილამაზე და მისი ტკბობით გამოწვეული სიხარული. ესთეტიკურმა აღზრდამ ყოველივე ამას უნდა აზიაროს ადამიანი.

7) ფ ი ზ ი კ უ რ ი ა ღ ზ რ დ ა. იგი გულისხმობს ადამიანის სხეულის გაჯანსაღებას და გაკაჟებას. ამის საშუალებაა ფიზიკური ვარჯიში, რომლის განსახორციელებლად სპორტი და ფიზკულტურა ხდება მასობრივი.

ასეთია აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი, რომელთა მიზანია ახალი ადამიანის — სოციალისტური პიროვნების ჩამოყალიბება. ასეთი პიროვნება არა მხოლოდ პასიურად დაიცავს ცხოვრების სოციალისტურ წესს, არამედ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ-ლ ე ნ ი ნ უ რ ი მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო-

ბა — პიროვნების იდეური სიმწიფის საფუძველი. მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირების გზები. იდეურობა ნიშნავს ეს თუ იმ პიროვნების მიერ შესატყვისი იდეების დაუფლებას და მათი რწმენის საფუძველზე აქტიურ, მიზანდასახულ მოქმედებას. იმის მიხედვით, თუ რა ტიპის იდეებთან გვაქვს საქმე, იდეურობაც მისი შესატყვისი იქნება. მაგალითად, თუ ბურჟუაზიული იდეებია ის იდეები, რომელთაც ეუფლება პიროვნება და მათ იხდის თავისი მოღვაწეობის მრწამსად, მაშინ ბურჟუაზიულ იდეურობასთან გვაქვს საქმე. თუ კომუნისტურ იდეებს იხდის პიროვნება თავისი მოღვაწეობის მრწამსად, მაშინ სახეზეა კომუნისტური იდეურობა. ამგვარად, კომუნისტური იდეურობა ნიშნავს კომუნიზმის იდეებისა და მიზნების ცოდნის გადაქცევას პიროვნების შინაგან მრწამსად, რომელიც მის მოღვაწეობას დაედება საფუძვლად.

პიროვნების იდეურობა შეიძლება ემყარებოდეს შესაბამისი იდეოლოგიის ღრმა ცოდნას და გაცნობიერება-გააზრებას ან მარტოოდენ მისადმი თანაგრძნობას და ერთგულებას. პირველ შემთხვევაში პიროვნების იდეურობა და მისი შესაბამისი აქტიურობა შეგნებული და გაცნობიერებულია, მეორე შემთხვევაში კი — სტიქიური და გაუცნობიერებელი.

პიროვნების იდეურობის სიმწიფის მაჩვენებელია სწორედ ის, თუ რამდენად შეგნებული და გაცნობიერებული აქვს მას ის საქმე და იდეალები, რომელთაც იგი ემსახურება. კომუნისტური იდეურობა აუცილებლობით მოითხოვს პიროვნების იდეურ სიმწიფეს, რადგან იგი ემყარება არა ბრმა, არამედ მეცნიერულად დასაბუთებულ და გააზრებულ რწმენას. ამის ერთადერთი საშუალებაა კომუნისტური იდეოლოგიის ღრმა ცოდნა და გააზრება. ეს იდეოლოგია წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემას, რომელიც სამყაროს შემეცნების საფუძველზე ადგენს საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას და კომუნიზმის დამყარების გარდაუვალობას. კომუნისტური იდეოლოგია მარქსიზმ-ლენინიზმია. ამიტომ პიროვნების კომუნისტური იდეურობის სიმწიფის საფუძველია მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა.

მეცნიერული მსოფლმხედველობის თავისებურება ისაა, რომ იგი არის მეცნიერული ცოდნის და რწმენის ერთიანობა. იგი ადამიანს აძლევს ისეთ რწმენას, მისი მოღვაწეობის ისეთ სამოქმედო პროგრამას, რომელიც მეცნიერულ ცოდნას ემყარება. სამყაროს, კერძოდ საზოგადოების განვითარების რთული მექანიზმის ზუსტი შემეცნება იქცევა იმ რწმენის საფუძვლად, რომელსაც მეცნიერული მსოფლმხედველობა ადამიანს უყალიბებს. ასეთი მსოფლმხედველობის საფუძველზე პიროვნებას შეუძლია სწორად გაერკვეს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების რთულ პროცესში და მართებულად გაიაზროს თავისი ადგილი და დანიშნულება სამყაროში. ყოველ ადამიანს თავისი მსოფლმხედველობა აქვს, რომელიც სამყაროს შესახებ გარკვეულ წარმოდგენებს ემყარება. მაგრამ ეს წარმოდგენები სამყაროზე შეიძლება იყოს არასწორი, არმეცნიერული, რის გამოც მსოფლმხედველობა არამეცნიერული იქნება. ამგვარი მსოფლმხედველობის საფუძველზე პიროვნება სწორად ვერ გაერკვევა გარემომცველ სამყაროში, ამიტომ მისი ღირებულებითი ორიენტაცია არასწორი იქნება. ცხადია, ასეთი ადამიანი ვერ იცხოვრებს ჭეშმარიტი ცხოვრების წესით და მისმა საქმიანობამ შეიძლება საზოგადოებას ზიანი მოუტანოს. აღნიშნული უარყოფითი შედეგი რომ თავიდან ავიცილოთ, აუცილებელია, რომ პიროვნება დაეუფლოს მეცნიერულ მსოფლმხედველობას.

ახლა საკითხი ეხება იმას, თუ როგორ, რა გზებით შეუძლია პიროვნებას დაეუფლოს მეცნიერულ მსოფლმხედველობას, რომ იგი გახდეს მისი საქმიანობის საფუძველი? როგორ შეიძლება მეცნიერული მსოფლმხედველობის საფუძველზე პიროვნებას შევუმუშაოთ შესაბამისი მრწამსი? ამისთვის აუცილებელია შემდეგი:

1) მეცნიერული მსოფლმხედველობის შ ე ს წ ა ვ ლ ა. ყოველმა ადამიანმა უნდა ისწავლოს იგი. მაგრამ კი არ უნდა დაიზეპიროს, არამედ დამოუკიდებლად გაიაზროს და გააცნობიეროს მისი ურთულესი პრობლემები. ამისთვის ხდება მათი ჩაბმა განათლების სხვადასხვა სისტემაში.

2) მეცნიერული მსოფლმხედველობის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა. ადამიანმა არა მხოლოდ უნდა ისწავლოს მეცნიერული მსოფლმხედველობა, არამედ უნდა დ ა რ წ მ უ ნ დ ე ს, რომ

ეს მისი მსოფლმხედველობაა. იგი პირადად საკუთარი გაძოცდა-ლებით უნდა დარწმუნდეს, რომ სწორედ მოცემულ: მსოფლმხე-დველობა აძლევს მას ღირებულებათა იმ სისტემას, რომელიც მისი მოქმედების საფუძველია. ამისთვის მხოლოდ ცოდნა არ კმარა, სა-ჭიროა მისი პრაქტიკული გამოყენება.

მარქსიზმ-ლენინიზმი როგორც მუშათა კლასის იდეოლოგია ამავე დროს ყველა მშრომელის ძირეულ ინტერესებსაც გამოხატავს. იგი მშრომელ ადამიანს აძლევს იმ იდეალებსა და ღირებულებებს, რო-მელთა საფუძველზე მას შეუძლია იცხოვროს სწორად და მოიპო-ვოს ბედნიერება. ამაში დარწმუნება პიროვნებას შეუძლია, თუ იგი მას გამოიყენებს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში და მის საფუძ-ველზე შეეცდება პირადად გაერკვეს საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ მექანიზმში.

პიროვნება არა მხოლოდ შრომით საქმიანობას, არამედ აქტიურ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას უნდა ეწეოდეს. იგი შეგნებულად უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფო და საზოგადოებ-რივ საქმეებში. ერთი სიტყვით, პიროვნება უნდა იყოს პოლიტი-კურად აქტიური მოქალაქე.

სახელმწიფო ყოველ პიროვნებას აკისრებს გარკვეულ ვალდე-ბულებებს, რომლებიც მან აუცილებლად უნდა შეასრულოს. სო-ციალისტური სახელმწიფო ყოველი პიროვნებისაგან მოითხოვს არა უბრალო მორჩილებას, არამედ ამ ვალდებულებათა შეგნებულ შესრულებას. ისინი უნდა ემსახურებოდნენ და ზრუნავდნენ სა-ხელმწიფოზე თავისი შინაგანი მოთხოვნილებების კარნახით და არა იძულებით.

პოლიტიკა წარმოიშვა კლასების წარმოქმნის შედეგად. იგი კლა-სების ინტერესებს გამოხატავს, ამიტომ მუდამ კლასობრივია. არ-სებობს ბურჟუაზიული პოლიტიკა, რომელიც ბურჟუაზიის ინტე-რესების — მისი სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნებასა და განმტკიცებას ისახავს მიზნად.

სოციალისტური პოლიტიკა პირიქით, მშრომელთა ინტერესებს გამოხატავს და მიზნად ისახავს მათ დაცვასა და განმტკიცებას. პი-როვნებამ რომ ეს ორი ურთიერთსაპირისპირო პოლიტიკა ერთმა-ნეთისაგან განასხვავოს, მას სჭირდება მკაფიო, ნათელი კლასობრი-

ვი პოზიციაა. მხოლოდ მის საფუძველზე შეუძლია მას შეგნებულად გაარჩიოს და გააცნობიეროს საკუთარი ინტერესები, — აქტიურად იბრძოლოს მათ განსახორციელებლად და დასაცავად. მშრომელთა ასეთი შეგნებული და აქტიური მოღვაწეობის საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმი. პიროვნება მას როგორც მეცნიერულ მსოფლმხედველობას შეიძლება ეუბიაროს არა მხოლოდ ცოდნით, არამედ მისი პრაქტიკული გამოყენებით პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. მშრომელთა კლასობრივ ბრძოლაში მონაწილეობა არის პიროვნების მიერ მეცნიერული მსოფლმხედველობის დაუფლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

ამგვარად, პიროვნების მიერ მეცნიერული მსოფლმხედველობის დაუფლების, მისთვის მისი ფორმირების გზაა ცოდნისა და მოქმედების ერთიანობა. მან არა მხოლოდ უნდა ისწავლოს იგი, არამედ პრაქტიკულად გამოიყენოს თავის კლასობრივ ბრძოლაში. ამისთვის კი აუცილებელია მისი აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სოციალისტური კულტურა — კაცობრიობის სულიერ განვითარებაში მსოფლიო-ისტორიული ნაბიჯი, კომუნისტური აღზრდის აქტიური ფაქტორი. კულტურა წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან—cultura, რაც ნიშნავს დამუშავებას. კულტურაში იგულისხმება ყველაფერი ის, რაც ადამიანის ფიზიკური ან გონებრივი საქმიანობის შედეგად არის შექმნილი. იგი მოიცავს ყველა იმ დოვლათს და ფასეულობას, რაც კაცობრიობას მთელი თავისი ხანგრძლივი არსებობისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის შედეგად შეუქმნია. განასხვავებენ მატერიალურ და სულიერ კულტურას. პირველს მიეკუთვნება ადამიანის შრომითი საქმიანობის საფუძველზე შესაბამის ღირებულებათა განივთების შედეგად წარმოქმნილი მატერიალური ფასეულობანი: შრომის იარაღები, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის საშუალებანი, გზები, არხები, ხიდები, სახლები, საყოფაცხოვრებო ნივთები, სამკაული და ა. შ. მეორეს მიეკუთვნება ადამიანის გონითი მოღვაწეობის შედეგად შექმნილი სულიერი ფასეულობანი: მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია, რელიგია, მორალი, პოლიტიკა, სამართალი; აგრეთვე, საზოგადოებრივი ურთიერთობები და ქცევები.

კულტურა ადამიანის გონითი და პრაქტიკული საქმიანობის ერთიანობას გულისხმობს. გონითი საქმიანობის შედეგად იქმნება გარკვეული სულიერი ღირებულებანი, ხოლო პრაქტიკული საქმიანობის შედეგად მათი განივთება, რეალიზაცია ხდება შესაბამის მატერიალურ საგნებში. მაგალითად, რომ ავიღოთ ტექნიკა — იგი იქმნება ადამიანის საწარმოო საქმიანობის შედეგად, მაგრამ გარკვეული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე. ასევე, რომ ავიღოთ რაიმე ლიტერატურული ნაწარმოების, ვთქვათ, ლექსის დაწერა—იგი ჯერ იქმნება მწერლის გონებაში, შემდეგ კი ხდება მისი რეალიზაცია, ე. ი. გადატანა ქაღალდზე, რომლის მეშვეობით მას ეზიარება მკითხველი საზოგადოება. მაშასადამე, როგორც მატერიალური, ასევე სულიერი კულტურა აუცილებლობით მოითხოვს ღირებულებათა მატერიალიზაციას. ამიტომ კ უ ლ ტ უ რ ი ს დ ა ყ ო ფ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ დ ა ს უ ლ ი ე რ კ უ ლ ტ უ რ ა დ პ ი რ ო ბ ი თ ი ა.

კულტურა ისტორიული კატეგორიაა. იგი იცვლება და განიცდის განვითარებას. საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა ცვლა შესაბამისად იწვევს კულტურათა ცვალებადობას. ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას თავისი შინაარსით და ხასიათით გარკვეული კულტურა შეესაბამება. ამიტომ არსებობს პირველყოფილი თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული და სოციალისტური კულტურები.

კლასობრივად ანტაგონისტურ საზოგადოებაში ერთიანი კულტურის შიგნით არსებობს ორი ნაკადი: ერთი, რომელიც გაბატონებული კლასის ინტერესებს, ხოლო მეორე — დაჩაგრული კლასის ინტერესებს გამოხატავს. მაგალითად, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებობს ორი — ბურჟუაზიული და პროლეტარული კულტურა. ა მ ი ტ ო მ ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს ა გ ან უ ნ დ ა გ ა ნ ვ ა ს ხ ვ ა ვ ო თ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ში შ ე ქ მ ნ ი ლ ი კ უ ლ ტ უ რ ა მ თ ლ ი ა ნ ა დ დ ა ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი კ უ ლ ტ უ რ ა. ეს უკანასკნელი მხოლოდ მისი ნაწილია, იგი გაბატონებული კლასის — ბურჟუაზიის ინტერესების და იდეების, მისი ღირებულებებისა და ნორმების რეალიზაციაა. მაგრამ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იქმნება მეორე კულტურა — თავისი შინაარ-

სით და ხასიათით დემოკრატიული, რომელიც მშრომელი მასების ინტერესების გამოხატულებაა.

სოციალისტური კულტურა კაცობრიობის განვითარების პროცესში უაღრესად წინგადადგმული ნაბიჯია. მისი თავისებურება ისაა, რომ იგი თავისი შინაარსით და ხასიათით ერთიანია, გამორიცხავს კლასობრივ დაპირისპირებულობას. ეს გაპირობებულია თვით სოციალისტური საზოგადოების ბუნებით, რადგან იგი გამორიცხავს კლასობრივ ანტაგონიზმს. სოციალისტური საზოგადოება მშრომელთა საზოგადოებაა, ამიტომ მისი კულტურაც მათი ინტერესების ასახვაა. ეს არის ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურა. იგი ამკვიდრებს ჰუმანიზმის, კოლექტივიზმის, დემოკრატიზმის, ოპტიმიზმის, მეგობრობისა და მშვიდობის ზოგადსაკაცობრიო იდეებს.

სოციალისტური კულტურის ათვისება და მასთან ზიარება ახალი ადამიანის აღზრდის მძლავრი საშუალებაა. კ ულ ტ უ რ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გარდამავალ პერიოდში განხორციელდა, გულისხმობდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას და განათლებისა და ცოდნის შეტანას მშრომელთა ფართო მასებში. ექსპლოატატორულ საზოგადოებაში სულიერი კულტურის შექმნა და მასთან ზიარება ძირითადად გაბატონებული კლასის პრივილეგიაა. სსრკ-ში გარდამავალ პერიოდში განხორციელებული კულტურული რევოლუციის შედეგად სულიერი კულტურის შექმნა და მასთან ზიარება მშრომელთა მასების კუთვნილება გახდა. სოციალისტურ კულტურას ხალხი ქმნის და იგი მას ეკუთვნის. ამ კულტურის ქმნილებების ზიარებით იმდიდრებს სოციალისტური საზოგადოების პიროვნება თავის სულიერ სამყაროს და ხდება ზნეობრივად კეთილშობილი.

სსრკ-ის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ხდება სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარების საფუძველზე, სოციალისტური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს პიროვნების ჰარმონიულ და ყოველმხრივ განვითარებას.

კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების ლენინური პრინციპები. საზოგადოების განვითარება განსხვავებულ თაობათა მონაცვლეობის შედეგია. ყოველი მომდევნო თაობა აგრძე-

ლებს და შემდგომ ავითარებს წინა თაობათა მიერ მოპოვებულ შედეგებს. ყოველი თაობა თავის საზოგადოებრივ საქმიანობას იწყებს წინა თაობათა მიერ შექმნილ და გადმოცემულ პირობებში. მას უკვე მზა სახით ხვდება გარკვეული მატერიალური და სულიერი კულტურა. ე. ი. ყოველი თაობა მოღვაწეობას იწყებს წინა თაობათა მიერ შექმნილი კულტურის პირობებში. იგი მხოლოდ მასზე დაყრდნობით, მისი გამოყენებით და გარდაქმნით შეძლებს გააგრძელოს და განავითაროს ძველი ან შექმნას თვისებრივად ახალი კულტურა. ამგვარად, საზოგადოების განვითარება ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც კულტურათა მონაცვლეობის პროცესი. მაგრამ არსებობს კულტურის განვითარების ორი სახე: პირველი—ეს არის გარკვეული ტიპის კულტურის სრულყოფა და შემდგომი განვითარება. მაგალითად, ბურჟუაზიული კულტურის ჩამოყალიბების შემდეგ ხდება მისი შემდგომი განვითარება. მეორე კი ეს არის, როდესაც ძველი კულტურის ბაზაზე ხდება თვისებრივად ახალი კულტურის ჩამოყალიბება. კულტურის განვითარების ასეთი პროცესი დამახასიათებელია იმ ეპოქებისათვის, როდესაც ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან ხდება გადასვლა ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაზე. ეს გადასვლა რევოლუციური პროცესია, რომელიც გულისხმობს ძველი საზოგადოების ძირფესვიან მსხვრევას და თვისებრივად ახალი საზოგადოების აშენებას. შესაბამისად იგი გულისხმობს ძველი კულტურის თვისებრივ შეცვლას ახლით. ამიტომ ბუნებრივად დგება საკითხი: როგორი უნდა იყოს ახალი სოციალისტური კულტურის ძველი ბურჟუაზიული კულტურისადმი დამოკიდებულება?

ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1) ახალი კულტურა დიალექტიკურად უნდა უარყოფდეს ძველ კულტურას. დიალექტიკური უარყოფა გულისხმობს ორმხრივ პროცესს — მოხსნა-შენახვას. ეს ნიშნავს, რომ ახალმა კულტურამ ძველში უნდა უკუაგდოს, უარყოს რაღაც მომენტები, ხოლო რაღაც მომენტები შემოინახოს და შემდგომ განავითაროს. ე. ი. ახალმა კულტურამ ძველი უნდა აითვისოს კრიტიკულად. მან იგი უნდა მიიღოს არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ. კერძოდ, ძველი კულტურის ის ნაწილი, რომელიც

მოძველებული და რეაქციულია, უნდა უკუაგდოს, ხოლო ის ნაწილი, რომელიც მოწინავე და პროგრესულია, მიიღოს და შემდგომ განავითაროს.

მარქსიზმის თანახმად, ყოველი ჭეშმარიტი კულტურა გარდა იმისა, რომ თავის ეპოქას ასახავს, გაბატონებული კლასის ინტერესებს გამოხატავს, აგრეთვე შეიცავს ზოგადსაკაცობრიო იდეალებსაც. ამიტომ მათი მნიშვნელობა არ შემოიფარგლება თავისი ეპოქის ან ვიწროკლასობრივი, ეგოისტური, ანგარებითი მიზნებით. ისინი ასევე შეიცავენ ზოგადადამიანურ, ჰუმანისტურ ღირებულებებს, რომლებიც ძალას და მნიშვნელობას ინარჩუნებენ ყოველ საზოგადოებრივ ეპოქაში. ცნობილია, თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევდა კ. მარქსი ძველბერძნული ხელოვნების ნიმუშებს. მათ შესახებ იგი წერდა: „ისინი ჩვენ ახლაც კიდევ ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და გარკვეული აზრით ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ“ [1].

ვ. ი. ლენინი ბურჟუაზიული ნაციონალური კულტურის შესახებ წერდა, რომ „თ ვ ი თ ე უ ლ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება განუვითარებლად მაინც დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი, ვინაიდან თ ვ ი თ ე უ ლ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას. მაგრამ თ ვ ი თ ე უ ლ ერში არის აგრეთვე ბურჟუაზიული კულტურა... — ამასთან არა მარტო ელემენტების სახით. არამედ გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი კულტურის სახით“[2]. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „თ ვ ი თ ე უ ლ ი ნაციონალური კულტურიდან ჩვენ ვიღებთ მ ხ ო ლ ო დ მის დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს“[3].

2) პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი კ უ ლ ტ უ რ ა წ ი ნ ა კ უ ლ ტ უ რ ა თ ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ი შ ე დ ე გ ი ა. ამიტომ იგი თავის თავში შეიცავს ყველა იმ დადებითსა და პროგრესულს, რაც წინა თაობებს შეუქმნიათ. პროლეტარული კულტურა ყველა მანამდე არსებული მოწინავე და პროგრესული კულ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, ობ., 1953, გვ. 297.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 10.
[3] ი ქ ვ ე.

ტურის მემკვიდრეა. იგი წარმოიქმნება არა ცარიელ ადგილზე, არამედ საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როგორც მისი ობიექტური და კანონზომიერი შედეგი.

ვ. ი. ლენინი წერდა: „პროლეტარული კულტურა არ არის საიდანლაც გამომხტარი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამონაგონი, რომელნიც თავისთავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ... პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა...“[1].

ვ. ი. ლენინი სანიმუშოდ მიუთითებდა კ. მარქსის მიერ კომუნისტური მსოფლმხედველობის შემუშავების მაგალითზე. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კ. მარქსმა ახალი მოძღვრება შექმნა იმის საფუძველზე, რომ მან „სრულად შეითვისა ყოველივე ის, რაც წინანდელმა მეცნიერებამ მოგვცა. ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანთა საზოგადოებას, მან კრიტიკულად გადაამუშავა ისე, რომ არც ერთი პუნქტი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანთა გონებას, მან გადაამუშავა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა...“[2].

სოციალისტური კულტურა თვისებრივად განსხვავდება ყველა მანამდე არსებული კულტურისაგან, მაგრამ ამავე დროს მემკვიდრეობით შეიცავს თითოეული მათგანის მოწინავე და პროგრესულ ელემენტებს.

3) სოციალისტური კულტურის აშენება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ იმ მასალიდან, რომელსაც ძველი კულტურა იძლევა და იმ ადამიანებით, რომლებიც კაპიტალიზმის ეპოქაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ კომუნიზმი ცოდნათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მხოლოდ იმ ჯამით, ადამიანთა ძალებისა და საშუალებების იმ მარაგით, რაც ძველი საზოგადოებისაგან დაგვრჩა“[3].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 343.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 339.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში გაჩნდნენ ე. წ. პროლეტკულტელები, რომლებიც მოითხოვდნენ წარსული კულტურის მთლიან უარყოფას. თითქოს ეს კულტურა, რომელიც შექმნილია ექსპლოატატორულ საზოგადოებაში, ემსახურება გაბატონებულ კლასებს და ამდენად პროლეტარიატს არ გამოადგება. მშრომელებმა უნდა შექმნან სრულიად ახალი — პროლეტარული კულტურა, რომელიც არაფერს არ შეიცავდა მემკვიდრეობით წარსული კულტურისაგან. ისინი მოითხოვდნენ დაგვენგრია ძველი რკინიგზები და სახლები და ავგეშენებინა ახალი პროლეტარული რკინიგზები და სახლები. უარი გვეთქვა პუშკინზე, ტოლსტოიზე და ა. შ.

ძველი კულტურისადმი ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულება არის მექანიკური უარყოფის ნიმუში, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს დიალექტიკურ უარყოფასთან. ეს უკანასკნელი გულისხმობს უკვე მიღწეული დონის შენარჩუნებას, მის გონივრულ გამოყენებას და ამის საფუძველზე შემდგომ წინსვლას. სოციალისტური კულტურის აშენება შეიძლება არა ცარიელ ნიადაგზე, აამად ძველი კულტურის კრიტიკული ათვისებისა და გამოყენების საფუძველზე. და მის შექმნას იწყებენ არა ის ადამიანები, რომლებიც წინასწარ და საგანგებოდ აღიზარდნენ ამ მიზნით, არამედ ის პროგრესულად მოაზროვნე რეალური ადამიანები, რომლებიც კაპიტალიზმის ეპოქაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ.

ცხოვრების სოციალისტური წესი და ნეგატიური მოვლენების პრობლემა. სოციალიზმის დროს მკვიდრდება ცხოვრების ახალი სოციალისტური წესი, რომელიც შეიცავს მაღალზნეობრივ იდეალებსა და ნორმებს. თავისი ბუნებით იგი გამორიცხავს საზოგადოებისათვის მავნე ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების, ქცევებისა და ნორმების არსებობას. მიუხედავად ამისა, სოციალიზმის პირობებში არსებობას განაგრძობს მრავალი უარყოფითი, ნეგატიური მოვლენა: უშრომელი შემოსავალი, სპეკულაცია, მექრთამეობა ბიუროკრატიზმი, კარიერიზმი, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მეშჩანობა, გულგრილობა, ლოთობა, ხულიგნობა, ქურდობა და ა. შ. ისინი უცხოა ცხოვრების სოციალისტური წესისათვის, რადგან არა თუ არ შეესაბამებიან, არამედ, პირიქით, ეწინააღმდეგებიან კომუნისტური მორალის ძირითად პრინციპებსა და ნორმებს.

მათი დარღვევა და მათგან გადახრა წარმოქმნის ნეგატიურ მოვლენებს სოციალიზმის პირობებში.

ისმება კითხვა: თუკი ნეგატიური მოვლენები უცხოა სოციალიზმის ბუნებისათვის, მაშინ რა განაპირობებს მათ წარმოშობას? რატომ განაგრძობენ ისინი არსებობას? მათი წარმოშობა შემთხვევითია, დროებითია თუ კანონზომიერია, აუცილებელია სოციალიზმისათვის?

არცთუ შორეულ წარსულში ჩვენში გავრცელებული იყო თვალსაზრისი, რომელიც მიიჩნევდა, რომ სოციალიზმის პირობებში ნეგატიურ მოვლენებს აქვთ დროებითი და შემთხვევითი ხასიათი. თითქოს მათ წარმოშობს დროებითი სიძნელეები და ცალკეულ ადამიანთა სუბიექტური ხასიათის შეცდომები. სკკპ XXVII ყრილობამ კატეგორიულად უარყო ამგვარი გაუბრალოებული და გამარტივებული წარმოდგენები და შეხედულებები.

სოციალიზმმა მოსპო კერძო საკუთრება და მასზე დამყარებული კლასთა ანტაგონიზმი, ჩაგვრა და ექსპლოატაცია. სოციალურ-პოლიტიკური უთანასწორობა. მან ბოლო მოუღო ექსპლოატატორული საზოგადოებისათვის, კერძოდ, კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ მრავალ უბედურებასა და სენს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს სოციალიზმმა მოსპო ადამიანთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყოველგვარი ნაკლი და ბოროტება. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ უნდა გვერწმუნა, თითქოს სოციალიზმს ძალუძს განახორციელოს ბიბლიური სამოთხე, სადაც მხოლოდ ბედნიერება და სიხარული სუფევს და არავითარ უბედურებას და მწუხარებას არა აქვს ადგილი. თითქოს სოციალიზმი იყოს სრულყოფილი, იდეალური საზოგადოება, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი ნაკლოვანებანი, სიძნელეები და სერიოზული პრობლემები. თითქოს სოციალიზმის პირობებში ადამიანს შეუძლია გულარხეინად წამოწვეს, არაფერზე იზრუნოს, რადგან მას ყველაფერს მზა-მზარეულად მიართმევს საზოგადოება. ასეთი გაიდეალებული და გამარტივებული წარმოდგენები სოციალიზმსა და კომუნიზმზე მიუღებელია მარქსიზმისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ნეგატიური მოვლენები უცხოა ცხოვრების სოციალისტური წესისათვის, ისინი მაინც განაგრძობენ არსებობას სოციალიზმის პირობებში. და ეს კანონზომიერი,

აუცილებელი და არა შემთხვევითი, დროებითი ხასიათისაა. ამას განაპირობებს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური პირობები. სოციალიზმის პირობებში არსებული ნეგატიური მოვლენები სხვადასხვაგვარია, ამიტომ მათი წარმომშობი მიზეზებიც განსხვავებულია. სანიმუშოდ დავასახელოთ რამდენიმე ტიპის ნეგატიური მოვლენა და მივუთითოთ მათ გამომწვევ ობიექტურ თუ სუბიექტურ პირობებზე.

1) სოციალიზმი, ისევე როგორც ყოველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, განიცდის განვითარებას და სრულყოფას. ამ პროცესს საფუძვლად უდევს სოციალიზმისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობანი. სანიმუშოდ განვიხილოთ საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა დიალექტიკა სოციალიზმის დროს. სკკპ XXVII ყრილობამ ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებას:

„პრაქტიკამ ცხადყო იმ წარმოდგენათა უსაფუძვლობა, რომელთა თანახმად სოციალისტურ პირობებში თითქმის ავტომატურად ხორციელდება საწარმოო ძალების ხასიათთან წარმოებითი ურთიერთობის შესაბამისობა. სინამდვილეში ყველაფერი უფრო რთულია. დიახ, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა ფართო ასპარეზსს უქმნის საწარმოო ძალების განვითარებას, მაგრამ ამისთვის იგი დღენიადაგ უნდა იხვეწებოდეს. ეს კი ნიშნავს, რომ დროულად უნდა ვამჩნევდეთ მოძველებულ მეთოდებს და ახალი მეთოდებით ვცვლიდეთ მათ“ [1].

სოციალიზმის პირობებშიც მოქმედებს საწარმოო ძალების ხასიათისა და დონისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის ზოგადსოციოლოგიური კანონი. აქაც საწარმოო ძალები უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე წარმოებითი ურთიერთობანი. ამის გამო მათ შორის წარმოიქმნება შეუსაბამობა. ასე მოხდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში 70-იან წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისში. „ამჟამად მოქმედი წარმოებითი ურთიერთობის ფორმები, მეურნეობრიობისა და მართვის სისტემა ძირითადად ეკონომიკის ექსტენსიური განვითარების პირობებში ჩამოყალიბდა. თანდათანობით ისინი მოძველდნენ, დაკარგეს მასტიმულირებელი

---

[1] ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1986, № 3-4, გვ. 34.

ძალა, ზოგიერთ რამეში კი მუხრუჭადაც იქცა", — აღინიშნა სკკპ XXVII ყრილობაზე [1]. პარტიამ შეიმუშავა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამეურნეო მექანიზმის შეცვლა. ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად თანდათანობით მყარდება ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალი ფორმები. მაგრამ არც ისინი იქნებიან მუდმივი. საწარმოო ძალების განვითარების კვალობაზე ისინიც მოძველდებიან .და მათაც დასჭირდებათ შეცვლა. და ეს პროცესი გაგრძელდება დაუსრულებლივ ისე, რომ სრული შესაბამისობა საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის არასოდეს :დამყარდება.

ბუნებრივია, რომ ჩამორჩენილი, მოძველებული წარმოებითი ურთიერთობანი წარმოქმნიან ნეგატიურ მოვლენებს არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

2) სოციალიზმი ვერ გამორიცხავს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ზოგიერთ უარყოფით შედეგს. მაგალითად, ეკოლოგიურ პრობლემებს (გარემოს გაჭუჭყიანება, ურბანიზაცია და ა. შ.): ტექნიკის გამოყენების საფრთხეს, რაც დაადასტურა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიამ.

3) სოციალიზმის პირობებში განაგრძობს არსებობას წარსული საზოგადოებიდან შემორჩენილი და გადმოსული ნეგატიური მოვლენები, რომელთაც გადმონაშთებს უწოდებენ. ისინი შეიძლება დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად:

ა) მომხვეჭელურ-მომხმარებლური, ობივატელურ-მეშჩანური, უპასუხისმგებლობისა და უდარდელობის დამოკიდებულება საზოგადოებრივი დოვლათისადმი. ეს არის კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის გამოვლინება, რომელიც წარმოიშვა კერძო საკუთრების გაჩენის შემდეგ და განამტკიცა ექსპლოატატორულმა საზოგადოებამ საუკუნეების განმავლობაში. მისთვის დამახასიათებელია უშრომელი შემოსავლის მეშვეობით გამდიდრების, კომფორტის, პირადი ცხოვრების რაც შეიძლება უკეთ მოწყობის კულტი.

ამგვარი რეციდივების არსებობას სოციალიზმის დროს განაპირობებს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები. სუბიექტურს მიეკუთვნება საზოგადოებრივი ცნობიერების შედარე-

---

[1] ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", 1986, № 3-4, გვ. 34.

ბით დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი ყოფიერებისაგან. მართალია, სოციალიზმმა მოსპო კერძო საკუთრება და ექსპლოატაცია, მაგრამ კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა და მტკიცდებოდა, შემორჩენილია ცალკეული ადამიანების ცნობიერებაში. ობიექტურს კი მიეკუთვნება ის, რომ სოციალიზმს ჯერ კიდევ არ შეუძლია სრულად და ყოველმხრივ დააკმაყოფილოს ადამიანთა მოთხოვნილებანი. ამის საშუალებას არ იძლევა არც სოციალისტური წარმოების დონე და არც ეკონომიკური ურთიერთობანი. ეს შესაძლებელი იქნება საკუთრივ კომუნიზმის დროს.

ბ) ხულიგნობის, ლოთობის, უსაქმურობის, სხვათა უპატივცემულობის და ა. შ. რეციდივები. სუბიექტურ მიზეზებთან ერთად მათაც აქვთ ობიექტური მიზეზები: ძირითადად ისინი დაკავშირებული არიან პიროვნების საყოფაცხოვრებო პირობებისა და თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების მოუგვარებლობასა და სიძნელეებთან.

გ) რელიგიური ცრუ-რწმენები და ჩვევები, რომლებიც წარმოიშვნენ უხსოვარ დროს და მოქმედებდნენ საუკუნეების განმავლობაში. მათ ტრადიციების სახით გადასცემდნენ თაობები ერთმანეთს. ამის გამო მათ შეიძინეს გამძლეობა და განაგრძობენ არსებობას სოციალიზმის პირობებშიც.

4) სოციალიზმის დროს არსებობას განაგრძობს სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ნეგატიური მოვლენები. ყოველი საზოგადოება, მათ შორის სოციალისტურიც გეოგრაფიულ გარემოში არსებობს. ბუნებრივი პროცესები — მიწისძვრები, წყალდიდობანი, გვალვა და ა. შ. მასზეც ახდენს ზეგავლენას და იწვევს გარკვეულ უარყოფით შედეგებს.

როგორც ვხედავთ, სოციალიზმი ვერ გამორიცხავს ნეგატიური მოვლენების არსებობას. ზოგს თვით იგი წარმოშობს, ზოგი მას მიღებული აქვს წარსული საზოგადოებიდან გადმონაშთების სახით, ზოგს მას თავს ახვევს ბუნებრივი გარემო.

რა თქმა უნდა, ცხოვრების კაპიტალისტური წესი ზეგავლენას ახდენს ნეგატიური მოვლენების არსებობაზე სოციალიზმის დროს. ბურჟუაზიული იდეოლოგია და პროპაგანდა ყოველნაირად ცდილობს მათ გაღვივებას და გადაქცევას სოციალისტური პიროვნე-

ბის ცხოვრების ნორმად. მაგრამ მას მხოლოდ ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მათზე და იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ მათი წარმოქმნის განმსაზღვრელ მიზეზად.

ნეგატიურ მოვლენებს სოციალიზმის დროს განსაზღვრავს თვით სოციალისტურ საზოგადოებაში არსებული ობიექტური და სუბიექტური მიზეზები.

სოციალიზმის უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით იმაში როდია, თითქოს იგი გამორიცხავს ნეგატიური მოვლენების წარმოქმნის შესაძლებლობას. მისი უპირატესობა შემდეგშია: ჯერ ერთი, მან მოსპო კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი კლასობრივი და სოციალური ჩაგვრა, ძალადობა და ანტაგონიზმი. მეორე, იგი წარმოშობს ისეთ ძალებს, რომელთაც გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად, შეგნებულად და ორგანიზებულად შეუძლიათ იბრძოლონ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ამის გამოა, რომ სოციალიზმის პირობებში ხდება მათი გავლენისა და ზემოქმედების შეზღუდვა, დროული აღმოჩენა და ხალხის ფართო მასების დარაზმვა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლისა და სოციალური ანტაგონიზმის გარეშე. ეს სოციალიზმის დიდი მონაპოვარია.

საკმარისია თუ არა ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველად აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანი ორგანიზაცია? მასების კომუნისტური აღზრდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პროცესში, მაგრამ იგი საკმარისი არ არის. აღზრდა მხოლოდ ადამიანის ფსიქიკის გარდაქმნით ახდენს მისი ქცევის რეგულირებას. ნეგატიურ მოვლენებს კი ფესვები გადგმული აქვთ არა მარტო ადამიანის ცნობიერებაში, არამედ საზოგადოებრივ ყოფიერებაშიც. ამიტომ აუცილებელია საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემის ძირეული გარდაქმნა და სრულყოფა. ჩვენი საზოგადოების სწორედ ასეთ რადიკალურ გარდაქმნას ისახავს მიზნად სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული სტრატეგიული კურსი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შესახებ. მისი განხორციელება საშუალებას მოგვცემს არა მხოლოდ გავზარდოთ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, არამედ წარმატებით ვებრძოლოთ ნეგატიურ მოვლენებსაც.

სოციალიზმის პირობებში ნეგატიურ მოვლენათა არსებობა კი

არ უნდა დავმალოთ და მივჩქმალოთ ან გავაიოლოთ მათი დაძლევის და აღმოფხვრის შესაძლებლობა, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენმი არცთუ შორეულ წარსულში. მათ შესახებ ახალგაზრდა თაობას უნდა ვესაუბროთ გულახდილად და პატიოსნად, რათა მას გაჰოვუმუშაოთ მათდამი შეურიგებლობის და აქტიური ბრძოლის პოზიცია. ყოველმა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, რომ მას მზამზარეულად საჩუქრის სახით არავინ მიართმევს ბედნიერებას. მას ცხოვრებაში მრავალი დაბრკოლება და სიძნელე შეხვდება, რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად იგი მუდამ მზად უნდა იყოს. მხოლოდ შრომით და ბრძოლით შეძლებს იგი მიაღწიოს წარმატებას. სწორედ ეს აქტიურობა და შემოქმედებითი ძიება, მათ შორის შეურიგებელი ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მოუტანს მას სიხარულს და მიანიჭებს ბედნიერებას.

დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის არსი

დიალექტიკური მატერიალიზმის თავისებურებანი, ის თვისებრივი სიახლე, რითაც იგი განსხვავდება სხვა ფილოსოფიური სისტემებისაგან, ჩვენ უკვე დავახასიათეთ. ახლა უნდა გავარკვიოთ დიალექტიკური მატერიალიზმის როგორც გარკვეული ტიპის მსოფლმხედველობის ბუნება, არსი. ე. ი. ჩვენ უნდა გავარკვიოთ საკითხი იმის შესახებ, თუ სამყაროს როგორ სურათს იძლევა იგი და როგორაა მასში გადაწყვეტილი ადამიანის ადგილის, მისი ყოფიერებისა და საქმიანობის წესის, დანიშნულებისა და მიზნის პრობლემა.

როგორც უკვე ვიცით, მარქსიზმ-ლენინიზმი პროლეტარიატის მეცნიერული მსოფლმხედველობაა, რადგან მისი ძირითადი საკითხია პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული მისიის დასაბუთება. ე. ი. იგი არკვევს მუშათა კლასის ადგილსა და როლს საზოგადოების განვითარებაში.

დიალექტიკური მატერიალიზმი მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიაა. ცხადია. დიალექტიკური მატერიალიზმი არ ემთხვევა მარქსიზმ-ლენინიზმს; ეს უკანასკნელი უფრო ფართოა, რადგან გარდა ფილოსოფიური შეხედულებებისა, მოიცავს ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებსაც. დიალექტიკური მატერიალიზმი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული საფუძველია. იგი სამყა-

როს ზოგად სურათს იძლევა, რომელიც საზოგადოების ობიექტური განვითარების და მისი მომავლის მეცნიერული გაგების ამოსავალ საწყისებს ადგენს.

დიალექტიკურმა მატერიალიზმმა პირველად საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში ერთმანეთს დაუკავშირა მატერიალიზმი და დიალექტიკა. ამის შედეგად მან ჩამოაყალიბა სამყაროს დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება, რომლის არსი შემდეგშია: სამყარო თავისი ბუნებით მატერიალურია და იგი განიცდის მუდმივ განახლებას, ცვალებადობას, განვითარებას.

მატერიალური სამყარო არსებობს ობიექტურად, ადამიანის ნებისა და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. იგი მარადიულია, არ წარმოიშობა და არ ისპობა. მატერია სამყაროს ერთიანობის საფუძველია, რადგან არამატერიალური მისგან დამოუკიდებლად არ არსებობს. ყოველი, რაც სამყაროში არსებობს, ან მატერიალურია, ან მატერიალურის თვისებაა.

მატერიალური სისტემები განიცდის განვითარებას. ერთ-ერთი მატერიალური სისტემის, კერძოდ, მზის სისტემის განვითარების შედეგად დედამიწაზე წარმოიშვა სიცოცხლე. ამ უკანასკნელის განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიქმნა ადამიანის სახეობა— გონიერი ადამიანი, რომელმაც შექმნა ბუნებისაგან განსხვავებული სამყარო — საზოგადოება.

საზოგადოებას ქმნიან ცნობიერების, ე. ი. მიზნებისა და ნებისყოფის მქონე ადამიანები. ისინი მოქმედებენ მიზანდასახულად და შეგნებულად. მიუხედავად ამისა საზოგადოების არსებობისა და ფუნქციობის საფუძველი მატერიალურია. იგი ვითარდება ობიექტური კანონზომიერების მიხედვით. ამიტომ ადამიანები, რომლებიც თვითონ ქმნიან ისტორიას, მოქმედებენ არა თვითნებურად, არამედ ობიექტური კანონზომიერების მიხედვით და მის შესაბამისად.

ადამიანი არ ქმნის სამყაროს, პირიქით, ეს უკანასკნელი თავის განვითარებაში წარმოქმნის მას. მაგრამ ადამიანი არ არის პასიური. მხოლოდ გარემოსთან შემგუებელი არსება. იგი პრაქტიკული, აქტიურად მოქმედი არსებაა, რომელსაც შეუძლია გარდაქმნას და თავისი ნების შესაბამისად შეცვალოს სამყარო. იგი თავისუფალი, აქტიურ-გარდამქმნელი სუბიექტია, რომელსაც შეუძლია ბედნიე-

რებისა და სიხარულის რეალური სამეფო შექმნას დედამიწაზე და არა სადღაც საიქიოში განაბორციელოს ბიბლიური სამოთხე. ადამიანის ხვედრი და მომავალი მის ხელთაა, იგი თვითონ ჰქედს თავის პედნიერებას, ამიტომ პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის შედეგებისათვის. მაგრამ ადამიანს მხოლოდ შეფარდებითი და არა აბსოლუტური თავისუფლება და პასუხისმგებლობა ახასიათებს, რადგან მას ყველაფერი არ შეუძლია, მისთვის ყველაფერი არ არის დასაშვები. მისი აქტიურობისა და თავისუფლების ფარგლები განსაზღვრულია სამყაროს განვითარების ობიექტური კანონზომიერებით.

ადამიანს თავისი საქმიანობით შეუძლია ბოროტებაც და სიკეთეც დაამკვიდროს. დღემდე მას უფრო მეტი ბოროტება მოჰქონდა, ვიდრე სიკეთე. მაგრამ ამის მიზეზი არა თვით მის ბუნებაშია საძიებელი, არამედ იმ უკეთესმართ, არაადამიანურ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, რომლებშიც მას უხდებოდა მოღვაწეობა. ძალადობა და ომები, ექსპლოატაცია და ჩაგვრა, კერძო საკუთრება და კლასობრივი ანტაგონიზმი, რომლებიც გამეფებული იყო საზოგადოებაში, გამორიცხავდა ადამიანის ნამდვილ, ჭეშმარიტ ჰუმანურ არსებობას. იგი იყო გაუცხოებული, რადგან მისი ყოფიერება, არსებობა არ შეესაბამებოდა მის არსებას. ადამიანს უხდებოდა ისეთ სოციალურ გარემოში არსებობა და მოღვაწეობა, რომელიც აიძულებდა მას, ეკეთებინა ისეთი რამ, რაც მისი ბუნებისათვის უცხო და საწინააღმდეგო იყო. ადამიანის მიზანია მოსპოს მისი ყოფიერების და საქმიანობის უკეთესმართი, არაადამიანური პირობები, რათა განთავისუფლდეს გაუცხოებისაგან და ეზიაროს ნამდვილ, ჭეშმარიტ ადამიანურ ყოფიერებას. მან სიკეთე და ჰუმანიზმი უნდა დაამკვიდროს დედამიწაზე.

ამგვარად, ადამიანის რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის, შეფარდებითი თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის, ჰუმანურობისა და კაცთმოყვარეობის დამკვიდრება დედამიწაზე და არა ფანტასტიკურ, გამოგონილ სამყაროში — აი დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის არსი.

მაგრამ ყოველივე ეს ადამიანის აუხდენელი ოცნება, უტოპია

ხომ არ არის? მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი დამსახურება სწორედ ისაა, რომ მან ადამიანის მისწრაფება ბედნიერებისა და სიკეთისაკენ მეცნიერულად დაასაბუთა და დააფუძნა. ეს დაფუძნება ძირითადად ემყარება ორ ფუნდამენტურ პრინციპს: 1) მატერიალური სამყაროს განვითარების ობიექტური კანონზომიერების აღიარებას, რომლის თანახმად ისტორია პროგრესულად ვითარდება და აუცილებლად მივა უკლასო და ექსპლოატაციისაგან თავისუფალ კომუნისტურ საზოგადოებამდე. 2) კომუნისტური საზოგადოების დამყარება ობიექტურ-კანონზომიერი პროცესია, მაგრამ იგი არ განხორციელდება თავისთავად, ავტომატურად. ამისთვის აუცილებელია ადამიანთა აქტიური — რევოლუციურ-გარდამქმნელი მოღვაწეობა. მარქსიზმ-ლენინიზმმა ეს საქმიანობა დაუკავშირა მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას. მხოლოდ მუშათა კლასს შესწევს ძალა დაამხოს კერძო საკუთრებასა და სოციალურ ჩაგვრაზე დაფუძნებული საზოგადოება და ააშენოს მისგან განსხვავებული — სრულიად ახალი ტიპის საზოგადოება.

მუშათა კლასის რევოლუციური, კლასობრივი ბრძოლა სოციალური ჩაგვრისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ, რომლის შედეგად მოისპობა კლასები და კლასობრივი ექსპლოატაცია — აი ერთადერთი რეალური გზა, რომელიც ადამიანს მოუტანს თავისუფლებას და სიკეთეს, ბედნიერებასა და სიხარულს.

ასეთია მოკლედ დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის არსი. იგი კონკრეტულად ვლინდება ორ ძირითად პრინციპში, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმმა წამოაყენა. ეს არის ისტორიზმის პრინციპი და საზოგადოებრივი მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომის პრინციპი.

ისტორიზმის პრინციპი. ისტორიზმის პრინციპი მოითხოვს მოვლენათა განხილვას კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში. ყოველი მოვლენა წარმოიშობა, ვითარდება, გაივლის ცარკვეულ ეტაპებს და შემდეგ გარდაიქმნება სხვა მოვლენად. ყოველივე ეს მიმდინარეობს კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში, ამიტომ მასთან ორგანულ კავშირში განხილულ და შეფასებულ უნდა იქნეს ესა თუ ის მოვლენა.

ისტორიზმის პრინციპი გამორიცხავს სინამდვილის განხილვის არაისტორიულ და აბსტრაქტულ წესს, რომლის მიხედვით, მოვლე-

ნები მათი არსებობის და განვითარების კონკრეტულ-ისტორიული პირობებისაგან დამოუკიდებლად განიხილება. ამის შედეგად დგინდება აბსტრაქტული და ზოგადი, ყველა დროისა და სიტუაციისათვის ძალის მქონე დებულებები, რომელთაც ახასიათებს აბსოლუტური ჭეშმარიტება და უტყუარობა.

მარქსიზმ-ლენინიზმი კატეგორიულად უარყოფს აზროვნების ამგვარ წესს, რადგან იგი მიაჩნია მეტაფიზიკური მეთოდის კონკრეტულ გამოვლენად.

ისტორიზმის პრინციპი პირიქით, დიალექტიკური მეთოდის კონკრეტული გამოვლენაა. დიალექტიკა არის მოძღვრება, რომელიც სინამდვილის მოვლენებს განიხილავს ურთიერთკავშირსა და განვითარებაში. ისინი გაპირობებულნი არიან გარემომცველი სამყაროს მოვლენებით და შინაგანი აუცილებლობით განიცდიან განვითარებას. ამიტომ დროისა და პირობების მიხედვით მათი განვითარების მიმდინარეობა და ხასიათი იცვლება. მეცნიერულმა აზროვნებამ, თუ მას არ უნდა დაშორდეს ობიექტურ სინამდვილეს, მოვლენები უნდა განიხილოს ისტორიულ ცვალებადობასა და განვითარებაში. სწორედ დიალექტიკური მეთოდის ამ მოთხოვნის კონკრეტული გამოხატულებაა ისტორიზმის პრინციპი.

ისტორიზმის პრინციპი მარქსამდე იყო წამოყენებული. მარქსიზმ-ლენინიზმის დამსახურებაა ამ პრინციპის დიალექტიკურ-მატერიალისტური დაფუძნება, რომლის შედეგად მან იგი მეცნიერულად დაასაბუთა და ბოლომდე თანმიმდევრულად გაატარა სინამდვილის ყველა სფეროში.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მარქსიზმის მთელი სულისკვეთება, მისი სისტემა მოითხოვს, რომ ყოველი მოვლენა განვიხილოთ ისტორიულად, სხვა მოვლენებთან მიმართებაში, ისტორიის კონკრეტულ გამოცდილებასთან კავშირში.

საზოგადოებრივი მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომის პრინციპი. მარქსიზმის თანახმად, ყოველი კლასობრივად ანტაგონისტური საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალაა კლასობრივი ბრძოლა. ასეთ საზოგადოებაში ყოველი მოვლენა — ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური — კლასობრივი ბრძოლის აშკარა ან ფარული გამოხატულებაა. ამიტომ კლასობრივად ანტაგონისტურ საზოგადოებაში მოვლენები უნდა

განვიხილოთ და შეეაფასოთ კლასობრივი ბრძოლის პოზიციებიდან. მათ უკან უნდა დავინახოთ და გამოვამჟღავნოთ კლასობრივი ინტერესები და მისწრაფებები, რადგან სწორედ ისინი განსაზღვრავენ ადამიანთა ცნობიერებას და საქმიანობას.

საზოგადოებრივი მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომის პრინციპი მოითხოვს სოციალური მოვლენების და პროცესების კლასობრივი ინტერესების პოზიციებიდან შეფასებას და განხილვას. იგი ადამიანს უმუშავებს მკაფიო კლასობრივ პოზიციას და ორიენტაციას.

ეწინააღმდეგება თუ არა საზოგადოებრივი მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომის პრინციპი ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და ღირებულებებს? ამ კითხვაზე არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი: იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კლასის ინტერესებს ეხება საუბარი. თუ რეაქციული, ჩამორჩენილი კლასის ინტერესების მიხედვით ხდება საზოგადოებრივ მოვლენათა შეფასება, მაშინ იგი ეწინააღმდეგება ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და ნორმებს. რატომ? იმიტომ, რომ ასეთი კლასის სასიცოცხლო ინტერესები ძირეულად ეწინააღმდეგება საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას. პროგრესული კლასის ინტერესები კი შეესაბამება საზოგადოების განვითარების ობიექტურ ტენდენციას, ამიტომ მისი პოზიცია არსებითად ემთხვევა ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და ღირებულებებს.

მარქსიზმ-ლენინიზმი გამორიცხავს საზოგადოებრივი მოვლენების შეფასების ზეკლასობრივ, იდეოლოგიურად ნეიტრალურ პოზიციას. იდეოლოგია ყოველთვის კლასობრივია. იგი გამოხატავს ამა თუ იმ კლასის ინტერესებს. ნეიტრალური იდეოლოგია, რომელიც არ იქნებოდა რომელიმე კლასის ინტერესების გამომხატველი, არ არსებობს. საერთაშორისო მასშტაბით კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ამძაფრებს იდეოლოგიურ ბრძოლასაც. ასეთ პირობებში კი საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ ზეიდეოლოგიური, შესაბამისად, ზეკლასობრივი მსჯელობები და შეფასებები გამორიცხულია.

თანამედროვე ეპოქაში ახლებურად დადგა კლასობრივი და ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და ღირებულებების მიმართების სა-

კითხი. რამ განაპირობა ეს სიახლე? იგი გამოიწვია მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, რომლის შედეგად შეიქმნა ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღი. ეს იარაღი მოსპობით ემუქრება სიცოცხლეს დედამიწაზე. არა თუ მთელი ცივილიზაცია, არამედ საერთოდ სიცოცხლე შეიძლება მოისპოს დედამიწაზე. ეს საფრთხე ემუქრება არა მხოლოდ სოციალიზმს და პროლეტარიატს, არამედ კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას. იგი განადგურებით ემუქრება საერთოდ კაცობრიობას. ამ გარემოებამ დააყენა მრავალი გლობალური პრობლემა, რომლის გადაწყვეტა არ შეიძლება არც ერთი ქვეყნის და არც ერთი რომელიმე სისტემის ძალებით. მათი გადაჭრა მოითხოვს მთელი კაცობრიობის გაერთიანებას და საერთო ძალისხმევას. პირველ რიგში ასეთია ბირთვული ომის თავიდან აცილება და მშვიდობისათვის ბრძოლა. ეს არ არის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ფორმა. მაგრამ იგი შეესაბამება მის სასიცოცხლო ინტერესებს და მას გარკვეული აზრით უპირატესობაც კი ენიჭება. რომელიმე კლასის ინტერესებს არ უნდა შეეწიროს კაცობრიობისა და ცივილიზაციის არსებობა. როდესაც საფრთხე ემუქრება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, მაშინ მათ გადარჩენასა და შენარჩუნებაზე ზრუნვამ და დაუცხრომელმა ბრძოლამ უნდა შეიძინოს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. ეს ეხება არა მხოლოდ პროლეტარიატს, არამედ ყველა კლასსა და სოციალურ ფენას.

მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, გ ლ ო ბ ა ლ უ რ ი პ რ ო ბ ლ ე მ ე ბ ი ს შ ე ფ ა ს ე ბ ი ს ას კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი მ ი დ გ ო მ ა უ ნ დ ა დ ა ე ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ო ს ზ ო გ ა დ ს ა კ ა ც ო ბ რ ი ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ებ ს ა დ ა ი დ ე ა ლ ებ ს.

ეს გარემოება ხომ არ უარყოფს საზოგადოებრივი მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომის პრინციპს? რა თქმა უნდა, არა—სანამ რჩება კლასობრივი ანტაგონიზმი და ბრძოლა, მანამ ეს პრინციპიც ძალას ინარჩუნებს. აღნიშნული გარემოება მიუთითებს მოცემული პრინციპის დასმისა და განხორციელების თავისებურებაზე თანამედროვე ბირთვული ეპოქის პირობებში.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

შესავალი. მარქსიზმ-ლენინიზმი — ერთიანი რევოლუციური მოძღვრება, მეცნიერული მსოფლმხედველობის საფუძველი . . . 5

დიალექტიკური მატერიალიზმის საწყისები . . 29

ფილოსოფია როგორც მსოფლმხედველობა 29
მატერია, მისი არსებობის წესი და ფორმები 56
ცნობიერება როგორც მაღალორგანიზებული მატერიის თვისება . . 71
მატერიალისტური დიალექტიკა როგორც მოძღვრება მოვლენათა საყოველთაო კავშირისა და განვითარების შესახებ 77
დიალექტიკის ძირითადი კანონები 81
დიალექტიკის ძირითადი კატეგორიები 92
სამყაროს შემეცნებადობის პრობლემა 96

ისტორიული მატერიალიზმის საწყისები 104

ისტორიული მატერიალიზმი როგორც მეცნიერება 104
მატერიალური დოვლათის წარმოების წესი 115
საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია 129
კლასები და კლასობრივი ბრძოლა 139
სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა და არსი 147
სოციალური რევოლუცია 158
ადამიანთა ერთობის ისტორიული ფორმები 164
ისტორიული აუცილებლობა და ადამიანთა შეგნებული საქმიანობა . 171
საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია და ცხოვრების წესი . 188
პიროვნება და საზოგადოება 204
სოციალური გარემოს როლი პიროვნების ფორმირებაში . . 217

დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის არსი 240

Вахтанг Ивтихиевич Еркоманишвили

ВОПРОСЫ ОБЩЕСТВОВЕДЕНИЯ
ФИЛОСОФИЯ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 1988

გამომცემლობის რედაქტორი თ. გ ა ბ ე ლ ა ი ა

სამხატვრო რედაქტორი ი. ჩ ი ქ ვ ი ნ ი ძ ე

ტექნიკური რედაქტორი ფ. ბ უ დ ა ღ ა შ ვ ი ლ ი

კორექტორი ნ. ჩ ა ხ ა ი ა

სბ 1337

გადაეცა წარმოებას 17. 11. 87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 02, 88.
უე 07825. საბეჭდი ქაღალდი 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15,5.
სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 12,2. ტირაჟი 20000. შეკვეთის № 1445
ფასი 75 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.